ცხელი ჟურნალი

დეკემბერი 2009 №55
ფასი 5 ლარი

ისტორიები
მაგდა გურული
შორენა შავერდაშვილი

რობერტ უილსონი
დავით ბუხრიკიძე

კომენტარი
სულები და თანამოაზრენი
ბასა ჯანიკაშვილი

სპეცპროექტი
სტუდენტური თვითმმართველობები
ნათია გულიაშვილი

საავტორო
ბორია
ლევან ბერძენიშვილი

თარგმანი
ძალაუფლება და ცინიზმი
სლავოი ჟიჟეკი

ჯაზ-ფესტივალი 2009
კახა თოლორდავა

ლიტერატურა
ბესიკ ხარანაული
კარლოს ფუენტესი
გელა ჩქვანავა
რატი ამაღლობელი
გიორგი კეკელიძე

ISSN 1512-2220

მეტი დრო
ცხოვრებისათვის

ჯეოსელი

BlackBerry®

BlackBerry® BOLD™ 9000 smartphone

BlackBerry®, RIM®, Research In Motion®, SureType®, SurePress™ და სხვა დაკავშირებული საკუთრების ნიშნები, სახელები და ლოგოები ეხებიან Research In Motion Limited – ის საკუთრებას და ექვემდებარებიან დარეგისტრირებულ ან/ან გამოიყენება აშშ-ს და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. გამოიყენება Research In Motion Limited – ის ლიცენზიით.

გარეკანზე: მაგდა გურული
ფოტო: დავით მესხი

მთავარი რედაქტორი: ნინო ლომაძე
აღმასრულებელი რედაქტორები: ნინო ჯაფიაშვილი, სალომე კიკალეიშვილი
არტ-რედაქტორი: გიორგი ნადირაძე
რედაქტორ-სტილისტი: ნინო სვანიძე
კორექტორი: ნინო საითიძე
ნომერზე მუშაობდნენ: დავით ბუხრიკიძე, ანა კორძაია-სამადაშვილი, კახა თოლორდავა, დავით ჩიხლაძე, ლევან ბერძენიშვილი, თამარ ბაბუაძე, ლელა გაფრინდაშვილი, მაია ცეცაძე, ბასა ჯანიკაშვილი, ელენე ასათიანი, თეო ხატიაშვილი, რუსუდან მირზიკაშვილი, ნათია გულიაშვილი, დავით ახალაძე, შორენა შავერდაშვილი
ფოტო: დავით მესხი, ლევან კაკაბაძე, ქეთო ცაავა
ილუსტრაცია: მარიამ ზალდასტანიშვილი, მაია სუმბაძე
დიზაინი: თორნიკე ლორთქიფანიძე
საზოგადოებასთან ურთიერთობა: ლელა შუბითიძე
სარეკლამო გაყიდვები: შალვა ჩუბინიძე
დისტრიბუცია: ზვიად შენგელია
გამომცემელი: შორენა შავერდაშვილი

გამომცემლობა:
შპს „ემ ფაბლიშინგი“, თბილისი 0105, ფალიაშვილის ქ. 108, ტელ.: 912326
ელ-ფოსტა: mpublishing@caucasus.net
სხვა გამოცემები: *ლიბერალი, ბიზნესი-ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები, დიალოგი, თიბისი და თიბისელები.*
სტამბა: შპს „სეზანი“, თბილისი, წერეთლის გამზ. 140, ტელ.: 357002

ჟურნალი გამოდის 2004 წლის 25 დეკემბრიდან

© “M Publishing” საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი ან მთლიანი გამოყენება გამომცემლობის ნებართვის გარეშე აკრძალულია.

ცხელი შოკოლადი

N55, დეკემბერი 2009

6 რედაქტორის წერილი

8 ჩვენი ავტორები

მიმოხილვა 10 აქსიომების გამეორება ***დავით ჩიხლაძე***

12 პოეზია ფურცელსა და ჩარჩოს მიღმა ***დავით ჩიხლაძე***

14 გამოფენა ***დავით ჩიხლაძე***

ტაიმაუტი 16 „მე ადამიანებს ველაპარაკები“ ***ელენე ასათიანი***

18 ბაგრატიონის „რეზერვი“ განსაკუთრებული შემთხვევისათვის! ***მაია ცეცაძე***

რეცენზიები 20 თბილისური „ტუსოვკა“ ანუ Home-Video ***თეო ხატიაშვილი***

22 გრძნობათა აღზრდა ***დავით ბუხრიკიძე***

კომენტარები 24 ინტელექტუალები და ინწელექტუალები ***ლელა გაფრინდაშვილი***

28 სულები და თანამოაზრენი ***ბასა ჯანიკაშვილი***

იმოგზაურე საქართველოში 32 ცასა და მიწას შორის ***ანა კორძაია-სამადაშვილი***

წერილი 36 ჩადრით დაფარული საფრთხე ***ზევ ბოროუ ინგლისურიდან თარგმნა დავით ახალაძემ***

54 წერილი ამერიკელ მეგობარს – თბილისის ჯაზ-ფესტივალი 2009 ***კახა თოლორდავა***

ისტორიები 42 *მაგდა გურული* ახალი დღის წესრიგი ***შორენა შავერდაშვილი***

48 *რობერტ უილსონი* სიზმრების მბრძანებელი ***დავით ბუხრიკიძე***

ინტერვიუები 58 ინტერვიუ კურტ ელინგთან ***კახა თოლორდავა***

62 ინტერვიუ ჯონ მედესქისთან ***კახა თოლორდავა***

სპეცპროექტი 66 სტუდენტური თვითმმართველობა ***ნათია გულიაშვილი***

iსაქართველო 78 ჯენტრი ***urban reactor***

82 ბებიაჩემის პატივსაგებად ***ანა არგანაშვილი***

ფოტოპროექტი 84 ზურგით ***ლევან კაკაბაძე***

საავტორო 92 ბორია ***ლევან ბერძენიშვილი***

თარგმანი 98 *სლავოი ჟიჟეკი* ძალაუფლება და ცინიზმი ***თარგმნა კახა თოლორდავამ***

ყოველდღიურად მსოფლიოში საშვილოსნოს ყელის კიბოთი 685 ქალი იღუპება*

რას გააკეთებთ, რომ დაიცვათ თქვენი და თქვენი ქალიშვილის ჯანმრთელობა?

ყველაფერს, რაც შეგიძლიაა!

გარდასილი®

[კვადრივალენტური რეკომბინანტული ვაქცინა ადამიანის პაპილომავირუსის (6, 11, 16, 18 ტიპების) საწინააღმდეგოდ]

ინფორმაციისთვის დარეკეთ ტელეფონზე 0-007

*World Health Organization. Initiative for Vaccine Research. Viral cancers. Available at: http://www.who.int/vaccine_research/diseases/viral_cancers/en/print.html. Accessed February 15, 2007.

ამ „მრავალფეროვან“ სამყაროს, კომუნიკაციის საუკუნემ თავისი ენა მოუტანა. თუ გინდა შენი სათქმელი ვინმეს გაუზიარო, უკვე შაბლონადქცეული ახალი ლექსიკონი უნდა აითვისო. მერე აღარ აქვს მნიშვნელობა, რის თქმას გადაწყვეტ, ლინგვისტური კონსტრუქციები შენს მაგივრად იტყვის სათქმელს. შენი ფიქრები, ოცნებები და შიშები ამ ფორმულების უკან რჩება. დღეს, კომუნიკაციას გულწრფელობა აღარაფერში სჭირდება.

ბოლო დროს, გულწრფელობის დეფიციტზე, ერთმანეთისგან დამოუკიდებელად, ორი ადამიანი საუბრობდა. „არტისტერიუმის“ პირველ დღეს, ეროვნული მუზეუმის აუდიტორიაში, სოფო ტაბატაძემ იმაზე ილაპარაკა, როგორ იქცა ჩვენი რეალობა მშრალი განცხადებების და ლოზუნგების ეპოქად, სადაც საკუთარ სისუსტეებზე, შეცდომებსა და გადაუჭრელ პრობლემებზე საჯაროდ აღარავინ საუბრობს. შეცდომებზე ხმამაღლა ლაპარაკს თავის გამართლების ფუნქცია არა აქვს, ეს გულწრფელობა ადამიანებს, პირველ რიგში, სხვების შეცდომების მიმართ შემწყნარებლობას ასწავლის.

ეს აზრი ამ ნომერზე მუშაობის დროს, კიდევ ერთხელ, მაშინ გამახსენდა, როდესაც „ცხელი შოკოლადის“ (shokoladi.ge) საიტზე ანა არგანაშვილის ბლოგი წავიკითხე. ანა ფიქრობს, რომ საკუთარი სიმართლის კატეგორიული მტკიცება უბრალოდ პასუხისმგებლობის და მთავარ მიზეზზე დაფიქრების თავიდან არიდების მცდელობაა. ამ კატეგორიულობაში კი, ყველაზე მთავარი – სოლიდარობა იკარგება. ანა კითხვას ასე სვამს – გამოვუცხადოთ „ბებიას“ სოციალური სოლიდარობა თუ მარტივად გავაცილოთ „კომუნისტური გადმონაშთი“ ჩვენი ცხოვრებიდან? თვითონ გამოსავალს ასე ხედავს.

„მე მისი კომუნისტური წარსულის, კომკავშირში ბუქნაობის, ჩაის კულტურის კრეფის და ბევრი სხვა გამოცდილების ასიმილაციას გავაკეთებ ჩემში და ვიქნები „მე“, რომელიც არ უარყოფს და არ რცხვენია, რომ კომუნიზმიდან მოდის. იმიტომ რომ ეს ჩემი არჩევანი არ ყოფილა, იმიტომ რომ მე და ბებიაჩემს არავინ გვკითხა ბრეჟნევს მოვუსმენდი თუ მ.ლ. კინგს. მერე ეს ასიმილირებული „მე“ მხოლოდ იმას შეეცდება, რომ ჩემს გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებლობა ჩემს წარსულს არ დავაკისრო და „აქ და ამჟამად“ გადავწყვიტო იმ პრინციპებით, რაც მისაღებია.“

არც ჩვენი ნომრის „გმირებისთვის“, „სტუდენტური თვითმმართველობის“ წევრებისთვის უკითხავს ვინმეს, უნდოდათ თუ არა საქართველოში, „გარდამავალ ხანაში“ დაბადებულიყვნენ. ამას, არავის გვეკითხებიან, მაგრამ მოვა დრო და (ყველასთან ერთად) ჩვენც მოგვთხოვენ იმ შეცდომებისთვის პასუხს, რომელიც ჯერ არ ჩაგვიდენია. იქამდე კი, თუ კატეგორიული დისკურსი პრობლემებზე გულწრფელად საუბრით არ შეიცვლება, ვიღაცის შვილიშვილი ისევ დასვამს იგივე კითხვას – „გამოვუცხადოთ „ბებიას“ სოციალური სოლიდარობა თუ მარტივად გავაცილოთ „გაურკვეველი გადმონაშთი“ ჩვენი ცხოვრებიდან?“

ნინო ლომაძე
მოგვწერეთ, editor@shokoladi.ge

მადლობა
ურთიერთობისთვის!

27 27 27 | • 27 27 | www.tbcbank.ge

თიბისი ბანკი
TBC BANK

ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

ანა კორძაია-სამადაშვილი

საქართველოს მოქალაქეებს ორი ახალი ფობია აქვთ. არა, ასეთები არც ადრე გვაკლდა, მაგრამ ახალი ხომ ყველაფერი სახალისოა, და ამიტომ განსაკუთრებული სიამოვნებით შევცქერი, როგორი შიშით ეშინიათ ჩემს თანამემამულეებს ღორის გრიპის და სამყაროს დასასრულის.

მასონთა შეთქმულებები, მთავრობის მუხანათობა, ოპოზიციის მავნებლური გეგმები, მეზობლის ქალის უზნეობა და მეგობრის ქმრის მახინჯი საყვარელი – ყველა ეს მარადიული ღირებულება დავიწყებას მიეცა: თბილისელებმა ალიკაპები გაიკეთეს, ისინი ერთმანეთს აღარ კოცნიან, გაკვეთილთა დანახშირებულ ფილტვებზე ლაპარაკობენ და აღარ იციან, აღრუტუნებისა უფრო ეშინიათ თუ მეორედ მოსვლის. გაიყიდა უამრავი ბრიყვული წამალი, ჰორორფილმის ბილეთი, ფსიქიატრების კლიენტურამ იმატა და ადამიანებს კიდევ უფრო შეზიზღდათ ერთმანეთი.

მოკლედ, თუ ადრეც ჭირდა, ახლა ერთიათად გაჭირდა.

ამ ფონზე ცოტა სიგიჟეა, რომ გთავაზობთ, წამო, მთაში წავიდეთ-მეთქი. მაგრამ მაინც გულით გთავაზობთ: ჩაყარეთ ნაგვის ყუთში დაორთქლილი დოლბანდები, გამორთეთ ტელევიზორი, ნუ დაუჯერებთ მედიას, რომელიც სულ საშინელებებს გიყვებათ და თვითონ 2049 წლის პროგრამა უკვე შედგენილი აქვს, ჩაალაგეთ ზურგჩანთა და წამოდით სვანეთში.

გარანტია ხომ მხოლოდ ერთი გვაქვს: ადრე თუ გვიან მოვკვდებით, და მე მოვკვდე, წინასწარ ნერვების აშლა არ ღირს. თან რაღაც ცხოველის თუ ფრინველის ჭირი სამართლიან ბრძოლაში გმირულად დაცემა ხომ არაა, რომ სულ ამაზე ვიფიქროთ და ვინერვიულოთ.

ჰოდა, წამო, წამო, მეგობარო! მეორედ მოსვლამდე ერთხელაც ნახე, რომ ცხოვრება მშვენიერია.

რუსუდან მირზიკაშვილი

უკვირთ რატომ ვბრუნდები საქართველოში ისევ და ისევ. მეც არ ვიცი რატომ. იქნებ არ მინდა დავიჯერო, რომ ალტერნატიული აზრისათვის აქ ადგილი არ არის, შევეგუო, რომ სისტემას არ სჭირდება პროგრესული მოქალაქეები და თავისუფალი ადამიანის და თანასწორი საზოგადოების იდეა მხოლოდ აბსურდული უტოპიაა, რისთვისაც არ ღირს ბრძოლა. უფრო ვიტყოდი, რომ უტოპია ზოგადად სულაც არ არის აბსურდული, მიუხედავად იმისა, რომ რეალობისგან, როგორც წესი, ძალიან შორსაა. უტოპია არის სასურველი რეალობის პროგრესული იდეა, რომელიც კაცობრიობას აძლევს განვითარების მუხტს. განვითარებას კი ძალზედ ბევრი თაობა სჭირდება. აქ არ ვგულისხმობ პოზიტივისტურ ტექნოლოგიურ უტოპიებს, არამედ სოციალურ უტოპიას – რომ, მაგალითად, არ უნდა ხდებოდეს დისკრიმინაცია სქესის, რასის, რელიგიის, წარმომავლობის, მისწრაფებების და პოლიტიკური შეხედულებების მიხედვით, არ უნდა იყოს უსამართლობა, უთანასწორობა, ომი, ა.შ. განა უტოპიური არ არის დღევანდელი მსოფლიოს წარმოდგენა ყველა ამ „სიკეთის“ გარეშე? მეოცე საუკუნემ მემკვიდრეობაში დაგვიტოვა გლობალური საკანონმდებლო და ფინანსური ლაბირინთი, სადაც ყველანაირი დისკრიმინაცია შეიძლება გაამართლო რაღაც კანონით, სადაც ყველაფერი, ადამიანების, მთელი ქვეყნების და თავად ჩვენი პლანეტის მომავლის ჩათვლით, მარტივი ვაჭრობის საგანია. საყოველთაოდ მისაღები ჰუმანური ფასეულობები და საზოგადოების უტოპიური ხედვაც, დიდი ხანია, დაქუცმაცდა ადგილობრივი, ვიწრო პრიორიტეტების მიხედვით და პროპაგანდის ნაწილად იქცა.

საკვირველია, რომ მიუხედავად ასეთი რეალობისა, მაინც არსებობენ ადამიანები, ვინც დღესაც ქმნიან უტოპიურ იდეებს და სჯერათ რომ „სხვა სამყარო შესაძლებელია“. ისინი ცდილობენ, უტოპია სინამდვილედ აქციონ თუნდაც ძალიან მცირე მასშტაბით. ისინი ენირებიან სისტემას და რეალობის ცინიკურ ტალახში ითხვრება მათი უტოპიური იდეები. მერე მოდიან სხვები და უთანასწორო ბრძოლა მთელსა და ნაწილს შორის გრძელდება... დრო გადის და იხარჯება ყოველდღიურობაში... ვფიქრობ და ვხვდები, რომ ჩვენ – დანარჩენებს უბრალოდ არ გვსურს, წარმოვიდგინოთ, რომ ვმონაწილეობთ ამ ყველაფერში, გავაცნობიეროთ, რომ მოვალეობა ჩვენც გვაკისრია, რომ უბრალოდ აუცილებელია... ვიოცნებოთ...

ნოკია
NOKIA
Connecting People
ქალაქი, ჰოგოჰც ქალაქი...
ახაფეჩი განსაკუთრებული!
Nokia 6700 classic
Nokia 6303 classic
5 მეგაპიქსელიანი კამერა | სურათების გადაცემა Ovi, Facebook, MMS, Email და Bluetooth საშუალებით
სეზონი

აქსიომების გამეორება
თავისუფლებისა და წესრიგის ძიებაში

ავტორი: დავით ჩიხლაძე

18 ნოემბერს თბილისის გოეთეს ინსტიტუტში მოეწყო ახალგაზრდა დოკუმენტალისტი რეჟისორების, რუსუდან პირველისა და სალომე ჯაშის მოკლემეტრაჟიანი ფილმების პრეზენტაცია. ჩვენება საქართველოში გერმანიის დღეების ფარგლებში იყო წარმოდგენილი, კერძოდ პროგრამით, რომლის სახელწოდებაც არის „ჟამთა ცვლა – 1989-2009“.

რუსუდან პირველის „სტალბერი“ გორში მცხოვრებ ადამიანს, სახელად სტალბერს (სტალინის და ბერიას გაერთიანებული სახელი რომ დაურქმევიათ მისთვის მშობლებს) შეეხება, რომელსაც ტურისტთა მეგზურობა აურჩევია ცხოვრების მოწოდებად. ფილმში ის ძირითადად გორის დანგრეულ რაიონებს და ერთ დროს მოქმედი ინფრასტრუქტურის მკრთალ ნაკვალევებს გვათვალიერებინებს. შედარებით ხალისიანი ნაწილია, როდესაც სტალბერი უფლისციხის კომპლექსის ისტორიას გვაცნობს თავისებური უბრალოებით და უშუალობით.

ეს ადრეც აღგვინიშნავს, რომ ქართულმა დოკუმენტურმა ფილმმა დაკარგა კომპოზიციური და შინაარსობრივი დრამატიზმი და ჟურნალისტურ ჩანახატს დაემსგავსა, თუ სულაც ტელერეპორტაჟს არა. ზოგჯერ კი მთავარი აქცენტი ირონიაზე კეთდება, რაც გარკვეული აუდიტორიის მიერ დაცინვაზეა გათვლილი და არა თუნდაც, უბრალოდ, სიცილზე. ეს შეიძლება იმით იყოს გამოწვეული, რომ თემას ხშირად არსებული საგრანტო პრიორიტეტული ვაკანსია განსაზღვრავს, უარეს შემთხვევაში კი, ქართულ დოკუმენტალისტიკაში სერიოზულ ვაკუუმზე მიუთითებს.

მეორე ფილმი სალომე ჯაშმა წარმოადგინა სახელწოდებით „ლიდერი ყოველთვის მართალია“, რომელიც პატრიოტთა ბანაკებში მოზარდთა ცხოვრებას ასახავს და რამდენიმე ლიდერის პორტრეტიც არის ნაჩვენები. შეიძლება ითქვას, რომ სალომე ჯაშის რეჟისორული ტექნიკა საკმაოდ საინტერესოა. ფილმი მძაფრად კრიტიკულია, მაგრამ მასში არ არის დისკურსი, არ ჩანს რეჟისორის პოზიცია და ეს უკანასკნელი ძირითადად აუდიტორიაში ირონიისა და დაცინვის აღძვრით მიიღწევა. ამით, მისი ფილმები ერთგვარი აქციონიზმის ფორმის მატარებელია, სადაც აუდიტორიის კომპონენტი სიუჟეტის კომპოზიციის დასრულებაში მნიშველოვანი ელემენტია. ასევე, შეიძლება ითქვას, რომ სალომე ჯაშთან უკვე არაერთგზის ვაწყდებით ერთგვარი ფარული კამერის ეფექტის ხელწერას, როდესაც საბოლოოდ ვერასოდეს დარწმუნდები, ეს ადამიანები საკუთარი ნებით დათანხმდნენ, ყოფილიყვნენ ასე უშუალონი და დაუფარავნი კინოდოკუმენტალისტის კამერის წინ, ფარული გადაღების მსხვერპლნი გახდნენ, თუ, რეჟისორთან შეთანხმებით, თავადვე ხდებიან დოკუმენტური ფილმის ნეგატიური პერსონაჟები. არადა, ფარული კამერის ფაქტურა არც ფირს ეტყობა და არც კადრის ექსპოზიციას. მაგრამ არსებობს კიდევ ნდობის ე.წ. ფარული კამერა, როდესაც ადამიანი იმდენად მიმნდობია, რომ ვერ ხვდება, რა მიზნით გამოიყენებენ მის უშუალობას.

გულუბრყვილობა და მიმნდობი ბუნება ადამიანის ის თვისებებია, რაც ფილმის გმირთა ნეგატიურ მხარეს თითქმის მთლიანად აბათილებს. ნეგატიურობა იმ დღეს აუდიტორიამ უფრო გამოავლინა – საკუთარი იმპულსური კოლექტივიზმით, დისკურსის ძალადობით, განტევების ვაცის პოვნის სურვილით. ეს რეჟისორის კარგად გათვლილი ორმხრივი პროვოკაცია იყო. ერთი მხრივ, მსხვერპლი პატრიოტთა ბანაკის ორი ლიდერი, მაგდა ბარამიძე და ბესო შენგელია გახდა, რომელთაც რაიმე კონკრეტული დანაშაული ნამდვილად არ ჩაუდენიათ. მეორე მხრივ კი, აუდიტორიის დიდი ნაწილი, რომელმაც საკუთარი ირონიული გართობა ფილმის დასრულებისას იმპერატიული მსჯავრდებებით და დაკითხვების სეანსით გადაწყვიტა.

THE 10th TBILISI INTERNATIONAL FILM FESTIVAL

10th თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი

01 - 06. 12. 2009

„ამირანი“ „რუსთაველი“

Marriott. TBILISI
mgroup HoReCa management group
TBILVINO
ცხელი შოკოლადი

პოეზია ფურცელსა და ჩარჩოს მიღმა

ავტორი: დავით ჩიხლაძე
ფოტო: მარიკა ქოჩიაშვილი, ქეთო ცაავა

ექსპერიმენტული პოეზია ფოტოგრაფიასთან ერთად

კინომსახიობთა თეატრში განახლდა ერთი წამოწყება, რომელსაც შარშან მარჯანიშვილის თეატრში ჩაეყარა საფუძველი. წელს პროექტს არტ-ექსპერიმენტები დაარქვეს. ყოველ სამშაბათს თეატრის სცენას უთმობენ ვინმე ხელოვანს ჩვენ ქვეყანაში ჯერაც დაუმკვიდრებელი მიმართულებების წარმოსადგენად. ამ დღეს თეატრი უფრო ღია სახელოსნოს ემსგავსება და ყურადღებას იპყრობს არა ნამუშევრის ხარისხი, არამედ ინტერესების და ძიების სიახლე.

პროექტს არანაირი ფინანსური ხელშეწყობა არ გააჩნია და მთლიანად თვითგამომუშავებაზეა დამოკიდებული. ასეთი სტრუქტურა არც საგანგაშოა და არც უცხო. განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებშიც ბევრი ალტერნატიული სივრცე სწორედ ასე მუშაობს. ხელოვნება, როგორც წესი, კომერციული იშვიათად ხდება, და ის, როგორც ინტელექტუალური ბანკი, ან სახელმწიფოს მფარველობით არსებობს, ანდა საკუთარი თავის გადარჩენაზე ზრუნავს.

სეზონის ერთ-ერთ პირველ საღამოზე „ვარდისფერი ავტობუსის“ ჯგუფის ერთ-ერთი ახალგაზრდა პოეტი ზაზა კოშკაძე (ლევან ცერცვაძე) ქართველი ფოტოგრაფის იური მეჩითოვის ფოტოსლაიდების ფონზე საკუთარ ლექსებს კითხულობდა. საღამოს მეორე ნახევარში აკუსტიკურ გიტარაზე ბიტლზის რეპერტუარი გაისმა (პავლე ხობშონოსოვი, რამაზ ხატიაშვილი). ზაზა კოშკაძემ თავისი რამდენიმე პოეტური ოპუსი წარმოადგინა, რომლებიც პოეტურ ენაზე საზოგადოებრივი პირდაპირობის რეაბილიტაციას წარმოადგენდა. ზაზა კოშკაძე მართლაც საინტერესო პერსპექტივებს სთავაზობს უახლეს ქართულ პოეზიას, რაც ბიტნიკების პერიოდის ამერიკელი პოეტის, ჩარლზ ბუკოვსკის ლირიკული უბრალოების განუმეორებელ სკოლას გვაგონებს.

პოეტურ საღამოს მართლაც კარგად მიესადაგა იური მეჩითოვის ახალი, ნიუს სტილში შესრულებული შავ-თეთრი ფოტოსერიის სლაიდები, მკრთალი, სიურრეალისტური ანარეკლებით. ამ ფოტოებზე აღბეჭდილ სცენებში ფოტოგრაფის საყვარელ მოდელ ქალთან ერთად სწორედ „ვარდისფერი ავტობუსის“ ორ პოეტს ნახავდით – ზაზა კოშკაძეს და შოთა გაგარინს (შოთა დიღმელაშვილი).

დახურული არგახსნილი მუზეუმი „ნიუ არტ კაფეში“

8 ნოემბერს, „ნიუ არტ კაფეში“ მოეწყო ქართველი კონცეპტუალისტი არტისტის, თემო ჯავახიშვილის წიგნის „ქვეყანა ქვე-ბზე“ პრეზენტაცია. ეს წიგნი ერთგვარი კატალოგია მხატვრის ტექსტობრივი ნამუშევრების, სადაც რამდენიმე ათეული წლის ნიმუშებია თავმოყრილი. ასევე გაიხსნა თემო ჯავახიშვილის უშუალობით შთამბეჭდავი ვრცელი ექსპოზიცია, რომელიც საქართველოს თანამედროვე ხელოვნების კონტექსტის რამდენიმე მთავარ შტრიხსაც წარმოაჩენდა. მაყურებელი ფონზე ხედავდა არტისტის რეჟისურით, 90-იანებში შექმნილი ორი თეატრალური დადგმის ვიდეო კადრებს და იგრძნობოდა, რომ ეს პარალელური ტრადიცია უკვე მუზეუმად იქცა, რომელიც საქართველოში არც არასდროს გახსნილა.

თემო ჯავახიშვილი მუშაობს თანამედროვე ხელოვნების ისეთ დისციპლინებში, როგორიცაა პერფორმანს-არტი, ფერწერა, თეატრი, ფოტო, ვიდეო-არტი, ვიზუალური პოეზია. იგი ახერხებს გადალახოს დარგებს შორის თითქოს დადგენილი საზღვრები და საბოლოოდ ეს ყველაფერი საოცრად დახვეწილი, არაეკლექტური და ესთეტიკური ფორმით წარუდგინოს მაყურებელს. სწორედ გაქვავებული ნორმებისგან გათავისუფლების ეს გაბედულება, სამხატვრო ოსტატობა და პასუხისმგებლობა ქმნის მის ავანგარდულ ნამუშევრებს, რომლებიც ასეთი სითბოსი და სიმყუდროვის მომტანია.

დღეს, პოსტმოდერნიზმის დაისის შუქზე, შეიძლება ბევრი იყოს საფიქრალი იმაზე, თუ რა არის თანამედროვე ხელოვნების განვითარების ესთეტიკურ-იდეოლოგიური წანამძღვარი; როდესაც არათუ კლასიკური დადაიზმი და აბსტრაქციონიზმი, მასშტაბური და ფორმით თუ შინაარსით მშვენიერი და რაფინირებული ტექნოლოგიური ინსტალაციებიც აღარ იყიდება. „ნიუ არტ გალერეის“ და თემო ჯავახიშვილის ნოემბრის ამ საღამომ, უნებლიეთ, ეს შესანიშნავი და კულტუროლოგიურად დრამატული სურათიც დაგვანახა – მუზეუმი, გარკვეულწილად, დახურულია და წინ ბევრი საინტერესო რამ გველოდება.

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA
SOLO
საბანკო ხელოვნება



გამოფენა

ავტორი: დავით ჩიხლაძე
ფოტო: მარიკა ქოჩიაშვილი, ქეთო ცაავა

სამყაროს ანარეკლი

გერმანიის დღეების ფარგლებში ქარვასლის საგამოფენო დარბაზში ვრცელი ფოტოგამოფენა გაიხსნა – „ცვალებადი სამყარო – დროის ანარეკლი 1989-2009“, რომელიც 1989 წლიდან დღემდე მომხდარ ცვლილებებს ასახავდა. მიუხედავად გამოფენის სახელწოდებისა, ეს არ აღმოჩნდა ჟურნალისტური ფოტოგამოფენა, რასაც ძირითადად ველით ხოლმე. აქ წარმოდგენილი იყო მხატვრული ფოტოგრაფია. ეს იყო თანამედროვე ხელოვნების ძალზე შთამბეჭდავი გამოფენა, შესანიშნავი ნამუშევრებით.

გოეთეს ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული ეს გამოფენა ჩვენი სამხატვრო ცხოვრების წლის ერთ-ერთ საუკეთესო ექსპოზიციად უნდა ჩაითვალოს. გამოფენაზე ყველა ავტორი განსაკუთრებული ხელწერით წარდგა. ასეთი იყო იგორ სავჩენკოს, კრისტიან ბორხერტის, ირინა აბჟანდაძის, ოლგა ჩერნიშევას, შაილო ჯეკშენბაევის, ვლადიმირ კუპრიანოვის და სხვების ნამუშევრები.

მინსკელი იგორ სავჩენკოს ერთ სერიაში, რომელიც შავ-თეთრი და ბურუსით მოცული რამდენიმე კადრის წყება იყო, თითქოს გაქროლებული მატარებლის სარკმლიდან დანახული კადრები სხვადასხვა დაუდგენელ ლანდშაფტსა და კონტურებს გვიჩვენებდა. ნამუშევრებს მხატვრის ხედვა უფრო შემოჰქონდა, ვიდრე რაიმე სოციალურ-პოლიტიკური ილუსტრაცია. როგორც თვითონ ავტორი აცხადებდა საკუთარ იქვე გამოფენილ კრედოში, ჩვენ ხშირად გარემოს ასე ბუნდოვნად და არაფოკუსირებულად ვხედავთ, ის ჩვენთვის ხშირად სიზმარივითაა და რამდენადაც ფოტოგრაფიის მოვალეობაა, ასახავდეს რეალობას, მან სწორედ ასეთი ნამდვილი რეალობა უნდა ასახოს, როგორც სამყაროს შეცვლილი ანარეკლი და არა გამოგონილი სიზუსტის ციფრული რეალობა. იგორ სავჩენკოს მეორე სერიაში რეტუშირებულ საოჯახო ფოტოებზე ადამიანებს სახეები საღებავით ჰქონდათ დაფარული და დარჩენილი იყო მხოლოდ მათი ეგზისტენციური არსებობის კვალი, როგორც ნამდვილი ბიოგრაფია.

საოჯახო ფოტოგრაფია, როგორც ისტორიაში ადამიანურის და სოციალურის გადაკვეთის ამსახველი, გამოფენაზე რამდენჯერმე შეგვხვდა. ასეთი იყო, მაგალითად, კრისტიან ბორხერტის საოჯახო პორტრეტები, რომლებიც 1983-1993 წლებით იყო დათარიღებული და დიქოტომიური განლაგებით გვიჩვენებდა ოჯახს მანამდე და 10 წლის მერე. ასეთი, დროში გახანგრძლივებული ნამუშევრები უდავოდ თანამედროვე ხელოვნების სტანდარტების დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ, თუმცა კრისტიან ბორხერტის ნამუშევრებში ასეთი წინასწარი მშრალი სტრუქტურა არ იკითხებოდა. სამაგიეროდ, მთლიანად სტურუქტურირებული აღმოჩნდა უკრაინაში მცხოვრები ალევტინა კახიძის ფოტოგრაფიული ვიდეო, რომელიც ერთადერთი ვიდეონამუშევარი იყო გამოფენაზე. „მე შემიძლია ვიყო გოგონა ცისფერი თვალებით“ – ამ სახელწოდების

ორ სინქრონულ ვიდეოეკრანზე ნაჩვენები იყო, როგორ იკეთებს ქალი ცისფერ ლინზებს. ეს ორი პარალელური ეკრანი კი თითქოს ჩვენი ორი თვალია, რომლითაც, როგორც წესი, სინქრონულად აღვიქვამთ თუნდაც ახალგაზრდა ქალს, რომელსაც რატომღაც მოუნდა, ცისფერი თვალები ჰქონდეს.

ორი ახალგაზრდა ქალის არარეალური ბიოგრაფია

ნოემბერში, როდესაც თბილისის სამხატვრო სცენაზე „არტისტერიუმის“ საერთაშორისო გამოფენის აურზაური მიწყდა, გვიანი, თბილი შემოდგომის სიმყუდროვეში სამხატვრო აკადემიის ორმა სტუდენტმა გოგონამ ერთობლივ გამოფენაზე მიგვიხმო. გალერეა „ჰობი“ რუსთაველის პროსპექტისა და ძნელაძის ქუჩებს შორის, მოკრძალებულ ადგილას მდებარეობს, აქ გამართულ გამოფენებს კი სულაც არ აქვს უკვე კარგად ნაცნობი ბურჟუაზიის მსუბუქი და მოკრძალებული ხიბლი. ეს გალერეა ლიტერატურის მუზეუმის შენობაშია განთავსებული და ჯერ ისევ საბჭოური უბრალოების აურა ახლავს, მაგრამ ისიც იგრძნობა, რომ აქაურობას მხატვრობით დაინტერესებულები უნდა ესტუმრონ და არა სალონების მაძიებლები.

3 ნოემბრიდან 6 ნოემბრამდე გალერეის ერთი დარბაზი მარიამ ფრიდონაშვილისა და თეონა ბიჩინაშვილის გამოფენას ეთმობოდა. დარბაზში სერიად წარმოდგენილი ორი ახალგაზრდა მხატვარი ქალის ფერწერული ტილოები კინოფილმის სიუჟეტს უფრო ჰგავდა. სურათებში რამდენიმე ნაცნობი ქალის სახე გვხვდებოდა, რომლებიც უმეტესად შიშვლები იყვნენ სხვადასხვა ცხოვრებისეულ სცენებში ჩართულები – ზოგჯერ ვიღაცასთან საუბრობდნენ, ვიღაცას უყურებდნენ, ხან სახლის ბინადარ ცხოველებთან ან ისევ ერთმანეთთან ურთიერთობდნენ. თითქოს აგარაკზე იყვნენ, სადაც მათ ინტიმურ ყოფას არაფერი არღვევდა. ფერები თბილი და ცოცხალი იყო, ფიგურები კი ზომიერად არარეალისტური და ექსპრესიული.

ეს ლიტერატურულობა და ექსპრესიულობა კარლო კაჭარავას ნახატების თხრობის მანერას ჰგავდა. თუმცა, ამჯერად გაცილებით მონოლითური ისტორიის ფრაგმენტებთან გვქონდა საქმე. გამოფენას არ ჰქონდა არც სათაური, რაც მხატვრების ერთგვარ ქვეცნობიერ და ავტობიოგრაფიულ ოპუსზე აკეთებდა აქცენტს. თითქოს ანაის ნინის დაუწერელი დღიურები იყო გაცოცხლებული სურათებში.

ახალგაზრდა მხატვრების – მარიამ ფრიდონაშვილისა და ნათია ბიჩინაშვილის ამ გამოფენამ ნათლად დაგვანახა, რომ გამძვინვარებული პოსტმოდერნისტული ბოდვებისა და დაშაქრული, პროვინციული სალონის დილემის მიღმა, მხატვრობა შეიძლება იყოს ეროტიკული და ლიტერატურული ან პოეტური ერთდროულად. მაგრამ ასეთი კომბინაცია ნუვორიშულ ბურჟუაზიას ვერ დაინტერესებს. ამიტომ, ჩვენ არა მხოლოდ მხატვრობის განვითარების კიდევ ერთი კონკრეტული პერსპექტივა დავინახეთ, არამედ ისიც, რომ მასკულტურის მიღმა მაინც არსებობს კერები, სადაც სამხატვრო ცხოვრებაზე ზრუნავენ. ხელოვნება მაინც ახერხებს საკუთარი ადგილის პოვნას – ქალაქის ცენტრში, ერთ ინტელიგენტურ და საბჭოურად „მოუწყობელ“ სამხატვრო გალერეაში.

„მე ადამიანებს ველაპარაკები“

ავტორი: ელენე ასათიანი
ფოტო: მარიკა ქოჩიაშვილი

ბატონებს, ლოფლერსა და ეგოროვს მათი ორდღიანი ვიზიტის დროს თბილისში შევხვდი. ქართველმა მასპინძლებმა ეს ორი ადამიანი მედიცინის „სპილბერგებად და ბილ გეითსებად“ წარმიდგინეს. მეც შევეცადე შეზღუდულ დროში, რომელიც სადილებს, შეხვედრებს და პრეზენტაციას შორის გამოინახა, მაქსიმუმი გამეგო მათ შესახებ.

დაიბადნენ სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას. ერთი თავისუფალ გერმანიაში, მეორე კი კომუნისტურ რუსეთში – შორეულ ვლადივოსტოკში.

ორივემ, მშობლების პრაგმატული მოსაზრებების გამო, მედიცინის შესწავლა დაიწყო. ერთს ქიმიკოსობა და მიკრობიოლოგობა უნდოდა, მეორეს – იაპონელოლოგობა. თუმცა, ორივე მათგანი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი გახდა და ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მივიდა დასკვნამდე, რომ დღევანდელი მედიცინა ჩიხშია შესული და მიდგომების ფუნდამენტურად შეცვლაა საჭირო. ერთმანეთს სამეცნიერო კონფერენციაზე შეხვდნენ და იქვე გადაწყვიტეს ერთად შეექმნათ კლინიკა, სადაც ადამიანებს ახალი მეთოდოლოგიით უმკურნალებდნენ.

ბერნდ მიხაელ ლოფლერი დღეს გერმანიის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მეცნიერია – ექიმი, მიკრობიოლოგი, ქიმიკოსი. მისი ამდენი პროფესია ერთმა სამწუხარო, თუ საბედნიერო ფაქტორმა განაპირობა: როდესაც გოტინგემის უნივერსიტეტში ჩააბარა, მისთვის საინტერესო სპეციალობები დამოუკიდებელ ფაკულტეტებად არ არსებობდა. ამიტომ გადაწყვიტა, ისეთი სფეროები აერჩია, სადაც მისთვის საინტერესო საგნები ისწავლებოდა და ერთდროულად მედიცინის და ბიოლოგიის ფაკულტეტების სტუდენტი გახდა.

ეგორ ეგოროვიც, პრაქტიკოს ექიმად მუშაობის პერიოდში, მიხვდა, რომ მედიცინა უძლურია დაავადებების წინაშე. მან დაინახა ზღვარი, რომლის გადალახვა მედიცინას არ შეუძლია. ქრონიკული დაავადების მკურნალობის დროს წარმატებად ითვლება შედეგი, როდესაც დაავადება მართვადი გახდება, პაციენტი კი პრაქტიკულად, მაგრამ არა სრულიად ჯანმრთელი. ასეთი შედეგი მისთვის არადამაკმაყოფილებელი იყო. იმის განცდა, რომ 100%-იან შედეგს ვერ აღწევდა, მუშაობის გაგრძელების სურვილს უკარგავდა. ძიების პროცესში მივიდა დასკვნამდე, რომ მოძველებული და არასწორია „სიმპტომებზე დამყარებული მკურნალობა“.

რა მოხდება, თუკი ვიწინასწარმეტყველებთ მომავალ საფრთხეს, და მანამ აღმოვფხვრით მას, ვიდრე ის დაავადებული მომავალი დადგება? (ტყუილად ხომ არ ვახსენეთ სპილბერგი) მოხდება ის, რომ გაცილებით მარტივად, მცირე დროში, ზედმეტი გართულებების გარეშე, დაავადებას ავიცილებთ თავიდან, ისეთ მძიმესაც კი როგორიცაა სიმსივნე, დიაბეტი თუ კარდიოინფარქტი. ესაა მედიცინის ახალი სიტყვა, პარადიგმა shift თერაპია.

მკურნალობის მთელი ფილოსოფია ამ თეორიას ემყარება: ადამიანი ერთი მთლიანი ორგანიზმია, ფსიქო-სოციალური ფაქტორები, გენეტიკა, გარემო თუ საკვები, ყველაფერი ჯანმრთელობაზე აისახება. ამიტომ, წარმოუდგენელია, ვიწრო სპეციალიზაციის ექიმებმა მხოლოდ „თავიანთ ორგანოს“ უმკურნალონ და ამით საერთო შედეგს მიაღწიონ. „დღეს მედიცინა მარაზმამდე მიდის, არსებობენ „მარჯვენა პარკუჭის და მარცხენა პარკუჭის სპეციალისტები“. ექიმები თავიანთი სპეციალიზაციის ორგანოს მიღმა ვეღარაფერს ხედავენ, მათი თვალსაწიერი შეზღუდულია (ამის საილუსტრაციოდ ორივე ხელს თვალებზე იფარებს და თითებს შორის დარჩენილი ჭუჭრუტანიდან ცალი თვალით იყურება), თირკმლის პრობლემას უამრავი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს, თუნდაც ბავშვობისდროინდელი ტრამვა“. ახალი მედიცინა მიზეზების კვლევის და აღმოფხვრის მედიცინაა და არა შედეგების. თუკი მიზეზი უგულებელყოფილია, შედეგს რამდენჯერაც არ უნდა უმკურნალო, ისევ და ისევ იჩენს თავს. ამ იდეამდე ორივე საკუთარი გზით მივიდა. თუმცა, ესაა სწორედ ის იდეა, რის გარშემოც გაერთიანდნენ და 6 წლის წინ IPAM-ის პრევენციული და ესთეტიკური მედიცინის ინსტიტუტი დააარსეს ჯერ შვეიცარიაში, შემდეგ ბერლინში.

TELIANI VALLEY
TELIANI VALLEY
მუკუზანი
Mukuzani
RED DRY
2006
Telianitrading

ლოფლერი თვლის, რომ სწორი გზა აირჩია, როცა მედიცინაში მეცნიერებიდან მივიდა. მედიცინის მიმართ მისი დღევანდელი მიდგომა სწორედ სამეცნიერო მუშაობის გამოცდილებითაა ნაკარნახევი. კვლევითი პროექტები, რომელსაც ხელმძღვანელობდა, წარმატებას საკმაოდ სწრაფად აღწევდა. მას თავისი „საგანმანათლებლო ექსპერიმენტი“ (სხვადასხვა სფეროში სპეციალიზება) ეხმარებოდა, სხვადასხვა დარგის მიკროსპეციალისტებს „საკუთარ ენაზე დალაპარაკებოდა“. მასთან თავს იყრიდა განსხვავებული დარგების სპეციალისტთა კვლევების შედეგები. მათი გაანალიზების შედეგად სახავდა სტრატეგიას, რა მიმართულებით უნდა გაეგრძელებინათ შემდგომში მუშაობა. კოლეგები ხშირად ეკითხებოდნენ, როგორ ახერხებდა მცირე დროში ასეთი წარმატების მიღწევას, მისი პასუხი კი მარტივი იყო – მე ადამიანებს ველაპარაკები.

– დღესაც ასე ფიქრობს, რომ მედიცინის მთავარი პრობლემა არასწორი კომუნიკაციაა.

„გამოსავალი ზოგადი პროფილის ექიმებშია, რომლებიც, როგორც კოორდინატორები, შეძლებენ სხვადასხვა ვიწროსპეციალობის ექიმების დასკვნები შეაჯერონ და საერთო სურათი გამოიტანონ. პაციენტი არ არის მხოლოდ ამ სამყაროს მცირე ნაწილი. ის უფრო მეტია და თვითონ არის სამყარო. პაციენტი მთლიანობაში უნდა აღიქვა თავისი ცხოვრების სტილით თუ პრობლემებით, რადგან განკურნებისთვის ყველა ასპექტი მნიშვნელოვანია. მკურნალობის სტრატეგია ყველა კერძო შემთხვევაში განსხვავებული უნდა იყოს – ინდივიდუალური“.

დღეს IPAM ინსტიტუტს ძალიან მაღალი რეპუტაცია აქვს. მათ პაციენტები მთელი მსოფლიოდან აკითხავენ. „ჩვენ გვყავს კიბოთი დაავადებული პაციენტები, რომლებიც, რომ არა ჩვენი საქმიანობა, დღეს ცოცხლები აღარ იქნებოდნენ. კიბო რთული თემაა, მასზე საუბარი დღეების და კვირების მანძილზე შეიძლება, მაგრამ ამ მხრივ, ჩვენ, დარწმუნებით მინდა ვთქვა, მივაღწიეთ წარმატებას.

რა სამწუხაროა, რომ ასეთ საინტერესო ადგილას შეგვაწყვეტინეს საუბარი!.. ახლა მერსედეს ბენცში ვსხედვართ. როგორც ეგორმა აღნიშნა, ეს მანქანა „გემივითაა“, პროფესორებმა კი 2 საათის მანძილზე მცხეთა უნდა მოინახულონ, და საქართველოს ისტორიის მოკლე ექსკურსიც მოისმინონ. თბილისში დაბრუნებულები კი, თუ ბედი გაუღიმებთ და დაკარგული ჩემოდნები დროზე მოუსწრებთ, გამოიცვლიან, „თბილისი მერიოტის“ საკონფერენციო დარბაზში პრეზენტაციას გამართავენ და ქართველ კოლეგებს თავიანთ ინოვაციას წარუდგენენ.

საქართველოში მათი ჩამოსვლის მთავარი მიზეზი მათი ახალი გამოგონებაა – სახის კანის მოვლის ფორმულა AgeLine-one, რომელიც პროფესორებმა 1 წლის წინ შექმნეს და დააპატენტეს. როგორც მათი პრეზენტაციიდან შევიტყვე, ის კონკურენციას უწევს მეზოთერაპიას, ლიფთინგს და ჰორმონალურ კოსმეტიკას. 12 ძირითადი აქტიური ინგრედიენტის კანის ღრმა ფენამდე მიტანას 3 ტიპის ნანო და ლიპოსომური ტექნოლოგიები უზრუნველყოფენ. ინოვაცია სწორედ ამ ნივთიერებათა კომბინაციაშია.

„ახალს არაფერს ვქმნით, ყველაფერი იქაა, არსებობს, უბრალოდ უნდა იპოვო. აინშტაინს არაფერი ახალი არ შეუქმნია, სინამდვილეში, ყველაფერი არსებობდა, უბრალოდ, მან შეძლო ამის დანახვა. 20 წელია, ეს ნივთიერებები არსებობს, და არავის უფიქრია მათი ამ მიზნით გამოყენება. კრისტალს თუკი სხვადასხვა მხრიდან დააკვირდები, მასში ყოველთვის დაინახავ რაღაც განსხვავებულს. ჩვენ ირგვლივ ბევრი არაჩვეულებრივი რამაა, უბრალოდ უნდა შევამჩნიოთ მათი არსებობა!“

ბაგრატიონის „რეზერვი“ განსაკუთრებული შემთხვევისათვის!

ავტორი: მაია ცეცაძე

სახელწოდება: რეზერვი
მწარმოებელი: ბაგრატიონი 1882
ყურძნის ჯიში: ჩინური, ციცქა, მწვანე
მოსავალი: 2007 წლის

სააქციო საზოგადოებამ „ბაგრატიონი 1882“ ახალი, ტრადიციული მეთოდით დამზადებული ცქრიალა ღვინო „რეზერვში“ შემოინახა და 19 ნოემბერს ღვინის პროფესიონალებსა თუ მოყვარულებს საზეიმო ვითარებაში დააგემოვნებინა. თანაც პრეზენტაციაზე მისულ ფართო აუდიტორიას ისიც ამცნო, – საქართველოს ბაზარზე არსებულ ცქრიალა ღვინოთა შორის, „რეზერვი“ მართლაც რომ განსაკუთრებულიაო.

საშამპანურე ყურძნის ჯიშების მოძიება, სხვადასხვა დანიშნულების ლითონის ობიექტების ხმაური, ონკანების რიგები, დიდმუცლიანი ჭურჭელი, ამოვსებული კასრები, ბოთლში ღვინის მეორადი ფერმენტაცია... მოკლედ, ვიდრე ცქრიალა ღვინოს „რეზერვის“ ტიტულს მიანიჭებდნენ, მის ქართველ მწარმოებლებს დამზადების პროცესში მაღალკვალიფიციური გერმანელი სპეციალისტებიც დაეხმარნენ. იმასაც გეტყვით, რომ იმპორტთან ერთად „რეზერვი“ ექსპორტზე აშშ-სა და გერმანიაშიც გადის, ტექნოლოგიურ მიღწევებთან ერთად კი თავს სხვადასხვა საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობის მიღებითაც იწონებს.

როგორც გითხარით, „რეზერვი“ განსაკუთრებული შემთხვევებისთვის უნდა შემოინახოთ, მერე კი ხელის გაწაფული მოძრაობით მაღალყელიან ჭიქებსაც დაატრიალებთ და სასურველი სასმელით სასიამოვნო სიახლის მანიშნებელ სადღეგრძელოსაც შესვამთ!

მასპინძელო!

დროული მომსახურებითა და ტრადიციული ჯერძებით

მასპინძელო! ისმის ჭიშკარს მომდგარი სტუმრის შეძახილი... მოგეხსენებათ, სტუმარი ღვთისაა და „სახლისა და ლხინის უფალიც“ (როგორც სულხან-საბა განმარტავს „მასპინძელს“ სიტყვის კონაში) უმალვე ხელგაშლილი ეგებება და სტუმარ-მასპინძლობის ქართული რიტუალიც იწყება, ტრადიციული კერძების გამასპინძლებითა თუ სტუმართმოყვარეობის გამომხატველი სხვა გამორჩეული წესებით... ძველად, შუასაუკუნეებში, როდესაც საქართველოში ირანისა და ბიზანტიის იმპერიის დამაკავშირებელი საიმპერიო გზა გადიოდა, მგზავრებისთვის მოსასვენებლად და წასახემსებლად პატარა სასტუმროები „ფუნდუკები“ არსებობდა. იმ დროს კი, როდესაც „ფუნდუკის“ მეპატრონე დასვენებულ მგზავრებს ცხენებს მიგვრიდა, ხმამაღლა წამოიძახებდა ხოლმე „ასპინ ჯა!“, რაც სპარსულად ნიშნავს – „ცხენი მოვიდა!“. ამგვარად წარმოშობილა ტოპონიმი ასპინძა. სასტუმროს „ასპინძა“ ეწოდა, მის მეპატრონეს კი ქართული ენის თავსართ-ბოლოსართის დართვით „მასპინძელი“. მოკლედ, ამ სიტყვის წარმომავლობის ისტორიითა და გრამატიკული განმარტებებით რომ არ გადაგღალოთ, ყველამ კარგათ ვიცით, რომ ოდითგანვე „მასპინძელი“ საქართველოში გაცილებით უფრო მეტს ნიშნავდა, ვიდრე უბრალოდ სტუმართმოყვარეობის აღმნიშვნელი არსებითი სახელი.

მოდი დროში „მოგზაურობა“ ამით დავასრულოთ და ამჯერად თანამედროვე ეპოქაში გადმოვინაცვლოთ. მასპინძელო! ასე სტუმრები მასპინძელს დღეს ალბათ ყველაზე სტუმართმოყვარე კუთხეშიც კი იშვიათად მიმართავენ. თუმცა თბილისში არსებობს ადგილი, სადაც უძველესი ადათ-წესების გათვალისწინებითა და თან გათანამედროვებული ელემენტებით, ნამდვილ იმერულ მასპინძლობას გაგიწევენ. ხის მაგიდები, სკამები, ძველი ტრადიციული სუფრის ასლები, სეზონური ნობათით დეკორირებული დარბაზი, ახალუხის თანამედროვე შტრიხებით შექმნილ სამოსში გამოწყობილი პერსონალი... ერთი სიტყვით, ყველა დეტალში შენარჩუნებული და თან გათამედროვებული სოფლის იერსახე, სახინკლე-რესტორან „მასპინძელოში!“ სტუმრობას გაცილებით უფრო მიმზიდველს ხდის. ქართული, ქსელური სახინკლე-რესტორანი „მასპინძელო!“ ყველაზე დროული მომსახურებითა და გემრიელი ტრადიციული ქართული თუ ოჯახური კერძებით გამოირჩევა. ეს გახლავთ ადგილი, რომელსაც მეგობრებთან ან გნებავთ ოჯახის წევრებთან ერთად ესტუმრებით და გემრიელადაც დანაყრდებით. მით უმეტეს, თუკი მისი მრავალფეროვანი მენიუდან ძირითად კერძებს: ხინკალს, ქაბაბს, ან მწვადს დაადგემოვნებთ. მხოლოდ ბამბის რიგის შვიდ ნომერში მდებარე „მასპინძელო!”-ში შეგიძლიათ მიირთვათ ფასანაურული ხინკალი, რომელიც საგანგებოდ ფასანაურიდან ჩამოყვანილი მზარეულის ნახელავია ან ქოთანში დამზადებული ყველი „ტენილი“, რომელიც სპეციალურად ახალციხიდან ჩამოაქვთ. საფირმო კერძებით, სეზონური, საბავშვო თუ სამარხვო მენიუთი, რესტორნის მასპინძლები – სწორედ ასე უნდა მიმართოთ აქ მიმტანს – გიმასპინძლებენ. სტუმრად მისვლისთანავე ცივ კერძებს შემოგაგებებენ ლანგრით და ცხელსაც დროულად მოგართმევენ.

სეზონურად „მასპინძელო!“ სტუმრებს ბეთანიაშიც ღებულობს. გემრიელ კერძებთან ერთად აქ ღია ცის ქვეშ, ფიჭვნარში გაბმული ჰამაკებით, ჭადრაკითა და ნარდითაც შეიქცევთ თავს.

ვინაიდან გამოდარებამდე ჯერ მაინც საკმაო დროა დარჩენილი, აჯობებს საზაფხულო ვოიაჟები შესაბამის დროს დაგეგმო. იქამდე კი ჯერ საშემოდგომო ნობათი უნდა დაადგემოვნო. მით უმეტეს, თუ დღის განმავლობაში ცოტაოდენი დროც ჩაგივარდა ხელში, თან ნამდვილი ქართული გამასპინძლება და ყველაზე გულწრფელი მისალმება მოგენატრა: „კეთილი იყოს თქვენი სტუმრობა მასპინძელოში!“.

mgroup
[smart]

თბილისური „ტუსოვკა“ ანუ HOME-VIDEO

ავტორი: თეო ხატიაშვილი

სახლში რომ ვბრუნდებოდი, სადაც ირაკლი ჩხიკვაძის „თბილისურ Love Story“-ზე „ცხელი შოკოლადისთვის“ შეპირებული სტატიის დაწერას ვგეგმავდი, გოგი გვახარიამ რაღაც ამონაბეჭდი ფურცლები მანახა, სადაც ერთმანეთის მიყოლებით პრემირებულ ხუთ ქართულ ფილმზე იუწყებოდნენ და რამდენჯერმე გაიმეორა: „ჩვენი ბრალია, ამას ფილმებს რომ ვუწოდებთ, ჩვენი ბრალი!.. ავთო ვარსიმაშვილის ფილმია ფილმი, ან კიდევ ეს Love Story?!“.

ძნელია, არ დაეთანხმო, მაგრამ რა ვქნათ, თუ ჯერ მსგავსი სუროგატებისთვის სახელი არ მოგვიძებნია? საქმეს ვიადვილებთ და პირობითად ისევ ყველასთვის ნაცნობ ტერმინს „ფილმს“ ვიყენებთ. ზოგმა შეიძლება ისიც თქვას, საერთოდ რატომ ხდით ყურადღების ღირსად, რატომ ქმნით მათ გარშემო ხმაურსო. ამასაც დავეთანხმები, მაგრამ რას იზამთ? ასეთია საბაზრო ეკონომიკის კანონები, რომლითაც ყველაზე უსახურ და უბადრუკ ნაწარმ(ოებ)საც გამოუჩნდება „პიარშჩიკი“ (და შესაბამისად მომხმარებელი). ზემოთ ნახსენებ ორივე „ფილმს“ სხვადასხვა არხის ყველაზე რეიტინგულმა გადაცემებმა დაუთმეს თავიანთი ძვირფასი საეთერო დრო, რომლებიც რეიტინგს უპირველესად სწორედ „უხარისხო და უნიჭო საქონლის“ უხარისხო და უნიჭო რეკლამირებით იქმნიან. თავის გასამართლებლად „უნიჭო“ პასუხიც მოიგონეს – ეს არის აუდიტორიის მოთხოვნა. როგორც ჩანს, ამ აუდიტორიის გემოვნების დაკონსერვებაზე იზრუნეს ქართული კინოწარმოების განვითარების პროექტის შექმნისას, რომლის პრეზენტაცია დაახლოებით ერთი თვის წინ გაიმართა და სადაც სპეციალურ პუნქტად პრიორიტეტის სახით გამოიყო ლოკალური ბაზრისთვის განკუთვნილი ფილმების წარმოება. ქართველი რეჟისორები „ლოკალურ ბაზარს“, „ლოკალურ საცხოვრებელ უბანს“, „ლოკალურ საძმოს პრობლემასა“ და ა.შ. ისედაც, ფაქტობრივად, ვერ სცილდებიან და სახელმწიფოს მხრიდან „ხელის წაშველება“ რა საჭიროა, ნამდვილად ვერ ვხვდები (მით უმეტეს, როცა უცებ აღმოჩნდება, რომ თბილისის საერთაშორისო ფესტივალის სრული დაფინანსება ვეღარ ხერხდება და ამის შედეგად საიუბილეო თარიღს „პრომეთე“ საკონკურსო პროგრამის გარეშე აღნიშნავს, ბრაზილიაში ქართული კინოს რეტროსპექტივის მინიმალური დაფინანსებისთვის „ჩამოჭრილ ბიუჯეტში“ (ეს მაგიური სიტყვა!!!) აღარაფერი დარჩება...). თუმცა „ლოკალური ბაზრის პროდუქტს“ აუცილებლად უჩნდება ხოლმე საერთაშორისო სივრცეების დაპყრობის ამბიცია – არც მეტი, არც ნაკლები, კანის ფესტივალზე, ჰა-ჰა, ბერლინალეზე უნდა ვაჩვენოთ – ასეთია თავდაპირველად რეჟისორისა თუ პროდიუსერის განაცხადი, მერე თანდათან ქვევით ჩამოვდივართ და ბოლოს ანაპას „საერთაშორისო“ ფესტივალზე გამარჯვებით მოგვაქვს თავი.

ამ მხრივ მაინცდამაინც ინფორმირებული არ ვარ, მაგრამ, კინოენციკლოპედიებს თუ დავუჯერებთ, არსებობს კინომოყვარულთა საერთაშორისო ფესტივალები. ალბათ ჟანრმა, როგორიცაა home-video და რომელსაც მივაკუთვნე ირაკლი ჩხიკვაძის „თბილისური Love Story“, სწორედ იქ შეიძლება ვინმე დააინტერესოს; ვინმე, გარდა „ლოკალური“, თბილისური(მარჯვენა სანაპიროელი)-ვერა/ვაკური-ელიტური ვიწრო წრისა, რომლებიც თავად იღებენ ფილმში „ფილმებს“ და თავადვე მონაწილეობენ. ერთი დიდი თბილისური „ტუსოვკა“ ამჯერად გიო მგელაძის ამავე სახელწოდების პიესის „ექსპერიმენტული“ ეკრანიზაციისთვის შეიკრიბა. „ექსპერიმენტი“ კი იმაში ვლინდება, რომ მთავარი რეჟისორის გარდა „თბილისურ Love Story“-ს ათამდე ქვე-რეჟისორი ჰყავს, რომლებიც ერთი პრიმიტიული ამბის თავიანთებურ ვერსიას გვიყვებიან და ზოგჯერ (!) გვიჩვენებენ კიდეც. ვერსიების „მრავალფეროვნება“ ძირითადად მსახიობთა „სასტავების“ არჩევანში გამოიხატება, რაც, რა თქმა უნდა, ერთ დიდ სამეგობრო წრეში ტრიალებს და საბოლოოდ „შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება“ (გამონაკლისია ნიკა მაჩაიძის ეპიზოდები, რომელმაც ოპერის პირობითობას მიმართა და ამით ამბავთან ირონიულ დისტანცირებას გაუსვა ხაზი და ქეთი მაჭავარიანის ფინალური ფრაგმენტი,

სადაც მთავრი გმირი და მისი მეგობარი არა ნარკოტიკების ზედმეტი დოზით (რაც, რეჟისორის თქმით, უკვე ძალზე ბანალურია), არამედ ბანკის გაძარცვის დროს კვდებიან. და კიდევ ვასიკო ქართველიშვილის ვერსია, სადაც ახალგაზრდა მეგობრების ნაცვლად კახი კავსაძისა და გივი ბერიკაშვილის პერსონაჟებს ვხედავთ, რითაც ალბათ ავტორს მთელი story-ს ანაქრონიზმის ჩვენება უნდოდა). თუმცა თავიდან, როცა რეჟისორები გვაცნობენ, თუ როგორ წარმოუდგენიათ პიესის ეკრანიზება, გრჩება შთაბეჭდილება, რომ სულ სხვადასხვა ჟანრსა და ესთეტიკაში ხედავენ მას: ზოგისთვის ის პუბლიცისტიკას მიეკუთვნება, ზოგისთვის კომედიაა, ზოგისთვის კომიქსი „ალა ტარანტინო-გაი რიჩი“...

„საწყალი“ ტარანტინო!.. ვინ აღარ იბრალებს მის მემკვიდრეობას!... ისე, როგორც რამდენიმე ტეხილი ხაზის გადაკვეთით ზოგ მხატვარს ჰგონია, რომ უკვე პიკასოა, საკმარისია დასაწყისსა და დასარულს ადგილები შეუნაცვლონ, დრამატურგია დაჩეხილი კოლაჟით შეცვალონ, რომ „ლოკალური“ რეჟისორები ამაყად გრძნობენ თავს ამერიკელი ავანტიურისტის სკოლის ნაწილად. „არაღიარებული ნაბიჭვრები“ – ნახეთ რა, ვისაც არ გინახავთ ტარანტინოს ბოლო ფილმი! ნახეთ და კიდევ ერთხელ ისიამოვნებთ რეჟისორით, რომელმაც შესანიშნავად იცის კინოს ისტორია და თან ამას ისე მსუბუქად გაწვდის, სულ არ ცდილობს, თავი ინტელექტუალად წარმოგიდგინოს; რომელსაც აქვს სტილის არაჩვეულებრივი შეგრძნება და მუსიკალურობის განცდა, „თავხედური“ იუმორი და ფანტაზიის უსაზღვრო გაქანება... თუმცა რა დროს ტარანტინო და ჰიტლერის სიკვდილის აბსურდული ვერსიაა (რომელიც გაცილებით უფრო დამაჯერებელია, ვიდრე ქართულ ფილმებში სავსებით რეალური ამბები), ნარკოტიკებით გაბრუებულ და მოჯადოებულ ქართულ კინოს დავუბრუნდეთ.

ბანალური ისტორია: შეყვარებული გოგო და ბიჭი, გოგო ორსულდება, ბიჭი აგრესიულად ხვდება ამ ცნობას. გოგო გადაწყვეტს, შური იძიოს და ბიჭს „ლაითი“ ჯადოს უკეთებს. ჯადო არც ისე „ლაითი“ აღმოჩნდება – ბიჭი ნარკოტიკების ჭარბი დოზით კვდება.

ნარკოტიკები რომ ქვეყნის სერიოზული პრობლემა და ქართული კინოს საყვარელი თემაა, ეს ცნობილია, მაგრამ ჯადო და მკითხავებიც თუ ასეთი აქტუალური იყო, ნამდვილად არ მეგონა (ალბათ, ეს ჩემი არა თბილისურ-„ტუსოვკური“ წარმომავლობის ბრალია) – იმდენად აქტუალური, რომ მასზე ათიოდე რეჟისორი (თუ თორმეტი, რა მნიშვნელობა აქვს? – ამ შემთხვევაში „შესაკრებთა რაოდენობით ჯამი არ იცვლება“) დროს დაკარგავდა. თუმცა ყველაზე უმნიშვნელო ამბავზეც შეიძლება გააკეთო კინო, თანაც კარგი კინო. გიო მგელაძის რამდენიმე წლის წინ გამოქვეყნებულ ამ პატარა პიესაში, რასაკვირველია, იყო ირონია გარშემომყოფი ვიწრო, მერკანტილური და ცრუმორწმუნე (სხვათა შორის, მკერდზე დიდი ჯვრებით რომ დადიან) სოციუმის მიმართ. ის, რომ ფილმის ავტორებსაც უნდათ, გამოხატონ ირონია, ხვდები თუნდაც ნოსტალგიურ-ტკბილი თბილისური ჰანგებით, ლაიტმოტივად რომ მიჰყვება ფილმს („აქ იცი, რა მუსიკა უნდა დაედოს? გიო ხუციშვილის „აყვავდება როცა ნუშის“ მაგვარი“); ხვდები, მაგრამ ვერ ხედავ; უფრო სწორად ირონია მხოლოდ „კრასოტკა ნინას“ ხაზს მიუყვება, რომელიც ჯადოს აკეთებს – ის ხან ულვაშა „ლამაზმანია“, ხან ტრავესტია, ხან პირიდან ცეცხლს აფრქვევს; მასთან მიმავალ გოგოებს კი მანქანის მინებზე ჰორორისეული სისხლის წვიმა დაეღვრებათ. ამ პერსონაჟისგან განსხვავებით, დრამატიზმით გადმოგვცემენ შეყვარებული წყვილის განცდებს (ბიჭი, რომელიც რატომღაც უცებ „გამოსწორდება“, ურეკავს გოგოს, რათა უთხრას, რომ შეცდა და ძალიან უყვარს, შურისძიებით ანთებულ გოგოს კი სინდისი ქენჯნის: „რომ მოკვდეს?“) და ნარკოტიკებით (თუ ჯადოთი) გამოწვეულ სიკვდილს – საქართველოში ხომ სიყვარულსა და სიკვდილზე არ ხუმრობენ. (აბა, საიდან ტარანტინოს სითამამე! – მერე გაგვასამართლებენ წინა თაობის „მეტუსოვკეები“, – ეს ქართული მენტალიტეტისა და ტრადიციებისთვის მიუღებელიაო. ამიტომ ჩვენ მხოლოდ კოლაჟურ მონტაჟს ვაკეთებთ). ეს დრამატიზმი კი იმდენად კომიკურია, რომ გამძვინვარებულ ფემინოფობიაზეც ვეღარ ბრაზდები – საბოლოოდ ხომ ისევ და ისევ ქალთა მოდგმას ბრალდება ყველაფერი: შტერ გოგოს, მეგობარს რომ აჰყოლია და უარსაც ვერ ამბობს და „ბოროტ“ „კრასოტკას“, „ლაითი“ ჯადო ძლიერისგან რომ ვერ გაურჩევია. ვერ ბრაზდები, რადგან პრობლემა გაცილებით ფართო და ღრმაა. „ფეისების“ სამარკო ნიშნებით დატვირთულ ფილმში, დასასრულს მანქანები პატარა მოედნის გარშემო რომ ტრიალებენ, რათა ჩაკეტილი წრის გამოუვალობა უფრო ცხადად დაგვანახონ, ამ პრობლემის „გადაბრალება“ ხდება – დამნაშავე ნარკოტიკი ან ჯადოა (გნებავთ, ეს უკანასკნელი გაიგეთ, როგორც მოჯადოებული წრის მხატვრული სახე; ცოტა სასაცილო კია, მაგრამ მივყვეთ ავტორების ნებას). ჩაკეტილობისა და გამოუვალობის მთავარი მიზეზი კი ჩვენში და ჩვენ გარშემო, ჰომოგენური სოციუმი და სივრცე რომ არის, აბა, ამას „ტუსოვკაზე“ როგორ იგრძნობ? იქ ხომ ყველა მოგწონს და გიყვარს, შეიძლება არც გიყვარს, მაგრამ „ფეისია“ და მაინც ეტენები; კომპლიმენტებს ცვლით, ყველა კმაყოფილია, რადგან თავისი თავი დაინახა ეკრანზე (საქართველოში ხომ ძირითადად უყურებენ და არ უსმენენ. ყველაზე გავრცელებული „კომპლიმენტი“: „ტელევიზორში გნახე“, ხოლო რა გავიგე, გეთანხმები თუ არ გეთანხმები, ეს უკვე სრულიად უმნიშვნელოა. გამოჩნდი? ე.ი. დიდი შანსი გაქვს, „ფეისი“ გახდე და ამით უკვე ყველაფერი ნათქვამია). ამ სოციუმის „მოკრძალებული ხიბლისა“ და მის მიღმა არსებული სიცარიელის ჩვენება „თბილისურ Love Story“-ს არც დაუსახავს მიზნად. ეს სულ სხვა კინოდანაა.

P.S. უკვე ზამთრის სუსხი იგრძნობა. გამოაღეთ ფანჯრები და ღრმად ჩაისუნთქეთ გრილი, სუფთა ჰაერი. თუმცა სადღაა თბილისში სუფთა ჰაერი...

გრძნობათა აღზრდა

დავით ჯანელიძის „ჯაყოს ხიზნები“ – მოურჯულებული კლასიკის ციფრული გემო

ავტორი: დავით ბუხრიკიძე

არც მახსოვს, ბოლოს როდის უჩვენეს ამდენი ახალი სრულმეტრაჟიანი თუ დოკუმენტური ქართული ფილმი თბილისის კინოთეატრებში: „ბერლინალეზე“ წარმატებით გამოზამთრებული და უცხოენოვან „ოსკარს“ დამიზნებული, გიორგი ოვაშვილის „გაღმა ნაპირი“ და ზაზა ურუშაძის კლასიკური სონატური ფორმითა და დახვეწილი ვუზუალურობით აღბეჭდილი „სამი სახლი“; პლუს ფხიზელი და მგრძნობიარე რეალიზმით გამორჩეული, ლევან კოღუაშვილის დოკუმენტური ფილმი „ქალები საქართველოდან“. მისი ანტირითმაა საეჭვო იუმორინას, სოციალურ მიუზიკლსა და ინდურ სერიალს დამსგავსებული, ავთანდილ ვარსიმაშვილის „ყველაფერი კარგად იქნება”. და აქვე, თითქოს საგანგებოდ პოლიტიკურად ნეიტრალური არტ-პროექტი: ახალგაზრდა რეჟისორების მიერ გადაღებული „მე მიყვარს თბილისი“, რომელიც რამდენიმე არცთუ ცუდი კინონოველისაგან შედგება.

და მაინც, ყველაზე მეტად მაყურებელი რეჟისორ დავით ჯანელიძის „ჯაყოს ხიზნებს“ ელოდა, რომელიც ქართული კინოს უმთავრეს მოვლენად უნდა ქცეულიყო. საქართველოს ეროვნული კინოცენტრი, ტელეკომპანია „იმედი“ და სტუდია „ტაია“ ამბიციურად გაისარჯნენ და ერთობლივად ნახევარი მილიონი ევროც გაიღეს მეოცე საუკუნის ერთ-ერთი საუკეთესო ქართული რომანის ეკრანიზაციისათვის. „ჯაყოს ხიზნებს“ თავიდან სხვა შემსრულებლები უნდა ჰყოლოდა. ყოველ შემთხვევაში, 2007 წლის ზაფხულში, როცა რეჟისორმა გადაღების დაწყების შესახებ გამოაცხადა, დასავლურ კინოფრონტზე მებრძოლთა სახელები გვესმოდა...

თეიმურაზ ხევისთავი ავსტრიაში მცხოვრები და ოდნავ რეფლექსიურ ევროპულ ფილმებში გადაღებული მერაბ ნინიძე უნდა ყოფილიყო, ხოლო ჯაყოს როლი ჰოლივუდში თითქმის შეღწეულ დავით ბახტაძეს უნდა ეთამაშა. თუმცა შემდეგ ყველაფერი შეიცვალა და საბოლოოდ რეჟისორი ამგვარ გადაწყვეტილებამდე მივიდა: თეიმურაზი – „მინერალური“ მწერალი ზაზა ბურჭულაძე და ჯაყო – თუმანიშვილის თეატრში კარგად გავარჯიშებული გიორგი ნაკაშიძე; რომელიც, სხვათა შორის, მისთვის დამახასათებელი პერფექციონისტური სულისკვეთებით უმკლავდება ამ ურთულეს როლს, რომ არაფერი ვთქვათ ფიზიკური გარდასახვის მცდელობაზე.

ჯერ კიდევ გადაღებამდე რეჟისორი ერთგვარად თავს იზღვევდა და ამბობდა, რომ მისი კინოვერსია უფრო „სასიყვარულო სამკუდხედის“ ფსიქოლოგიურ ნიუანსებს ითვალისწინებდა და არა რომანის ეპიკურ და ზნეობრივ განზომილებას. ამისთვის გარკვეულ ფილოსოფიასაც მიაგნო – სიყვარული ვნების გარეშე და ვნება სიყვარულის გარეშე. რაც შემდეგ კინოთეატრებმა სარეკლამო სლოგანივით აიტაცეს. თუმცა ბოლომდე გაურკვეველია, რას ნიშნავს ერთი ან მეორე? რამდენად შესაძლებელია მარგოსა და თეიმურაზის ურთიერთობა ასე გამარტივებულად წარმოიდგინო. ან რატომ არის მოკლებული ჯაყოს ვნება სიყვარულის უნარს, თუ მისი ძალადობა მარგოზე სწორედ ქორწინებით მთავრდება.

რაც შეეხება თავად ორ პოლუსს, ორ კაცს შორის მოქცეულ მარგოს – მსახიობმა ნატო მურვანიძემ ბოლოდროინდელ ქართულ კინოში რამდენიმე ძალიან საინტერესო როლი ითამაშა. თუმცა მსახიობის ერთგვარი გაუცხოებული თამაშის მანერა და ოდნავი სტერილურობა (რაც ძალიან უხდებოდა ზაზა ურუშაძის ფილმში მის პერსონაჟს) მარგოს ტრაგიკული ტვირთისთვის მხოლოდ ხელისშემშლელი აღმოჩნდა. მარგო თითქოს განწირულია თვითდინებისთვის, რადგან ჯაყოსთან უსიყვარულო ვნება მასში ცხოველურ საწყისს თან ამძაფრებს და თან აჩლუნგებს, ხოლო ოდესღაც ძვირფას ადამიანთან გაწყვეტილი კავშირი – სხეულს „ავიწყებს” და ეს დავიწყება მისთვის შინაგანი კოორდინაციის დაკარგვის ანუ საკუთარი თავის დაკარგვის მიზეზი ხდება.

მარგოს სახის ზედმეტი ესთეტიზაცია,

ერთგვარი ხელოვნურობა მას ტრაგიკულობასაც უკარგავს, რითაც ასე გამორჩეული იყო ნანა ფაჩუაშვილის მარგო თემურ ჩხეიძის მიერ 1979 წელს დადგმულ ბრწყინვალე ტელესპექტაკლში. თანაც მისი ტრაგიკული გაორება, ანუ კონფლიქტი სხეულსა და გონებას შორის, კარგად აიხსნებოდა. ისე კი, ნებისმიერი ეკრანიზაცია თავიდანვე განწირულია ხმაურიანი დისკუსიისათვის, არა აქვს მნიშვნელობა „მამა სერგი“ იქნება თუ „მამა გორიო“.

ეკრანიზაცია დანაღმულ ველზე სიარულსაც ჰგავს. საკმარისია ოდნავი არასწორი ნაბიჯი, წესიდან გადახვევა, რომ ყველფერი შეიძლება უმალ აფეთქდეს. მაგრამ არსებობს კიდევ ერთი გამოსავალი – სწრაფად და უკანმოუხედავად გაირბინო დანაღმული ველი, რომ ვერ შეიგრძნო აფეთქება და საკუთარი კომპლექსები თუ სიკვდილის შიში დავიწყებით დათრგუნო.

თეიმურაზისა და ჯაყოს ტრაგიკული ანტაგონიზმი, რაც სინამდვილეში მწერლისათვის სამშობლოს ტრაგიკულ მდგომარეობას გამოხატავს, რეჟისორისათვის კარგი მიზეზი უნდა ყოფილიყო, რომ რომანის უმთავრესი ღირსებები – შემზარავი გულწრფელობა, უკონტროლო და უხეში ფიზიკური ძალისა და უძალობაში ჩაკარგული გონების კონფლიქტი აეხსნა. ცხადია, ეს არ იყო მარტივი, მაგრამ ამ სულიერ-ხორციელი დაცემის მიზეზების ახსნა დათო ჯანელიძის შედარებით ფსიქოლოგიური, რეალურად კი გამარტივებული კონცეფციით შეუძლებელია.

ჯაყოს მთავარი იმპულსი – სიცოცხლის და ვნების წამლეკავი ძალა, გიორგი ნაკაშიძეს საკმაოდ დამაჯერებლად აქვს გადმოცემული. პირველ რიგში თავის ცოლებთან, სოფლელებთან და თეიმურაზთან ეპიზოდებში და ცხადია, ურმის ხანგრძლივ სცენაში, რომელიც ალბათ ფილმში ყველაზე ემოციური და ოდნავ ირონიულია. თუმცა მსახიობის თამაშში მაინც იგრძნობა რაღაც თავშეკავებულობა, თუ დელიკატურობა, რაც ბოლომდე ხელს უშლის, იყოს ცხოველური თვისებების მქონე. მას თითქოს აკლია ვიტალური მძვინვარება და ნადირივით ყნოსვის უნარი, რაც ასე კარგად იკითხებოდა ავთო მახარაძის ჯაყოსთან. და მაინც, ფილმის სიცოცხლისუნარიანობა (თუ მას მაინც ამოვიკითხავთ ფილმში) სწორედ გიორგი ნაკაშიძის ენერგიაზე იგება თუ იკვებება და ეს კარგად ჩანს, როცა ის თვალდახუჭული, მთელი ექსტაზით უკრავს დოლზე.

როდესაც ფილმის გადაღების შესახებ მრავალრიცხოვანი რეპორტაჟები გადაიცემოდა, თითქმის ყველგან დათო ჯანელიძე ამბობდა, რომ ზაზა ბურჭულაძე – თეიმურაზ ხევისთავი, მისი ყველაზე საინტერესო მიგნებაა. მართლაც, მწერალი ზაზა ბურჭულაძე ფილმში რაღაცით ჰგავს მწერალ მიხეილ ჯავახიშვილს, მაგრამ ეფექტური, ზედაპირული მსგავსება მალე მომაბეზრებელი ხდება და მაყურებელიც ცარიელი, გამოშიგნული პერსონაჟის პირისპირ რჩება. თეიმურაზის ბოტანიკური თუ გეოგრაფიული გატაცებები არ შეიცავს დრამატიზმს, ზაზა ბურჭულაძის სპეციფიკური მიმოხვრა და პლასტიკა კი მის პერსონაჟს ვერ შველის.

ვფიქრობ, ეს არის რეჟისორის შეცდომა, რომელსაც ეგონა, რომ ბურჭულაძის ზუსტი და ეფექტური ტიპაჟით შეიძლებოდა თეიმურაზის სახის გაცოცხლება-გადარჩენა. მაგრამ პროფესიონალი მსახიობი სწორედ იმით განსხვავდება არაპროფესიონალისაგან, რომ პირველს რეჟისორისგან მიცემული, გარკვეული და ზუსტი ზეამოცანა აქვს გადასაწყვეტი, რომელსაც მეორე ვერ ძლევს. სხვა საქმეა, როცა დიდი რეჟისორები, ჟაკ ტატი, სატიაჯიტ რეი, ან ოთარ იოსელიანი არაპროფესიონალ მსახიობებს ძალიან ზუსტ და კონკრეტულ დავალებას აძლევენ. ისე, რომ თავად ფილმში მონაწილე არაპროფესიონალებიც კი ვერ ხვდებიან, როდის მიმდინარეობს რეალურად გადაღება და როდის – არა. ხოლო როცა რეჟისორი საათობით იღებს არაპროფესიონალი მსახიობის მსხვილ ხედს, ან მისი დრამატული და ფსიქოლოგიური განცდების ნიუანსებს გვიზიარებს, ეს აუცილებლად რაღაც მომენტში ყალბი და მომაბეზრებელიც ხდება.

ფილმის დასაწყისშივე დოკუმენტური კადრებით რეჟისორი მიგვანიშნებს, რომ 1921 წელს რუსეთის არმიამ საქართველოს ოკუპაცია განახორციელა. ეს გასაგებია, თუმცა შემდეგ ამის შესახებ აღარაფერს გვახსენებს და შავ-თეთრი დოკუმენტური კადრებიც უკვალოდ იკარგება ოპერატორ გიორგი გერსამიას შემოდგომის ამსახველ კადრებსა და მხატვარ ჯემალ მირზაშვილის მინავლულ ფერებს შორის. სიტყვამ მოიტანა და აღვნიშნავთ, რომ ფილმი ციფრულ ვიდეოზეა გადაღებული და ის ფირზე არ დაუბეჭდავთ, რაც იგრძნობა კიდეც ერთგვარი, ბრტყელი და ზედაპირული გამოსახულებით. თუმცა თავი შეგვიძლია იმით დავიმშვიდოთ, რომ მთელ მსოფლიოში ახლა ასე იღებენ...

მოკლედ, ლაპარაკი საქმის ნაცვლად, ციფრული გამოსახულება ფირის ნაცვლად! სამაგიეროდ, მერე, როცა ამგვარი ბრტყელი გამოსახულებით გადავიღლებით, ძალიან მოგვენატრება, მაგალითად, ვისკონტის „გრძნობა“, „ტექნიკოლორის“ ფირი და ძეფირელი-როზის ფერები (სწორედ ისინი იყვნენ ვისკონტის ასისტენტები 1954 წელს გადაღებულ ფილმში)... და თუნდაც, ალიდა ვალივით ზუსტი ინტონაციის მსახიობები, რომლებიც ცხენებივით ერთგულები და დამჯერები არიან. მაგრამ კარგი მსახიობები, როგორც წესი, მათზე კარგ რეჟისორებს უჯერებენ.

კიდევ ბევრი დეტალი შეიძლება გავიხსენოთ, მაგრამ ფინალური ჩიხი მაინც მრავლისმეტყველია: მარგოსა და ჯაყოს ქორწილის შემდეგ გაოგნებული თეიმურაზი ვიწრო კედლებს შორის მიაბოტებს და მოულოდნელად კედლის პირისპირ აღმოჩნდება. კამერა ცივად და უგრძნობლად აღბეჭდავს ამ გამოუვალ ჩიხს და ჩვენც აღარ გვჯერა, რომ გამოსავალი, ანუ კათარზისი არსებობს; ისევე, როგორც არ გვჯერა, რომ გრძნობათა აღზრდა შესაძლებელია. ეტყობა, ამისთვის თეიმურაზივით ყველაფერი უნდა დავკარგოთ – სახლი, ცოლი, მამული... რათა შემდეგ გაძარცვული, წარუვალი, მარადიული გრძნობა ხელახლა აღმოვაჩინოთ.

ინტელექტუალები და ინწელექტუალები

ავტორი: ლელა გაფრინდაშვილი

„ჰომოსოციალური ლოგოცენტრიზმი“ – ამ ერთი შეხედვით რთული ტერმინით ავტორიტარული საზოგადოების ერთი ავადმყოფობა აღინიშნება. ეს არის ვითარება, როცა სახელმწიფოს მართვაში მხოლოდ ერთი სოციალური ჯგუფი მონაწილეობს და მხოლოდ ის „ლაპარაკობს“, ხოლო დანარჩენები სოციალურ-პოლიტიკური პროცესიდან გამორიცხულნი არიან და მხოლოდ „მსმენელებს“ შეადგენენ. მათი მიზანსწრაფვა, შესაძლებლობები და პოზიციები ან იგნორირებულია ან – მარგინალიზებული. თავიანთი ადგილის სამართლიანობის დასამტკიცებლად „მოლაპარაკენი“ ათასნაირ არგუმენტს იგონებენ: „ჩვენ უზენაესის ხელდასმულები ვართ, მისი სიბრძნის და სიქველის ამქვეყნიური ხორცშესხმა გვაკისრია“ ან „ჩვენ საზოგადოების ელიტა ვართ, ყველაზე ზუსტად, სწორად და სამართლიანად ვჭვრეტთ ქვეყნის მომავალს“.

სრულყოფილი დემოკრატია ვერ იტანს სოციალური ჯგუფების პრივილეგიებს, მოქმედ პირთა უსამართლო სელექციას – სოციალურად ძლიერთათვის და სოციალურად სუსტებისთვის თვითგამოხატვის და ღირსეული ცხოვრების გარანტიები უნდა არსებობდეს. სწორედ აქ იწყება პრივილეგიებს მიჩვეულთა და ხანგრძლივი დუმილის მდგომარეობიდან გამოსულთა ორთაბრძოლა, ახალი/განსხვავებული/რეპრესირებული სინამდვილის აღიარების ტკივილები.

გადავხედოთ ქართულ სინამდვილეს: „მოლაპარაკეთა“ სიმრავლის მიუხედავად, მათი სწრაფვა, რომ მოუსმინონ და გაუგონ, ჯერ კიდევ შორეულ პერსპექტივად რჩება.

სოციალური პოლიფონიის მიღწევა საკმაოდ რთული პროცესია და ამ საქმეში განუზომლად დიდი მნიშვნელობა აქვს ინტელექტუალთა ამბიციას – შეცვალონ ძველი სურათი და შექმნან ძალაუფლების, გავლენის მოხდენის ახალი, დემოკრატიული კულტურა. ამ სამუშაოს შესრულება მხოლოდ „სხვების“ მოსმენით, „განსხვავებულის“ მიმართ ემპათიითაა შესაძლებელი, რასაც ქართველ ინტელექტუალებს ნამდვილად ვერ დააბრალებ. მათი უმრავლესობა ინარჩუნებს კაბინეტურ, ელიტური მჭვრეტელის პოზას და სოციალური სინამდვილის წიაღისგან დისტანციას. ეს კი უფრო საბჭოთა ტრადიციის ერთგულებაა, ვიდრე – ქართული, ახლო წარსულის მოღვაწეთა დანატოვარის გაგრძელება.

თავად დააკვირდით და შეაფასეთ!

ჰარემის ქალი და სულთნის მევირე

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის პუბლიცისტიკა სავსეა პოლემიკებით, სადაც გაჩუმებული, დაშინებული და დავიწყებული ხალხი ლაპარაკის უნარს იბრუნებს. ამ პროცესის ინიციატორები სწორედ ინტელექტუალები არიან.

მიზნის მისაღწევად, პირველი, რასაც ისინი აკეთებდნენ – „ხალხში შერევა“ და ყოველდღიური ყოფის მიყურადება იყო. ამ საქმეს ემსახურებოდა მთელი მე-19 საუკუნის მოწინავე მედია: გიორგი წერეთლის, ილია ჭავჭავაძის, ივანე მაჩაბლის, სერგეი მესხის და სხვათა თაოსნობით გამოცემული ჟურნალები – „საქართველოს მოამბე“, „კრებული“, „ივერია“, „დროება“, სადაც ჟურნალისტებიც და ანალიტიკოსებიც თვითონვე იყვნენ.

საზოგადო მოღვაწეთა პუბლიკაციების და საჯარო გამოსვლების უმეტესობა სწორედ ხალხის წიაღიდან მიღებული ინფორმაციით იყო სავსე და მათი კეთილგანწყობის მოპოვებაზე გახლდათ ორიენტირებული. ქართულ სინამდვილესთან, საზოგადოებრივ პრობლემებთან დაკავშირებულ სტატიებში უმეტესად სწორედ ხალხის აზრს ციტირებდნენ და არა – მათი მეგობრების/კლასის ან უცხოელი მკვლევრების შეხედულებებს; მეტიც, დასცინოდნენ კიდეც იმათ, ვინც მისი ნააზრევის წონის და დამაჯერებლობის მისაღწევად მხოლოდ „პარიჟის აკადემიის წევრთა“ ან დასავლელი ორიენტალისტების მიერ კავკასიაში/საქართველოში მოგზაურობის შედეგად გაკეთებულ დასკვნებს ეყრდნობოდა და ქართველ მკვლევართა შეხედულებებით არც ინტერესდებოდა:

„მე თვალით ნახულს და ჩვენებურს ზოგიერთს მივიწყებულ მწერალთა თხზულებებს უფრო პატივს ვცემ, ვიდრე – პარიჟის ორიენტალისტებს, რომელთაც ჩვენი ქვეყნისა და ენის არა იციან რა, მაგრამ მაინც ყველანი იმათი თხზულებების შემწეობით იძიებენ ჩვენს წარსულს ცხოვრებას, რადგან პარიჟის აკადემიის წევრები არიან და სახელი აქვთ გავარდნილი, როგორც ჩვენს ზოგ მეცნიერს ციცერონისგან ნათხოვარი აზრის ნაგლეჯებით. სწორედ მოგახსენოთ, მე არც ამისთანა მეცნიერთა საკითხავად ვწერ, რადგან წინათვე ვიცი, რომ ისინი ჩემს ნაჩხაბნს არ წაიკითხავენ, როგორც მე – იმათსას. ამ შემთხვევაში, მე უფრო მდაბიური მკითხველისა მეშინია – ვაი, თუ გამიწყრეს, ხელი რათ მოვკიდე ამისთანა საგანს, რომელზეც ბევრი ცნობა არ იპოვება და რომლის სიმძიმემ ვაი თუ ისე დაღალოს იგი, რომ პირველ ფურცელზევე ხვრინი გაამართვინოს. მე უფრო ამის რიდი მაქვს და ეს მაწუხებს და არა – ზემოთხსენებულ მეცნიერთა წყენა. ვისაც ძილი ეკიდება, იმას მე ვერ გავაფხიზლებ. მთავარია – ვინც ფხიზელია, იმას ძილი არ მოვკიდო...“ (გიორგი წერეთელი).

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის კავკასიური სკოლა

ახცადებს მიღებას

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამეგისტრო პროგრამაზე

სწავლა დაიწყება 2010 წლის 25 იანვრიდან

ლექციები ჩატარდება საღამოს საათებში. სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე.

საზოგადოებასთან ურთიერთობის/PR სამაგისტრო პროგრამა სტუდენტებს საშუალებას მისცემს შეიძინონ აუცილებელი პროფესიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პოლიტიკური კომუნიკაციის სფეროებში წარმატების მისაღწევად როგორც სახელმწიფო, ისე კომერციულ ან არასამთავრობო ორგანიზაციებში.

ლექციებსა და სემინარებს ქართველი და ამერიკელი სპეციალისტები გაუძღვებიან. სწავლის პერიოდში სტუდენტებს შეეძლებათ კომპიუტერული და სამონტაჟო ლაბორატორიებით, უახლესი ფოტო, ვიდეო და ტელე აპარატურით, ასევე, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მდიდარი ბიბლიოთეკით სარგებლობა.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამაგისტრო პროგრამა გათვალისწინებულია იმ პირებისათვის, ვინც აკმაყოფილებს ქვემოთ მოყვანილი კრიტერიუმებიდან ერთ-ერთს:

- აქვს ბაკალავრის დიპლომი ნებისმიერმიერ სფეროში;
- აქვს გამოცდილება საზოგადოებრივი სამსახურისათვის მუშაობაში და სურს კვალიფიკაციის ამაღლება

სებუთების ჩაბარების ბოლო ვადაა 2009 წლის 10 დეკემბერი

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ვებ-გვერდზე www.gipa.ge

ან დაუკავშირდით **ნინო დანელიას**, პროგრამის კოორდინატორს 93-43-46 (სამს), 895-11-96-86, dane@gipa.ge

იგივე ავტორი, უკვე საჯარო მოხელე, ახალგაზრდობის გაუნათლებლობის პრობლემაზე სტატიას ამზადებს. რეალური სურათის შესახებ მასალის მოსაძიებლად ერთ გონიერ მოხუცს ეკამათება და მისგან დაუფარავ კრიტიკასაც ისმენს:

„ეგ ჯამაგირი შენი სწავლის ფასი კი არ არის, არამედ შენი მოწმობის ფასია. რაც გეძლევა, შენი ცოდნა იმის მეასიასადესიც არ ღირს. შენ გაქვს იერუსალიმის ბაშპორტი და იმის გამო სამოწყალოს გაძლევენ. აბა, ერთი წელიწადი მოგიკვეთონ თანამდებობის პური, თუ შიმშილით არ მოჰკვდე?! როგორც კაცს რა შეგიძლია, რა მოხერხება გაქვს ქაღალდის წერის მეტი? შენ ხარ მონა შენი თანამდებობის, რომელიც გაჭმევს და თუ ფეხი გადაგიბრუნდა, მაშინ უბრალო მეურმეც შენზე წინ იქნება ათი ნაბიჯით. შენი ცოდნა არ არის ისეთი თავნი, კაპიტალი, რომ ცხოვრებაში თავისუფალი კაცი იყო“.

„მეც ავდექ და გადავწყვიტე: წავალ, პირდაპირ ვენახვები ქალბატონ დემოკრატიას და ვკითხავ – დაო, ისეთი რა დამიშავებია შენთვის, რომ ასე მიმწარებ დღეებს და ასეთ გაჭირვებას მაყენებ-მეთქი?! ისე დილა არ გათენდება, რომ შენმა მრისხანე ბრძანებებმა ფანჯარას არ დააბრახუნონ და გული არ გადმომიბრუნონ.

მოკამათის პირდაპირობამ და დამცინავმა მანერამ სიბრაზით აავსო წარმატებული მოხელე. ამიტომ დაბეჯითებით განუმარტა სკეპტიკოსს, რომ სამსახურით ძალიანაც კმაყოფილია: „ჩემისთანა ცხოვრება უწინ მეფეებსაც არ ჰქონდათ“-ო.

მოხუცი კიდევ უფრო გაცხარდა: „უკაცრავათ არ ვიყო, ეგ თქვენი კმაყოფილება მომაგონებს სულთნის ჰარემის ლამაზ ქალსა, რომლისთვისაც ბუნებას ერთი რაღაც პაწია საქონელი მიუცია და თურმე სულთანი ისე აფასებს იმ საქონელს, რომ ქალი სულ თვალსა და მარგალიტშია ჩაფლული. მაგრამ ამბობენ, რომ სულთნის მევირეს რომ არჩევინო თავის მდგომარეობის გაცვლა იმ ქალის მდგომარეობაზედ, უწინ თავს დაიხრჩობს, ვიდრე – გასცვლისო“...

წამოვიდა დაღონებული, მაგრამ ფიქრისა და გამოსავლის ძიებისთვის პროვოცირებული გიორგი წერეთელი და უკვე განსწავლული, ხალხის ხმას ნაზიარები, დაუკვირდა რეალობას და აი, რა დაინახა: რუსი, საეჭვო ზნეობის მოხელეთა გარყვნილება, ქართველობის უმრავლესობის აფიცრებად და კანცელარიის ჩინოვნიკობად ქცევა, თავად-აზნაურთა პრიკაზში ჩაბარებული ქონება, რუსეთში ჩაკარგულ-გარდაცვლილი ახალგაზრდობა ან იქიდან დაბრუნებული, მათი გადაგვარებული ნაწილი და ხელმოცარული, დაბნეული და სასოდაკარგული მშრომელი ხალხი.

რუსეთიდან გამოგზავნილ, ხშირად უმეცარ მოხელეებს დიდი ჯამაგირი ჰქონდათ და განცხრომაში ცხოვრობდნენ. გაჩნდა საზოგადოება, გაუნათლებელი და მდიდარი. ამის შემხედვარე ჩვენებურებმაც იგივე მოინდომეს – კოხტა მხედრული მუნდირი, მშვენიერი სახლის მორთულობა, ევროპულ წესზე მოწყობილი ბალ-ვეჩერები, ევროპული ფარჩა-ტანისამოსი და მებელი, ევროპული სტოლი და მასზე მშვენიერი მუზიკა. ყველაფერი ამის მისაღწევად დაიწყეს შვილების კორპუსებში გაგზავნა, საიდანაც მათი უმრავლესობა ხელმოცარული და გადაგვარებული ბრუნდებოდა.

ავტორი ხედავს, რომ საზოგადოება შიგნიდან უნდა გაჯანსაღდეს და არა – გარედან (მით უფრო საკმაოდ ჩამორჩენილი რუსეთიდან) შემოსული რეფორმებით.

რეალობის ასეთი მიუკერძოებელი აღწერა-ანალიზის შემდეგ გიორგი წერეთელი გამოსავლის ძებნას იწყებს: „მაშ რა გვეშველება, რა გვეჭირვება?

– ისეთი ცოდნის წყარო, რომ იმან ჩვენს ახალგაზრდობას თვალი აუხილოს, ეს დრო კარგად გააცნოს და იმდენათ გაავარჯიშოს მისი გონება, რომ ყოველს ახალს დროს შეეთვისოს. ასეთი რამ უნდა მოახდინოს ჩვენში უმაღლესმა სასწავლებლებმა (ინჟინრების აკადემია, ტეხნოლოგიური ინსტიტუტი ან სამეურნეო/ოჯახობის მასწავლებელი აკადემია), რომელთაგან გამოირჩევა უნივერსიტეტი – აქ გაზრდილ ყმაწვილს ყოველ საქმეზე მიუწვდება გონება და ცხოვრების მოთხოვნათა გაგებაში განსაკუთრებით გონებამახვილია. იგი ზრდის მოხერხებულს, მშრომელს და ახალ მოთხოვნილების ნათლათ მჭვრეტელ თაობას, ამრავლებს მეცნიერებაში და ბევრსნაირ ხელობაში განვითარებულ კაცებს, სპეციალისტებს“...

ასე მივიდა მე-19 საუკუნის ქართველ ინტელექტუალთა ნაწილი საგანმანათლებლო მოძრაობისა და საუნივერსიტეტო განათლების იდეამდე, რომელსაც იმპერია ყველაზე დიდ წინააღმდეგობას უწევდა, როგორც მისი ასიმილაციური და დამპყრობლური ზრახვების დასასრულის დასაწყისს.

ქალბატონი დემოკრატია

ქართველი დრამატურგი ნატალია აზიანი აკვირდება 1905-1919 წლებში ხელისუფალთა მიერ განხორციელებულ რეფორმებს და აღმოაჩენს, რომ მათი მცდელობები ადამიანების ცხოვრებას უფრო ამძიმებს, ვიდრე – აუმჯობესებს. თუმცა, ყველა მათგანი „დემოკრატიის“ სახელით ლაპარაკობს. არადა, აინტერესებს დემოკრატიის ნამდვილი ბუნების გაგება და ამიტომ ესტუმრება მას:

„მეც ავდექ და გადავწყვიტე: წავალ, პირდაპირ ვენახვები ქალბატონ დემოკრატიას და ვკითხავ – დაო, ისეთი რა დამიშავებია შენთვის, რომ ასე მიმწარებ დღეებს და ასეთ გაჭირვებას მაყენებ-მეთქი?! ისე დილა არ გათენდება, რომ შენმა მრისხანე ბრძანებებმა ფანჯარას არ დააბრა-

ხუნონ და გული არ გადმომიბრუნონ. შენი სახელით სოფლიდან ბრაგანი მიკრეს, თბილისში სახლი ჩამომართვეს, ნაქირავებ ოთახებში ვიღაც ხეპრე, ხამი კომისარი ჩამისახლეს, გაზეთი, სადაც დარდიან გულს ვიოხებდი-ხოლმე, დამიხურეს. ახლა ესეც არ მაკმარეს და ამ ცივ ზამთარში შეშის საჭრელად ტყეში მგზავნიან, თუმცა იცის ღმერთმა, ჩემს გაჩენაში ცული არ ამიღია ხელში და უგუნურობის ტყეს მხოლოდ კალმითა ვჩეხდი მეთქი!“.....

ბევრი ძებნის შემდეგ ნატალია ბნელ და გამოყინულ მიწურს მიადგა, სადაც ქალბატონი დემოკრატია საშინელ გაჭირვებაში ცხოვრობს და არა – ნეტარებასა და განცხრომაში.

„... მე კი განვაგრძობდი შეუბრალებლათ... რათ დგეხარ შენ ამ ნესტიან, ბნელ სარდაფში, როცა იქ, ქალაქის საუკეთესო ნაწილში, შენი კანონიერი, ჯვარდაწერილი პატრონები, კომისარ-მინისტრები რვა-რვა ოთახში არიან გამოჭიმულნი?! გაიხედე, შენი თვალით მაინც დაათვალიერე, რა ზეიმით დაბრძანდებიან სამსახურში ავტომობილ-ეკიპაჟებით და ბრუნდებიან იქიდან სამ-ოთხ საათზე.....

... მაშ არ იცოდი, რომ მეორე ქმარიც მღალატობს? მზითვის გულისთვის ჯვარი დაიწერა ჩემზე და ახლოს აღარ გამკარებია... ეგეც ბურჟუაზიას ეარშიყება....

– მაშ, რაც მე ჩამომართვეს, რაც მე დამაკლეს, შენთან არ მოუტანიათ, შენ კი არ გაგინაწილეს?!

– შენ არ მომოკვდე, რომ თვალითაც არ მინახავს!.... ეგ არაფერი, უბედურება ის არის, რომ მესამეთ მიპირებენ გათხოვებას. რა ვიცი, ვიღაც ბოლშევიკი გამოჩენილა, ეხლა ის მეარშიყება, დიდ ბედნიერებას მპირდება, მაგრამ რა ვქნა, როგორ გავბედო?...

– აღარ გათხოვდე, შე უბედურო, იკმარე მაგდენი ქმრები! – შევბედე მე სიბრალულით და ნაღვლიანი დავბრუნდი სახლში“.

მიხვდა ნატალია, რომ მეფის მოხელეებს, სოციალ-დემოკრატებს და ბოლშევიკებს „დემოკრატია“ მხოლოდ „მზითევისთვის“ უნდოდათ, და ერთნაირად ღალატობდნენ მას.

ინწელექტუალები

თანამედროვე საქართველოში კი ინტელექტუალების დიდი ნაწილი ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს საბჭოთა „ინწილიგენციისთვის“ დამახასიათებელი, მედიდური მანერით დასცქერის. კაბინეტების სიგრილე-სიმხურვალეში ჩაკეტილები, ვიწრო ჭუჭრუტანიდან (ტელევიზორი, ინტერნეტი) აკვირდებიან სამოქალაქო პროტესტს. მათი უმრავლესობისთვის ჯერ კიდევ გაუგებარია, რომ დემოკრატიის პირობებში საზოგადოებაზე წერა საზოგადოების ცოდნას და შიგნიდან დანახვას ნიშნავს. სინამდვილეზე რომ კომპეტენტური აზრი გქონდეს, ამ სინამდვილეს უნდა შეერიო და განიცადო იგი: შენ დასავლურ ან საბჭოურ ცოდნას კი არ უნდა მოარგო რეალობა, არამედ რეალობის შეცნობამ უნდა მოგცეს ცოდნა და ანალიზისთვის საჭირო მასალა. მაგრამ მათ ეს არ შეუძლიათ, რადგან ეშინიათ რეალობის, ხალხის, რომელსაც „სუნი ასდის“. ამ ადამიანებში არიან ისეთებიც, ვისაც საბჭოთა პარტბილეთი 9 აპრილის ტრაგედიამაც ვერ გააგდებინა ხელიდან და ვინც საკუთარი უპირატესობით გაბრუებული, გაავებული დასცინოდა გამსახურდიას მიმდევრებს და არასოდეს გაუპროტესტებია ის ძალადობა/მკვლელობები, რომელიც ჯერ „მხედრიონმა“, ხოლო შემდეგ შევარდნაძის გოშიებმა ჩაიდინეს „ზვიადისტების“ მიმართ. რაც ყველაზე ამაზრზენია, ხელისუფლებაში მოკალათებული, ყოფილი რეპრესირებულები, თავიანთი წარსულიდან დისტანცირდნენ და ახლა თავად იქცნენ ძალადობის აპოლოგეტებად და წამქეზებლებად.

ამიტომაც არ მიკვირს, როცა ძველი და ახალი „მოაზროვნე გვარდია“ არაფერს ამბობს ხელისუფლების მიერ განხორციელებულ სადამსჯელო ოპერაციებზე. არ მიკვირს ინწელექტუალების დამცინავი ქირქილი რუსთაველზე გამოსული მეპროტესტეების მიმართ: არ გეგონოთო, რომ ამ პროტესტს „საკანი“ ჰქვია! ეს „გალიაა“, სადაც ისეთი არსებები ბინადრობენ, რომლებიც საკვებს სწორედ იქ

„თუ დაინახავთ, რომ ოდნავ მაინც საფრთხე ექმნება მოქალაქის, მით უმეტეს, პოლიციელის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ხელი არ აგიკანკალდეთ და გამოიყენეთ იარაღი და მე ქედს ვიხრი იმ სპეცრაზმელების წინაშე, რომლებმაც თავისი სიცოცხლის ფასად ჩაატარეს ოპერაციები და მოკლეს, კიდევ ერთხელ ვიტყვი, მოკლეს კრიმინალები, რადგანაც რომ არ მოეკლა კრიმინალი, კიდევ უფრო მეტი დანაშაული მოხდებოდა საქართველოში“ – ვანო მერაბიშვილი.

ინელებენ, სადაც ჭამენ. ეს ცინიკური ინტონაცია ბუნებრივად მაბრუნებს იმ ფაქტებთან, რომლებიც ჯერ კიდევ გვახსოვს: აფხაზების „აფსუებად“ და კოკოითის „ფანდარასტად“ მოხსენიება, ბადრი პატარკაციშვილის სახელზე პამპულაობა და დამცინავი ღიმილით წარმოთქმული „არკადი“, აგვისტოს ომთან დაკავშირებულ დაკითხვაზე მისული ეროსი კიწმარიშვილისთვის იმის შეხსენება, რომ მას „ერასტი“ ჰქვია. იოლი მისახვედრია, თუ რა მცირე მანძილია პიროვნების ღირსების შელახვიდან მასზე განხორციელებული ძალადობის დაშვება-განხორციელებამდე.

იგივე „ზემოდან მზერით“ არის ნაკარნახევი, ინწელექტუალთა მიერ, ოპოზიციონერთა და მათ მხარდამჭერთა გამოსვლებიდან მხოლოდ კომიკური და ქსენოფობიური „მარგალიტების“ ამოკრება. ეს „სამართლიანი“ აღშფოთება

უფრო გაუგებარი ხდება, როცა იცი, რომ ამ განსწავლულთაგან არავის გაუპროტესტებია სააკაშვილის „ნულოვანი ტოლერანტობა“ და ვანო მერაბიშვილის საპარლამენტო გამოსვლა: „თუ დაინახავთ, რომ ოდნავ მაინც საფრთხე ექმნება მოქალაქის, მით უმეტეს, პოლიციელის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ხელი არ აგიკანკალდეთ და გამოიყენეთ იარაღი და მე ქედს ვიხრი იმ სპეცრაზმელების წინაშე, რომლებმაც თავისი სიცოცხლის ფასად ჩაატარეს ოპერაციები და მოკლეს, კიდევ ერთხელ ვიტყვი, მოკლეს კრიმინალები, რადგანაც რომ არ მოეკლა კრიმინალი, კიდევ უფრო მეტი დანაშაული მოხდებოდა საქართველოში“ (2005 წლის 10 ნოემბერი).

ადამიანი, რომელიც ხელისუფლების წარმომადგენლის მხრიდან ნულოვანი ტოლერანტობისა და მკვლელობისკენ მოწოდებას (რაც წარმოთქმის მომენტიდან უკვე ამ ყველაფრის რეალიზებას ნიშნავს!) არ აპროტესტებს და ოპოზიციურად განწყობილი ხალხის გრამატიკის, ლიტერატურის, ისტორიის და ადამიანის უფლებების საკითხების უცოდინარობა აღიზიანებს, ღირსეულ მოქალაქედ და ინტელექტუალად ვერ ჩაითვლება, მაგრამ ინწელექტუალი იქნება, ვიდრე თავად არ მობეზრდება.

მიშელ ფუკოს ეს აზრი სწორედ იმათ მინდა შევახსენო, ვინც ძალა/ხელის/უფლების აპოლოგეტად და წამქეზებლად იქცა, ხოლო ფრანგი მოაზროვნის გამონათქვამებს მხოლოდ სტატიებისა და საჯარო გამოსვლების „სამკაულად“ იყენებს:

„ინტელექტუალმა უკვე აღარ უნდა ითამაშოს მრჩევლის როლი, აღარ უნდა ადგენდეს გეგმებს იმათთვის, ვინც იბრძვის ან თავს იცავს, არ უნდა იგონებდეს მათთვის ტაქტიკას და არ უნდა უსახავდეს მიზნებს.

ინტელექტუალს ანალიზის ინსტრუმენტების შეთავაზება შეუძლია...

სინამდვილეში, ლაპარაკია იმაზე, რომ გვქონდეს თანამედროვეობის აღქმის მყარი, ხანგრძლივი უნარი, რომლის საშუალებითაც შევამჩნევთ, თუ სად გადის რღვევის ხაზები, სადაა ძლიერი წერტილები, რომელსაც ძალაუფლება მიეჯაჭვა და დამკვიდრდა. სხვა სიტყვებით, საჭიროა ბრძოლის ველის ტოპოგრაფიული და გეოლოგიური სურათის გადაღება.... აი, ინტელექტუალის როლი“...

ცხადია, რომ ასეთი სამუშაოს შესრულების უნარს ძალა/ხელის/უფლებისადმი ვნება არა მარტო აჩლუნგებს, არამედ – სპობს. შეუძლებელია ასეთი მიუკერძოებელი ანალიზი იმ ადამიანებმა გააკეთონ, ვინც თავის შეხედულებებს „ზემოდან“ წამოსულ ინსტრუქციებს ან კონიუნქტურას არგებს.

სულები და თანამოაზრენი

ავტორი: ბასა ჯანიკაშვილი

კირა ნაიტლი ერთადერთი კინოვარსკვლავია, ვისთანაც ასე ახლოს აღმოვჩნდი. კირა ნაიტლი ჩემ ქალაქში ჩამოვიდა. მართალია, იგი ჩემგან რამდენიმე კილომეტრის დაშორებითაა, თვალით არასდროს მინახავს და ალბათ, ვერასდროს ვნახავ, მაგრამ მაინც – კირა ნაიტლი ერთადერთი კინოვარსკვლავია, რომელთანაც ასე ახლოს აღმოვჩნდი.

მანამდე მეგონა, რომ კინოვარსკვლავი სულ სხვაა. ვფიქრობდი, რომ თუ ამერიკელი კინოვარსკვლავის გვერდით აღმოვჩნდებოდი, ავმაღლდებოდი. მაგრამ მანამდე, ანუ სანამ მეგონა, რომ „ავმაღლდებოდი“, მანამდე საერთოდ არ მაინტერესებდა ამერიკელი კინოვარსკვლავები.

შემდეგ კი დამაინტერესა. და გეტყვით რატომ – რამდენიმე დღის წინ აღმოვაჩინე, რომ ერთ ამერიკელ კინოვარსკვლავს ჩემი ქვეყნისათვის იმაზე მეტის გაკეთება შეუძლია, ვიდრე ყველა ქართველს ერთად აღებულს.

კირა ნაიტლი თბილისში მეგობარ ბიჭთან ჩამოვიდა და პრესასთან ურთიერთობა არ ისურვა. კირა ნაიტლი, მიუხედავად იმისა, რომ ვარსკვლავია, ადამიანიცაა და შეყვარებული მოინახულა. მერე რა, რომ იგი იმ ფილმში არ თამაშობს, რომელსაც საქართველოში იღებენ. სამაგიეროდ, მე და კირას რამდენიმე კილომეტრი გვაშორებს.

ამ ისტორიაში ყველაფერი კარგად იქნებოდა, რომ არა 2008 წლის აგვისტოს ომი. ჰოლივუდიდან ჩამოსული პრო-

დიუსერი, ოპერატორი, გამნათებელი, გრიმიორი, სცენარისტი და, რაც მთავარია, ენდი გარსია. ყველაფერი კარგად იქნებოდა, რომ არა საზღვარი, რომელიც ჩვენ გავავლეთ რეალურ ომსა და კინო ომს შორის. და ეს საზღვარი ყველა კედელზე მაღალია. ამ კედლის აშენება 2008 წლის 1 სექტემბერს დავიწყეთ. როგორც გვჩვევია: დაღლილი რუსთაველით, ხმამაღალი წუხილით, სევდიანი დროშის ტარებით, გამაყრუებელი სიჩუმით, მოცეკვავე ტაშის კვრით, ამაყი კუბოებით, Live დასაფლავებებით, საჯარო სადღეგრძელოებით, ყინულის ჯაჭვით და ზიზღნარევი სიყვარულით.

ჰოლივუდელი ბიჭები მაგრები არიან, მაგრამ მაგრები ვართ თუ არა ჩვენ? ჰოლივუდელ ბიჭებს პრინციპები აქვთ, მაგრამ ვართ თუ არა ჩვენ პრინციპულნი? ჰოლივუდელი ბიჭები კარგ კინოს გადაიღებენ, მაგრამ დაიჯერებს თუ არა საქართველო, რომ ეს მხოლოდ კინოა? რა მოხდება, რომ ქართველები კინოპერსონაჟები გავხდეთ, როდესაც რეჟისორის დაძახილზე იწყება ომი და მთავრდება მშვიდობა. (რეჟისორის და არა პრეზიდენტის. გთხოვთ დააკვირდეთ) ავიღებთ ერთ ბილეთს და ორ საათში ომიც დამთავრდება.

მაგრამ სამწუხაროდ ასე არ ხდება. როდესაც გავიგე, რომ კირა ნაიტლი თბილისში ჩამოვიდა, ვიფიქრე, რომ ყველა ომს საკუთარი შეფასება აქვს, ისევე როგორც ჰოლივუდის ვარსკვლავებს. და თუ ომის ფასს და ვარსკვლავის სიდიადეს შევადარებთ, გამოვა, რომ საქართველოს დედაქალაქში რუსეთის ფედერაციის ჯარის შემოსვლის შემთხვევაში ჩემგან რამდენიმე კილომეტრში ჯულია რობერტსი იქნებოდა. ჯულია რობერტსი, რა თქმა უნდა, გაცილებით დიდი ვარსკვლავია, ვიდრე კირა ნაიტლი, მაგრამ კირა ნაიტლი ჩემ გულს უფრო უხარია.

აბა, წარმოვიდგინოთ ისეთი სიტუაცია, რომ საქართველოს ახალი პრეზიდენტი ჰყავს. ისიც, რა თქმა უნდა, ახალგაზრდაა. მასაც, ისევე როგორც ამჟამინდელ პრეზიდენტს, ისტორიული თავმოყვარეობა აქვს და ქვეყნის ტერიტორიების დაბრუნება უნდა. ახალი პრეზიდენტი ნებსით თუ უნებლიეთ საომარ მოქმედებებს იწყებს. (ან მოდით ასე ვთქვათ, პატარა ქვეყნის ამაყი პრეზიდენტი მეზობელი ქვეყნის სამხედრო აგრესიის მსხვერპლი ხდება). შემდეგ ეს პრეზიდენტი ჰოლივუდელ ბიჭებს კინოს გადაღებას სთხოვს. ჰოლივუდელი ბიჭები პროფესიონალები არიან და მათთვის სულ ერთია ვინ იქნება ქვეყნის პრეზიდენტი. შემდეგ ჩვენ ყველანი ვიღებთ თითო ბილეთს, შევდივართ დარბაზში და იმ ფილმს ვუყურებთ, სადაც საქართველოს პრეზიდენტი ქვეყნის ისტორიული თავმოყვარეობითაა შეწუხებული და ნებსით თუ უნებლიეთ საომარ მოქმედებებს იწყებს (ან მოდით ასე ვთქვათ: პატარა ქვეყნის ამაყი პრეზიდენტი მეზობელი ქვეყნის სამხედრო აგრესიის მსხვერპლი ხდება). აქ მთავრდება ფილმი. ჩვენ ფილმში ვერ ვნახავთ, რომ ამაყი ქვეყნის პატარა პრეზიდენტი, უფრო სწორად, პატარა ქვეყნის ამაყი პრეზიდენტი ჰოლივუდელ ბიჭებს კინოს გადაღებას სთხოვს. მაგრამ, ეს არ არის მთავარი. მთავარია, რომ ამ ახალი ქვეყნის დიდმა პრეზიდენტმა, უფრო სწორად, ძველი ქვეყნის ახალმა პრეზიდენტმა ჰოლივუდელი ბიჭები ჩამოიყვანოს და ამ ჯგუფს კირა ნაიტლი ჩამოჰყვეს. იმიტომ, რომ როდესაც წარმოვიდგენ, რომ ჩემგან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით კირა ნაიტლს სძინავს, უკეთ ვხდები. და მერე რა, რომ კირა ნაიტლს სხვა უყვარს.

შემთხვევით კომპიუტერულ თამაშს გადავაწყდი Armed Assault - Осетинская Воина (შეიარაღებული თავდასხმა – ოსეთის ომი). ჩემი კომპიუტერისთვის ამ თამაშის ჩამოწერა და მით უმეტეს ინსტალაცია შეუძლებელი აღმოჩნდა, ამიტომ ქართულ ფორუმზე გამოხმაურებების ძიება დავიწყე. აღმოვაჩინე, რომ რამდენიმე ჩემ თანამემამულეს თამაში ჩამოუწერია და სიამოვნებით დაუწყია ციფრული ოსებისა და მათი მოკავშირე კომპიუტერული რუსების ხოცვა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ მწარმოებელს ისე „დაუწერია“ თამაში, რომ კომპიუტერული ქართველების მხარეს მოთამაშე თურმე ვერასდროს იგებს. ერთ-ერთ ინტერნეტ

მთავარია, რომ ამ ახალი ქვეყნის დიდმა პრეზიდენტმა, უფრო სწორად, ძველი ქვეყნის ახალმა პრეზიდენტმა ჰოლივუდელი ბიჭები ჩამოიყვანოს და ამ ჯგუფს კირა ნაიტლი ჩამოჰყვეს. იმიტომ, რომ როდესაც წარმოვიდგენ, რომ ჩემგან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით კირა ნაიტლს სძინავს, უკეთ ვხდები. და მერე რა, რომ კირა ნაიტლს სხვა უყვარს.

„ფორუმელს“ რუსების მხარეს უთამაშია, აინტერესებდა, როგორია ქართველების დამარცხება. თამაშის შემდეგ სევდანარევი წერდა, რომ რამდენიმე კომპიუტერული ქართველის მოკვლის შემდეგ სინდისის გრძნობამ შეაწუხა და მტერს (ანუ კომპიუტერულ ქართველებს) ზურგი შეაქცია და თავისიანების (ანუ ციფრული ოსების და მათი მოკავშირე კომპიუტერული რუსების) ხოცვა დაუწყია. რა თქმა უნდა, მალევე მოკლეს.

თამაშით ვერ ვითამაშე, მაგრამ თამაშის რამდენიმე ფოტო ვნახე. მძიმე სანახავია თავგაჩეხილი ქართველების (მიუხედავად იმისა, რომ ანიმაციური და ციფრული ქართველები არიან) ნახვა. გარდაცვლილი ციფრული ოსის და კომპიუტერული რუსის ფოტოები ინტერნეტში არ დევს. დარწმუნებული ვარ ამ ვირტუალური ომის შემხედვარეს, თქვენც ასეთი განცდა დაგეუფლებათ, მაგრამ საინტერესოა, ასეთივე სევდით შევხედავთ თუ არა თავგაჩეხილ ოსს? (თუნდაც ის ციფრული იყოს) ან შუაზე გაჭრილ კომპიუტერულ აფხაზს? ამ კითხვაზე პასუხი გასაღებია იმ დაპირისპირების, რომლის დამალვას (ან დავიწყებას) ახლა კინოთი ვფიქრობთ.

საგანგაშო არაფერია. ამ სტატიის მიუხედავად, ფილმი ეკრანზე გამოვა და კიდევ ერთხელ შეგვიძლია ერთმანეთს ხელი ჩავკიდოთ და ასე გადაჯაჭვულნი რუსთაველის გამზირისაკენ დავიძრათ. თბილისიდან, ბორჯომიდან, ბათუმიდან, სიღნაღიდან... იმ ქალაქებიდან, სადაც კინოთეატრებია გახსნილი. დავიძრათ და დავიმალოთ, ერთად დავიმალოთ კინორეალობაში. თქვენ კი, ვის ქალაქშიც ჯერ კინოდარბაზი არ გაურემონტებიათ, შეგიძლიათ უბრალოდ დაიძრათ. ჩაჰკიდოთ ერთმანეთს ხელები და ფეხები და დაიძრათ! იმიტომ, რომ თქვენ – კინოს გარეშე დარჩენილო რეალისტებო – ტელევიზიით ნახავთ ჩვენს გადაჯაჭვულ სახეებს. თამამად შეგიძლიათ შემოგვიერთდეთ. ბრმად გვენდოთ. სამწუხაროა, რომ არავის გვინდა დავიჯეროთ, რომ ის, რასაც კინოში ვნახავთ, აღარ განმეორდება. და მეტი პატრიოტული განათლებისათვის კინოდარბაზებისაკენ დაიძრება საბავშვო და ბაგა-ბაღები, სკოლები, კოლეჯები, უნივერსიტეტები და ტექნიკუმები.

დავიძრათ და დავიმალოთ, ერთად დავიმალოთ კინორეალობაში. თქვენ კი, ვის ქალაქშიც ჯერ კინოდარბაზი არ გაურემონტებიათ, შეგიძლიათ უბრალოდ დაიძრათ. ჩაჰკიდოთ ერთმანეთს ხელები და ფეხები და დაიძრათ! იმიტომ, რომ თქვენ – კინოს გარეშე დარჩენილო რეალისტებო – ტელევიზიით ნახავთ ჩვენს გადაჯაჭვულ სახეებს.

დაუკრავენ ხანგრძლივ ტაშს და რუსთაველამდე სიონის ეკლესიაში შეივლიან, სანთელს დაანთებენ და კვლავ გადაეჯაჭვებიან ერთმანეთს საბავშვო და ბაგა-ბაღები, სკოლები, კოლეჯები, უნივერსიტეტები და ტექნიკუმები.

შემდეგ ფილმის სანახავად წამოვლენ სახელმწიფო და ნახევრად სახელმწიფო დაწესებულებები, სერიოზული და ნახევრად სერიოზული ორგანიზაციები, გაუგებარი და ნახევრადგაუგებარი დეპარტამენტები, რეფორმირებული და სუპერრეფორმირებული სამინისტროები, პარლამენტარები და აღდგენილმანდატიანი პარლამენტარები და თავად პრეზიდენტი (ან პრეზიდენტები).

პრეზიდენტის (ან პრეზიდენტების) კინოთეატრში სტუმრობა ნათელი მესიჯი იქნება ბიზნესმენებისათვის. კინოთეატრებს მოაწყდება მცირე და საშუალო ბიზნესი, მსხვილი გადამხდელები და თავკომბალა საწარმოების მფლობელები. ეს კი, თავის მხრივ, გამოიწვევს უცხოელი ინვესტორების მოდინებას კინოდარბაზებში. ისინი, როგორც მგზნებარე პატრიოტები, ცრემლნარევ ტაშს შემოგვთავაზებენ და შემდეგ ყველანი ერთად დაიძრებიან რუსთაველის გამზირისაკენ, მაგრამ მანამდე რომელიმე ეკლესიაში შეივლიან, სანთელს დაანთებენ და მერე ჩუმ-ჩუმად დაიშლებიან (ხალხს ეგონება რომ არ დაშლილან).

ამ კინოჩვენების შემდეგ პრეზიდენტი (ან პრეზიდენტები) ახალი საქართველოს დაბადების იდეით გამოვა, რუსთაველზე თავშეყრილ ხალხს მგზნებარე სიტყვით მიმართავს და იქვე სევდიანად იხუმრებს, რომ ენდი გარსია საოცრად ჰგავდა მას. გადაჯაჭვული ხალხი ხმამაღლა გაიცინებს, ისე, როგორც ღამის შოუში იცინიან, რომ ამ სიცილში თითოეული მათგანის არსებობის აბსურდულობას ხაზი გაესვას. გაიცინებენ და იმ წამსვე გაახსენდებათ, რომ სასაცილოდ არ აქვთ საქმე. მაგრამ, პრეზიდენტის ხუმრობაზე არ შეეძლოთ არ გაეცინათ და ხალხი კიდევ რამდენიმე წამს იქნება კარგ ხასიათზე. პრეზიდენტის (ან პრეზიდენტების) ლირიკულ-პატრიოტული სიტყვის დროს შემოგვიერთდება ჯერ კიდევ ფილმუნახავი ხალხი. ისინი, ვის ქალაქებსა თუ დაბებში, ოლქებსა თუ სოფლებში კინოდარბაზი არ არის, მაგრამ ბრმად ენდნენ ტელევიზიის საინფორმაციო შტურმს და ხელფეხგადაჯაჭვულნი დედაქალაქში ჩამოვიდნენ. ვიღაცა ენამახვილი პენსიონერი იტყვის, – ეს მიტინგიც რომ ყოფილიყო კინოში სულ სხვა იქნებოდაო, – და ამ დროს CNN და BBC პირდაპირ ეთერში ჩაგვრთავს. და როდესაც მსოფლიოს ტელეეკრანებზე დაიწერება, რომ ეს ხალხი აქ შეიკრიბა ამერიკული ფილმის ნახვის შემდეგ, არავის გაუკვირდება.

სულ ბოლოს ტაშს დაუკრავენ და არ დაიჩოქებენ. მაგრამ, იმავე წამს მიხვდებიან, რომ დაჩოქება და სანთლის დანთება ლოგიკური დასასრული იქნებოდა. და ამას რომ მიხვდებიან, დასაჩოქად გვიან იქნება.

და ასე დაუჩოქებელი დაიშლებიან ბაგა და საბავშვო ბაღების ბავშვები და მათი ზედამხედველები, სკოლის მოსწავლეები და მათი მასწავლებლები, კოლეჯების, ტექნიკუმებისა და უნივერსიტეტის სტუდენტები, სახელმწიფო და ნახევრად სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკები და მათი ხელმძღვანელები, სერიოზული და ნახევრად სერიოზული ორგანიზაციების წევრები და მათი მმართველები, გაუგებარი და ნახევრად გაუგებარი დეპარტამენტების ადამიანური რესურსი და ამ რესურსის მენეჯმენტი, რეფორმირებული და სუპერრეფორმირებული სამინისტროების თანამშრომლები და მათი მინისტრები, პრეზიდენტი და უკეთეს შემთხვევაში პრეზიდენტები – დაიშლებიან დაუჩოქებლად.

მცირე და საშუალო ბიზნესი, მსხვილი გადამხდელები, თავკომბალა საწარმოების მფლობელები და უცხოელი ინვესტორები დიდი ხნის დაშლილნი იქნებიან.

შემდეგ დადგება სულებისა და თანამოაზრეთა მოხმობის დრო, იმიტომ რომ არავინ იტყვის, როგორ უნდა გაკეთდეს ისე, რომ ამ ფილმის გაგრძელება არ გადაიღონ. მიუხედავად იმისა, რომ გადამღებ ჯგუფს კირა ნაიტლი კიდევ ერთხელ ჩამოჰყვება და მეცოდინება, რომ უბედნიერესად ამაღლებული ადამიანი ვარ, რადგან ჩემი სახლიდან სულ რაღაც ათიოდე კილომეტრში კირა ნაიტლს ეძინება, რომ მეორეჯერ მექნება საშუალება ჰოლივუდის ვარსკვლავთან ასე ახლოს აღმოვჩნდე.

მხოლოდ ახლა!

უფასო პროგრამები

NOKIA-ს ტელეფონებისთვის
http://store.ovi.com

- შედით http://store.ovi.com თქვენი ტელეფონის ბრაუზერით
- გაიარეთ რეგისტრაცია
- თქვენი გემოვნების მიხედვით ამოირჩიეთ და გადმოქაჩეთ ნებისმიერი უფასო პროგრამა

დარწმუნდით, რომ თქვენი ტელეფონის პროგრამული უზრუნველყოფა თავსებადია თქვენს მიერ შერჩეულ პროგრამასთან. S40 და S60 პლატფორმიანი Nokia-ს ტელეფონების უმრავლესობა თავსებადია შეზღუდვების გარეშე http://store.ovi.com-ზე განთავსებულ პროგრამებთან.

OVI-ით სარგებლობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მობილური ინტერნეტ ჯავშირი. გაეცანით თქვენი მობილური ოპერატორის ინტერნეტ მომსახურების ტარიფებს.

Copyright Nokia © 2009, and Applications: IceAge3, Star Trek, Labyrinth Lite, The Journey, Handwriting Calculator, Bubbles Touch, Photo Browser, Spin The Bottle Touch, Sensible Sudoku, inneractive_JumpyBug, Fox-Sid and Dino Green,Speedtouch, Watch Lite Touch, Handy Wi, Rotary Dialer Touch, Level Touch, Shazam, Tic-Tac-Toe Touch, Devicescape Easy Wi-Fi, vTap video search, Seismograph Touch, Bright Light Touch, Blackboard Lite Touch, Dancing Queen-Elephant and theirowners. ყველა სერვისი და პროგრამული უზრუნველყოფა დაცულია საერთაშორისო საავტორო უფლებით. Nokia, კომპანიის ჟურნალი საავტორო უფლებებთან მართებულად, იტოვებს დასახელების უფლებას ყველა მომსახურებასთან და პროდუქტთან, ასევე პროგრამულ უზრუნველყოფასთან და კომპანიის საკუთრებაში არსებულ სხვა ობიექტებთან.



Trailer IceAge3
უფასოდ
ყველაზე შთამბეჭდავი და მხიარული მომენტები ფილმიდან დიდი გამყინვარება 3

Fring
უფასოდ
კომფორტული ჩატი და მოხერხებული კავშირი IP-ტელეფონის სერვისებთან

Labyrinth Lite
უფასოდ
სამგანზომილებიანი ლაბირინთი - გამოწვევა თქვენი მოხერხებულობისა და კოორდინაციისათვის



The Journey
უფასოდ
თამაში-დეტექტივი, ჩაქსოვილი ჩოგორცა ვირტუალურ, ისე თქვენს ჩვალურ სამყაროში

Handwriting Calculator
უფასოდ
ხელნაწერი კალკულატორი Nokia სენსორული მონიტორით

Star Trek
უფასოდ
ფერადი ეკრანის ფონი თქვენი ტელეფონისათვის ლეგენდარული ფილმის მოყვარეებზე

Bubbles Touch
უფასოდ
აააფეთქეთ ბუშტულების მშვიდობიანი და მყუდრო სამყარო

Photo Browser
უფასოდ
დაათვალიერეთ ფოტო სურათები მოხერხებული ბრაუზერის საშუალებით

Spin The Bottle Touch
უფასოდ
ულამაზესად პოპულარული თამაშის Spin The Bottle ციფრული-ვერსია

Sensible Sudoku Demo
უფასოდ
ცნობილი მათემატიკური თავსატეხის დემო-ვერსია

SMS preview
უფასოდ
SMS შეტყობინების მარტივი დათვალიერება დაყალბების გარეშე. დაზოგეთ თქვენი დრო

Blackboard Lite Touch
უფასოდ
სასაუბრო დაფა, ცარცი და ღრუბელი ახლა უკვე თქვენს მობილურში

Candle Touch
უფასოდ
სანთელი თქვენს ტელეფონში, ანთია იმდენ ხანს, რამდენსაც ინვრის ნამდვილი სანთელი

Speedtouch
უფასოდ
თამაში სიჩქარესა და სნარაფ ფიქრიანზე, სენსორული ეკრანის მქონე Nokia-ს მფლობელთათვის

Watch Lite Touch
უფასოდ
ელექტრონული საათი, წამის, წუთისა და საათის ისრებით

Handy Wi
უფასოდ
მობილურ ინტერნეტში შესასვლელი Wi-Fi წერტილების მოძებნა-დაკავშირებისათვის ყმელითი პროგრამა

Rotary Dialer
უფასოდ
აკრიფეთ ტელეფონის ნომრები ელასიკური ნომრის ამკრეფი დისკის გამოყენებით

Level Touch
უფასოდ
ვირტუალური თარაზო რემონტის, მშენებლობისა და აღკაზმულობის დროს

Shazam
უფასოდ
გიპოვნიათ მონონებული ფორმოზიციის სახელი და ს

ცასა და მიწას შორის

ავტორი: ანა კორძაია-სამადაშვილი
ფოტო: ვახო ნავერიანი

მე რკინის გული მაქვს და ქვის ნერვები. მე ნანახი მაქვს მრავალი მხარე, მრავალი სასწაული და მრავალი ომი. მე აღარაფერი მენატრება ხოლმე – ახალი მინდა. მხოლოდ ერთია, ერთადერთი, სადაც ძველი სიბრძნე არ ამართლებს: „სადაც ბედნიერი იყავი, აღარ დაბრუნდე“ – თავისუფალ სვანეთში სულ მინდა და რამდენიც შევძლებ, დავბრუნდები, რადგან იქაურებს და იქაურობას არაფერი სჯობს. თუ ჩემი არ გჯერათ, ადით და ნახეთ, თუ არა.

. . .

მომისმინე, მომისმინე, ჩემო ლამაზო, და მე მოგიყვები, რა მიამბო ერთმა პატარა გოგომ, წვრილი მაჯები და ბრჭყვიალა თვალები რომ ჰქონდა. ეს ამბავია, არა ლეგენდა, არა ზღაპარი, ნამდვილზე ნამდვილ ამბავს გიყვები. მოგიყვები და გაგაოცებ, და თუ თან წამომყვები, მთლად გაოცებული დარჩები: იქ შენი თვალით ნახავ, როგორია ყველაზე ლამაზი მხარე – თავისუფალი სვანეთი.

პატარა გოგო კი იმას მომიყვა, რომ დიდი ხნის წინათ სვანეთში მეფე თამარი ასულა. თამარი მზეთუნახავი იყო – ეს ხომ ისედაც ვიცით, მაგრამ იმ ზა-





ფხულს მაინც განსაკუთრებით კარგად გამოიყურებოდაო, ამბობენ: ქალებმა ყვავილებისგან კაბა შეუკერეს, ენგურმა ათასფრად მოციალე პატიოსანი თვლები მიართვა, და მთელი თავისუფალი სვანეთი ხარობდა, რომ ზაფხულის კოშკიდან, ცასა და მიწას შორის გამოკიდებულ უშგულში, მეფე თამარი გასცქეროდა ცხრათავა შხარას.

ცხადია, თამარის მობრძანების ამბავი დევმაც გაიგო და საპატიო სტუმრის მონახულება გადაწყვიტა. დევმა ტყის მარწყვი დაკრიფა – დევისხელა კაცისთვის რთული საქმეა! მერე ბალახზე ააცვა და ასე, ხელდამშვენებული ეწვია თამარს. ეწვია – და სიყვარულისგან თვალთ დაუბნელდა.

– ცოლად გამომყევი, – სთხოვა მეფეს დევმა. – გამომყევი და ყველა სურვილს აგისრულებ. ენგურის ოქროს კოშკს აგიშენებ, გვირგვინად შხარას დაგადგამ, მხოლოდ ერთსა გთხოვ: ჩემთან იყავი, მშვენიერო თამარ!

არადა, საბრალო დევი ხომ ულამაზოა: ჟღალი თმით დაფარული, პატარა რქებით, ამბობენ, კბილებიც ოკრობოკრო აქვსო... დაიწუნა მეფემ ასეთი საქმრო, უთხრა, არაო.

დევი არ შეეპუა, მან ხომ იცოდა, როგორ უნდა მოეგო ქალის გული: ჩრდილივით დასდევდა, ქათინაურებს ეუბნებოდა... თამარს მხოლოდ ეცინებოდა, უშგულელები კი გაბრაზდნენ: ქალი სტუმრად გვეწვია, ეს კი რამდენს ბედავსო! დევს კაცები მიუგზავნეს და შეუთვალეს, კმარა ახლა, შენს გზაზე წადი, შენი თავხედობა როდემდე ავიტანოთ, აი, თამარიც შეწუხდა, ეს რა უტიფარი დევი ყოფილაო.

რას იზამდა დევი, თავი ჩაქინდრა და ენგურს დაუყვა. საყვარელ ქალზე ხომ ვერ გაბრაზდებოდა, არადა, ბრაზობდა, და გადაწყვიტა, ყველაფერი ამ საძაგელი უშგულელების ბრალია, მაგათ ვუჩვენებ სეირსო.

და დევმა ხეობაში კედლის შენება დაიწყო, ენგური უნდა ჩაეხერგა, რომ წყალი ზემოთ-ზემოთ წასულიყო და მთლიანად დაეტბორა მისი დამჩაგვრელი უშგულელები. დევი ძალიან სწრაფად მუშაობდა და სულ მალე ისეთი მტკიცე კედელი ააგო, რომ მედგარი ენგურიც კი შეჩერდა და დაიტბორა.

უშგულელები შეწუხებულან – არ იყო კარგი ამბავი. ისინი შხარასკენ დაიძრნენ და დალის მიაკითხეს, ნადირობის ქალღმერთს. დალიმ თავის საყვარელ ხალხს უთხრა, ეს საქმე მე მომანდეთო, გადადგა სერზე და ქვევით, კალაში, კვირიკე წმინდას გასძახა, ხომ ხედავ, რა ხდება, ამ ხალხს უნდა დავეხმაროთო.

და აი, კალადან ხეობაში კვირიკე წმინდას ოქროს ერკემალი დაიძრა, ზემოდან დალიმ ჩააგზავნა თავისი ოქროსრქიანი ჯიხვი. აქედან ერკემალმა ჰკრა, იქიდან – ჯიხვმა, ისე მიასკდნენ კედელს, რომ ერთბაშად გაანგრიეს, და თავისუფალი სვანეთიც გადარჩა.

კიდევ კარგი, რომ გადარჩა, თორემ სადღა წავიდოდი, ან სად მომინდებოდა წასვლა...

. . .

ახლა სვანეთი სულ სხვანაირია, ის არაა, თამარმა რაც ნახა. ახლა იქ სამი ფერია მხოლოდ – თეთრი, შავი და ლურჯი. ენგურს სცივა, მოკუნტულია, კარგი კაცივით ჟღურტულებს რაღაცას, დათოვლილ ნაპირებს შორის ისე თვინიერად მოიკლაკნება, თითქოს ხიდები არასოდეს მოეგლიჯოს, ლოდები არ ეგორებინოს, შიშის ზარი არ დაეცეს მოგზაურისთვის. ახლა ცივა, ცივა, და დიდი სიჩუმეა, თუ კარგად მიაყურადებ, გაიგონებ, თოვლის ფთილები როგორ ცვივა.

ჩემო ღმერთო, რა კარგია სვანეთში ზამთარი!

მთელი ოჯახი ერთ ოთახშია გადაბარგებული, სადაც რკინის ღუმელი გიზგიზებს, ზედ დალაგებულ ხაჭაპურში ყველი დუღს, მერე კი ვინმე მოვა და გეტყვის: წამოდი. და გარეთ ღამეა, ღამე ბრჭყვიალებს, და მუხლამდე თოვლში ბილიკია გაკვალული, სახლიდან კოშკამდე. კოშკში მხურვალეზე მხურვალე ცეცხლი ანთია, წითელი ათინათი მოჭრიალე ყინვაში, და ისმის – ბიდო მუშაობს, რაღაცას ჭედავს, და მერე წითელ, გავარვარებულ ლურსმანს თოვლზე აგდებს, და ისმის შიშხინი და ბიდო იღიმება, უნაკლო კბილებს აჩენს: „ეს – შენ!“

რაც არ უნდა მითხრან, რაც არ უნდა მოხდეს – მაინც წავალ. კმარა, რაც ზამთრები გამოვტოვე. წავალ და წვირმიდან დავეშვები სახლში, სადაც ყველა და ყველაფერი მელის, ბებერი პანტა და ძაღლი ჟულიკაც კი. და იქნება კრიალა ცა და სავსე მთვარე, და თეთნულდის შემყურეს მეგონება, რომ ისევ მესიზმრება, და ყველაფერი რძეგადასხმულივით იქნება, ქათქათა, უნაკლო და მშვენიერი. და მეც ვინატრებ: ნეტა, ვინმე მხედავდეს, ნახავდა, რა ლამაზი ვარ, ამ ცას და დედამიწას შორის გამოკიდებული საოცარ მხარეში, რომელსაც ოფიციალურად თავისუფალი სვანეთი ჰქვია, მე კი, სულო ცოდვილო, სამოთხე მგონია.

Georgia
www.georgia.travel

გერმანიის ჰუმანიტარული დღეები საქართველოში

გერმანიის საელჩო საქართველოში და
საქართველოს გოეთეს ინსტიტუტი წარმოგიდგენენ:
თანამედროვე გერმანულ ხელოვნებას, ლიტერატურას, თეატრს,
გამოფენებს, კინოს და საფორტეპიანო მარათონს.
პროგრამა იკითხეთ გოეთეს ინსტიტუტში:
ტ. 93 89 45

1-6.12.2009
MADE IN GERMANY / გერმანული ფილმების ჰიტების ათეული თბილისის მე-10 საერთაშორისო კინოფესტივალზე:

იერიხო, რეჟ: ქრისტიან პეტცოლდ
ზამთარში ერთი წელი გახდება, რეჟ: კაროლინე ლინკ
ვისკი არყით, რეჟ: ანდრეას დრეზენ
ჯონ რაბე, რეჟ: ფლორიან გალენბერგერ
კრაბატ, მარკო კროიცპაინტნერ
ცისარტყელას შემქმნელი, რეჟ: ნანა ჯორჯაძე
ბერლინში, რეჟ: მიხაელ ბალჰაუზ, ცირო კაპელარი (დოკუმეტური ფილმი)

კინოთეატრები „ამირანი“ და „რუსთაველი“

12.12.2009, 18 - 22 საათი
საფორტეპიანო მარათონი
ჯონსერტის სამხატვრო ხელმძღვანელი: შტეფენ შლაიერმახერ

მონაწილეობენ:
შტეფენ შლაიერმახერ (გერმანია)
ანი ტაკიძე (საქართველო)
არეგ სარგისიან (სომხეთი)
გრაუ - შუმახერის საფორტეპიანო დუეტი (გერმანია)
ინა ჭარუაშვილი (საქართველო)

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო
კონსერვატორიის დიდი დარბაზი

ჩადრით დაფარული საფრთხე

რას ნიშნავს საპროტესტო მოძრაობა ირანელი ქალებისთვის

სტატია პირველად გამოქვეყნდა ჟურნალში „ნიუ-იორკერი“, 5 ოქტომბერი, 2009

ავტორი: ზეევ ბოროუ
ინგლისურიდან თარგმნა დავით ახალაძემ

მაჰმუდ აჰმადინეჟადის მიერ საპრეზიდენტო ფიცის დადებიდან ორი დღის, ხოლო 12 ივნისის არჩევნების შედეგების საწინააღმდეგო გამოსვლათა დაწყებიდან ორი თვის შემდეგ თეირანის ერთ-ერთ სახლში მოვხვდი შეკრებაზე. მეგონა, ამ თავყრილობაზე ჩემ მხატვარ მეგობარს, ნეგინსაც ვნახავდი, მაგრამ ოჯახის დიასახლისმა მითხრა, – ინაუგურაციის დღეს სასტიკად სცემეს და ახლა სახლშიაო. ბუნებრივია, სასწრაფოდ მომინდა ნეგინთან დაკავშირება, მაგრამ თავი შევიკავე – ჟურნალისტური საქმიანობა აკრძალული მქონდა და ვეჭვობდი, რომ ჩემი სატელეფონო საუბრები ისმინებოდა. მაგრამ მეორე დღეს შემთხვევით ნეგინის სახლის სიახლოვეს მოვხვდი და იქვე მდებარე საპარიკმახეროდან დავურეკე. ზარზე თვითონ მიპასუხა და ვუთხარი, რომ მისი ნახვა მინდოდა.

როცა ირანის პროდემოკრატიული მოძრაობის აქტიურ წევრებზე ვფიქრობ, პირველ რიგში ქალები მახსენდება. იმიტომ კი არა, რომ ამ მოძრაობაში ქალები დომინირებდნენ, ან ქალების მიერ იმართებოდა და არც იმიტომ, რომ სნაიპერის მიერ 20 ივნისს მოკლული ნედა აღა-სოლთანის დაღუპვა უფრო ტრაგიკული ან მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ძალადობის მეორე მსხვერპლის, ირანელი მამაკაცის, სოჰრაბ არაბის მკვლელობა. მაგრამ თუ ფოტოებს გადახედავთ, უმალ თვალში გეცემათ ის ფაქტი, რომ ქალები 1906 წლის კონსტიტუციური რევოლუციის ამსახველ სურათებზე საერთოდ არ ჩანან, 1979 წლის ისლამური რევოლუციისაზე – ცოტანი არიან, გასული ზაფხულის დემონსტრაციებში კი უმრავლესობას წარმოადგენენ.

ირანელ ქალთა უფლებებისთვის ბრძოლის ისტორია სათავეს მეოცე საუკუნის დასაწყისში იღებს. სწორედ მაშინ ჩამოყალიბდა ქვეყანაში ქალთა ნაციონალური მოძრაობა. ოცდაათიან წლებში რეზა შაჰმა, რომელსაც თანამედროვე, სეკულარული სახელმწიფოს ჩამოყალიბება სურდა, ტრადიციული ჩადრების ტარება აკრძალა, და ქალებს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის უფლება მისცა. მისი შვილის მმართველობის დროს სუსტი სქესის წარმომადგენლებს საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის საშუალება მიეცათ. მაგრამ 1979 წლის რევოლუციის შემდეგ ახალმა ხელისუფლებამ ქალთათვის მინიჭებული მრავალი უფლება გააუქმა და კვლავ ტანსაცმელთან დაკავშირებული მკაცრი ვალდებულებები დააწესა. დღეს ისლამური რესპუბლიკის გენდერული კანონები მსოფლიოში ერთი უმკაცრესთაგანია. ისინი ლახავს ქალთა უფლებებს ქორწინებასთან, გაყრასთან, ბავშვის აღზრდასა და მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ საკითხებში. კაცებისთვის ნებადართულია პოლიგამია და ერთი მამაკაცის ჩვენებას ორი ქალის ჩვენების წონა აქვს. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ ირანში სასჯელს ძალიან ცოტა სექსუალური მოძალადე იხდის. ამ ფონზე ნეგინის მსგავსი განათლებული და კოსმოპოლიტი ადამიანები (რომლებსაც 1979 წლის რევოლუციამდელი ცხოვრებაც კარგად ახსოვთ) ერთობ უჩვეულო მდგომარეობაში იმყოფებიან. ისინი

პიროვნებებად ბევრად უფრო ლიბერალურ, თუმცა არცთუ მეტად თავისუფალ საზოგადოებაში ჩამოყალიბდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ირანელ ქალებს, რეგიონის ქვეყნების სტანდარტებით, ბრწყინვალე განათლება აქვთ მიღებული, მათი პროფესიული პერსპექტივები ხშირად უაღრესად შეზღუდულია.

როცა გასულ ზაფხულს დამარცხებული კანდიდატების – მირ-ჰოსეინ მუსავისა და მეჰდი ქარუბის ნომინალური ხელმძღვანელობით საპროტესტო ტალღა აგორდა, რელიგიური დესპოტიზმის წინააღმდეგ გამოთქმულ პროტესტს ირანელ ქალთა უფლებებისა და ღირსების შელახვის საწინააღმდეგო პროტესტიც შეუერთდა.

მე უამრავ ქალს ვიცნობ, რომლებიც არჩევნებამდე პოლიტიკური აქტიურობით არ გამოირჩეოდნენ, მაგრამ მერე არც ერთი დემონსტრაცია არ გამოუტოვებიათ. ქალბატონი, რომელმაც ნეგინის ცემის ამბავი მაცნობა, ძალიან მორცხვი და კანონმორჩილი პიროვნებაა, რომელიც დღენიადაგ თავის მოზარდ ვაჟიშვილს დაჰფოფინებს (ეს ყმაწვილი ისე ყოფილა განებივრებული, რომ ხუმრობენ, – ჭიანი ვაშლი ჯერ თვალითაც არ უნახავსო). მიუხედავად ამისა, ეს თავგადაკლული დედა ზაფხულის განმავლობაში კვირაში ერთი-ორჯერ მაინც გამოდიოდა სახლიდან პროტესტის გამოსახატად. მას შემდეგაც კი, რაც ხელისუფლებამ ძალა იხმარა და დემონსტრაციების ნერვულმა დაძაბულობამ პიკს მიაღწია, იგი და მისი მსგავსი ადამიანები, შიშის მიუხედავად, ფეხმოუცვლელად იდგნენ მომიტინგეთა შორის და მტკიცედ გამოხატავდნენ თავიანთ სიძულვილს არსებული რეჟიმის მიმართ.

კარი ნეგინმა გამიღო (ჩემ მიერ ნახსენებ ადამიანთა სახელები, გასაგები მიზეზების გამო, შეცვლილია). მას ორმოცდაათ წლამდე აღარაფერი უკლია, მაგრამ ისევ ყმაწვილქალური იერითა და აღნაგობით გამოირჩევა, თუმცა ახლა ჩემი მეგობრის დანახვამ თავზარი დამცა – ცალი ლოყა ჩალურჯებული ჰქონდა, ღაწვთან კანი გადაგლეჯოდა და გვარიანად კოჭლობდა. ნეგინს გაეცინა და მითხრა, – ჩემ დანახვაზე ყველას გული უსკდებაო. იგი მეხუთე სართულზე, თავის საკუთარ პატარა ბინაში ცხოვრობს, რაც საკმაოდ უჩვეულოდ გამოიყურება ქვეყანაში, სადაც ითვლება, რომ ქალები მამისეულ სახლს მხოლოდ გათხოვების შემდეგ უნდა ტოვებდნენ. ნეგინი ცენტრალური ირანის ერთ პროვინციულ ქალაქში, ტრადიციულ ოჯახში დაიბადა. დედამისი ისლამური რესპუბლიკისა და მისი ლიდერის, აიათოლა ალი ხამენეის თავგადაკლული მომხრეა. მამამისის ძმა კი სულაც რევოლუციის გუშაგთა კორპუსში ირიცხება. ბიძამისის ნახვისას ნეგინს ყოველთვის ისეთი განცდა უჩნდება, რომ ამ სასიამოვნო გარეგნობის, თავაზიან კაცს ხელები სისხლით აქვს მოსვრილი. ნეგინის ბიძას ორი ვაჟი ჰყავს და ორივე სამთავრობო მილიციაში – ბასიჯში – მსახურობს. ამიტომაც იგი სულ ელოდა, რომ დემონსტრაციების დარბევისას ბასიჯელთა რიგებში საკუთარ ბიძაშვილებს გადააწყდებოდა.

ჩემი მასპინძლის ბინა, რომელიც ყველაფერთან ერთად მისი სახელოსნოს ფუნქციასაც ასრულებს, კოხტა და მოვლილია. აივანზე ქოთნის მცენარეები ალაგია, სასტუმრო ოთახში კი მხატვრული ტილოები კიდია. ნეგინი ბრწყინვალე მხატვარია. მას ფერის შესანიშნავი შეგრძნება აქვს და მეტი ამბიციების პატრონი რომ ყოფილიყო, შესაძლოა, სახელ-დიდებაც მოეხვეჭა. მაგრამ, სამწუხაროდ, ნეგინი მყიდველთა და კრიტიკოსთა მოთხოვნაზე წინ საკუთარ გემოვნებას აყენებს. ამიტომაც იგი მხოლოდ საშუალოდ ცნობილი მხატვარია და თავის შემოქმედებით საქმიანობას, პარალელურად, სკოლის ადმინისტრატორობასაც უთავსებს. ჩვენ სამხატვრო ლიტერატურითა და ალბომებით გადატენილი

თაროების სიახლოვეს დავსხედით, მასპინძელი ნესვით გამიმასპინძლდა და თავისი ამბის თხრობას შეუდგა.

ხუთი აგვისტოს დემონსტრაციაზე ნეგინი მარტო წავიდა. მანამდე იგი საპროტესტო აქციებს მეგობრებთან ერთად ესწრებოდა ხოლმე. მსგავს ვითარებებში მარტოხელა ქალი ძალიან დაუცველია, ამიტომ ნეგინმა გადაწყვიტა, დემონსტრანტებს მანქანით გაჰყოლოდა და ხმოვანი სიგნალით გამოეხატა მათთვის მხარდაჭერა (ამ დროს პოლიციას ან ბასიჯს რომ შეემჩნიეთ, მანქანის ნომერს ჩაიწერდნენ და შეიძლებოდა მოგვიანებით დაეპატიმრებინეთ კიდეც, უკეთეს შემთხვევაში, საქარე მინას მაინც ჩაგიმსხვრევდნენ). მოგვიანებით ნეგინმა შენიშნა ხალხის რამდენიმე დიდი ჯგუფი, რომლებიც წრეზე დადიოდნენ და ლოზუნგებს გაჰყვიროდნენ. პოლიცია შორიახლოს იდგა, მაგრამ ვითარება საკმაოდ მშვიდი ჩანდა. ამან ქალს მხნეობა შემატა, მანქანიდან გადმოვიდა და ერთ-ერთ ჯგუფს შეუერთდა.

„ჩვენ ქუჩას აღმა-დაღმა დავუყვებოდით და ლოზუნგებს გავიძახოდით, – მიამბობდა ნეგინი, – უეცრად პოლიცია ჩვენკენ დაიძრა, ყველამ თავს უშველა, მაგრამ მე რაღაცამ შემბოჭა და ადგილიდან ფეხი ვერ მოვიცვალე. უბრალოდ, ვიდექი ასე, სულელივით. პოლიცია სულ უფრო და უფრო გვიახლოვდებოდა. მე კი მარტო დავრჩი ამ ცოცხალი კედლის პირისპირ და იმედი მქონდა, რომ პოლიციელები გვერდით ჩამივლიდნენ“, – ნეგინს გაეღიმა და თავი გაიქნია.

„გვერდით კი ჩამიარეს, მაგრამ ცემა არ დაუკლიათ. ერთბაშად დამესივნენ და ხელკეტები დამიშინეს – ფეხებზე, ზურგზე... ყველგან. ერთმა მათგანმა მომატრიალა და სახეში დამარტყა. შეშლილივით მიყვიროდა. ახალგაზრდა კაცი იყო და მახსოვს, გამიკვირდა, დედისტოლა ქალს ასე რომ მიმეტებდა – ალბათ გიჟი იყო. ხელი ვკარი და დავუყვირე, რატომ მცემ-მეთქი. პასუხად მან ერთი-ორი კიდევ მითავაზა და გამეცალა. მე კი ფეხზე სისველე ვიგრძენი; დავიხედე და დავინახე, რომ სულ დასისხლიანებული ვიყავი“.

ნეგინმა შემთხვევით გამვლელ მოტოციკლისტს წაყვანა სთხოვა. მოტოციკლისტმა იგი გვერდით ქუჩაზე მიიყვანა, სადაც დემონსტრანტები პოლიციას ემალებოდნენ. იქ ერთმა კაცმა მას ფეხი შეუხვია. ნეგინმა თავის ფარმაცევტ დას დაურეკა, რომელიც დაუყოვნებლივ მივიდა და იქაურობას მოაშორა. დამ ნეგინი თავის ნაცნობ ექიმთან წაიყვანა, რადგან ყველამ კარგად იცოდა, რომ უშიშროების სამსახურს საავადმყოფოებში თავიანთი ოფიცრები ჰყავდა და დაუყოვნებლივ აპატიმრებდა ყველას, ვისაც ხელკეტით მიყენებულ დაზიანებებს შეამჩნევდა.

ექიმმა გულდასმით გასინჯა ნეგინი, მისცა ტკივილგამაყუჩებელი და უთხრა, რომ ფეხი მოტეხილი არ ჰქონდა. ამ დროს იმავე ქუჩაზეც გამოჩნდა დემონსტრანტთა ჯგუფი. ვითარება კვლავ დაიძაბა და სანამ ყველაფერი არ ჩაწყნარდა, ნეგინსა და მის დას ექიმის კაბინეტში მოუწიათ მოცდა. „საბედნიეროდ, კარგ ხასიათზე ვიყავი, – განაგრძო ჩემმა მასპინძელმა, – ალბათ ტკივილგამაყუჩებელმა იმოქმედა. ყველას ვაცინებდი. ექიმის ასისტენტმა ლოყაზე ხალი შემამჩნია და მის შესახებ რაღაც თქვა. მე კი ავიჩემე, მანდ ხალი ჩემ დღეში არ მქონია, ალბათ პოლიციელებმა ხელკეტებით დამახატეს-მეთქი“.

საღამოს დამ ნეგინი სახლში მიიყვანა და საწოლში ჩააწვინა. ექიმმა დაუბარა, ფეხი რამდენიმე დღე აწეული ჰქონოდა და ინფექციის შეჭრის შემთხვევაში დაუყოვნებლივ საავადმყოფოსთვის მიემართა. იმ ღამით ნეგინმა სიცოცხლეში პირველად დალია ძილისმომგვრელი წამალი, რადგან თვალის ყოველ მოხუჭვაზე ის ახალგაზრდა პოლიციელი ელანდებოდა.

ნეგინმა თხრობა შეწყვიტა და ჩაი და

კარამელი მომართვა. კარგად მახსოვს, რა მითხრა მან ჩვენი უკანასკნელი შეხვედრისას. ეს საუბარი 20 ივნისს, მკვლელობებისა და მასობრივი დაპატიმრებებიდან სულ ცოტა ხნის შემდეგ შედგა. იმხანად ნეგინი, მრავალი სხვა თეირანელის მსგავსად, შოკურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მან მიამბო, როგორ მოყვნენ ის და მისი მეგობარი ცრემლსადენი გაზის ბურუსში, სროლასა და ცემა-ტყეპაში; როგორ უშველეს თავს მეზობელ წყნარ ქუჩაზე, როგორ ისხდნენ დაქანცულები ტროტუარზე და როგორ ტიროდნენ გულამოსკვნით. ქუჩის მეორე მხარეს ბასიჯელთა ჯგუფი იდგა. მათ მუზარადები მოეხსნათ და ხელკეტები ძირს დაეწყოთ. ისინიც დაქანცულები ჩანდნენ, მაგრამ ნეგინისგან განსხვავებით, კი არ ტიროდნენ – იცინოდნენ და გზისპირა ჯიხურში ნაყიდ შარბათს მიირთმევდნენ. ნეგინმა შეხედა ამ ბიჭების ოფლიან და კმაყოფილ სახეებს და კიდევ უფრო მწარედ აქვითინდა. „როგორც ქალი, – მითხრა მან თითქოსდა მობოდიშებით, – იმ დასკვნამდე მივედი, რომ კაცების მოდგმა და ძალმომრეობა განუყოფელია“.

ნეგინი თითქმის მთელი ცხოვრების მანძილზე ხედავდა ძალადობას. მონარქიის დამხობის პერიოდში ასობით ადამიანი (შესაძლოა, მეტიც კი) დახოცეს. ახალმა რევოლუციურმა მთავრობამ სიკვდილით დასაჯა შაჰის მთავრობის წევრები და მათი გვამების ფოტოები გამოაქვეყნა. ირან-ერაყის ომმა, რომელმაც რვა წლის განმავლობაში მეოთხედი მილიონი ირანელის სიცოცხლე შეიწირა და რომლის მძიმე შედეგებსაც კიდევ მრავალი თაობა შეიგრძნობს, მოწამეობა ქვეყნის ოფიციალური იდეოლოგიის არსად აქცია. ირანში მკვლელებსა და ნარკოდილერებს დღესაც საჯაროდ ჰკიდებენ სახრჩობელაზე. მძღოლებს შორის დავა ძალაყინების საშუალებით გვარდება. პარასკევის ლოცვაზე ბავშვები მშობლებთან ერთად გაჰყვირიან მეჩეთებში – „სიკვდილი ამერიკას!“ ჰუმანისტური ირანული ლიტერატურისა და ხელოვნების გვერდით არსებობს სხვა – მკვლელობისა და უხამსობის კულტურა.

მოზარდობის ასაკში ნეგინი 1979 წლის რევოლუციამდელ დემონსტრაციებში მონაწილეობდა და კარგად ახსოვს, როგორ ეძახდა შაჰის პოლიცია მასა და სხვა გოგოებს „კახპებს“, რომ ამგვარად ქუჩაში გამოსვლაზე უარი ეთქმევინებინა. შემდეგ სხვადასხვა რევოლუციური მიმდინარეობა ემიგრაციაში მყოფი აიათოლა ხომეინის დროშის ქვეშ გაერთიანდა და ნეგინმაც უეცრად იწვნია რადიკალური იდეოლოგიის სიმძიმე. „თავიდან გვეუბნებოდნენ, უმრავლესობის რელიგიურ გრძნობათა პატივსაცემად, თავსაფრები გვეტარებინა და ჩვენც სიხარულით ვთანხმდებოდით ყველაფერს, რაც შაჰისგან გაგვათავისუფლებდა, – მითხრა მან. – „რევოლუციის შემდეგ მაკიაჟის გაკეთება აგვიკრძალეს და არც ამაზე აღშფოთებულა ვინმე, რადგან ფერუმარილი ბურჟუაზიული მანერულობის გადმონაშთად მიგვაჩნდა. ბოლოს კი გვითხრეს, თქვენი დიდი ხათრი გვაქვს, მაგრამ ჰიჯაბად მარტო თავსაფარი არ გამოდგებაო“. ახლა ნეგინი სამსახურში თავსაფრითა და შავი დახურული მოსასხამით – მაყნათი – დადის.

გასული ზაფხულის აქციების დროს ბასიჯელები ქალების მიმართ განსაკუთრებულ აგრესიას ამჟღავნებდნენ და მათ სექსუალური ძალადობითაც კი ემუქრებოდნენ. მრავალი ირანელისთვის (განსაკუთრებით უფროსი თაობის წარმომადგენელთათვის) ამგვარი ქცევა არსებული რეჟიმის სრულ მორალურ გადაგვარებას მოწმობს, რადგან ქვეყანაში დამკვიდრებული ქცევის ნორმების მიხედვით, ერთ სივრცეში თავმოყრილი ქალები და კაცები განცალკევებით უნდა იდგნენ, ხოლო თუ ასეთი გამიჯვნა შეუძლებელია, ერთმანეთთან განსაკუთრებული თავდა-

ჭერილობითა და თავაზიანობით უნდა იურთიერთონ. „დემონსტრაციების დასარბევად გაგზავნილ ადამიანებს შთააგონეს, რომ ისინი ღვთის მეომრები არიან, – მითხრა ნეგინმა, – მათ ტვინები ისე გამოურეცხეს, რომ ნორმალური ქცევის სტანდარტები მათთვის მიუღებელია“.

ცოტა ხნის წინ მეჰდი ქარუბიმ აღშფოთება გამოთქვა ერთ-ერთ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ წერილში, რომლითაც მან ყოფილ პრეზიდენტ ალი აქბარ ჰაშემი რაფსანჯანისა და თავის უშუალო მეტოქეს, აჰმადინეჟადს მიმართა. ქარუბი წერდა, რომ იგი უტყუარ ინფორმაციას ფლობს ბოლოდროინდელი მღელვარებების დროს დაკავებული ადამიანების წამების შესახებ. მისი თქმით, საპყრობილეებში მამაკაცებს ხელკეტებით აუპატიურებდნენ, ხოლო ქალებს ძალადობის შედეგად მძიმედ აქვთ დაზიანებული სასქესო ორგანოები. წერილი მოჰყვა მუსავის, ქარუბისა და ყოფილი პრეზიდენტის, მუჰამედ ხათამის, რამდენიმე მაღალჩინოსანი მხარდამჭერის საჩვენებელ სასამართლო პროცესს და მისი მართებულობა ბრალდებულთა უმძიმესმა ფიზიკურმა მდგომარეობამაც დაადასტურა. დაკავებულთა წამების შესახებ ეჭვები მოგვიანებით კიდევ უფრო განამტკიცა ერთ-ერთი მსჯავდებულის ქალიშვილმაც, რომელმაც განაცხადა, რომ ციხეში მამამისს უსასტიკესად ეპყრობოდნენ. მოკლედ, ამ სასამართლო სპექტაკლმა არსებული რეჟიმის მიმართ შიში და ზიზღი საგრძნობლად გააძლიერა.

ქარუბის წერილს ხელისუფლების კრიტიკა მოჰყვა. ამის საპასუხოდ ქარუბიმ გაუპატიურების მსხვერპლი მამაკაცის წერილობითი ჩვენება გამოაქვეყნა. ჩვენება უშუალოდ ძალადობის აქტის დეტალებს კი არა, მათს შედეგებს შეეხებოდა. ხსენებული პიროვნება გაათავისუფლეს და გამოიძახეს დაკითხვაზე, სადაც სასამართლოს ჩინოვნიკებმა აბუჩად აიგდეს იგი და საკუთარი თავისა და ოჯახის შერცხვენაში დაადანაშაულეს. მათ ისიც კი ჰკითხეს, განიცადა თუ არა მასზე მოძალადემ ორგაზმი. „ეს კითხვა ჩემი სულიერი და მორალური განადგურებისთვის იყო გამიზნული“, – განახადა მოგვიანებით გაუპატიურების მსხვერპლმა.

მრავალი ირანელისთვის, არჩევნების გაყალბების ეჭვებზე მეტად, სწორედ აღნიშნულმა საჩვენებელმა პროცესმა და ტერორმა ახადა ხელისუფლებას ღვთისმოსაობის ის საბურველი, რომელსაც ისლამური რესპუბლიკა ოცდაათი წლის განმავლობაში ატარებდა. მორალური ავტორიტეტის დაცემის გამო, მთავრობამ თავისი ძალაუფლების ძირითად დასაყრდენად ძალადობა აირჩია. ძალადობაში მარჯვე კი მხოლოდ რევოლუციის გუშაგთა კორპუსი და ბასიჯი როდია. ზაფხულის არეულობებს რამდენიმე ბასიჯელი შეეწირა. საპროტესტო აქციების დასაწყისში კი ქალთა ერთი ჯგუფისგან მოვისმინე, როგორ გადმოყარეს თეირანის ჩრდილოეთ გარეუბანში რამდენიმე ბასიჯელი მოტოციკლებიდან და როგორ გადაარჩინა ისინი ლინჩის წესით გასამართლებას დროულად მოსულმა დამხმარე ძალამ.

ნეგინის ცემამდე რამდენიმე კვირით ადრე ერთ წვეულებაზე მოვხვდი. სტუმრების უმეტესობა ბიზნესსა და ხელოვნებაში მოღვაწე განათლებული და კულტურული ადამიანები იყვნენ. ჩვენ რომ ერთმანეთს საპროტესტო აქციებამდე შევხვედროდით, საღამოს განმავლობაში, უსათუოდ, კინემატოგრაფზე, ლიტერატურასა და მოგზაურობებზე ვილაპარაკებდით. მაგრამ იმ საღამოს მაღალინტელექტუალური საუბარი ვინ გვაცალა. გარედან საშინელი ხმაური შემოდიოდა: საცხოვრებელი კორპუსების სახურავებზე ხალხი შეგროვილიყო და „ალაჰუ აქბარს“ გაიძახოდა (ეს რევოლუციისდროინდელი შეძახილი ახლა ოპოზიციამ აიტა-

ცა). ყველა დარწმუნებული იყო, რომ გისოსებს მიღმა ათასობით ადამიანი მოხვდა. ზოგ მათგანს ჩვენც ვიცნობდით.

ყველანი შეშინებულები ვიყავით, მაგრამ მაინც არ ვკარგავდით იმედს, რომ აქციები აჰმადინეჟადს გადადგომას აიძულებდა. საღამოს განმავლობაში ჩვენ ბევრი კონტრაბანდული სასმელი დავლიეთ და მთავრობის არც ერთი ჩინოვნიკი არ დაგვიტოვებია გაუქილიკებელი. ერთმა ქალბატონმა, გამომცემლობის მფლობელმა, საკუთარი თვალით ნანახი „უწმაწური, მაგრამ ნამდვილი ისტორია“ გვიამბო: რამდენიმე დღის წინ დემონსტრაციაზე ადამიანთა ერთ ჯგუფს ბასიჯელები ხელკეტებით დაესხნენ თავს და ერთ ახალგაზრდას შუბლი გაუხეთქეს. მაგრამ თავდამსხმელებმა ხალხის რაოდენობა სათანადოდ ვერ შეაფასეს და მალე უკან დახევა მოუწიათ.

„როცა გარბოდნენ, – განაგრძო ჩვენმა მთხრობელმა – ერთ-ერთ ბასიჯელს დაუვარდა რაცია, საიდანაც ვიღაცის აღელვებული ხმა ისმოდა: „ისარ, ისარ, გესმის ჩემი?“ თავგატეხილმა ახალგაზრდამ გადამცემი ტუჩებთან მიიტანა და ჩასძახა: „მისმინე, ძმაო, ისარას დედასაც შ...ცი და მაგის ცოლ-შვილსაც. ახლა დედაშენის ჯერია შენი დედა“.....

სტუმრები ახარხარდნენ. მათ ისევე ეჯავრებოდათ ბასიჯი, როგორც ბასიჯელებს ისინი. მოგვიანებით, როცა წვეულება დამთავრდა, ამ ქალბატონმა ყველას კევები ჩამოგვირიგა, – ვინიცობაა გზაში ვინმემ გაგაჩეროთ, ალკოჰოლის სუნი არ იგრძნოსო.

ერთი-ორი დღის შემდეგ ჩემ კიდევ ერთ ნაცნობს, შაჰრზადს ვესტუმრე. იგი ვაჟიშვილთან, ქავესთან ერთად თავისი გარდაცვლილი ქმრის ძველებურ, წიგნებით გადატენილ, უზარმაზარ ბინაში ცხოვრობს. ახალგაზრდობაში შაჰრზადი სილამაზით განთქმული ქალი იყო. ახლა იგი ორმოცდაათსაა გადაცილებული და ხმა ისე აქვს ჩახლეჩილი, რომ სიცილისას, რაღაც უცნაურ, ხორხისმიერ ბგერებს გამოსცემს. არნახული სიცხე იდგა. მასპინძელმა ძველი და დანჯღრეული კონდიციონერის სიახლოვეს დამსვა და ალუბლის შარბათი მომართვა. „ეს ერთადერთი ადგილია მთელ სახლში, სადაც კიდევ შეიძლება გაძლება“, – მითხრა მან.

შაჰრზადი მთარგმნელია. მან მითხრა, რომ არჩევნების შემდეგ საქმეს გულს ვეღარ უდებდა და მთლიანად საპროტესტო მოძრაობაში იყო გადართული. იმ დღეებში, როცა დემონსტრაციები არ იმართებოდა, იგი დილიდან საღამომდე ოპოზიციის ვებგვერდებს ათვალიერებდა. ამისათვის შაჰრზადი სპეციალურ, გაფილტვრის საწინააღმდეგო პროგრამულ უზრუნველყოფას იყენებდა, რადგან მთავრობას სპარსულენოვანი ინტერნეტ-გვერდების უმრავლესობა დაბლოკილი ჰქონდა. გარდა ამისა, იგი ელექტრონული ფოსტის გაგზავნის წინ „გამგზავნის ვინაობის წაშლის“ ფუნქციას იყენებდა, რადგან ყველამ კარგად იცოდა, რომ ხელისუფლება ხალხის მიმოწერას თვალყურს ადევნებდა.

შაჰრზადმა მითხრა, რომ მისი ორი ქალიშვილი საზღვარგარეთ სწავლობს და მათი აქ არყოფნა მისთვის დიდი შეღავათია. „ისინი რომ ახლა თეირანში იყვნენ, მოვლენების ეპიცენტრში იქნებოდნენ და გულიც გამისკდებოდა“, – თქვა მან. შაჰრზადს დემონსტრაციებზე ქავე დაჰყვებოდა. ჩვენი საუბრისას ისიც მოვიდა, თან მეგობარი გოგონა ახლდა. ქავე ლამაზი აღნაგობის, ახალგაზრდა წარმოსადეგი კაცია. ისინი მომავალი დემონსტრაციის თარიღისა და ახლად დაკავებულთა ვინაობის გასაგებად უმალ კომპიუტერს მიუსხდნენ. „მეშინია არ დააპატიმრონ, – მითხრა შაჰრზადმა – მაგრამ უფრო მეტად იმის წარმოდგენა მზარავს, რა შეიძლება ციხეში უქნან“.

>>> **გაგრძელება გვ. 104**

მაგდა გურული, პარიზის მეტრო, 2008

„ჩვენში ისედაც ბევრი დევს ეს თვითგანადგურების ინსტინქტი, მაგრამ ამაში ველარ ვხედავ ვერანაირ დადებით ენერგიას. მინდა ვიყო ჯანმრთელი, მინდა ვიყო ლამაზი, მინდა ვიყო ჭკვიანი, მინდა ვიყო გარემოსთან ჰარმონიაში – ეს მოდა კი არ არის, ასეთი დღის წესრიგია“.

ახალი დღის წესრიგი

საუბარი მაგდა გურულთან

ავტორი: შორენა შავერდაშვილი
ფოტო: გურამ წიბახაშვილი, მაგდა გურულის არქივი

„მე მესმის, რატომ შეიძლება არ გინდოდეს ინტერვიუ-ების მიცემა. მხოლოდ იმის გამო არა, რომ ჟურნალისტები პერვერსიულები არიან ან თავის აუდიტორიას ეთამაშებიან. როცა საკუთარ მოსაზრებებს შენი შემოქმედების მილ-მა გამოხატავ, ამით თითქოს იწამლები. სხვანაირად რომ ვთქვათ, მე მაქვს მოსაზრებები; ყველას აქვს მოსაზრებე-ბი, მაგრამ ისინი ინტერესის საგანი ხდებიან მხოლოდ იმის გამო, რაც მე დავწერე“ – ამბობს ამერიკელი მწერალი, ჯონ აპდაიკი თავის ერთ-ერთ ინტერვიუში.

მაგდა გურული „Facebook“-ით გავიცანი. ყოველთვის საინტერესოა ჩემთვის მისი კომენტარები – მკაფიო, ლაკონური და ცხადი – თითქმის ყველაფერზე, საზოგა-დოებრივი მაუწყებლის დეპოლიტიზაციასა თუ სოციალურ ხელოვნებაზე. მერე გავიგე, რომ მაგდა ასოციაცია „არ-ტისტერიუმის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და კურატორია, ასევე თბილისის თანამედროვე ხელოვნების საერთაშორი-სო გამოფენის „არტისტერიუმის“ ერთ-ერთი ორგანიზა-ტორი. თუმცა, მისი ბიოგრაფიის ფაქტოლოგიური დეტა-ლებით ნაკლებად დავინტერესდი. უბრალოდ მაგდასთან მინდოდა საუბარი, იმ თემებზე, რაზეც მას საინტერესო მოსაზრებები ექნებოდა.

შეხვედრის შემდეგ, ის შეგრძნება დამრჩა, რაზეც ჯონ აპდაიკი საუბრობს: მივხვდი, რომ მაგდასთვის საჯარო საუბარი უფრო დისკომფორტის წყაროა, ვიდრე სიამოვნე-ბის. ამავე ინტერვიუდან თქვენც დარწმუნდებით, რომ მისი გაცნობისათვის საუკეთესო ადგილია იქაა, სადაც სააზრო-ვნო სივრცეს თავად ქმნის.



მაგდა გურული და ილიკო ზაუტაშვილი, პარიზი, 2008

მე შენ შესახებ ძალიან ცოტა რამ ვიცი. ვიცი, რომ სწავლობდი სამედიცინოზე...

თბილისში არის ეს პროფესიული კლანურობა, რაც იმას ნიშნავს, რომ შენ პროფესიონალიზმს შესაბამისი დიპლომი განსაზღვრავს. შეიძლება მეც მითქვამს ვიღაცაზე, – არ არის პროფესიონალი-მეთქი. მაგრამ როცა ამას ვამბობდი, არ ვგულისხმობდი დიპლომს, განათლებას ვგულისხმობდი. თუმცა, ჩემთვის ბევრჯერ უთქვამთ, – კიდევ კარგი, აკადემიის დიპლომი არა გაქვსო. გარკვეული თვალსაზრისით, კლასიკურმა განათლებამ შეიძლება აღქმაში ხელი შეგიშალოს და ერთგვარ ჩარჩოებში მოგაქციოს. ანუ რაღაც მომენტში აუცილებელია დაივიწყო ის, რაც იცი, რომ მიიღო ახალი, რაც ცოტა ძნელია. თუმცა მომავალ წელს ვაპირებ ჩემი, როგორც კურატორის გამოცდილება, ევროპული სერტიფიკატით გავამყარო...

სკოლა რომ დავამთავრე, სახლში ვთქვი, რომ, ვიდრე პროფესიას ავირჩევდი, მინდოდა, რაღაც ცხოვრებისეული გამოცდილება მიმეღო. მივმხვდარიყავი, ვინა ვარ და რა მინდა. როგორ უნდა იცოდე 16 წლის ასაკში, რა გინდა? შეუძლებელია.

დედაჩემს ძალიან უნდოდა, რომ სამედიცინოზე მესწავლა. ძალიან პრაგმატული ტიპია, რაც ბოლო წლებში ძალიან მომწონს. მანამდე დიდი ბრძოლები მქონდა მასთან, მაგრამ მერე მივხვდი, რომ მისი პრაგმატიზმი არც ისე ცუდია. მოკლედ, ვიფიქრე, – სამედიცინო? იყოს სამედიცინო, – აბსოლუტურად სულერთი იყო, სად ვისწავლიდი. ვფიქრობდი, ხუთი წელი თავს დამანებებდნენ-მეთქი და ღირდა ამ ხარკის გადახდა. ჩემი მეგობრები, ჩემი ინტერესები, ჩემი ცხოვრება ისედაც მქონდა. რაც შეეხება ხელოვნებას, ყოველთვის იყო ჩემ ცხოვრებაში, ჩემ გარშემო და ჩემ ინტერესებში. უბრალოდ, თინეიჯერული მაქსიმალიზმის გამო, არ მინდოდა სოცრეალიზმის სწავლა. დანარჩენი კი მართლა სულ ერთი იყო და გადავწყვიტე, დედაჩემისთვის გამეკეთებინა ასეთი საჩუქარი.

> არ შეიძლება მთელი ცხოვრება მეამბოხე იყო, რადგან თუ მიაღწიე იმას, რისთვისაც იბრძოდი, შემდეგ დიდი ძალისხმევა გჭირდება, რომ საკუთარი გამარჯვების მსხვერპლად არ იქცე. მეორე მხრივ, ყველაფერი იცვლება და, როგორც ამბობენ, ყოფილი ჰიპები, შემდეგ ოფისებში სხდებიან...

შეძელი შენი ცხოვრებით ცხოვრება ამ ხუთი წლის განმავლობაში?

კი, ბევრი ინტერესი მქონდა და ბევრი იყო ანტისაბჭოთა საუბრებიც სამზარეულოებში. აი, ჩვენ რომ თავისუფლები ვიყოთ, მთებს გადავაბრუნებთ, მარტო მანდარინი და ჩაი გვიშველისო, – ვფიქრობდით. მოკლედ, ილუზიები. ჩვენ ხომ ძალიან ეგზოტიკურად ვუყურებდით ყველაფერს. სამყაროს შავ-თეთრად აღვიქვამდით. მეგობრებში კი ყოველთვის მიმართლებდა – ჩემ გარშემო ყოველთვის საინტერესო ადამიანები იყვნენ.

სამედიცინოს მერე აღარც მიმუშავია. საქართველოდანაც მინდოდა წასვლა. მერე გავთხოვდი, მაგრამ ხომ არის, რომ გათხოვდები და 9 თვეში ეგრევე შვილი ჩნდება? ჩვენ ასე არ გავაკეთეთ. გადავწყვიტეთ, მოდი, ეს ჩვენი შვილი, შემთხვევითი კი არა, აბსოლუტურად გაცნობიერებული იყოს.

გამოფენა „მოგზაურობა თბილისში“,
სახვითი ხელოვნების მუზეუმი, ნანტი, საფრანგეთი, 2008

ბავშვს რომ ვზრდიდი, ჩემი ქმარი ამერიკაში წავიდა. მეც წავედი და სადღაც 4 წელი ვცხოვრობდი იქ. ჩემი ქმარი მოქანდაკეა, ამიტომ ამერიკაში ყოველთვის ახლო კონტაქტში ვიყავით სახელოვნებო წრეებთან. დილერით დაწყებული, გალერეით დამთავრებული. ორ გალერეაში ვმუშაობდი ატლანტაში და ჩიკაგოში. სწორედ მაშინ მივხვდი, რა მინდოდა და რა მაინტერესებდა. ამ დროს ჩემთვის მედიცინა უკვე ძალიან შორს იყო.

როცა საქართველოში დავბრუნდი, გადავწყვიტე, აღარ წავსულიყავი. ჩემი ქმარი ნიუ-იორკში დარჩა, მე კი რაღაც მომენტში მივხვდი, რომ იქ ცხოვრება აღარ მინდოდა. ძალიან მიყვარს ამერიკა, ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი საუკეთესო პერიოდი იქ იყო, მაგრამ ჩავთვალე, რომ ის გამოცდილება, რაც იქ მივიღე, აბსოლუტურად საკმარისი იყო. მეტი ამერიკა იქნებოდა ძალიან მძიმე. იქაც არის საშინელი რუტინა, არა? უფრო საშინელი, ვიდრე აქ.

ჩემი დაბრუნება ალბათ ბავშვმაც განაპირობა. 3 წლის იყო, რომ წავედი და დედაჩემთან დავტოვე. სულ მენატრებოდა, მაგრამ არ ვიცი, ეს ეგოიზმია, არ ვიცი – სხვა რამ, მაგრამ საკუთარ თავს ვეუბნებოდი, რომ აი, ამას მე ჩემი შვილისთვის ვაკეთებ. ვამბობდი, დედაჩემი და მამაჩემი რომ წასულიყვნენ ამერიკაში, თუნდაც 10 წელი არ ვენახეთ და მერე წავეყვანეთ, ჯანდაბას, ვიფიქრებდი-მეთქი. ხომ ხვდები, ისევ თინეიჯერული მაქსიმალიზმით ვფიქრობდი.

თუმცა, ერთხელაც რომ დავრეკე, მივხვდი, რომ ჩემი შვილი როგორც უცხო დეიდას ისე მელაპარაკა, ძალიან ზრდილობიანად. გავგიჟდი, მივხვდი, რომ ბავშვთან კონტაქტი საერთოდ აღარ მაქვს. ამის მერე ძალიან მალე დავბრუნდი. კიდევ, იცი, რაზე ვინერვიულე? რომ ჩამოვედი, ანგელოზივით იქცეოდა. ვიფიქრე, – ალბათ ეშინია, ისევ არ დავტოვო და ამიტომ იქცევა კარგად, რომ თავი მომაწონოს-მეთქი. მოკლედ, გადავწყვიტე აღარ წავსულიყავი. ვიღაცამ შეიძლება იკითხოს, – ბავშვიც რატომ არ წაიყვანეთო. ბავშვი ამერიკაში, სადაც არა გაქვს სტაბილური შემოსავალი, ძალიან რთული ამბავია... საკუთარ თავზე, ინტერესებზე, მეგობრების წრეზე, თუნდაც ცხოვრების სტილზე უარი უნდა თქვა და მხოლოდ „ყოველდღიურობის“ შენარჩუნებისთვის იბრძოლო, რისი გაკეთებაც არსად არ ღირს, საკუთარი შვილისთვისაც კი ...

წელს ისევ ვიყავი ამერიკაში, ისევ გამახსენდა ყველაფერი და... არა, ძალიან მიყვარს ეს ქვეყანა...

ის ამერიკა, რომელიც ჩვენ გვიყვარს, რაღაც თვალსაზრისით იდეაა...

აბსოლუტურად გეთანხმები, ძალიან მაგარი იდეაა. როგორ არის ამერიკა შექმნილი? რაზე დგას? ამერიკელი შეიძლება გახდეს ნებისმიერი, ვინც პასპორტს აიღებს, ხომ? აქედან გამომდინარე, ვინ არის ამერიკელი? რას ნიშნავს, იყო ამერიკელი? ამერიკელობა არ არის დაფუძნებული არც რელიგიაზე, არც კულტურაზე, არც საერთო წარსულსა თუ ისტორიაზე; ანუ, ისეთ რამეებზე, რაც ერს ახასიათებს. ამერიკა დაფუძნებულია სხვა ფასეულობებზე, უფლებებზე, გარკვეულ მოვალეობებზეც ქვეყნის წინაშე და პიროვნების თავისუფლებაზე.

სულ ვფიქრობ, ასეთ პატარა ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, არ შეიძლება ვიფიქროთ მარტო იმაზე, ბაზარი რას გადაარჩენს და რას – არა. ამაზე იფიქროს სახელმწიფომაც ჩვენთან ერთად, თორემ ბოლოს დაგვრჩება „სარკე“, ლელა წურწუმია და „ჯეობარი“.

პარიზი, 2008

ამის მერე ხშირად ვფიქრობ, იქნებ ახლიდან განისაზღვროს, რას ნიშნავს იყო ქართველი? ამან შეიძლება ვიღაცის აღშფოთება გამოიწვიოს და იკითხოს, როგორ, რას ნიშნავს? აბა ენა, მამული, სარწმუნოებაო? მაგრამ, მე მგონია, რომ ეს ენა, მამული, სარწმუნოება არის რაღაც ბარიერი, რომლის გაშიფვრა სხვადასხვანაირად შეიძლება. ამიტომ ჩვენ გვჭირდება ჩვენი იდენტობის აბსოლუტური თუ არა, რაღაც იმდენად კონკრეტული კონცეფცია, რომელიც ამ მრავალნაირი ინტერპრეტირების საშუალებას ნაკლებად იძლევა, ძალიან გარკვეულია და ძალიან დადებითი.

ამ იდეის გარდა, ამერიკა თავისუფლების სურვილია, როცა ყველაფერი მეორეხარისხოვანია, თავისუფლების შეგრძნების გარდა.

ეს თავისუფლება მეც ამერიკაში ვიგრძენი. ეს არ არის უბრალო სიტყვები. ატლანტაში ჩვენ საერთოდ არ გვინდოდა ქართველებთან ურთიერთობა. როგორ ქართველთან გიწევს იქ ურთიერთობა, იცი? თბილისში მის ორბიტაზე საერთოდ რომ არ ხვდები. გინდა ამერიკა იყოს და, გინდა მთვარე, როცა ვერ ნახულობ საერთოს, ჩნდება კონფლიქტი. ამიტომ ამერიკელებთან დიდ სახლს ვქირაობდით და იქ ვცხოვრობდით. ძალიან საინტერესოა მათი ცხოვრების შიგნიდან დანახვა და არა ტურისტის თვალით.

ცოლი ატლანტიდან იყო, ქმარი ტენესიდან, საიდანაც მეგობრები ჩამოდიოდნენ ხოლმე. ერთი ამბავი მახსენდება. ედს ჰქონდა იარაღი, ამის კანონიერი უფლება ატლანტაში გაქვს. იყო დიდი ეზო, ველური დასავლეთის რეკონსტრუქციული ელემენტებით და ხშირად ვისროდით ხოლმე. გარეთ, იქვე სკოლა იყო, სადაც სულ იდგა პოლიციის მანქანა. მაგრამ, პოლიცია არასოდეს მოსულა და არ უთქვამს, – რატომ ისვრითო; იმიტომ, რომ ჩვენ ჩვენი უფლების ფარგლებში ვიყავით. ანუ როგორი რაღაცაა, იცი? შენ ზუსტად იცი, რისი უფლება გაქვს და რისი – არა. ეს უფლებები საკმაოდ ბევრია და ვრცელი. შენ ამ უფლებებს ბოლომდე

იყენებ და ამაში სიამოვნებას ნახულობ. ჩემთვის ეს იყო თავისუფლება, ცოდნა იმისა, რომ შეგიძლია ბოლომდე დაიცვა შენი უფლება. ეს მე მარტო კინოში მქონდა ნანახი.

სადღაც ამოვიკითხე და ვეღარ ვიხსენებ სად – მთელი ჩვენი ისტორია თავისუფლებისთვის ბრძოლის ისტორიაა, მაგრამ როგორც კი ეს თავისუფლება მოგვეცა, მაშინვე გავექეცით ამ პასუხისმგებლობასო. როცა საბჭოთა კავშირი დაინგრა და საზღვრები გაიხსნა, ძალიან ცოტა ადამიანმა მიიღო, გაიაზრა და დაიწყო აქ თავისუფლებისთვის მუშაობა. ზოგი წავიდა და თბილ ქვეყნებს შეაფარა თავი, ზოგი საერთოდ ვერ მიხვდა, რა იყო ეს და ძალიან დაიბნა, დაიბოღმა და უკუსვლა დაიწყო, რადგან ახალ რეალობაში ვერ იპოვა თავისი ადგილი. მოკლედ, ეს თავისუფლება თავისთავად ხომ არ არსებობს? ამას ადამიანები ქმნიან, ეს არის სამუშაო, ყოველდღიური ძალისხმევის შედეგი, ისეთივე, როგორიც მოსავლის მოყვანა ან ნახატის დახატვაა. ეს თავისუფლებაც ჩვენი შესაქმნელი არ არის?

ნანტი, საფრანგეთი, 2008

ჩემთვის თავისუფლება ორნაირია, ერთია სოციალური და მეორე – შინაგანი. ვინც საბჭოთა კავშირის დროს შინაგანად თავისუფალი იყო, იმ ქვეყნის დანგრევის შემდეგ მისი შინაგანი თავისუფლება არსად წასულა, უბრალოდ, გარემოშიც მიეცა ეს თავისუფლება.

ბედნიერება არანაირად არ არის დამოკიდებული გარემოზე. იმ ადამიანებისთვის, ვინც შინაგანად ყოველთვის თავისუფალი იყო, უფრო ადვილი გახდა ადაპტირება, რაღაცების უცებ გაგება, მიღება და გადარჩენაც უფრო იოლი აღმოჩნდა, ვიდრე იმისთვის, ვისაც ყოველთვის გარედან ეუბნებოდნენ, რა არის თავისუფლება.

პატივს ვცემ სხვა ადამიანის თავისუფლებას და მინდა, რომ ის სოციუმი, სადაც ვცხოვრობ, იყოს თავისუფალი. ყოველთვის მხარს დავუჭერ უფრო თავისუფალ არჩევანს. მაგრამ მე თვითონ ბუნებით არა ვარ ლიდერი, არა ვარ რევოლუციონერი. როცა გარე სამყარო ძალიან ახლოს მოდის ჩემთან, ინტერესი მეკარგება, იმიტომ, რომ ძალიან ვუფრთხილდები ჩემ გარშემო სივრცეს, ჩემ სივრცეს. იგივე „არტისტერიუმის“ ფარგლებში, როცა ინტერვიუს ჩაწერა მიწევს, იცი, მერე როგორი ცარიელი ვარ ხოლმე? ენერგიას ვკარგავ. ესეც რაღაც თავისუფლებაზე შეტევაა ჩემთვის. ასეთი ადამიანი ვერასოდეს ვერ იქნება აქტივისტი. თუმცა ჩემ ხმას ყოველთვის შევუერთებ და ჩემ გასაკეთებელს ყოველთვის გავაკეთებ იმის დასაცავად, რისიც მჯერა.

გიწევს პირადი თავისუფლებისთვის ბრძოლა?

უკვე აღარ. ალბათ იმიტომ, რომ უკვე გავაცნობიერე, ვიცი ვინა ვარ, რა მინდა, რისი თავი მაქვს. და არც არავის მივცემ უფლებას, თუ პირდაპირ არ მოვიდა და თავში რაღაც არ ჩამარტყა, რომ შემოიჭრას ჩემ სივრცეში. იქ ჩემ თავისუფლებას ყოველთვის დავიცავ.

>>> გაგრძელება გვ. 106



მაგდა გურული და ნიკო ცეცხლაძე, მუზეუმი „კობრა“, ამსტერდამი, 2009



სიზმრების მბრძანებელი

რობერტ უილსონი

ავტორი: დავით ბუხრიკიძე

ახლახან აღმოვაჩინე, რომ დიდ რეჟისორზე, რობერტ უილსონზე ჩვენთან თითქმის არაფერი დაწერილა. ვერც ათასგვარი ჭორებით სავსე გაზეთებსა და ვერც პრიალა, მოდურ ჟურნალებში მის შესახებ ვერაფერი ვიპოვე. თუმცა ჩვენებურები უხმაურო პრემიერებისა და ხარისხიანი არტის შესახებ წერა-კითხვით არასდროს იკლავდნენ თავს. მაგრამ უილსონი ხომ მაინც ლეგენდაა. თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე დავიწუწუნე, – პატარა თეატრალური რევოლუცია უილსონის სახელით გვჭირდება მეთქი. ნაცნობმა კრიტიკოსმა-ქალბატონმა დამამშვიდა, რომ ამერიკელ რეჟისორამდე მისასვლელად ჯერ გზა აღმოსავლეთ ევროპელებზე უნდა გავიაროთ. შემახსენა ფესტივალზე ჩამოსულ ნაცნობ ლიტველთა ამქარიც (კორშუნოვასი და ნეკროშუსი). მერე პოლონელი კრისტიან ლუპა, უნგრელი არპად შილინგი... მაგრამ დავიჯერო ასე შორი და უკუნია რობერტ უილსონამდე?... ვეცდები, ამ სინათლის, გეომეტრიის და სცენური არქიტექტურის ჯადოქარზე, რაიმე საინტერესო დავწერო.

თუ სადმე ან ოდესმე უილსონის გრძელი და მედიტაციური სპექტაკლი, შემაშფოთებლად სტერილური ფორმის ოპერა ან რაიმე პატარა, კამერული და ფერადოვანი ვიდეოინსტალაცია გინახავთ, ალბათ ვერასოდეს დაივიწყებდით სიზმრისეულ მდგომარეობას, რომელშიც აღმოჩნდით. ყოველ შემთხვევაში, ჩემსავით ცოტას წაიტრაბახებდით, რომ მისი მაგიური სპექტაკლები ცოცხლად გაქვთ ნანახი და იმედი მოგეცემოდათ, რომ საჭირო არტ-წრეში და ვინძლო მის გადაღმაც, თქვენზე შეხედულება ცოტათი მაინც სასიკეთოდ შეეცვლებათ. ეს ოდნავ ლირიკულად და უფრო ირონიით. სი-

ნამდვილეში კი თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი თეატრალური რეჟისორი, არქიტექტორი, მხატვარი, დიზაინერი და სცენოგრაფი – რობერტ უილსონი დიდი ხანია, აუცილებელ მეინსტრიმს ქმნის, ხოლო მისი ჰონორარი მთელ პლანეტაზე ექვსნიშნა ციფრით განისაზღვრება.

როცა დაახლოებით თვე-ნახევრის წინ თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის დაწყებამდე ხმა დაირხა, – რობერტ უილსონი ჩამოდის რაღაც სპექტაკლითო, – ცოტა სიამაყის გრძნობაც დამეუფლა და უფრო მეტად გამიკვირდა, – ნუთუ ჩვენი მერიის კულტურის სამსახური და კულტურის სამინისტრო ისე გაგიჟდნენ, რომ უილსონის ერთ, „რომელიღაც“ სპექტაკლში დაახლოებით მილიონს გაიღებენ მეთქი? თუმცა ვიდრე რობერტ უილსონის არშემდგარი ისტორიული ვიზიტი მარადონას გრძელვადიან მითს არ დაემსგავსა, უფრო დეტალურად იმის შესახებ, რა მასშტაბის ხელოვანი შეიძლებოდა გვენახა თბილისის ფესტივალზე...

თუ დღეს თეატრალურ ხელოვნებაში რაიმე პრიზი, ჯილდო ან წამახალისებელი პრემია არსებობს, რობერტ უილსონი აბსოლუტური რეკორდსმენია – დაახლოებით სამოცამდე ასეთი პრიზის მფლობელია. ჩამოთვლა, ცხადია, სრული სიბრიყვეა, მაგრამ ზოგიერთის დასახელება ყურს ჭრის და თანაც „სივი“ გასაცნობად თითქოს აუცილებელიცაა: ორჯერ, 1971 და 1980 წლებში გუგენჰაიმის ფონდის პრემია, 1975 წელს როკფელერის ფონდის პრემია, 1986 წელს პულიცერის პრემია საუკეთესო დრამისათვის, 1993 წელს „ოქროს ლომი“ ვენეციის ბიენალეზე საუკეთესო სკულპტურისთვის, 1996 წელს ლილიან გიშის პრიზი „ხელოვნების მსახურებისთვის“, 1997 წელს „ევროპის პრემია“ საუკეთესო თეატრალური რეჟისურისათვის (ერთგვარი თეატრალური „ოსკარი“), 2001 წელს ამერიკის ნაციონალური სამხატვრო პრემია, 2002 წელს საფრანგეთის ნაციონალური ორდენის კავალერად ირჩევენ ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში დიდი დამსახურებისათვის... აღარაფერს ვამბობთ აურაცხელ პროექტსა და თეატრალურ დადგმაზე, რომლებსაც უილსონი ყოველწლიურად ახორციელებს ევროპაში, ამერიკასა და აზიაში.

თუ უილსონის წარმოდგენების მკაცრად ტექნოლოგიურ, მხატვრულად სტერილურ და სიზმრისეულად ნაქსოვ, იდუმალ სამყაროს შეაღებთ, აუცილებლად მოგინდებათ ცოტა ხნით მაინც დარჩეთ. ცხადია, იგრძნობთ, რომ სული გეხუთებათ. იმასაც, რომ დრო იქ გაყინულია, სიცოცხლის რიტმი კი შენელებული. მაგრამ რაღაც იდუმალება გაიძულებთ, ჟანგბადით გაიშვიათებული, მომაჯადოებელი და სტერილური სილამაზე „ისუნთქოთ“. თუმცა უფრო ვრცლად მისი „ტოტალური, მდუმარე ოპერის“ (მოხუცმა ლუი არაგონმა სწორედ ასე შეამკო 1971 წელს დადგმული მისი პირველი ცნობილი პერფორმანსი „ყრუს მზერა“) ან „ეკოლოგიური თეატრის“ (მეორე „ნათლია“, როგორც შემდეგ გაირკვა, სუზან ზონტაგი გამოდგა), შესახებ უფრო ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებთ.

...ბავშვობა თითქოს კარგს არაფერს უქადდა. ტექსასის შტატის მიყრუებული ქალაქი უაკო (სადაც უილსონი 1941 წელს დაიბადა), საკმაოდ დუხჭირი ცხოვრება, სასტიკი გარემო, პრაქტიკული და მკაცრი მშობლები – ეს ყველაფერი სათვალიანი და მორცხვი ბიჭისათვის, რომელსაც უცნაური სკულპტურები და გეომეტრიული ხაზები იზიდავდა, მძიმედ ასატანი იყო. მხოლოდ სამი წელი გაძლო ტექსასის უნივერსიტეტში, სადაც ადმინისტრირებას სწავლობდა. შემდეგ ნიუ-იორკში გაიქცა. შემთხვევით გაიცნო მოცეკვა-

ვე ბიორდ ჰოფმანი, რომელსაც ავადმყოფ ბავშვებთან მუშაობის საკუთარი მეთოდიკა ჰქონდა. იგი დეპრესიულ და შენელებული რეაქციის მქონე ბავშვებს სხეულის ფლობას ასწავლიდა. სწორედ ჰოფმანის კერძო სტუდიაში, ბავშვების პლასტიკაზე დაკვირვების შემდეგ დაიწყო უილსონმა საკუთარი, უცნაური ფორმისა და შენელებული რიტმის მქონე პატარა სპექტაკლებისა და ვრცელი პერფორმანსების დადგმა. ამავე დროს ეს სპექტაკლები ფსიქოლოგიური განტვირთვისთვისაც იდგმებოდა.

პირველსავე ექსპერიმენტებს 60-იანი წლების ბოლოს – „ესპანეთის მეფე“ და „ზიგმუნდ ფროიდის ცხოვრება და დრო“ – უკვე გავლენიანი არტ-კრიტიკოსის, სუზან ზონტაგის მაღალი შეფასება მოჰყვა. 1971 წელს დადგა „ყრუს მზერა“, რომელიც შემთხვევით ევროპულ ტურნეში მოხვდა. „სასწაული, რომელსაც ველოდით, მოხდა, – წერდა ლუი არაგონი, – არასოდეს მინახავს თეატრში უფრო მისტიკური და მშვენიერი რამ. ეს არის რეალობა, რომელიც მართლაც სიზმარს ჰგავს. უილსონი ჩვენსავით სიურრეალისტი არ არის, ის ჩვენზე შორს წავიდა“.

კრიტიკოსთა მიერ ფრთაშესხმულმა უილსონმა ექსპერიმენტები ევროპასა და ამერიკაში განაგრძო. კოპენჰაგენში დადგა თორმეტსაათიანი წარმოდგენა „იოსებ სტალინის ცხოვრება და დრო“, ხოლო მოგვიანებით ნიუ-იორკში კომპოზიცია – „წერილი დედოფალ ვიქტორიას“. 1976 წელს ახალგაზრდა კომპოზიტორს, ფილიპ გლასს შესთავაზა, შეექმნა მუსიკალური „აუდიოწიგნი“, რომელიც საფუძვლად დაედო დღეს უკვე თანამედროვე კლასიკად აღიარებულ ოპერას „აინშტაინი სანაპიროზე“. ავინიონის თეატრალური ფესტივალის დირექციისა და ფრანგი პროდიუსერების წყალობით, ეს ოპერა ფესტივალის ერთ-ერთ უდიდეს მოვლენად იქცა; ისე, როგორც, ამ ოპერის შემდეგ რობერტ უილსონის სახელი იქცა თანამედროვე თეატრის სიმბოლოდ.

რობერტ უილსონი: „ფილიპ გლასთან ერთად, მე ვიზუალური ბუნების სპექტაკლი შევქმენი. სინამდვილეში სწორედ ვიზიონერი-რეჟისორი ვარ, უფრო ზუსტად – მხატვარი, რომელიც თეატრში მუშაობს და მის შესაძლებლობასა და ბუნებას იკვლევს. ამიტომ ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ყველაფერი, რაც სცენური სივრცის ცვლილებას უკავშირდება. თავად ეს სივრცე, ისე როგორც ნებისმიერი ფიგურა სცენაზე, შეიძლება განათების პარტიტურით აბსოლუტურად სხვაგვარი, მისტიკური გახადოთ. ანუ სინათლე, ისევე როგორც ადამიანი, შეიძლება „მსახიობად“ ვაქციოთ, რადგან მისი როლი და მნიშვნელობა სინამდვილეში არანაკლებია“.

80-იანი წლებიდან იწყება რობერტ უილსონის „თეატრალური ესპერანტოს“ ტრიუმფალური სვლა მთელ მსოფლიოში. მისი სახელი სულ უფრო პოპულარულია, ხოლო დადგმები მოდური. ზედიზედ იწვევენ ევროპისა და ამერიკის უდიდესი დრამატული თუ საოპერო თეატრები. მისით აღფრთოვანებულები არიან, უწოდებენ ახალ ბრეხტსა და, რაც მთავარია, მისი გავლენა უკვე არა მარტო თეატრზე იგრძნობა, არამედ ზოგადად ვიზუალურ ხელოვნებაზე, არქიტექტურაზე, დიზაინზე... იწყება უილსონის საფირმო-საოპერო დადგმების ხანა. ვაგნერის „პარსიფალი“ ჰამბურგში, მოცარტის „ჯადოსნური ფლეიტა“ პარიზში, „აიდა“ ბრიუსელში, ბარტოკის „ლურჯწვერას სასახლე“ ზალცბურგის საოპერო ფესტივალისთვის...

მან შექმნა თეატრალური სამყაროს ახალი, მრავალშრიანი, მულტიკულტურული მოდელი, რომელშიც მკაცრი არქიტექტურული ფორმები, იაპონური თეატრის ტრადიცია, ახალი ტექნოლოგიები, დასავლური მოდური დეფილე, ბრეხტის გაუცხოების თეატრის

ესთეტიკა, თუ გამომსახველობითი მინიმალიზმი წინააღმდეგობების გარეშე შეაჯვარა. ცხადია, „უილსონის თეატრი“ დროსთან კავშირში უნდა განვიხილოთ. ვიზუალური ხელოვნების მომძლავრება (ვიდეოკლიპები, ვიდეოარტი) მეოცე საუკუნის ბოლოს დაკავშირებულია დროისა და ტექნოლოგიის ცვლილებებთან, რასაც არ შეიძლება გავლენა არ მოეხდინა თანამედროვე თეატრის სტილსა და გამომსახველობაზე.

უილსონის სცენური კომპოზიციები მკაცრად გეომეტრიული ხასიათისაა. ერთი შეხედვით უსიცოცხლო და სტერილური გარემო, სინამდვილეში, სადღაც შიგნით მუდამ იწვის თუ დნება. დაძაბულობა განფენილია სიმეტრიულ მიზანსცენებსა და ფიგურებს შორის და ბალანსი არასოდეს ირღვევა. მაგალითად, მხოლოდ ფერისა და განათების ინტენსივობის შეცვლაა საჭირო, რომ ოტოკარის არიაში (კარლ-მარია ვებერის ოპერა „თავისუფალი მსროლელი“ ბადენ-ბადენის საოპერო ფესტივალზე) გულქვაობა და ნაღველი გაათკეცებულად შეიგრძნოთ. ორ გამჭვირვალე ეკრანს შორის გახევებული დები პროზოროვები (ჩეხოვის „სამი და“, სტოკჰოლმის დრამატული თეატრი) ერთდროულად კომიკურად და განწირულად იშვერენ ხელებს სივრცეში, რომელთაც განათების წყალობით მაყურებელი ჩრდილებად აღიქვამს.

სამყარო, როგორც ჩრდილისა და სინათლის მონაცვლეობა. უილსონამდე დიდი ხნით ადრე ინგმარ ბერგმანმა ეს ანტინომია მსხვილი ხედის აუცილებელ პირობად მიიჩნია. მაგრამ ბერგმანს ადამიანის უძირო შინაგანი სამყარო, მისი საშიში უფსკრული იზიდავდა, უილსონი კი ადამიანის ფსიქოლოგიის მიმართ სრულიად გულგრილია. უფრო ზუსტად, მას მხოლოდ სცენური არქიტექტურის ნაწილად აღიქვამს. და ეს ყველაზე კარგად გამოქანდაკებულ მიზანსცენებში ჩანს, სადაც ადამიანებზე მნიშვნელოვანია სინათლე, კომპოზიცია და დეკორაცია. ეს ერთი შეხედვით ცინიზმია, მაგრამ უილსონის თეატრი სწორედ ასეთია. არც ერთი ზედმეტი მოძრაობა, ზედმეტი ჟესტი, ყველაფერი წინასწარ გათვლილი და შესწავლილია. ამიტომ ზოგადად მსახიობის შესახებ დასმული კითხვა – კარგად თამაშობს თუ ცუდად, ამ შემთხვევაში უმართებულოა.

უნდა გამოვტყდე, რომ ყველაფრის მიუხედავად, უილსონის თაყვანისმცემელი ნამდვილად არ ვარ, რადგან რეჟისორის მთავარი ინსტრუმენტი – მსახიობის სხეული და სული მისთვის მხოლოდ სცენური ტექნიკისა თუ გამოხატვის ფორმალური საშუალებაა. თანაც ბევრი რამ, ცხადია, არ მინახავს. სულ სამი დრამატული სპექტაკლი – ბრეხტის „სამგროშიანი ოპერა“ (ლეგენდარულ „ბერლინერ ანსამბლში“), ჰაინერ მიულერის „კვარტეტი“ (თეატრი „ოდეონი“, სადაც სპეციალურად ამ როლისთვის იზაბელ იუპერი მიიწვია), ლაფონტენის იგავ-არაკების მიხედვით დადგმული Fables („კომედი ფრანსეზში“); აგრეთვე ერთი ოპერა, ისიც „დიდი თეატრში“, სადაც „მადამ ბატერფლაი“ განახორციელა.

და მაინც, ყველაზე დიდი შთაბეჭდილება „კვარტეტმა“ მოახდინა, რომელიც 2007 წელს უილსონმა ბერლინის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე, „შპილცაიტევროპა“ წარმოადგინა. მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ცნობილი გერმანელი დრამატურგის, ჰაინერ მიულერის ტექსტი შოდერლო დე ლაკლოს „სახიფათო კავშირების“ პერსონაჟებს თითქოს მეოცე საუკუნეში, ახალ განზომილებას ანიჭებს. აქაც უმთავრესი ინტრიგა მარკიზა დე მერტეისა და მისი მეტოქისა თუ „მსხვერპლის“, ვალმონის დაპირისპირებაა. ცბიერ და მახვილგონიერ დე მერტეის იზაბელ იუპერი თამაშობს, რომელიც ლამაზ, გაყინულ სასახლეში აჩრდილი-



ვით დაძრწის (თუ უილსონის თეატრალურ ენაზე ვიტყვით, მთვარეულივით დადის ან მექანიკური თოჯინასავით გადაადგილდება). რეჟისორი საკუთარ ესთეტიკას არ ღალატობს და მაყურებელს ორსაათიან სპექტაკლ-სიზმარს სთავაზობს.

ერთ-ერთ ეპიზოდში, რომელიც დაახლოებით 20 წუთს გრძელდება, იზაბელ იუპერი წარმოუდგენელ პლასტიკურ და ფიზიკურ ამოცანას ასრულებს. შეუჩერებლად, ერთი და იგივე ინტონაციით ლაპარაკობს და ამავე დროს ძალიან ნელა, მაგრამ გამოზომილი ტემპით მოძრაობს კაშკაშა სინათლისაკენ, ისე, რომ მისი სახე და სხეული მხოლოდ სანახევროდაა განათებული. ანუ მას მაყურებელი თითქოს შუაზე გაჭრილს ხედავს. სწორედ ამ თვალსაჩინო და წარმოუდგენელი ეფექტითაც შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ უილსონი ნამდვილი ვიზიონერია. ანუ მისთვის დიზაინი და ფორმალური სცენური სილამაზე საკუთრივ ვარსკვლავ-მსახიობზე მაღლა დგას.

რაც შეეხება ბრეხტის „სამგროშიან ოპერას“, იგი უილსონმა სპეციალურად „ბერლინერ ანსამბლის“ შეკვეთით დადგა. ყველაზე დიდ შთაბეჭდილებას პიესის პაროდიული ატმოსფერო, ცოცხალი მუსიკა და გროტესკული კოსტუმები ახდენს. უილსონი, ერთი მხრივ, აღადგენს 20-იანი წლების გერმანული კინოს ექსპრესიონისტულ ატმოსფეროს და, მეორე მხრივ, გვთავაზობს ბრეხტის პოლიტიკური პიესის სრულიად აპოლიტიკურ, დამცინავ ვერსიას და ელვარე, გრაფიკულ დიზაინს. არანაირი ქურდები და მეძავები. მექი-დანა (შტეფან კურტი) მადამ ტიუსოს მუზეუმის პერსონაჟს უფრო ჰგავს, ხოლო ჯენი მალინა (გერმანული კინოსა და თეატრის ვარსკვლავი ანგელიკა ვინკლერი) სომნამბულას მოგაგონებთ, რომლის სილუეტი თითქოს მაკრატლით შავ ქაღალდზე სასწრაფოდ გამოჭრეს.

„რა არის ბანკის გაქურდვა ბანკის დაარსებასთან შედარებით?“ – კითხულობს მექი-დანა პიესაში. რა არის თქვენი გაცვეთილი, პოლიტიკური ალუზიები სიბნელეში მოელვარე, მოცეკვავე ჯოხებთან შედარებით? – თითქოს წინასწარ ეპასუხება ოპონენტებს უილსონი. ან რა ღირს თქვენი სოციალური წუხილი და შფოთი პატარა ყვავილთან შედარებით, რომელსაც მექი-დანა ეფექტური ჟესტით ჩუქნის ბებერ მეძავს... დიახ, რობერტ უილსონმა კარგად იცის საკუთარი, „დროში გაყინული“ თეატრალური ესთეტიკის ფასი და მას არანაირ სოციალურ თუ პოლიტიკურ კონიუნქტურაზე არ გაცვლის, თუნდაც ეს მისთვის მომგებიანი იყოს.

ცალკე სახალისო საუბრის თემაა, როგორ ცოდვილობდნენ მოსკოვის დიდი თეატრის ოპერის სოლისტები „მადამ ბატერფლაიში“, რომლებიც სიმღერასთან ერთად უილსონის „ჯანმრთელობისთვის საზიანო“ პლასტიკურ ამოცანებს ასრულებდნენ. ან რა გაჭირვებაში იყო ჩავარდნილი, მაგალითად, სოპრანო მარია გავრილოვა (ჩიო-ჩიო-სანი), რომელიც ცნობილი არიის შესრულების დროს პროფილში გახევებული ხუთი წუთი უნდა მდგარიყო. მაგრამ ვერაფერს იტყვი... უილსონის რეჟისურა, ისევე როგორც ზოგადად, ხელოვნება, მსხვერპლს მოითხოვს. საბედნიეროდ, მისგან რაიმე „მსხვერპლს“ ჯერჯერობით არ ითხოვენ არც ეპიკურობისგან გაქანცული არტ-კრიტიკოსები და არც მისი დამღლელი სტატიკურობისგან თავდახსნილი მაყურებელი.

რობერტ უილსონი: „ევროპული განათლება და კულტურა ძირითადად ბერძნულ ფილოსოფიას და ესთეტიკას ეყრდნობა, რომლის საფუძველია გონება – რაციო. ჩემი ფილოსოფია კი უფრო აღმოსავლეთთან, ანუ ძენ-ბუდიზმთან არის დაკავშირებილი.

>>> გაგრძელება გვ. 113

წერილი ამერიკელ მეგობარს

თბილისის ჯაზ-ფესტივალი 2009

ავტორი: კახა თოლორდავა
ფოტო: მარიკა ქოჩიაშვილი, ლევან ხერხეულიძე

გამარჯობა, ეიბ

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა შესავალი ტექსტისთვის, ჩემი წიგნისთვის რომ დაწერე. ეს ალბათ ზუსტად ისაა, რაც მინდოდა – მოკლე და to the point. ჯაზზე წიგნს, მით უმეტეს ინტერვიუების კრებულს, მეტი არც ესაჭიროება. ტექსტი უკვე ვთარგმნე და გადავაგზავნე გამომცემლობაში. წიგნი, როგორც ჩანს, დეკემბრის ბოლოსთვის გამოვა. რა თქმა უნდა, ერთ ეგზემპლარს გამოგიგზავნი...

ახლა კი რაც შეეხება დანაპირებს. რამდენიმე დღის წინ მთხოვე, თბილისის წლევანდელ ჯაზ-ფესტივალზე მომეყოლა რაიმე. სიამოვნებით, მით უმეტეს, რომ ასეთი ფესტივალების შემდეგ ცუდი არაა ვინმე ისეთთან საუბარი, ვისაც შენსავით უყვარს ეს მუსიკა. გული მწყდება, რომ თბილისში შენი დაგეგმილი ჩამოსვლა ჩაიშალა, მაგრამ იმედი მაქვს, შემდეგ წელს აქ ერთად მოვუსმენთ კარგ მუსიკას. ჰო, წინასწარ გაფრთხილებ, საკმაოდ გრძელი წერილი გამომივა, რადგანაც ამ ტექსტს შენ გარდა ჟურნალ „ცხელი შოკოლადის“ (ხომ გახსოვს, გიყვებოდი ამ ჟურნალთან ჩემი თანამშრომლობის შესახებ) მკითხველიც წაიკითხავს, ყოველი შემთხვევაში ის მაინც, ვისაც ჯაზი უყვარს. იმედია, წინააღმდეგი არ იქნები. ეს გადაწყვეტილება მაშინ მივიღე, როდესაც გადაწყდა, რომ ჟურნალის რედაქციას ფესტივალის მიმოხილვა აინტერესებს; თანაც, სიმართლე რომ გითხრა, ასეთი ფორმით ბევრად უფრო მოხერხებული იქნება ჩემთვის ამ ტექსტის წერა, რადგანაც შენთან საუბარი თავიდან ამაცილებს წმინდა თბილისურ, შენთვის ალბათ არცთუ ისე გასაგებ და მუსიკალური კონტექსტისათვის არა აუცილებელ თემებს; მოკლედ, ამ წერილში მხოლოდ ფესტივალზე მოსმენილ მუსიკაზე მოგიყვები და მგონია, რომ ეს ყველაზე სწორი იქნება. ბოლოს და ბოლოს ჩვენი ამდენწლიანი მეგობრობაც მუსიკის სმენით და მუსიკაზე საუბრით დაიწყო. დღესაც, თითქმის თერთმეტი წლის შემდეგაც კარგად მახსოვს, ჩვენი პირველი შეხვედრის დროს რომ გითხარი, – თბილისში Sun Ra-ს კონცერტზე ვარ ნამყოფი მეთქი. შენი სახე უნდა გენახა!

კარგი, მოდი დავიწყებ და პირველს, რასაც გეტყვი, ისაა, რომ უკვე დიდი ხანია, ცოცხალი მუსიკა ისე „გემრიელად“ არ მომისმენია, როგორც წლევანდელ ფესტივალზე; დარბაზში საუნდს ვგულისხმობ. ყველა ინსტრუმენტი, ყველა თუნდაც უმცირესი აკუსტიკური დეტალი ისეთი სუფთა სახით და იმდენად დაუბრკოლებლად შემოედინებოდა ჩემში, რომ რაღაც მომენტში ადგილიდან ადგილზე გადაჯდომა დავიწყე იმის შესამოწმებლად, – ხომ არ მეჩვენებამეთქი. თბილისის ფილარმონიაში კარგად დაყენებული საუნდი ნამდვილად დიდებული საჩუქარია ჩემნაირი ნაგიჟარი მელომანისთვის. მოკლედ, ასეთი საუნდ-ფორმატით მუსიკას უკანასკნელად ნიუ-იორკის ჯაზ-კლუბში, Iridium-ში მოვუსმინე, თუმცა ეს უკანასკნელი ხომ ჯაზ-კლუბია, თბილისის ფილარმონიის დარბაზი კი ბევრად მეტ მაყურებელს იტევს...

რამდენიმე კვირის წინ უკვე მოგწერე, თუ ვინ დაუკრავდა წლევანდელ ფესტივალზე, მაგრამ კიდევ ერთხელ შეგახსენებ: ესენი იყვნენ: ჯეიმზ ქართერის კვინტეტი ქორი უილქესით საყვირზე, მედესქი, მართინ და ვუდი, კურტ ელინგი ერნი უოთსით საქსოფონზე, სქოთ ქინსის კვარტეტი მეთ გერისონით ბასზე, მარკუს მილერი, Kool and the Gang და, რაც არანაკლებ სასიამოვნო იყო ჩემთვის, და რაც მგონია, ყველა აქ გამართული ჯაზ-ფესტივალის აუცილებელი ნაწილი უნდა იყოს, ორი ქართული ჯაზ-ბენდი – ქალბატონ დინი ვირსალაძის კვინტეტი იტალიელ ბასისტ რობერტო პუჯიონისთან და დავით მაზანაშვილის ტრიო აზერბაიჯანელ საქსოფონისტ რაინ სულთანოვთან ერთად. უნდა გითხრა, რომ ქართველების და მარკუს მილერის გარდა, ყველა დანარჩენ მუსიკოსს თუ ბენდს პირველად ვუსმენდი ცოცხლად, თუმცა ყველა მათგანის მუსიკას საკმაოდ კარგად ვიცნობ; თანაც, ოთხი მუსიკოსის შემთხვევაში, ვგულისხმობ ქართერს, უილქესს, ელინგს და მედესქის, მართლაც რომ სერიოზულად მომიწია მომზადება, იმის გამო, რომ მათთან ინტერვიუები უნდა ჩამეწერა. ცუდია, რომ ეს ინტერვიუები ჩემ წიგნში ვეღარ მოხვდება, მაგრამ რას იზამ...

> უკვე დიდი ხანია, ცოცხალი მუსიკა ისე „გემრიელად“ არ მომისმენია, როგორც წლევანდელ ფესტივალზე; დარბაზში საუნდს ვგულისხმობ. ყველა ინსტრუმენტი, ყველა თუნდაც უმცირესი აკუსტიკური დეტალი ისეთი სუფთა სახით და იმდენად დაუბრკოლებლად შემოედინებოდა ჩემში, რომ რაღაც მომენტში ადგილიდან ადგილზე გადავჯდომა დავიწყე იმის შესამოწმებლად, – ხომ არ მეჩვენება-მეთქი.



მოდი, ჯეიმზ ქართერით დავიწყებ: მან კონცერტი ისეთი ტემპით დაიწყო სოპრანო საქსოფონზე, რომ სმენისას უნებურად სუნთქვა შეგეკვრებოდა. სიტყვა „სუნთქვა“ აქ ტყუილად არ ვახსენე, რადგანაც ეს იყო „წრიული სუნთქვის“ ტექნიკით (როდესაც მუსიკოსი ფილტვების ნაცვლად პირში დაგუბებული და ცხვირის არხების გავლით ჰაერის წრიულად მოძრავი ნაკადის მეშვეობით უკრავს) შესრულებული ლამის ათწუთიანი არპეჯირებული ცუნამი. პირველივე წუთებიდან კონცერტის ასე დაწყებას ძალიან ცოტა მუსიკოსი ბედავს, რადგანაც ასეთ შემთხვევაში იზრდება ენერგეტიკულ „ცაიტნოტში“ მოხვედრის შანსიც, განსაკუთრებით კი თუ სასულე ინსტრუმენტზე უკრავ. ეს ჯაზმენებმა კარგად იციან და შესაბამისად, მუსიკის ცოცხლად შესრულების დროს ყველა საკუთარ „ენერგეტიკულ დრამატურგიას“ მიჰყვება ნაადრევი გამოფიტვა რომ აიცილოს თავიდან. ამ მხრივ, როგორც კარგად მოგეხსენება, ქართერი ერთ-ერთი ყველაზე უფრო უშიშარი მუსიკოსია. ასე გაუფრთხილებლად და გიჟურად მოვარდნილი უვერტიურა გამოწვევაა არა მარტო მსმენელისათვის, არამედ მისივე ბენდის წევრებისათვისაც, ვინაიდან ისინიც იძულებულნი ხდებიან მის გვერდით დარჩნენ, ეს კი იოლი ნამდვილად არ უნდა იყოს (მოკლედ, პირველივე წამებიდანვე ქართერმა ნათელი გახადა, თუ ვინ იყო ამ ბენდში ბოსი). ძალიან საინტერესო იყო კონცერტის განმავლობაში იმისთვის თვალყურის დევნება, თუ როგორ ახერხებდა ქართერთან დარჩენას მისივე რიტმ-სექცია – ჟერარ გიბსი ფორტეპიანოზე, ლეონარდ ქინგი, დასარტყამებზე და რეიფ არმსთრონგი (ჰო, ის რეიფ არმსტრონგი!) კონტრაბასზე. ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ ქართერის ბენდი ჩემ მიერ ცოცხლად მოსმენილი ბენდებიდან ყველაზე შეკრული ბენდი იყო, მაგრამ, გარკვეული თვალსაზრისით, სწორედ ეს იყო მისი ხიბლიც. ისეთი შთაბეჭდილება გრჩებოდა, – თითქოს ჯუნგლებში იკვლევენ გზასო, ჯეიმზ ქართერის მიერ შექმნილ აკუსტიკურ ჯუნგლებში. ყველაზე წარმატებულად ამას მაინც ლეონარდ ქინგი ახერხებდა. ხმელი, წელში გამართული დრამერი, რომელიც რაღაცით ბობი მაქფერინს ჰგავს, ზედმიწევნით ძუნწი რიტმული ფიგურებით ცდილობდა საქსოფონის „დამიწებას“ და ამას ხშირად რეიფ არმსთრონგის რბილ ბგერას „ამოფარებული“ აკეთებდა. ჟერარ გიბსი ოდნავ სხვანაირად იქცეოდა, ის ქართერს ლამის ფეხდაფეხ მიჰყვებოდა, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ ის ურიგო ინსტრუმენტალისტი არაა, ხშირად ბოსის „მილმა“ რჩებოდა და ამ ჩამორჩენის კომპენსირებას „ტანის ენით“ და არცთუ შინაარსიანი ვირტუოზობით ცდილობდა. ამ დროს ის მუსიკას ზიანს აყენებდა, რადგანაც ლამის ორმეტრიანი ქართერი მას „ტანის ენითაც“ ჯაბნიდა, ვირტუოზობითაც და, რაც ყველაზე მთავარია, იდეების ხარისხითაც; თანაც, ის ამას ოთხი ინსტრუმენტის მეშვეობით აკეთებდა, სოპრანო და ტენორ საქსოფონებზე, ბას კლარნეტსა და ფლეიტაზე. მიუხედავად ამისა, მუსიკა (ისინი ძირითადად ქართერის ბოლო დისკიდან ასრულებდნენ კომპოზიციებს, პლუს სტანდარტები) კარგად ისმინებოდა და საკმაო „ფათერაკებითაც“ იყო სავსე. მერე კი სცენაზე ქორი უილქესი გამოვიდა და ლამის სხვა მუსიკის დაკვრა დააწყებინა ბენდს. უილქესის მოსმენა ალბათ ყველაზე უფრო მაინტერესებდა ამ ფესტივალზე, ვინაიდან სწორედ მან დაიკავა ლესთერ ბოუის გარდაცვა-

ლების შემდეგ მესაყვირეს ადგილი Art Ensemble of Chicago-ში. ალბათ კარგად ხვდები, რამდენად ძნელი უნდა ყოფილიყო ეს სულ ახალგაზრდა და გამოუცდელი ბიჭისთვის. ბოლოს და ბოლოს ის ხომ ჯაზში ალბათ ერთ-ერთი ყველაზე პატივცემული და ქარიზმული მესაყვირეს და ლიდერის ადგილს იკავებდა. უილქესმა ქართერის ბენდში ენერგეტიკული ბალანსის „დამრეგულირებელის“ ფუნქცია იკისრა. პირველ კომპოზიციაში (ეიბ, მოდი კომპოზიციებზე დეტალურად არ მოგიყვები, რადგანაც დიდ დროს წაიღებს. საკმარისია თუ გეტყვი, აქაც და შემდეგშიც, რომ როგორც ეს ჯაზ-გიგებისათვისაა დამახასიათებელი, მუსიკოსები მიმოიქცეოდნენ სტანდარტებსა და ორიგინალურ მასალას შორის, კარგი?) მან უბრალოდ, თუ შეიძლება ასე ვთქვა, „მუსიკა მონიშნა“ და საოცრად დახვეწილი ბგერით საყვირზე ქართერის გიჟური ტემპის ლირიზმით გაზავება დაიწყო. ენერგეტიკულადაც სხვა გზას დაადგა – ამჯობინა, აღმავალ ტრაექტორიაზე ემოძრავა და დასაწყისში ის უბრალოდ ბენდის „რიგით“ მესაყვირედ დარჩა, თითქმის შეუმჩნეველი და საერთო საუნდში „შესამჩნევად დაკარგული“. კონცერტის ბოლოსკენ ის უკვე მუსიკის განუყოფელი ნაწილი იყო, მისი საყვირი კი ამ მუსიკის ახალი იდეებით და შენაკადებით გამამდიდრებელი ელემენტი. ვიზუალურად რომ შევეცადო ამის აღწერას, აი, რას ვიტყოდი: უილქესის საყვირის და ქართერის საქსოფონების კომბინაცია იმ ლამაზი ქალივით იყო, უზარმაზარი, მოუსვენარი ძაღლი რომ გამოჰყავს სასეირნოდ, და მიუხედავად იმისა, რომ მაღალ ქუსლებზე დგას, რაღაცნაირად მაინც ახერხებს შლეგი ცხოველის შეჩერებას. მართლაც რომ დიდებული სანახავი/მოსასმენი იყო ეს ყველაფერი! და ბოლოს, მოდი ისევ ჯეიმზ ქართერს დავუბრუნდები; იმ საღამოს მან ჯაზის ისტორიის გაკვეთილი ჩაგვიტარა, მაგრამ ისე, რომ მისი მთავარი ელემენტები, იქნებოდა ეს ბლუზი თუ სუინგი, თავს არ მოუხვევია; ყველა ამ ელემენტს ქართერი თავისი ინდივიდუალობის მანიფესტაციისთვის იყენებდა და ყოველ მოცემულ მომენტში ის ერთდროულად ჯაზის სათავეებთანაც იდგა და მის თანამედროვე ფორმებშიც საოცარი თავისუფლებით მიმოიქცეოდა. უნდა გენახა, როგორ სიღრმეებში ახერხებდა ჩასვლას ბას-კლარნეტს რომ იღებდა ხელში! ქართერს ნათქვამი აქვს, – საქსოფონზე ჯიმი ჰენდრიქსივით დაკვრა პრინციპში შესაძლებელიაო, – და იმ საღამოს ნამდვილად მივხვდი, რას გულისხმობდა. მის ხელში ინსტრუმენტი თითქმის არარსებულ პოტენციას ავლენს და ამიტომაც დაკვრისას ქართერი საქსოფონებს „განცვიფრებულს“ ტოვებს! ასე გგონია, დაკვრის შემდეგ ინსტრუმენტი თოვლზე რომ დააგდოს, ის ისევე აშიშინდება, როგორც ხანგრძლივი სროლის შემდეგ გახურებული ავტომატი შიშინებს ერთი რუსი რეჟისორის ძალიან კარგ ფილმში. სხვათა შორის, მართლაც რომ კარგი ინტერვიუ გამომივიდა ქართერთან. ის კონცერტამდე რამდენიმე საათით ადრე შედგა და ძალიან კარგია, ასე რომ მოხდა; იმ კონცერტის შემდეგ ცოტა შემეშინდებოდა ამ კაცის პირისპირ ჯდომა...

მარკუს მილერს პირველად შარშან მოვუსმინე ცოცხლად ბათუმში. იმ საღამოს გვერდებზე გახსნილ დარბაზში, სადაც კონცერტი ტარდებოდა, ისეთი ცუდი საუნდი იდგა, რომ მგონი, თვითონ მილერიც მიხვდა ამას და მთელი შოუ თავის თავზე აიღო.

>>> გაგრძელება გვ. 114

ინტერვიუ კურტ ელინგთან

ავტორი: კახა თოლორდავა
ფოტო: ლევან ხერხეულიძე

2008 წელს ტორონტოში გამართულ ჯაზის შემსწავლელთა საერთაშორისო ასოციაციის გამხსნელ შეხვედრაზე თქვენ განაცხადეთ: *„ჯაზი ყოველდღიურად გვახსენებს, რომ ცოცხლები ვართ“*. ამასთანავე უინთონ მარსალისი თავის წიგნში Moving to the Higher Ground წერს: *„ჯაზი არის მატარებელი, რომელიც ყოველთვის მომავლიდან მოდის შენი მიმართულებით“*. მიუხედავად ამისა, ამ მუსიკის მსმენელები ხშირად მის წარსულში შეხედვას ამჯობინებენ. მაინტერესებს, რატომ გვახსენებს ჯაზი იმას, რომ ცოცხლები ვართ, რატომ მოდის ის მომავლიდან და რატომ ურჩევნია ბევრს ჯაზის წარსული მის აწმყოს?

ის გვახსენებს ცოცხლები რომ ვართ იმიტომ, რომ ჯაზს აქვს უნარი, მოცემულ მომენტში, მუსიკოსის იმწამიერი შეგრძნებები მსმენელს მყისიერად გადასცეს. თავისი ბუნებით ჯაზი იმპროვიზაციული ხელოვნებაა და, შესაბამისად, *აღიარებითი* და *გან-ცხადებითი*. დაკვრისას ჯაზმენი საკუთარი *აქ-ყოფნის* შესახებ აცხადებს და ვინაიდან ინდივიდუალობა ჯაზის სული და გულია, ამ დროს მუსიკოსი *აქ-ყოფნის* მთელ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებს. ამიტომაცაა, მაგალითად, რომ ჯო ლოვანო მხოლოდ ჯო ლოვანოსავით ჟღერს. მას საკუთარი უნიკალური ბგერა და ამ ბგერის მეშვეობით საკუთარი იმ-წამინდელი შეგრძნებების *გან-ცხადების* და *გა-მო-აშკარავების* უნარი აქვს, ისევე, როგორც ჯონ ჰენდრიქსს, უინთონ მარსალისს ან თერენს ბლანჩარდს. დაკვრისას ან სიმღერისას თითოეული მათგანი აი, ამ მოცემულ წამს, ამ მოცემულ მომენტში აცხადებს საკუთარი არსებობის შესახებ. ჯაზი მომავლიდან მოდის იმიტომ, რომ ხელოვანი ადამიანები, და არ ვგულისხმობ მხოლოდ ჯაზმენებს, არამედ პოეტებს, მწერლებს, მხატვრებს და ასე შემდეგ, საზოგადოების დანარჩენ წევრებზე უფრო კარგად ახერხებენ მომავლისათვის *„ყურის-გდებას“*. რაინერ მარია რილკე, ავსტრიელი პოეტი, ამბობდა, – *„მე უკიდეგანო სივრცით გარშემორტყმული ბაირაღივით ვარ, ვგრძნობ მოახლოებულ ქარს* და *დანარჩენებზე ადრე ვიწყებ ფრიალს“*. დიახ, ხელოვანები ის ადამიანები არიან, ვისაც მომავლის მიმართულებით აქვს ნაბიჯი გადადგმული, იმას გრძნობენ, რაც ჯერ აქ არაა; ამიტომ ხშირად ის, რასაც ჩვენ მოცემულ მომენტში ვგრძნობთ, მომავლიდან აწმყოში „შემოჭრილი“ მინიშნებებია. ამ მხრივ ჯაზი მუდამ *მო-მავალია*, ჯაზმენები კი – *ჯერ-არ-დამდგარის* თვითმხილველები. რაც შეეხება იმას, თუ რატომ იზიდავს ადამიანებს ჯაზის წარსული: პირველ რიგში, ალბათ ნოსტალგიის გამო; იმიტომ, რომ შეგვიძლია წარსულში *„წარ-მო-თქმული“* გან-ცხადებების იმდროინდელ კონტექსტში აღქმა და სხვა ჩვენი დანარჩენი შეგრძნებებისგან იზოლირება. ჩვენ შეგვიძლია მათი კონტროლი. ყველას თანაბრად არ შეუძლია მოცემულ მომენტში შექმნილი მუსიკის აღქმა. ეს არცთუ ისე ადვილია, როგორც ეს შეიძლება ეგონოთ, რადგანაც იმპროვიზირებული მუსიკის სმენა გარკვეული თვალსაზრისით მუსიკოსის ინტენციების მყისიერი გაშიფვრის უნარს გულისხმობს. ჯაზის წარსული კიდევ ალბათ იმიტომ გვიზიდავს, რომ იმდროინდელი მუსიკოსების მიერ შექმნილი მუსიკა საოცრად ლამაზია და, შესაბამისად, დროს უძლებს. აგრეთვე, ვფიქრობ, ჩვენთვის წარსულის მუსიკა იმიტომაა ასეთი მომხიბვლელი, რომ უბრალოდ ყური გვაქვს მიჩვეული, ის უკვე მონელებული და კ ა რ გ ა დ გაგებულია.

ზემოთ ნახსენებ წიგნში მარსალისი ამბობს, რომ, მუსიკის გარდა, ყველაზე ღირებული გაკვეთილები, რაც კი მას ჯაზში მიუღია, თვითონ ჯაზმენების მიერ კოლეგებზე და ზოგადად მუსიკის კეთების პროცესზე ნაამბობი ისტორიებია, რეალობაში მომხდარი თუ აპოკრიფული. დისკებზე და ძალიან ხშირად კონცერტებზეც თქვენ ძალიან საინტერესო ისტორიებს ჰყვებით წარსულის დიდ მუსიკოსებზე. ეს ისტორიები ძენ-ბუდისტური კოანებივითაა, ხშირად დაუსრულებელი და მრავლისმთქმელი მინიშნებებით სავსე. ეს ამბები ჯაზის, როგორც მუსიკალური ფორმის ხიბლით და ერთგულებითაა გამსჭვალული. როგორ გგონიათ, მოახერხებთ თუ არა თქვენ და თქვენი თაობის დანარჩენი მუსიკოსები ისეთივე საინტერესო ისტორიების დატოვებას შემდეგი თაობის მუსიკოსებისათვის?

ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაც ჯაზმენები თაობიდან თაობას გადასცემენ, მუსიკის ენა და მუსიკალურ ფორმებში შეჩერებული ჟესტებია. მუსიკოსებს მხოლოდ ასე შეგვიძლია საკუთარი ინდივიდუალობის ერთმანეთისთვის ჩვენება. მაგრამ, როგორც ჩანს, საერთო ინტერესებით გაერთიანებულ, გარკვეული ცხოვრების წესით მცხოვრებ ადამიანების ჯგუფს სხვა, ექსცენტრიული გზითაც უჩნდება ხოლმე ერთმანეთის გართობის თუ დამოძღვრის სურვილი. თუ ერთხელ მაინც გქონიათ წინა თაობის მუსიკოსებთან ერთად საღამოს გატარების შანსი, ადვილად მიხვდებით, თუ რას გულისხმობს უინთონი. მათ მიერ მოთხრობილი ისტორიები სუ-

ლიერად გამდიდრებს და უფრო მეტის გაგებისა და აღმოჩენისკენ გიბიძგებს. არ ვიცი, ჩემი თაობის მუსიკოსები ამ თვალსაზრისით ისეთივე მომხიბვლელები არიან თუ არა, მაგრამ ერთს კი გეტყვით, პირადად მე მიმაჩნია, რომ ჩვენ, ჯაზმენები ძალიან საინტერესო კამპანია ვართ, თუმცა ხშირად – ისეთივე აუტანლები, როგორც ყველა სხვა დანარჩენი ადამიანი. დავუმატებ იმასაც, რომ მსგავსი ისტორიების სიღრმე და ხარისხი იმაზეცაა დამოკიდებული, თუ ვინ რას ეძებს ან ეძებდა მუსიკაში. ეს ცხოვრებისეული ღირებულებების ძებნის პროცესივითაა. ჯონ ქოლთრეინი ცდილობდა, თვითგამოხატვის ისეთი სულიერი გზა მოეძებნა, რაც მას ღმერთთან, ან თუ გნებავთ ცხოვრების ზე-სულთან მიიყვანდა. ადამიანები სწორედ ამის გამო აფასებდნენ მას და ასეთივე ღრმა მუსიკის შექმნის იმედით ცდილობდნენ, მისი ცხოვრების წესით ეცხოვრათ. შეიძლება ხშირად მათი მუსიკა ისეთივე ღრმა და საინტერესო არ იყო, მაგრამ ქოლთრეინის წყალობით, მათ, როგორც შემოქმედებმა, ბევრად უფრო მაღალ საფეხურზე მოახერხეს ასვლა. ჯაზში იყვნენ ისეთებიც, ვისაც ლაზათიანი დროსტარება და უბრალოდ კარგი მუსიკის დაკვრა უნდოდა. დიუქ ელინგთონის და ქაუნთ ბეისის ბენდების წევრებს ყველაზე უფრო დაკვრის პროცესი და ჰარი-ჰარალე ცხოვრება იზიდავდათ. ესეც აბსოლუტურად ნორმალურად მიმაჩნია, რადგან „ნაღდის“ ველში შებიჯება ამ გზითაც შეიძლება. ნურც ის დაგავიწყდებათ, რომ ჯაზმენები ჩვეულებრივი ადამიანები არიან და დიდების ხიბლი მათთვისაც არაა უცხო. სახელის მოხვეჭამ და საყოველთაო დიდებამ ზოგს ავნო, ზოგს კი ვერაფერი დააკლო. ჯაზის ისტორიაში არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც წარსულის ზოგიერთ სახელგანთქმულ მუსიკოსთან მიახლოების შანსს მხოლოდ მათ მიერ შექმნილი მუსიკა გაძლევს. ხშირად დიდების გამო იზოლირებულ არტისტებს მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი მუსიკის საშუალებით შეეძლოთ ადამიანებთან მიახლოება. როგორც ხედავთ, საკმაოდ მრავალფეროვანი სურათია. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ისაა, რომ დიდი

> ჯაზი გვახსენებს ცოცხლები რომ ვართ იმიტომ, რომ ჯაზს აქვს უნარი, მოცემულ მომენტში, მუსიკოსის იმწამიერი შეგრძნებები მსმენელს მყისიერად გადასცეს.



ჯაზმენების ნებისმიერ ცხოვრებისეულ გზას ფონად საოცარი სილამაზის მუსიკა გასდევს და იმ ისტორიების მთელი ხიბლიც პირველ რიგში სწორედ ეს მუსიკაა.

რამდენადაც მესმის, ჯაზში ასეა: თუ ნამდვილად გინდა, ვინმეს მიერ შექმნილ მუსიკას პატივი მიაგო, შენი ხმა უნდა იპოვო. დღევანდელი კულტურული პრიორიტეტების გათვალისწინებით რამდენად ძნელი შეიძლება იყოს ეს დამწყები მუსიკოსებისთვის?

ყველაზე დიდი სხვაობა დღევანდელ ახალგაზრდობასა და მათ შორის, ვისაც გასული საუკუნის ორმოციან და ორმოცდაათიან წლებში უხდებოდათ მუსიკაში ფეხის მოკიდება, ისაა, რომ დღევანდელი კულტურა საოცრად ჰომოგენიზირებულია. დღეს „მაქდონალდსი“ და „სთარბაქსი“ მთელ მსოფლიოშია მოდებული. დააკვირდით, ყველა ტელეწამყვანი ერთ პოზაში ზის, ერთნაირად იღიმის, ყველას ერთნაირად აცვია; ახალგაზრდებს ერთ ყაიდაზე გამოჭრილი ფორმატით მიეწოდებათ ყველაფერი, იქნება ეს „ჩვენ ვეძებთ ტალანტებს“ თუ სხვა ნებისმიერი კულტურული „კერძი“. ყველაფერი ეს მხატვრისათვის აუცილებელი ფერებივითაა; თუ სურათის დასახატად ინტენსიური პიგმენტი თავიდანვე არ გამოიყენე, მაშინ შემდგომში მხოლოდ ერთგვაროვანი ფერებით მოგიწევს მუშაობა და შეიძლება ფერების გრადაციის შესახებ საერთოდ ვერაფერი გაიგო. ორმოციან და ორმოცდაათიან წლებში ბევრმა არც კი იცოდა, თუ რა იყო ტელევიზორი და ამიტომაც ძირითადად იმ მუსიკას უსმენდნენ, რაც ადგილობრივი თემების ფარგლებში იქმნებოდა და ემოციურადაც უფრო ახლოს იყო მათთან. არის ასეთი საოცარი მომღერალი რალფ სთენლი, რომელიც ჰილბილის სტილში მღერის. ის ოთხმოცსაა გადაცილებული; მთებში გაიზარდა, ამერიკის შორეულ შტატში, და ბავშვობიდან მხოლოდ იმ მუსიკას უსმენდა, რასაც მისი ოჯახის ან სოფლის თემის წევრები უკრავდნენ და მღეროდნენ. ის დღემდე იმ ადგილობრივი მუსიკალური მარაგით სარგებლობს და სწორედ ამიტომაცაა

მისი საუნდი ასეთი თვითმყოფადი და ადგილის ნიშნით გამორჩეული. საკუთარ მუსიკას ის თითქოს საჩუქრად უძღვნის დანარჩენ სამყაროს. რაც შეეხება ჯაზს, გასული საუკუნის ორმოციანებსა და ორმოცდაათიანებში კონსერვატორიებში არ არსებობდა ჯაზის შემსწავლელი კურსები, არ გამოიცემოდა ჯაზის შესწავლის სახელმძღვანელოები და ამიტომაც ადამიანებს იმ ადგილის აღქმა შეეძლოთ, სადაც გაიზარდნენ. ეს მათ საკუთარი პიროვნების უკეთესად შესწავლაში ეხმარებოდათ. დღეს კი ის ახალგაზრდები, ვისაც პიროვნებებად სურთ ჩამოყალიბება, დიდი გამოწვევის წინაშე დგანან – ერთგვაროვანი კულტურის უზარმაზარი ტალღა წალეკვით ემუქრება მათ ინდივიდუალობას. ამიტომ ან განსაკუთრებულად ნიჭიერები უნდა იყვნენ, რაც მათ ისტორიულ მოვლენად აქცევს მუსიკაში, ან კიდევ გვერდით უნდა ედგეთ ვინმე გამოცდილი, უკვე ხანში შესული ადამიანი, რომელიც ტალანტის შემდგომ განვითარებაში დაეხმარებათ. რა თქმა უნდა, მუსიკალური განათლების თვალსაზრისით, დღეს ახალგაზრდები უკეთეს მდგომარეობაში არიან, რადგან კონსერვატორიებში მუსიკოსისთვის აუცილებელ უნარებს იძენენ, მაგრამ ხშირად მხოლოდ ამ უნარების ამარა რჩებიან კიდეც. ჯონ ჰენდრიქსი მიყვებოდა, თუ როგორ სწავლობდა სიმღერას ათი თუ თერთმეტი წლის რომ იყო. ართ თეითუმი, დიდი ჯაზ პიანისტი იმავე ქუჩაზე ცხოვრობდა და ჯონს მუსიკის გაკვეთილებს უტარებდა. როდესაც ჯონი გაკვეთილზე მიდიოდა, თეითუმი რთულ, არპეჯირებულ ფრაზას დაუკრავდა და ეუბნებოდა: „აბა, ახლა მიდი და გაიმეორე, რაც დავუკარი“. ეს ბევრად უფრო ღრმაა, ვიდრე ნებისმიერი კონსერვატორია.

არაერთხელ გითქვამთ, რომ დღეს კულტურას ყველაზე მთავარი რამ აკლია – იდუმალება. რატომ მიგაჩნიათ ეს ნაკლი ასე მნიშვნელოვნად დღევანდელ კონტექსტში?

ეს მხოლოდ ამერიკას არ ეხება. ინტერნეტის ეპოქაში ეს საყოველთაო მოვლენაა და საჭიროზე ზედმეტად განვითარებულ და ჩვენ სამსახურში ჩამდგარ ტექნოლოგიებთანაა კავშირში. დღეს შეუძლებელი ხდება მოზღვავებული ინფორმაციის სრულად გადახარშვა. ეს ყველაფერი უკვე კულტურული ან, თუ გნებავთ, პოლიტიკური ოლიგარქიასავითაა. ჩვენ მყისიერად მიგვიწვდება ხელი ისეთ ინფორმაციაზე, რაც კულტურული იდეების და ნორმების გავრცელებას აადვილებს. ამ ხერხით ჩვენ გვკარნახობენ, – ეს ლამაზია, ეს მნიშვნელოვანია, ჩაიცვი ეს, ნახე ეს ფილმი, აი ესენი მნიშვნელოვანი ადამიანები არიან და ასე შემდეგ. ეს ყველაფერი კი იმის ნაცვლად, რომ თავადვე შეგვეძლოს ფერების, გემოების, ენების, ან თუნდაც ჩაცმულობის სტილის ამოუწურავი მარაგიდან ამორჩევა. იდუმალი დაფარულიდან მოდის, და თუ, მაგალითად, მე ერთ ადგილას ვცხოვრობ და არასდროს შევხვედრივარ ვიღაცას, ვინც სხვაგან ცხოვრობს, მაშინ ის ჩემთვის იდუმალებითაა მოცული.

>>> გაგრძელება გვ. 117

ინტერვიუ ჯონ მედესქისთან

ავტორი: კახა თოლორდავა
ფოტო: ლევან ხერხეულიძე

როდესაც „ისტერნ ფრომოუშენმა“ დამიდასტურა თქვენთან ინტერვიუს ჩაწერის შესაძლებლობა, პირველი რაც თავში მომივიდა, თელონიუს მონქის ცნობილი სიტყვებია: „მე ვამბობ, დაუკარით ის, რაც გსურთ; ნუ უკრავთ იმას, რასაც პუბლიკა ითხოვს. დაუკარით, რაც გსურთ, დე მსმენელი თვითონ მიხვდეს, რასაც აკეთებთ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას ამისთვის თხუთმეტი ან ოცი წელი დასჭირდება“. მგონია, რომ მონქის ეს სიტყვები აბსოლუტურად ესადაგება Medeski, Martin and Wood-ს, იმ მცირეოდენი განსხვავებით, რომ ადამიანებს, როგორც ჩანს, ძალიან დიდი დრო არ დასჭირვებიათ თქვენი მუსიკის გასაგებად. რამდენად რთული იყო მსმენელის შეძენა იმ ბენდისთვის, რომელიც მუსიკას იმპროვიზაციით ქმნის?

როდესაც მე, ქრისს და ბილის პირველად მოგვეცა ერთად მუზიცირების საშუალება, უმალ ერთ სხეულად ვი-



გრძენით თავი. სხვათა შორის, თემა, რაც პირველი შეხვედრისას დავუკარით, მოგვიანებით ნოტებად ვაქციე და ის ჩვენ პირველ დისკში შევიდა. თავიდანვე ორგანულად მოვერგეთ ერთმანეთს და ეს სამივემ ვიგრძენით. მივხვდით, რომ ეს იყო ის მუსიკა, რისი კეთებაც გვინდოდა. გადავწყვიტეთ, გაგვეგრძელებინა და გვენახა, შევძლებდით თუ არა ასეთი მუსიკით მსმენელის მოზიდვას. ჩვენ თვრამეტი წლის წინ შევხვდით ერთმანეთს და მაშინვე მივხვდი, რომ ახალგაზრდა თაობის ამერიკელებს არცთუ ისე ეხატებოდათ გულზე ჯაზი. პირადად მე მიმაჩნია, რომ ჯაზის იმპროვიზაციული სული (ან რაც გინდათ ის უწოდეთ მას), ვგულისხმობ მოცემულ მომენტში არაფრიდან რაღაცის შექმნის მცდელობის სურვილს, ძალზე ადამიანურია. ამავე დროს ჯაზური მუსიკის ელიტურობამ ლამის ისტორიულ მუსიკად აქცია ის. ახალგაზრდებს კი იმის მოსმენა სურთ, რაც დღესაა აქტუალური, რაც თანამედროვეა. ამერიკა საოცრად „არამეგობრულია“ თავის მუსიკალური წარსულისადმი. ყველა ის დიდი ჯაზმენი, ჩვენი მენტორები, ვისაც ვაღმერთებდით, ევროპაში შოულობდა ლუკმა-პურის ფულს. იმ დროისთვის ჩვენი ევროპაში მოხვედრის შანსი ნაკლები იყო, ამიტომაც ფეხებზე დავიკიდეთ ყველაფერი და ამერიკის გარშემო ტურნეში წავედით. ვფიქრობდით: „მოდი ვნახოთ, რა მოხდება. ბოლოს და ბოლოს ჩვენ ხომ ის ხალხი ვართ, ვისაც სჯერა, რომ მსმენელს ახალი მუსიკის აღქმის უნარი აქვს“. კონცერტების დროს, იმპროვიზაციისას ვცდილობდით, ჰიფ-ჰოფის თუ სხვა თანამედროვე მუსიკალური ჟანრების ელემენტები გამოგვეყენებინა; დაახლოებით ისეთ მუსიკალურ ნაზავს ვუკრავდით, ნიუ-იორკული ანდერგრაუნდისათვის რომაა დამახასიათებელი. იქ ყველა სახის მუსიკას უკრავენ, ნებისმიერი მუსიკალური სტილის კომბინირებით, იქნება ეს კლეზმერის და პანკის თუ ჯაზის და ჰიფ-ჰოფის ნაზავი. მაშინ ყველაფერი ეს ოდნავ გარეკილი, თუმცა ამავე დროს საოცრად სიცოცხლისუნარიანი იყო. ახალგაზრდა მუსიკოსები ცდილობდნენ იმპროვიზირებული მუსიკის კონცეფციის გაფართოებას, მის გათავისუფლებას სტილისტური მარწუხებისგან და ახლით, უფრო პირადულით გამდიდრებას. ჩვენ ამას ჩვენებურად ვაკეთებდით. რა თქმა უნდა, ამერიკაში კონცერტებით ფულის შოვნა ვერ მოვახერხეთ, ამიტომაც სამივე ნიუიორკში დავბრუნდით და სხვა მუსიკალური პროექტების საშუალებით შევაგროვეთ ტურნეში დასარჩენად აუცილებელი თანხა. მერე კი იმ ფულით ვიყიდეთ კარავი, ტრაილერი და ტურნე გავაგრძელეთ. ყავახანებში და პატარა კლუბებში ვუკრავდით – ძირითადად იქ, სადაც ახალგაზრდები იკრიბებოდნენ. ერთხელ ერთ ჯაზ-კლუბშიც დავუკარით, მაგრამ იქ ყველაფერი ჩამკვდარი იყო და ამიტომაც ისევ ყავახანებს დავუბრუნდით. მე მიყვარს ჯაზი. ბევრი რამაა ამ მუსიკაში ისეთი, რაც აბსოლუტურად ფანტასტიურია, მაგრამ ჩვენ გამოვტოვეთ ჯაზის რენესანსის ხანა. დღეს ჯაზი ისტორიული საზოგადოებასავითაა და მისი სმენაც მუზეუმის მონახულებასავითაა, რაც თავისთავად ცუდი არაა; მე მიყვარს მუზეუმები, თუმცა ეს ის არაა, რისი კეთებაც ჩვენ გვინდა მუსიკალური თვალსაზრისით. ჯაზ-კლუბების მეპატრონეების უმრავლესობას არ ესმოდათ თუ რას ვაკეთებდით. ზოგადად, ჯაზის სამყაროს კი დიდი ხანი დასჭირდა ჩვენი მუსიკის აღსაქმელად. ეს მხოლოდ მაშინ მოხდა, როდესაც ჯონ სქოფილდმა დისკი ჩაწერა ჩვენთან ერთად. სწორედ მაშინ აღმოვჩნდით მოულოდნელად Blue Note-ის მფარველობის ქვეშ. სწორედ მაშინ დაიწყო ჯაზის სამყარომ იმის გაცნობიერება, რომ რაღაცად ვღირდით. „უუჰ, მათ იმ მუსიკოსთან დაუკრეს, ვინც მაილზ დევისთან უკრავდა!“ – აი, მათი ჩვენდამი მოულოდნელი ყურადღების მთავარი არგუმენტი. პრინციპში ეს ნორმალურია, მაგრამ ამავე დროს ოდნავ უცნაურიც, არა? რას იზამ, ასე მუშაობს მუსიკალური ბიზნესი ამერიკაში! მოკლედ, სწორედ ამ სახით მიიღო ამერიკელმა ახალგაზრდობამ ჩვენი მუსიკა თავიდან და ეს ყველაფერი ვითარდებოდა, ვიდრე ერთ მშვენიერ დღეს მოულოდნელად ე.წ. ჯემ-ბენდის ფენომენად ცნობილი მოძრაობის სათავეში არ მოვექეცით. ძალიან არ მოგვწონს ჯემ-ბენდს რომ გვიწოდებენ, მაგრამ უკვე ვერაფერს გააწყობ! ეს მთლიანად ჟურნალისტების ბრალია. დასაწყისში მედია ისე იქცეოდა, თითქოს არც კი ვარსებობდით, მაგრამ დროის განმავლობაში ეს

მოძრაობა ისე მომძლავრდა, რომ როდესაც ჟურნალისტები გონს მოეგნენ, მსმენელს ჩვენთვის უკვე ჯემ-ბენდის იარლიყი ჰქონდა მოკრული. უბრალო მსმენელმა, ვინც კარგად არ იყო გარკვეული მუსიკალურ ტერმინოლოგიაში, ჩვენი მუსიკის განსასაზღვრად ტერმინი „ჯემ-სეშენი“ გამოიყენა. ის, რა თქმა უნდა, უმალ ჯაზს გახსენებს, რადგანაც ჯაზის ისტორიული ტერმინია. სამწუხაროდ, ამ თვალსაზრისით, დღეს ჩვენ უკვე არაფრის გაკეთება აღარ შეგვიძლია; ტერმინი „ჯემ-ბენდი“ მართლაც რომ იარლიყივით გვაქვს მოკრული. გავაგრძელებ: ყოველივე ამის შემდეგ კიდევ რამდენიმე წელი დაგვჭირდა ამერიკელი მსმენელის ბოლომდე შესაგრძნობად. სხვათა შორის, სწორედ ამ პერიოდში ერთი ტურნე ევროპაშიც გავაკეთეთ – საკმაოდ წარმატებული, თუმცა ძალიან ხანმოკლე. ევროპას თავისი პრობლემები აქვს. ნამდვილად არ მსიამოვნებს ამის თქმა, მაგრამ ევროპას თავისი საკუთარი ჯაზ-მაფია ჰყავს და, როგორც ეს ამერიკაში ხდება, იქაც მაილზთან თუ არ დაგიკრავს, ვერავისაც ვერ დაინტერესებ. ყველაფერი ეს სასაცილოა, მაგრამ ასეა და ვერაფერს გახდები; ეს უკვე კომერციაა. მათ ფულის კეთება სურთ, ჩვენ კი ყოველთვის ვმიჯნავდით მუსიკას და ბიზნესს. მუსიკალურ ინდუსტრიაში ბიზნესს ვერსად გავექცევით, მაგრამ ჩვენთვის მთავარი მაინც ერთი რამ იყო: თუ დარბაზში თუნდაც თხუთმეტი კაცი მაინც იჯდა, მათთვის ვუკრავდით. კარგი ისაა, რომ სადაც ჩავედით, ყველგან შევკრიბეთ ჩვენთვის აუცილებელი თხუთმეტი თუ ორმოცდაათი მსმენელი. მონქის სიტყვებს რომ დავუბრუნდეთ, სწორედ ასე ვიქცეოდით – ვუკრავდით იმას, რაც მოგვწონდა და ჩვენ კონცერტებზე მოდიოდნენ ისინი, ვისაც მოსვლა უნდოდა. იმ ადამიანებს, ვისაც ერთხელ უკვე მოსმენილი ვყავდით, უკვე აინტერესებდათ, თუ რა მიმართულებით ვითარდებოდა ჩვენი მუსიკა. მერე კი ჩვენ ამერიკის სამხრეთ შტატებში გავემგზავრეთ საგასტროლოდ, იქ, სადაც ადამიანებს უყვართ ცეკვა და დროსტარება. იქ ყოფნისას უკვე საცეკვაო მუსიკის მორგება ვცადეთ ჩვენი დაკრულისთვის. გვაინტერესებდა, მოვახერხებდით თუ არა, საცეკვაო განწყობა შეგვეტანა მუსიკაში, თან ისე, რომ რაც ჩვენ მოგვწონდა, იმისთვის ზიანი არ მიგვეყენებინა. გვინდოდა, რომ ყველაფერი ეს უბრალო თამაშად კი არ დარჩენილიყო, არამედ ჩვენი მუსიკით მსმენელი სამოგზაუროდ წაგვეყვანა. დღეს როგორ მუსიკასაც ვუკრავთ, ამაზე ყველაზე დიდი გავლენა უბრალო მსმენელმა მოახდინა. უამრავი დრო გვაქვს დახარჯული ჩვენივე რიტმული ენის გასავითარებლად. საათების განმავლობაში შეგვეძლო ერთი და იგივე თემის ტრიალი მხოლოდ იმისთვის, რომ ბოლომდე შეგვეგრძნო ამა თუ იმ კომპოზიციის „გრუვი“. ნიუ-იორკში ბინა არც ერთს არ გვქონდა, რადგანაც სულ ტურნეებში დავდიოდით, ნიუ-იორკში კი ცივი ზამთარი იცის და ამიტომაც დიდ დროს ჰავაებზე ვატარებდით, სადაც

Shack-ის სახელით ცნობილ ადგილას ვწერდით და ვუკრავდით მუსიკას. სწორედ იქ ჩავწერეთ ჩვენი ალბომი Shackman. ცხოვრება ჰავაებზე ძალიან სასიამოვნო იყო – დღისით ოკეანეში ვცურავდით, მივირთმევდით თევზეულს, დასეირნობდით აქეთ-იქით, მერე კი მთელი ღამის განმავლობაში შეუჩერებლად ვუკრავდით. მხოლოდ იმ ჩვენთვის საოცნებო ენერგეტიკული „გრუვის“ დაჭერაზე ვფიქრობდით, არც ერთს არ გვაინტერესებდა სოლირება. როდესაც სამივე ვთანხმდებოდით, თუ რომელი ნაწილები იყო საინტერესო, უკვე ამ ნაწილების ირგვლივ ვიწყებდით იმპროვიზირებას. „გრუვსა“ და იმპროვიზაციას შორის ზღვარი თითქმის შეუმჩნეველია; „გრუვზე“ აგებული საინტერესო მუსიკა განმეორებადი რიტმული ფიგურებისგან შედგება. უნდა იცოდე და გესმოდეს, თუ როგორ დაეყრდნო ამ რიტმებს, თუ იმპროვიზაციით მათ განვრცობას აპირებ. თუ გინდა, რომ უფრო კრეატიულად მიუდგე მუსიკალურ მასალას, აუცილებლად უნდა გქონდეს მუდმივად განმეორებადი რითმის შეგრძნება და იმის გაგების უნარი, თუ როგორ შეიძლება ალტერაციამ ამ განმეორებად ფიგურებში შეცვალოს ის, რასაც უკრავ. სხვათა შორის, სწორედ ამითაა განსაცვიფრებელი მარკუს მილერი. ის ბენდის წევრებისგან „ჩაფენილ“ რიტმულ „გრუვზე“ აგებს ყველაფერს და კომპოზიციის განვითარების პროცესში მუსიკა სულ უფრო და უფრო ჩამთრევი ხდება...

თქვენ როგორღაც ახერხებთ მუსიკის შესაქმნელად აუცილებელი კრეატიული სივრცის შენარჩუნებას და არ ცდილობთ სამუშაო პირობების გაადვილებას; პირიქით, თითქოს მიზანდასახულად ირთულებთ მუშაობის პირობებს. ასე იყო თქვენ ბოლო ალბომზე, სამდისკიან Radiolarians-ზე მუშაობისას; მუსიკა, რომელსაც ამ ალბომზე ისმენ, ტრადიციული გზით არ ჩაგიწერიათ სტუდიაში მუშაობისას. ამავე დროს ეს არაა ჩვეულებრივი „ლაივ“ ჩანაწერიც. თქვენ თვეების განმავლობაში ტურნეებში მოგზაურობისას პირდაპირ კონცერტებზევე, სპონტანურად ქმნიდით

ჭეშმარიტი სიახლით და მნიშვნელობით დატვირთულ მუსიკას ყოველთვის საკუთარ თავთან პირისპირ დგომის დროს ქმნი.

და იწერდით ამ მუსიკას, და მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც საკმარისი მასალა დაგიგროვდათ, სტუდიაში შეხვედით და ტურნეში შექმნილი მუსიკა თავიდან ჩაწერეთ. მაინტერესებს, მუსიკის კეთებისადმი ასეთ მიდგომა პიროვნული თვისებებიდან გამომდინარეა, თუ უბრალოდ მიგაჩნიათ, რომ მუსიკის შექმნის პროცესში ხელოვნურად შექმნილი დაბრკოლებები შემდგომი განვითარების საწინდარია?

მე მგონი ორივე. თითოეული ჩვენგანის პიროვნებას რაც შეეხება, გეტყვით, რომ, როგორც ბენდი, ჩვენ გამონაკლისი ვართ; იშვიათია ბენდი, რომელიც თვრამეტი წლის განმავლობაში უცვლელი შემადგენლობით გამოდის. ჩვენი პირველი შეხვედრიდან ამდენი წლის შემდეგ, დღესაც მეგობრებად ვრჩებით, ერთმანეთს დღესაც ვესაუბრებით, დღესაც გვიყვარს ერთმანეთი და დროსაც ხშირად ვატარებთ ხოლმე ერთად. მინახავს ბენდები, რომლის წევრებსაც უბრალოდ ეზიზღებათ ერთმანეთი. ისინი ადიან სცენაზე, უკრავენ იმას, რასაც ადრეულ სამოციანებსა თუ სამოცდაათიანებში უკრავდნენ, შემდეგ კი პირადი ავტობუსებით ან ლიმუზინებით ტოვებენ საკონცერტო დარბაზებს. იცით, რას გეტყვით? დღეს ჩვენ კიდევ უფრო ახლოს ვართ, ვიდრე პირველად რომ გავიცანით ერთმანეთი. მიმაჩნია, რომ Radiolarians-ზე მუშაობა კრეატიული თვალსაზრისით დიდებული იყო ჩვენთვის, რასაც ვერ ვიტყვი ფინანსურ მხარეზე. მთელი ჩვენი კარიერის მანძილზე ასე იყო. თუმცა შემიძლია გავიხსენო ერთი ეპიზოდი, როდესაც Dropper-ის ჩაწერის დროს ძალიან ადვილად შეგვეძლო გადაგვედგა ნაბიჯი უფრო კომერციული, ჯაზი-ხვდებაფანკს ტიპის მუსიკის მიმართულებით. სწორედ ამ პერიოდში მივიღეთ ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება – „ამდენი წლის განმავლობაში ჩვენ მუსიკას „ვაწვებით“ და გვინდა, რომ შემდგომშიც კრეატიულებად დავრჩეთ. ამას აუცილებლად დავკარგავთ, თუ ჩვენივე თავის კარიკატურად ვიქცევით“.

>>> გაგრძელება გვ. 120

ს პ ე ც პ რ ო ე ქ ტ ი

სტუდენტური თვითმმართველობა

ავტორი: ნათია გულიაშვილი
ფოტო: დავით მესხი
ილუსტრაცია: მარიამ ზალდასტანიშვილი

მახსოვს, უნივერსიტეტში სწავლისას, ჩვენი კორპუსის ყველა კედელი ერთხელ პლაკატებით დაიფარა. ახალგაზრდა გოგო-ბიჭების ფოტოები და წარწერა – „ხმა მიეცი ამას და ამას“ – უნივერსიტეტის თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობისკენ მოგვიწოდებდა. მახსოვს, კანდიდატების სიებით მოსული სტუდენტებიც, თავიანთი კანდიდატურის სასარგებლოდ თავაზიანად რომ მთხოვდნენ ხელის მოწერას. მაშინ, მარტივად რომ ვთქვა, არასერიოზულად ვუყურებდი პოლიტიკური არჩევნების ამ „საბავშვო ვერსიას“ და ვერ ვხვდებოდი, რატომ უნდა აინტერესებდეთ ახალგაზრდა ადამიანებს ასეთ ამბებში მონაწილეობა. მერე ვიღაცამ გაიმარჯვა. მომდევნო სემესტრში უკვე თვითმმართველობის სახელით გაკრული ახალ-ახალი განცხადებები მხვდებოდა მეექვსე კორპუსის კედლებზე: ხან მწერალთან შეხვედრაზე გვეპატიჟებოდნენ, ხან სპორტულ შეჯიბრებაზე, ხან სტუდენტური პოეზიის საღამოებზე ან ღამის კლუბებში. ისიც მახსოვს, ჟურნალისტური გამოძიების კურსს რომ გავდიოდით, რამდენიმე ჯგუფმა უნივერსიტეტის თვითმმართველობის ბიუჯეტის განკარგვის გამოძიება გადაწყვიტა. ამბობდნენ, – სპორტულ ღონისძიებებზე ბევრი ფული იხარჯებაო; თვითმმართველობის წევრები თავისთვის აკეთებენ ექსკურსიებს და თვითონ ერთობიანო. და თუ რომელიმე საჯარო აქციაზე გამოვიდოდნენ, პოლიტიკური პარტიებიდან მართულებად ნათლავდნენ. მოკლედ, ბრალდებების კორიანტელი.

ვინ არიან სინამდვილეში ეს აქტიური ახალგაზრდები, შეიძლება ითქვას ჰიპერაქტიულებიც, იმ სტუდენტების ფონზე, ვინც უნივერსიტეტში მხოლოდ ლექციებისთვის დადის. რა არის მათი აქტიურობის მიზეზი – ალტრუისტული ზრახვები სტუდენტების დასახმარებლად და მათი ცხოვრების გასალამაზებლად, პოლიტიკური კარიერისკენ სწრაფვა, თუ უბრალოდ გართობის მეტი საშუალების ძიება? ამ კითხვებმა გადამაწყვეტინა, აქტიურთა შორის ყველაზე აქტიური სტუდენტები გამეცნო და ამ მიზნით თვითმმართველობების პრეზიდენტებს შევხვდი. მინდოდა, მათგანვე მომესმინა, რას ხედავენ, გრძნობენ და როგორ აფასებენ იმას, რაც დღეს ჩვენ გარშემო ხდება.

საბჭოთა კავშირში კომკავშირის ბილეთის გარეშე თბილისის სკოლებს ერთეულები თუ ამთავრებდნენ. რიგითი

კომკავშირელის ფუნქცია საწევროს გადახდა და კომკავშირის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება იყო. შედარებით მაღალ საფეხურზე, ანუ უნივერსიტეტში, კომკავშირი კომუნისტური პარტიის ახალგაზრდულ ფრთად იქცეოდა. აქ სტუდენტების ძირითადად სამი კატეგორია წევრიანდებოდა: 1) კარიერისტები – უფროსებისთვის თავის მოწონებას რომ ცდილობდნენ, თბილი ადგილების მოლოდინში; 2) მეგობრები, ვინც კომკავშირში დროსტარების წყაროს ეძებდა და წესდება და კარიერა არ აინტერესებდა; და 3) ძირითადად „გეგმიურად" მიღებული ნაწილი, ძალით რომ შეჰყავდათ.

90-იანი წლების დასაწყისში სტუდენტთა პროფკავშირი ჩამოყალიბდა. შეიძლება ითქვას, რომ თვითმმართველობის ორგანოს მაგივრად, პოლიტიკური ინექციის ცენტრი გაკეთდა და უპარტიო სტუდენტებმა, დაახლოებით წინამორბედების მსგავსად, პოლიტიკური ინტერესების ლობირება დაიწყეს. ადმინისტრაციისადმი სრულიად ლოიალური პოლიტიკის გამო, ეს ჯგუფები მის დანამატს უფრო წარმოადგენდნენ, ვიდრე სტუდენტების ინტერესების დამცველ გაერთიანებებს. პირველად სტუდენტების ნაწილი თვითმმართველობის შექმნაზე უკვე 2000 წლის შემდეგ დაფიქრდა. თუმცა, არაეფექტური ორგანიზების და კონკრეტული იდეის გარშემო გაუერთიანებლობის გამო, თვითმმართველობის იდეას უნივერსიტეტების ბიუროკრატიული წყობა წლების მანძილზე წარმატებით ბლოკავდა. ამ პროცესის ერთგვარი დაგვირგვინება 2003 წლის „ვარდების რევოლუცია" იყო, როცა სტუდენტთა დიდი ნაწილი გულწრფელად შეუერთდა რევოლუციის ტალღას, მეორე ნაწილი კი, ზოგი თავის სურვილით, ზოგი ლექტორ-მასწავლებლების სახელოზე ქაჩვით, ედუარდ შევარდნაძეს ხვდებოდა და თანადგომას უცხადებდა.

რევოლუციის შემდეგ კიდევ სამი წელი დასჭირდა თვითმმართველობის იდეის პირველ არჩევნებამდე მიტანას. 2006 წელს არჩევნები, მართალია, ზოგ შემთხვევაში განათლების სამინისტროს და რექტორის მიერ დაკომპლექტებული საარჩევნო კომისიით, ან პარტიების და სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლების სტუდენტური ორგანიზაციების ღია მხარდაჭერით და სხვა ამგვარი დარღვევებით, მაგრამ რამდენიმე უნივერსიტეტში მაინც ჩატარდა.

დღეს, უმაღლესი განათლების შესახებ კანონის თანახმად, თვითმმართველობებს საშუალება აქვთ, ჩაერიონ უნივერსიტეტის საქმიანობაში და დამოუკიდებელი, სტაბილური ბიუჯეტი ჰქონდეთ სტუდენტური იდეების დასაფინანსებლად.

თავიდან სტუდენტური თვითმმართველობების მთავარი მიზანი გამჭვირვალე არჩევნები და უნივერსიტეტებში კორუფციის მხილება იყო. თუმცა, „წინაპრებთან" შედარებას ამ ახალი ორგანოს პირველი ტალღაც ვერ ასცდა. ბევრი ხელმძღვანელი, ვინც სტუდენტობის დროს პოლიტიკურ პროცესებში აქტიურად იყო ჩართული, შემდეგ პოლიტიკურ კარიერას აგრძელებდა. თვითმმართველობის პრეზიდენტობის კანდიდატი სტუდენტების საარჩევნო ტექსტები კი პოლიტიკოსების ტექსტებს ემსგავსებოდა (მაგალითად, დაპირება: აფხაზეთში მალე, სტუდენტის სტატუსით შესვლა). ამიტომ, საზოგადოებაში კვლავ დაბრუნდა აზრი, რომ თვითმმართველობა ისევ ყველასათვის ნაცნობი ტრამპლინი იყო ხელისუფლებაში მოსასვლელად.

რესპონდენტებთან საუბრისას ბოლო წლების რამდენიმე მნიშვნელოვანი საჯარო გამოსვლაც გავიხსენეთ, დიდი საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური გამოხმაურება რომ მოჰყვა.

2007 წლის 10 ოქტომბერს, ვაზის აჩეხვასთან დაკავშირებით „იმედის" ეთერში გასული ცნობილი სიუჟეტის შემდეგ, ტელევიზიის მაშინდელი მფლობელის, ბადრი პატარკაციშვილის სახლთან სტუდენტებმა აქცია მოაწყვეს. ისინი ბიზნესმენის სახლის წინ დოლარის ყალბ კუპიურებს ყრიდნენ და პატარკაციშვილს ვაზის აჩეხვისთვის კახელ გლეხებზე ფულის გადახდაში დებდნენ ბრალს. მაშინ სტუდენტების აქციის ხელმძღვანელად თბილისის საკრებულოს და ნაციონალური მოძრაობის წევრები დაასახელეს.

2008 წლის მარტში აფხაზური მხარის მიერ დაკავებული სამი ქართველი სტუდენტის გამო, საქართველოს ყველა საუნივერსიტეტო ქალაქში სტუდენტებმა საპროტესტო კოცონი დაანთეს. ენგურის ხიდზე აქციაც მოაწყვეს. მაშინ რესპუბლიკური პარტიის წევრმა პაატა ზაქარეიშვილმა სტუდენტების დაკავებაში ქართული მხარე დაადანაშაულა. თსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის წევრებმა კი, ამ განცხადების გამო, მას რუსეთის აგენტი უწოდეს, რაზეც ზაქარეიშვილმა კვლავ განაცხადა, რომ ეს სტუდენტების გამოყენებით ხელისუფლების მიერ რესპუბლიკური პარტიის მიმართ მოწყობილი პროვოკაცია იყო.

2009 წლის ოქტომბერში კი, „თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენლის თეა თუთბერიძის მიერ გავრცელებული ვიდეორგოლის გამო, თვითმმართველობების უმრავლესობა სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობასთან შეიკრიბა და პატრიარქს მხარდაჭერა გამოუცხადა. ამჯერად პოლიტიკურ პარტიებს და საზოგადოებას შეკრების ორგანიზება არავისთვის მიუწერია.

რა არის დღეს თვითმმართველობის ფუნქცია? რა პროექტებზე მუშაობენ? მიაჩნიათ თუ არა, რომ ისინი სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენენ? როგორ იცავენ თავს პოლიტიკური პარტიების გავლენისგან და რა არგუმენტებით უარყოფენ პოლიტიზირების იარლიყს? მოსწონთ თუ არა სასწავლო პროცესი და, ზოგადად, განათლების სისტემა? მათი აზრით, რა ღირებულებების შენარჩუნებაა აუცილებელი ქართული საზოგადოების გადარჩენისთვის და რას ელიან დასავლეთთან ინტეგრაციით? ვინ არიან დამოუკიდებელი საქართველოს უკანასკნელი 20 წლის ისტორიიდან მათთვის მისაბაძი ადამიანები, ავტორიტეტები? არის თუ არა ქვეყანაში ისეთი საკითხები, რაზეც სურვილი აქვთ, გამოვიდნენ და სტუდენტობის სახელით ხმამაღლა გამოთქვან საკუთარი აზრი? რა არ მოსწონთ საზოგადოებაში და რისი შეცვლა უნდათ? და რა ნიშნავს მათთვის თავისუფლება?

ამ კითხვებზე სტუდენტური თვითმმართველობების ხელმძღვანელები გვიპასუხებენ.



ავთო გიუნაშვილი
სასულიერო აკადემია
სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი

ყველა ხელისუფლება ცდილობს ახალგაზრდების მართვას. ამისთვის არსებობდა კომუნისტების დროსაც კომკავშირი. არ მომწონდა კომკავშირი, არ მომწონდა აბსოლუტურად უმოქმედო სტუდენტური კავშირები. თვითმმართველობის იდეა, სინამდვილეში, ძალიან მომწონს, მაგრამ მაინც გარეგნული და ბუტაფორიული მგონია.

ჩემს სასწავლებელში სხვა სისტემაა, ამას თვითმმართველობას ვერ ვუწოდებ, იმიტომ, რომ ეკლესია იერარქიულია და ამ სისტემის ნაწილი თავისით მართვადი ვერასოდეს იქნება. აქ აუცილებელია ყველაფერი შეათანხმო, აიღო ლოცვა-კურთხევა რექტორატისგან, შენზე „მაღლა მდგომი“ ადამიანისგან, რომელსაც პატივი უნდა სცე. ეს უბრალოდ, არის სტუდენტების ერთობა, რომელიც ცდილობს, სტუდენტური ცხოვრების გასალამაზებლად რაღაც პროექტები გააკეთოს. ეს საერო სასწავლებელი არაა, მას თავისი კანონები აქვს. ჩვენ არ ვექვემდებარებით განათლების სამინისტროს, მხოლოდ საპატრიარქოს საგანმანათლებლო განყოფილებას.

თვითმმართველობაში ძირითადად ორგანიზებას ვუკეთებთ სტუმრების მოყვანას, სამეცნიერო კონფერენციებში ვიღებთ მონაწილეობას. პროექტებში შედის ძეგლების დასუფთავება, მომლოცველობები, ძირითადად ასეთი საკითხები. ბიუჯეტი კი გვაქვს, მაგრამ მთლიანად რექტორატის ლოცვა-კურთხევაზე ვართ დამოკიდებული. სასულიერო აკადემიის სტუდენტის წესდებაში წერია, რომ არ შეიძლება პარტიის წევრი იყო. ვინც გაწევრიანდება, გაირიცხება. ბევრი საზოგადოებისთვის ცნობილი სახე გაირიცხა ასე აკადემიიდან.

მაინც მგონია, რომ სამოქალაქო საზოგადოება, როგორც ასეთი, დღეს არ არსებობს. ქართული საზოგადოება ცხოვრობს სტიგმებით და თავისი სტერეოტიპებით. აქ რაღაც დემოკრატიულ პროცესებზე, მათში სტუდენტების ჩართვაზე და მათ როლზე რთულია საუბარი. სტუდენტებმა შეიძლება სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ. მაგრამ ვისაც საერო სასწავლებლებში ვიცნობ, ყველას სახელმწიფოს სათავეში უნდა მოსვლა. ასეთი აზროვნება დამღუპველია, იმიტომ რომ ყველა ცდილობს, ისეთი არაფერი გააკეთოს, რაც მის კარიერას შეუშლის ხელს. ჩვენთან ყველა ვიღაცას უწევს ანგარიშს. ასე საზოგადოება არ ვითარდება. როცა უნგრეთში და პრაღაში კომუნისტები შევიდნენ, მაშინ სტუდენტობა გამოვიდა. 1978 წელს ჩვენთან გამოვიდნენ და იქ არავინ ფიქრობდა იმაზე, – ამით მომავალში კარიერას ავაწყობო. სტუდენტობა ნათელი ძალა იყო. ვფიქრობ, სტუდენტობა მაშინ გახდება სამოქალაქო საზოგადოების ნაწილი, როცა განათლების სისტემა შეიცვლება. ჯერჯერობით ამბიციები უფრო გვაქვს, ვიდრე გააზრებული სურვილი. თვითმმართველობებიდან განათლებაზე მხოლოდ სოხუმის უნივერსიტეტში და სამედიცინოში ფიქრობენ ამაზე. სამოქალაქო საზოგადოება დისკოთეკებით არ შეიქმნება.

თითქმის ყველა თვითმმართველობის ყოფილი პრეზიდენტი დღეს პოლიტიკურ პარტიაშია. სულ ასე იყო. კარგი სამჭედლოა პოლიტიკური კარიერისთვის. კომკავშირებმა გაზარდეს – კომუნისტები, სტუდკავშირებმა – ბევრი ოპოზიციის ლიდერი. მერე ხელისუფლებამ დაიწყო თვითმმართველობებში კადრების ძიება. პრინციპში, ვერაფერ ცუდს ვერ ვხედავ, როცა ხელისუფლება ცდილობს, გაზარდოს მომავალი თაობა. მეორე მომენტია, თუ ხელისუფლებაში მოსვლა გინდა, ამისთვის სტუდენტობა არ უნდა გამოიყენო.

წინაპრებისგან ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც მივიღეთ, ალბათ ჰუმანიზმის პრინციპებია. პატრიარქი ამბობს ხშირად: ღმერთი, სამშობლო, ადამიანი. ეს სამი პრინციპი უნდა შეინარჩუნოს ქართულმა საზოგადოებამ. ამის გარშემო უნდა გაერთიანდეს. არ ვამბობ, რომ ერთი ადამიანი უნდა გავაკერპოთ. ჩვენ იდეების გარშემო უნდა გავერთიანდეთ. ყოველთვის გვინდოდა, ევროპის ნაწილი ვყოფილიყავით, მაგრამ მთავარია, როგორ გავაკეთებთ ამას. ნურავინ იტყვის, რომ აი, საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა და მორჩა, არაფერი უნდა გავაკეთოთ. თუ ღვთისმშობლის წილხვედრია, ეს კიდევ უფრო მეტი პასუხისმგებლობაა.

ჩემს თაობაში მე ვხედავ ძალას, ვფიქრობ, ჩვენ შეგვიძლია კარგი სახელმწიფო შევქმნათ. უბრალოდ, ერთმანეთის ხელშეწყობაა საჭირო და არა ხელისუფლების, ან ამერიკის ყურება. ადრე რუსეთს შევყურებდით ასე. არა, ჩვენ თვითონ უნდა გავაკეთოთ. საქართველო პატარა ქვეყანაა, რომელსაც უბრალოდ, კარგი პარტნიორები სჭირდება ევროპაში. მაგრამ ჯერ უნდა გავერკვეთ, რა გვინდა – ირანი ხომ არა?

არ მომწონს გამსახურდია, რომელმაც ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვა და დღეს ის საზოგადოებას ასე დიდ პიროვნებად მიაჩნია. გამსახურდიამ თავის პირად ამბიციებს ანაცვალა ქვეყანა. ვერ ვპატიობ საზოგადოების გაყოფას, გახლეჩას.

თავისუფლება, იცით, რა არის? როცა შეგიძლია შენი თავი მართო, პირად მოთხოვნილებებზე მაღლა დადგე. როცა შეგიძლია, სხვა არ მოკლა, როცა გშია. ის, რომ იყო რაღაც ფასეულობების ერთგული. როცა შეგიძლია, უფრო მაღლა დააყენო სხვისი ინტერესი, ვიდრე საკუთარი. როცა რაღაცაზე უარის თქმა შეგიძლია. და ის, რომ სხვის უფლებებს არ ზღუდავ.

გიორგი შამათავა
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი

როცა პრეზიდენტად ამირჩიეს, რამდენიმე პარტიის წარმომადგენელი, ზოგი პირდაპირ, ზოგი ახლობლების მეშვეობით დამიკავშირდა; შემომთავაზეს, – იქნებ სხვადასხვა სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხებზე ვითანამშრომლოთო. ამ „სახელმწიფო მნიშვნელობის“ საკითხების უკან რა იდგა, კარგად ვიცოდი. უარი ვუთხარი, – ასეთ პარტიულ საქმიანობაში ვერ ჩავერთვები-მეთქი. ხშირად ტელევიზიიდან გვიწვევენ ახალგაზრდულ პოლიტიკურ ორგანიზაციებთან დებატებში. ამ შემთხვევაშიც თავს ვიკავებთ, რადგან ესეც პოლიტიკურ აქტივობაში ჩათრევას ნიშნავს. ჩვენთან ასეა, თუ ვინმეს პარალელურად რომელიმე პარტიაში გაწევრიანება მოუნდება, მას თვითმმართველობის სტატუსი გაუუქმდება. იყო 2 ასეთი სტუდენტი, ვინც პარტიაში წასვლა არჩია. კომკავშირი კომუნისტური პარტიის ახალგაზრდული ფრთა იყო და სწორედ აქედან გადადიოდნენ დიდ პარტიაში. თვითმმართველობის შემთხვევაში, ეს ასე არ არის, სრულიად დამოუკიდებელი ერთეულია. თუ დღის წესრიგში სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი საკითხი დგება, მხოლოდ მაშინ ერთვება. ასეთი იყო 3 სტუდენტის გატაცება აფხაზეთში.

სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხებში ისეთ თემასაც ვგულისხმობ, როგორიც ეკლესიაა. ეკლესიაზე საუბარი ჩემთვის სახელმწიფოზე საუბარს ნიშნავს. იმიტომ, რომ ამ ორი ცნების გამიჯვნა ჩემთვის წარმოუდგენელია. მნიშვნელოვანია კონფლიქტური რეგიონების საკითხიც – აფხაზებთან და ოსებთან ხიდია ჩატეხილი. ჩვენ გვქონდა მოლაპარაკებები იქაურ უნივერსიტეტებში ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთობლივ შეხვედრაზე, თავიდან გვინდოდა თბილისში ჩამოსულიყვნენ, ტრენინგ-სემინარებზე კონფლიქტების თემაზე. უარი მივიღეთ. შემდეგ ნეიტრალური ქვეყანა შევთავაზეთ – უკრაინა, აზერბაიჯანი. დაგვთანხმდნენ, უბრალოდ დრო უნდა დაგვეთქვა. ეტყობა, როცა ამის შესახებ განაცხადეს, პრობლემები შეექმნათ. ორი თვე იყო დარჩენილი, როცა შეგვატყობინეს, რომ ძალიან უნდოდათ შეხვედრა. ისიც გვითხრეს, – ძალიან გვიყვარხართ, მაგრამ შეხვედრაზე რომ წავიდეთ, უკან ვეღარ დავბრუნდებითო. ალბათ დაემუქრნენ. ეს იდეა ოცნებად გვექცა.

ქართველების მთავარი ღირებულება ადათი და ტრადიციებია. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაზეც სახელმწიფო დგას, ეს არის ეკლესია, ეს არის ჩვენი სარწმუნოება – მართლმადიდებლობა. არც ერთ ქართველს ამაზე განსხვავებული აზრი არ აქვს. მეორე ღირებული ეს არის ურთიერთპატივისცემა, მეგობრობა, რომელიც ქართველებს შესისხლხორცებული აქვთ. ამის საფუძველზეა საზოგადოება ერთიანი. კიდევ ეს არის ქვეყნისადმი უდიდესი სიყვარული, რომელიც თითოეულ ქართველს აქვს. იგივე ქართული სუფრა, რომელიც უდიდესი აკადემიაა, რომელიც უდიდესი ადათი და ტრადიციაა, რაც წინაპრებისგან მივიღეთ და რაც აუცილებლად უნდა გადავცეთ მომავალ თაობებს ამ სხვა დანარჩენთან ერთად. მომწონს პატრიოტული ბანაკების იდეა. ის, რომ სტუდენტებს, სკოლის მოსწავლეებს სრულიად უსასყიდლოდ ეძლევათ შანსი, დაისვენონ, გაიცნონ ერთმანეთი, იცხოვრონ ჯანსაღი ცხოვრების წესით და ერთმანეთს გაუღვივონ ქვეყნისადმი, ჰიმნისადმი, დროშისადმი სიყვარული. დასავლეთთან ინტეგრაცია, ვფიქრობ, აუცილებელი პროცესია. არ მიმაჩნია, რომ დასავლეთი საფრთხეს უქმნის რაიმე ქართულს. ეს ქართულ საზოგადოებაზეა დამოკიდებული. დასავლეთი ძალიან ბევრ პროდუქტს გვთავაზობს – რომელთა შორის შეიძლება რაღაც კარგია, რაღაც ცუდი. რას გადმოვაქართულებთ, ეგაა მთავარი. მაგრამ არის ბევრი მიუღებელიც. მაგალითად, თბილისში აპირებდნენ გეი პარადს და მაშინ მთელი თბილისი ემზადებოდა ამის დასარბევად. ანუ, არის რაღაც თემები, რომლებიც ქართველებისთვის მიუღებელია. იგივე ჰელოუინი. ესეც მიუღებელი აღმოჩნდა ჩვენი მენტალიტეტისთვის. რაც არ ჯდება, ის არ უნდა გადმოვიღოთ. ზოგადად, საზოგადოების გადმოსახედიდან დემოკრატიულ სახელმწიფოში თითქმის აღარაფერს არ კრძალავენ. თუ რაღაც თემატიკა ვიღაცას აინტერესებს, რასაკვირველია, არ უნდა აკრძალო, მაგრამ გაუაზრებლად მიბაძვაც ცუდია. თავისუფლება ყველაზე დიდი მონაპოვარია. ამისთვის იყო მუდივად ბრძოლები ევროპაშიც და საქართველოშიც. ათწლეული ისე არ ჩაივლიდა, ერთი გმირი მაინც არ ჰყოლოდა ჩვენ ქვეყანას. თუნდაც აგვისტოს ომში ძალიან ბევრი გმირი აღმოაჩნდა საქართველოს. აფხაზეთის ომის დროინდელ კადრებს რომ ვუყურებ, მაჟრიალებს. ჟიული შარტავას გმირობა, ვფიქრობ, უკანასკნელი პერიოდის ყველაზე თვალსაჩინო და მისაბაძი მაგალითია. იგივე მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია – მათ მთელი ცხოვრება საქართველოს დამოუკიდებლობას მიუძღვნეს. ისინი ბევრ რამეზე წავიდნენ და ბევრ რამეს მოაწერეს ხელი, რომ შედეგად საქართველოს დამოუკიდებლობა მიეღოთ. თავისუფლება ნიშნავს დამოუკიდებლობასაც, როცა შენს თავთან ხარ თავისუფალი, არ ხარ არავიზე დამოკიდებული, აკეთებ იმას, რაც სწორად მიგაჩნია და რაც გსურს. რასაკვირველია, ნებისმიერი თავისუფალი ქმედება უნდა აკმაყოფილებდეს მორალის ჩარჩოებს.

გიორგი ნაცვლიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი

ამ სემესტრში, რაც სწავლა დაიწყო, ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ვარ. მომწონს თვითმმართველობას დიდი ფუნქციები და უფლებები რომ აქვს, იმიტომ, რომ სასწავლებელი სტუდენტებისთვის არსებობს. სტრუქტურულად ძალიან დემოკრატიული ორგანოა. ვიკრიბებით კვირაში ერთხელ, მოგვაქვს ჩვენი თემებიც. გვაქვს გასართობი, სპორტული პროექტები, ასევე ვაწყობთ სემინარებს, ექსკურსიებს, შეხვედრებს. ანტინარკოტიკული კამპანიაც გვქონდა. ყველაზე მეტად მერიაა ჩართული და მერია ეხმარება თვითმმართველობებს. ბიუჯეტიც აქვთ სტუდენტებისთვის გამოყოფილი. ვიცი, რომ ახალგაზრდობაზე და ახალგაზრდულ ფრთაზე ბევრი რამეა დამოკიდებული. საკუთარი აზრი ალბათ ყველა სტუდენტს აქვს, მაგრამ ახლა ისეთი სიტუაციაა ქვეყანაში, ყველა თავს ვიკავებთ. ვერიდებით აზრების გამოხატვას, იმიტომ, რომ შეიძლება ხელისუფლებამ ან ოპოზიციამ თავისთვის მიიწეროს. ამაზეც ხშირად ვკამათობთ თვითმმართველობაში. აქციაზე დაინახავენ ხოლმე სტუდენტებს და ეგრევე მიაწებებენ იარლიყს, – იმის ან ამის მხარეს არიანო, – ამბობენ. შემოთავაზებითაც მოსულან პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები – უთქვამთ, თქვენ აქ არ უნდა ისხდეთ, მოკიდეთ სტუდენტებს ხელი და წამოდით აქციაზეო. მაგრამ მე მაგათ ნებაზე ვერ ვატარებ სტუდენტებს, მით უმეტეს, სულ არ მინდა პოლიტიკაში ჩაერიო. მარტო ქვეყნისთვის რაც იქნება კარგი, იმაში ჩაერთვებით.

მაგალითად, მახსენდება აქცია ენგურის ხიდზე, ბიჭები რომ იყვნენ დაკავებულები. მთელი თვითმმართველობები ვიყავით. ჩვენი სურვილით შევიკრიბეთ და ჩავედით. მერე პრეზიდენტიც ჩაერია და გაათავისუფლეს. ღირსების ორდენებითაც დაავჯილდოვა.

იგივე, პატრიარქთან დაკავშირებით – უნივერსიტეტში შეიკრიბნენ სტუდენტები და ჩვენც იქ ვიყავით. საპატრიარქოსგან მოვიდა თხოვნა, – პატრიარქის კურთხევის გარეშე, თავი შეიკავეთ მასშტაბური აქციისგანო. ამიტომ უბრალოდ ჩვენი აზრი გამოვხატეთ და მხარი დავუჭირეთ. მერე გვინდოდა მასშტაბური აქციის მოწყობა, მაგრამ პოლიტიკურ პარტიებს ჰქონდათ მცდელობა, ამით პლუსები ჩაეწერათ და თავი შევიკავეთ. ყველა გაღიზიანებული და გაბრაზებული იყო. ისედაც დაძაბული სიტუაციაა ქვეყანაში. სხვაზე არ უნდა კეთდებოდეს ეგეთი რაღაც და, მით უმეტეს – პატრიარქზე. პატრიარქის და ეკლესიის გულისთვის ყველაფერზე წამსვლელები ვართ.

მახსოვს კიდევ, რომის პაპი რომ ჩამოდიოდა, ხელშეკრულების შემოთავაზება იყო ვატიკანის მხრიდან, რაც ჩვენ სარწმუნოებას ხელს უშლიდა. „გეპეის“ მაშინდელმა სტუდკავშირმა დაიწყო ამის საწინააღმდეგო აქციები, მერე მთელი სტუდენტობა აჰყვა და ჩაიშალა ეს ხელშეკრულება. ქართულ ფასეულობებს შორის ეკლესია-მონასტრებს, რწმენას ვაყენებ ყველაზე წინ. ქართველები ვართ და ერთმანეთიც უნდა გვიყვარდეს, თუ ჩვენი მიწა-წყალი არ გვიყვარს, ასე მგონია, რომ აღარც საქართველო იარსებებს და ადამიანების ცხოვრებასაც აღარა აქვს აზრი.

დასავლეთთან ურთიერთობა ბევრ ახალს მოგვცემს. მაგალითად, რაც უფრო მეტი გაცვლითი პროგრამა იქნება, მით უფრო კარგია. მაგრამ ურთიერთობები არ ვიცი, როგორ იქნება ახალგაზრდობაში. ჩვენ მამა-პაპამ და წინაპრებმა სხვანაირად გაგვზარდეს და სხვანაირად გადმოგვინერგეს და ახლა შემოდის სულ სხვა. აი, ჰელოუინი ცუდი ფაქტია ჩემთვის. ჩემში არ ჯდება ეგეთი გართობა და მე მგონი, ქართველების მენტალიტეტში არ ჯდება. ჩვენი პატიოსნება და ღირსება ბოლომდე უნდა შევინახოთ. შეიძლება მოგწონდეს, მაგრამ მიუღებელია. შენი ძველი უნდა შეინახო. ყველამ თავის პატიოსნება უნდა შეინახოს და შეინარჩუნოს.

ყველაზე მეტად რაც მაღიზიანებს, ისევ ახალგაზრდობას ეხება, რომელიც სულ შეიცვალა – ევროპისკენ მიდის და ჩემში ეს ევროპის მენტალიტეტი არ ჯდება. შეიძლება არის რაღაც კარგი, რაშიც უნდა დავემსგავსოთ და წინ წავიდეთ. მაგრამ მაგათი ცხოვრების წესი არ მომწონს. მაგალითად, ვგულისხმობ იმას, რომ ქალიშვილობის ინსტიტუტი იღუპება და მომსპარია. ღირებულებების საკითხია. ის, რომ იქ 16 წლისაა ბავშვი, მშობელი ყურადღებას ვერ აქცევს და ბავშვიც ასეთი ხდება. ეს იმანაც გამოიწვია, რომ არ შეიძლება 24 საათი კომპიუტერთან იჯდე. ყველაზე მეტად იმაზე მწყდება გული, რომ ხვალზეგ შეიძლება პატიოსანი ადამიანი ვეღარ იპოვო.

თავისუფლება რას ნიშნავს? ის, რომ თავისუფალი ადამიანი ხარ და შეზღუდული არ ხარ. მაგრამ რამდენად ზიანს აყენებ ამ თავისუფლებით შენ თავს, სხვა საქმეა. ისე არ უნდა გააკეთო, რომ იძახო, – თავისუფალი ვარო, – და ეს თავისუფლება ცუდში გადაიზარდოს, შენი თავი აზარალო. ცუდად არ უნდა გამოიყენო ეს თავისუფლება.

ქრისტინა წერეთელი
თავისუფალი უნივერსიტეტი
„ი-ეს-ემ თბილისის“ სტუდენტური კავშირის ვიცე-პრეზიდენტი

ჯერ თვითმმართველობა არა გვაქვს, ეს „ი-ეს-ემ თბილისის“ სტუდენტური კავშირია. გვინდა, ერთიანი თვითმმართველობა გვქონდეს – ბიზნეს სკოლას, აზია-აფრიკის ინსტიტუტს და სამართლის სკოლას. გვინდოდა ჩვენი სახელის, ჩვენი გარემოს, ჩვენი ძველი ფასეულობების შენარჩუნება და სტუდენტებს შორის უფრო მჭიდრო კავშირის დამყარება. სტუდენტური კავშირის პროექტები ძირითადად სტუდენტების დაახლოებისთვისაა გამიზნული, გასართობი პროექტები – ექსკურსიები, ლაშქრობები, კარაოკეს კონკურსები.

ჯერჯერობით უნივერსიტეტს გარეთ არაფერში ჩავრეულვართ. არანაირ პოლიტიკურ აქტივობაში არ მიგვიღია მონაწილეობა და არც ჩვენთან მოსულა რომელიმე პარტია. ჩვენ გვაქვს ფორუმი, რაც სტუდკავშირმა ჩამოაყალიბა და რომელზეც აქტიურად განვიხილავთ საქართველოში მომხდარ ყველა მნიშვნელოვან მოვლენას. საჯარო დისკუსიებს და ლექციებს თვითონ უნივერსიტეტი აწყობს. ჩვენი ფორუმი კი დახურულია და მხოლოდ ი-ეს-ემ-ის სტუდენტებისთვისაა.

30 ოქტომბერს გადავწყვიტეთ, გასართობი საღამო მოგვეწყო. სწავლა ახალი დაწყებული იყო და გვინდოდა, სტუდენტებს ერთმანეთი უკეთ გაეცნოთ. თარიღიც ისეთი ავარჩიეთ, მეტი ხალხი რომ მოსულიყო, და საღამო „ჰელოუინის“ დღესასწაულს დავამთხვიეთ. არანაირი რიტუალები, მხოლოდ – გართობის მიზნით. რამდენიმე სტუდენტი შეგვეწინააღმდეგა. ასეთი საღამოები სტუდენტების დასაახლოებლად ტარდება და არა დასაპირისპირებლად, ამიტომ ყველანაირი აზრი დაეკარგა მასკარადის მოწყობას და საღამოს გაუქმება ვარჩიეთ. აღმოჩნდა, რომ სტუდენტი, რომელიც მასკარადის იმ დღეს მოწყობას აპროტესტებდა, მმკ-ს ერთ-ერთი მშობელი იყო, რომელიც ჩვენთან სწავლობს. ცხადია, ეს ამბავი ყველას არ გახარებია, მაგრამ მაინც ასე ვარჩიეთ. იმიტომ, რომ ჩატარების შემთხვევაში, ზოგიერთი სტუდენტის უკმაყოფილება უფრო დიდი იქნებოდა, ვიდრე დანარჩენების კმაყოფილება. ზოგ გადაწყვეტილებას ავტოკრატულად ვიღებთ, ზოგს – კონსენსუსის საფუძველზე. ამ შემთხვევაში ავტოკრატულად გადავწყვიტეთ გაუქმება. იმ მმკ-ელ სტუდენტს უნდოდა, სხვა სტუდენტებისთვის მოგვეწოდებინა, არ მიეღოთ სხვაგან ასეთ საღამოებში მონაწილეობა. ამას კატეგორიულად არ დავეთანხმეთ, რა თქმა უნდა. ეს მისი პირადი აზრი იყო. სტუდენტების გადასაწყვეტია, უნდა მიიღონ მონაწილეობა, თუ – არა. ყველანაირ აზრს აქვს არსებობის უფლება.

ხშირად გამიგია, რომ ყველაფერი ახალი დასავლეთიდანაა გადმოღებული. ამ დროს ჩემთვის ღირებულია ყველა ტრადიცია, რაც წინაპრებმა გადმოგვცეს. მაგალითად მინდა, რომ საქართველოში ქალიშვილობის ინსტიტუტი შენარჩუნდეს, არ მინდა, რომ შეიცვალოს ეს სტერეოტიპი საზოგადოებაში. საქართველო ყოველთვის რელიგიური ქვეყანა იყო. დასავლეთი მართლა მოახდენს ზეგავლენას, თუ შენში ქართული ტრადიციები არ არის გამჯდარი.

რაც დასავლეთში ყველაზე მეტად მომწონს, თანასწორობის იდეაა. ამიტომ მინდა, სხვადასხვა ფენასა და რელიგიას შორის ტოლერანტობა ჩვენთან მეტად იგრძნობოდეს.

ისიც მომწონს, პრეზიდენტი საზღვარგარეთ სტუდენტების სწავლას რომ აფინანსებს. ბევრ კარგ რამეს გაუკეთებს იქ განათლებული ადამიანი ქვეყანას. მომწონს, საზოგადოება რომ გამოაცოცხლა. პრეზიდენტმა მართლა მოახერხა მსოფლიოს ინფორმირება საქართველოს შესახებ.

განათლების სისტემაში ჩახედული არ ვარ, მაგრამ ის რეფორმები, რაც კეთდება, მომწონს. ერთი ის არის, რომ გაცვლითი პროგრამები გვაკლია, კარგი იქნებოდა, უცხოელ სტუდენტებთან უფრო მჭიდრო კავშირი გვქონდეს.

ნათია სქვიტაია
თბილისის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი
სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი

საზოგადოებრივ აქტივობაში ჩართვამდე ალბათ, ჯობს, სტუდენტის როლი განვსაზღვროთ საზოგადოებივ ცხოვრებაში. ეს არის მოქალაქეობრივი შეგნება. სტუდენტს ძალიან დიდი როლი აქვს და ყველაზე დიდი ძალაა დემოკრატიულ სახელმწიფოში. თვითმმართველობა ამ შემთხვევაში არის არასამთავრობო, აპოლიტიკური ორგანიზაცია. ჩემი უნივერსიტეტის მაგალითზე შემიძლია ვთქვა, რომ მაქსიმალურად ვინარჩუნებთ ნეიტრალურობას. შეიძლება ზოგი თვითმმართველობა მეტ-ნაკლებად პოლიტიზებულიცაა. თუმცა მაინც ვერ ვიტყვი ასე ცალსახად. ჩვენ, სახელმწიფო უნივერსიტეტები ვიცავთ სახელმწიფო ინტერესებსაც. არის უამრავი აპოლიტიკური საკითხი, რაში მონაწილეობაც სახელმწიფოს, ჩვენს ქვეყანას წაადგება. სტუდენტთა უმრავლესობისთვის ძალიან ბევრს ნიშნავს ჩვენი ეკლესია, მღვდელმსახურება. თუმცა ხშირად მოდურობაში გადადის რაღაცები, ერთი კატეგორია გახდა ვითომ ინტენსიური მრევლი, და არის მეორე უკიდურესობა – როცა ათეისტის იმიჯს იქმნიან ბავშვები. ყველას ეტყობა, ვინაა გულწრფელი მორწმუნე და გულწრფელი ათეისტი. ფსევდომორწმუნეც ძალიან ბევრია ახალგაზრდებში, ეს ამათ სხვა რაღაცისთვის სჭირდებათ. ასევე მარტივად შეატყობ ფსევდოათეიზმსაც – საუბარი არაა მხოლოდ რწმენაზე – ყველანაირი სარწმუნოების მიმართ აგრესიას გამოხატავენ და როცა რამეს ეკითხები, ვერაფერს ასაბუთებენ. რელიგიური უმცირესობების უფლებებსაც დავიცავდი, იმიტომ, რომ პატივს ვცემ ყველა აღმსარებლობის ადამიანს. ალბათ ჩემი მინუსია, მაგრამ სექსუალურ უმცირესობებს რაც შეეხება, გამიჭირდებოდა გასვლა. თუმცა შეიძლება გადამებიჯებინა ჩემი თავისთვის და გადამედგა ეს ნაბიჯი.

რას ნიშნავს ჭეშმარიტი ქართველი? სადავო საკითხია. ალბათ, აქ მთავარია შინაგანი მრწამსი და საკუთარი თავის, სამშობლოს სიყვარული. მაგრამ ყველა ინდივიდუალურია, ამიტომ არ შეიძლება არსებობდეს ზოგადი ტიპაჟი, რომელსაც ყველას შევადარებთ. ყველა ადამიანი უნდა იყოს უბრალოდ ჭეშმარიტი ადამიანი, ოღონდ ინდივიდუალურად. საქართველო მდიდარი ტრადიციების ქვეყანაა, მაგრამ დღეს რაღაც ტრადიციებს მხოლოდ მაშინ ვიყენებთ, როცა რამის გვეშინია და თავს ვიცავთ. ტრადიცია შენი შინაგანი სიწმინდეა. არ ვარ დოგმების მოყვარული, მაგრამ არსებობს ისეთი რამ, რაც მართლა ღირებულია, ეს რომ სულ გაქრეს, ერი დაკარგავს თვითმყოფადობას.

დასავლური ღირებულებები და გლობალიზაცია დიდი თემაა – მართალი გითხრათ, ყველაფრის გამტარებელი და გამზიარებელი ნამდვილად არ ვარ. მაგრამ ეს ბუნებრივი პროცესია. საკუთარ თავში სამუდამოდ ვერ ჩავიკეტებით. ცოტა კონსერვატორი ერი ვართ, ახლის მიღების გვეშინია, არ გვინდა, ან გვეზარება – ამ დროს ყველანაირ რეფორმას სჭირდება მუშაობა, ფიზიკურიც და გონებრივიც. რაღაცას რომ ვერ გავიგებთ, ვამბობთ, რომ აღარც გვინდა. ალბათ ზარმაცებიც ვართ.

ყველაზე მეტად ჩემ თაობაში მაინც მოჩვენებითობა და სიყალბე მაღიზიანებს. მინდა, მეტად თავისუფლები ვიყოთ. ეს ყველაზე მაღალი ცნებაა, რაც კი უფალმა ადამიანს მიანიჭა. თუმცა, ზღვარსგადასვლა თავისუფლებად არ მიმაჩნია. ვფიქრობ, თავისუფლება უფრო საკუთარი თავის ფლობაა. თუ ამას მიაღწიე, ნამდვილად მგონია, რომ შენ ხარ შემდგარი ადამიანი, პიროვნება და შემდეგ მოქალაქე. ამას ძალიან დიდი შინაგანი ძალისხმევა სჭირდება.

გიგა სორდია
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი

საზოგადოებრივი სამსახური ჩემთვის ყოველთვის საინტერესო იყო. თვითმმართველობა ძალიან კარგი იდეაა, იმიტომ, რომ სტუდენტი ადრეული ასაკიდანვე ეჩვევა პასუხისმგებლობას, საზოგადოების სამსახურს, თავისი კურსელის, თანატოლის დახმარებას. თვითმმართველობა მომავალი კარიერისთვისაც ძალიან კარგი ტრამპლინია.

თვითმმართველობა უნივერსიტეტის შიდა ავტონომიაა და მისი მიზანი, პირველი რიგში, სტუდენტების ინტერესების დაცვაა. თუმცა, ჩემი აზრით, ბოლო დროს ეს პატარა საზოგადოებრივი ინსტიტუტი გახდა, რომელიც ძალიან მნიშვნელოვან პროექტებს ახორციელებს. მაგალითად ჩემი ხელმძღვანელობის დროს სამეგრელოსა და ბორჯომის რეგიონში უფასოდ გამოვიკვლიეთ და სამედიცინო მომსახურება ჩავუტარეთ 7000-მდე მოქალაქეს. ვაპირებთ, აგვისტოს ომის შედეგად იძულებით გადაადგილებულ ხალხთან წასვლას, 800 ადამიანის მიღებას და უფასო სამედიცინო მომსახურებას. ჩვენი ბიუჯეტი უნივერსიტეტის საერთო ბიუჯეტის ნაწილია, მაგრამ მის მართვასა და გამოყენებაში ადმინისტრაცია ვერ ერევა და თვითმმართველობას უფლება აქვს, ეს თანხა სურვილისამებრ გამოიყენოს.

წინა თვითმმართველობას არ ჰქონდა იმხელა მოთხოვნილება, ახლა უფრო მეტი დატვირთვა აქვს, ფუნქციები გაიზარდა. მართვის მექანიზმი და მენეჯმენტი ძალიან მოსაწესრიგებელი იყო და ამ საკითხს დიდი დრო მოვანდომე. ხშირად მთავარი მომენტი ისაა, რომ შენი იდეა სტუდენტებამდე მიიტანო, ინფორმაცია გაავრცელო. ააწყო მენეჯმენტი. ზოგადად თვითმმართველობა ალბათ ერთ-ერთი ყველაზე დემოკრატიული ორგანოა მთელ საქართველოში, იმიტომ, რომ არჩევნები თავიდან ბოლომდე გამჭვირვალედ ტარდება. ამას აკვირდება სხვადასხვა არასამთავრობო, ჩართულია ყველა დაინტერესებული პირი. 2008 წლის 12 ნოემბერს ჩვენთან არჩევნებში მონაწილეობა სტუდენტთა 85%-მა მიიღო. სხვაგან ასეთი აქტიურობა არ იყო.

ჩვენი განხორციელებული პროექტები, პირველ რიგში, სტუდენტებისთვისაა. ჩვენთან ყველა საგანი კომპიუტერზე ბარდება. აღმოჩნდა, რომ ერთხელ სტუდენტების ნაწილმა, ვინც მაღალი ქულებით იყო გამოცდაზე გასული, ვერ ჩააბარეს და ჩაიჭრნენ. ამის გამო კურსზე რჩებოდნენ. თვითმმართველობიდან ჩავერიეთ. ეჭვი გვქონდა, რომ ეს კომპიუტერის გაუმართაობის ბრალი იყო. თავიდან არ დაგვეთანხმა ადმინისტრაცია, მაგრამ მერე აღმოჩნდა, რომ მართლაც ტექნიკური ხარვეზი იყო. ამის შემდეგ გამოცდებზე დასწრება და მონიტორინგი მოვითხოვეთ და აბსოლუტურად ყველა გამოცდას, რაც უნივერსიტეტში ტარდება, ესწრება მხოლოდ თვითმმართველობის წარმომადგენელი, სხვას არავის აქვს დაწრების უფლება. ლექტორებს აკრძალული აქვთ.

დღეს ქვეყანაში ისეთი ვითარებაა, რომ სხვადასხვა პოლიტიკურ ორგანიზაციებს ძალიან სჭირდებათ სტუდენტები, იმიტომ, რომ სტუდენტის პროტესტი გაცილებით საშიშია. ზოგჯერ ამბობენ, რომ სტუდენტები დღეს არ აქტიურობენ. აი, გამოდის პოლიტიკოსი და ამბობს, – ერთ-ერთი სასწავლებლიდან არ გამოვიდნენ აქციაზე და მრცხვენია, რომ მათი სტუდენტი ვიყავიო. არ შეიძლება, სტუდენტი მხოლოდ მაშინ გაგახსენდეს, როცა აქციაზე მიდიხარ. ამას გრძნობს ჩვენი სტუდენტობა, რომ მას მხოლოდ მაშინ ეძახიან, როცა აქციაზე არის ხალხი წასაყვანი. სინამდვილეში ძალიან აქტიურები არიან.

რეალურად დღეს საქართველოში მე არ ვიცნობ ასეთ აქტიურ ახალგაზრდულ ორგანიზაციას, როგორიც თვითმმართველობაა. ჩვენ ბოლო ერთი წლის განმავლობაში 184 პროექტი განვახორციელეთ.

ხანდახან სტუდენტებს არ აქვთ სწავლის საფასურის გადახდის შესაძლებლობა. თვითმმართველობა ასეთ სტუდენტებს დაფინანსების წყაროების მოძიებაშიც ეხმარება და დასაქმებაშიც.

დღეს მგონია, მეტი აქცენტია გადატანილი საკუთარ „მე“-ზე. სოციალური და ქვეყნის ინტერესების საკითხებიდან გამომდინარე, ეს უარყოფითი მხარეა. პიროვნულიდან გამომდინარე – დადებითი. ოქროს შუალედია საპოვნი – „მე“-სა და „ჩვენ“-ს შორის.

იცით, მე ყველაზე მეტად მომწონდა 90-იანი წლების პერიოდის ეროვნული მოძრაობის ქართველთა სულისკვეთება, პატრიოტული მოტივაცია. ამ სულისკვეთების ნაკლებობას ვხედავ დღეს. ჩემთვის უახლოესი წარსულიდან გამსახურდია არის ადამიანი – პატრიოტიზმის, მუდმივი განვითარების და მორალის სიმბიოზი. სამწუხაროდ, ასეთი ადამიანების ნაკლებობაა დღეს.

გიორგი ბლიაძე
სოხუმის უნივერსიტეტი
სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი

სანამ შარშან თვითმმართველობას შევქმნიდით, მანამდე არც სტუდკავშირი იყო, არც რამე ამგვარი ორგანიზაცია, ჩვენ ვართ პირველი ოფიციალური სტუდენტური ორგანო ჩვენს უნივერსიტეტში. მანამდე კი გვქონდა „დამოუკიდებელ სტუდენტთა გაერთიანება“, მაგრამ პროექტებისთვის ფინანსების მოპოვება გვიჭირდა. სტუდკავშირები ადრე წესდებით გათვალისწინებული ორგანო არ იყო და ამ კავშირის წევრს რომ პროექტი გაეკეთებინა, ეს რექტორის კეთილ ნებაზე იყო დამოკიდებული – ან დაგიფინანსებდა, ან – არა. ახლა თვითმმართველობას თავისი ბიუჯეტი აქვს და მას თვითონ განკარგავს.

თავიდან თვითმმართველობაში გაწევრიანების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა იყო პოლიტიკურად აბსოლუტურად ნეიტრალური ყოფილიყავი. აპრილის აქციების პერიოდი იყო და ალბათ იმიტომ. თუმცა ვისაც გასვლა უნდოდა, ვთხოვდით ჩვენი და უნივერსიტეტის სახელით არ ესარგებლათ. ვიცი, რომ თვითმმართველობებს ხშირად აბრალებენ პოლიტიკურ ანგაჟირებულობას, მაგრამ ეს სათქმელად ადვილია. იყო პოლიტიკური პარტიებიდან შემოთავაზებები. პარტიის წარმომადგენელს უთქვამს, რომ პარტიის ბიუჯეტიდან სტუდენტური პროექტებისთვის გარკვეულ სახსრებს გამოყოფდნენ. მაგრამ აქ ისმის კითხვა, რას მოითხოვს ის სანაცვლოდ? ვფიქრობდი და ასეც აღმოჩნდა, რომ ეს შემოთავაზება პოლიტიკურ პროცესებში ჩვენი ჩართვისთვის იყო გამიზნული. სხვა უნივერსიტეტებიდან გავიგე, რომ რაღაც ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან მოახერხეს კიდეც შეთანხმება. თუ არ გინდა, თავზე არავინ არაფერს მოგახვევს. როცა თვითმმართველობაში მნიშვნელოვანი საკითხია გადასაწყვეტი, ვიწვევთ ყველა დელეგატს და გადაწყვეტილებას უმრავლესობის სასარგებლოდ ვიღებთ. სანამ თვითმმართველობაში მოვიდოდი – რუსეთის საელჩოსთან გრანდიოზული აქცია გავაკეთეთ 2007 წლის 26 მაისს, როცა პუტინმა პარლამენტში ცხინვალში და აფხაზეთში ბაზების გახსნის შესახებ ინიციატივა შეიტანა. მაშინ საინიციატივო ჯგუფი შევქმენით და აქცია მოვაწყეთ. თვითმმართველობაში რაც მოვედით, მას მერე მსგავსი რამ არ გაგვიკეთებია.

ჩვენ სპეციფიკური უნივერსიტეტი ვართ, საქართველოს კი არა, მსოფლიოს მასშტაბით, მგონი, ერთადერთი დევნილი, სოხუმის უნივერსიტეტი. ამასთან დაკავშირებით წინა წელს ვერა, მაგრამ ამ სემესტრში ვაპირებთ კონფლიქტოლოგიის ჯგუფის ჩამოყალიბებას. სტუდენტების ჯგუფი სხვა ქვეყნების მაგალითებს შეისწავლის, გაიმართება ექსპერტებთან შეხვედრები და დოკუმენტური ფილმების ჩვენებები. თავიდან რომ ჩავაბარე, 90 პროცენტი აქ დევნილი იყო. ისინი წამოვიდნენ ომის შემდეგ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იქ არავინ ჰყავთ. ზოგს ბებია ჰყავს, ზოგს ნათესავი, ერთს შეყვარებულიც ჰყავს, როგორც თვითონ ამბობს, ვერ ნახულობს, მაგრამ ამბობს, – შეყვარებულიაო. კომპიუტერით, „ადნაკლასნიკითაც“ აქვთ იქაურებთან ურთიერთობა. იქ ადამიანებიც დაგვრჩა, მარტო ტერიტორია არ არის. ასეთ საკითხებზე მუშაობისას არასამთავრობოებთანაც ვთანამშრომლობთ. შარშან უკრაინაში ხუთმა სტუდენტმა, ვინც ლიდერები ვიყავით, დევნილი ბავშვები წავიყვანეთ ე.წ. სამხრეთ ოსეთიდან, არასამთავრობების და პრეზიდენტის პროგრამის ხელშეწყობით. მერე ქობულეთში წავიყვანეთ ბავშვები. ჩვენი ტოლერანტობით ყოველთვის ვამაყობდით. ეთნიკურ უმცირესობაში ვინც არიან, ჩემი აზრით, ისინი უფრო კომფორტულად გრძნობენ თავს, ვიდრე უმრავლესობა. მომწონს პატრიოტული ბანაკები, რაც ეროვნულობას აღვივებს, ჰიმნი აქვთ, იდგმება სპექტაკლები აფხაზეთის და ოსეთის გამოყოფაზე, მერე ისევ რომ ბრუნდებიან. ეს, ასე თუ ისე, აღვივებს პატრიოტულ გრძნობებს. ამას გარდა, მიზანი ისიცაა, რომ ბავშვი, რომელსაც არ აქვს მატერიალური საშუალება, უფასოდ დაისვენებს. ჩვენი ბევრი ღირებულებისგან გამოვარჩევდი ერთადერთს – რელიგიას, რომელმაც გადაგვარჩინა და, რომელმაც შემოგვინახა იგივე კულტურა. აი, რომ ვამბობთ ხოლმე, წავიდეთ ექსკურსიაზე, ან რაღაც სანახაობა გვინდა. რა არის საქართველოში ასეთი ადგილი? ყველა გასვლა ყოველთვის კულტურულ ძეგლებთან ეწყობა. ჩვენი რელიგია ის ერთადერთი ფასეულობაა, რამაც ბევრი კარგი რამ შემოგვინახა და ეს უნდა გავაღრმაოთ. მიხარია, რომ ეკლესიების მშენებლობა გააქტიურებულია. ვფიქრობ, პრობლემა განათლებაშიც არის. განათლების სისტემა აშკარად დასახვეწია. პირველ რიგში ინტერიერი, გარემოა მოსაწყობი. სასიამოვნო გარემოში ადვილად აჰყვები ამ რითმს და მხოლოდ შენზე იქნება დამოკიდებული, მიიღო ეს განათლება თუ არა.

ლინა გედენიძე
სამხატვრო აკადემია
სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი

ჩვენი პირველი ფუნქცია, რა თქმა უნდა, სტუდენტის უფლებების დაცვაა, მათი სტუდენტური ცხოვრების გახალისება, სწავლის პროცესის გაკონტროლება და ის, რომ ადმინისტრაციას მის სწორად წარმართვაში დავეხმაროთ.

ბევრი აკადემიის სტუდენტი ეკლესიის მრევლია. ჩვენი პროექტების ფარგლებში, ისინი ეკლესიების გაწმენდით სამუშაოებზე დადიან და ძველ ციხე-სიმაგრეებს ასუფთავებენ. ჩვენი არქიტექტორები სამებაშიც მუშაობდნენ. სამების ახალგაზრდულ ცენტრთან მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს და არაერთი გამოფენა გაგვიკეთებია ერთად. ჩვენთან იყო რამდენიმე გამოფენაც, სადაც ნახატებზეც გამოისახა, რომ სხვა რელიგიის წარმომადგენლები არიან, მაგრამ სტუდენტებს მეგობრული ურთიერთობა აქვთ. არც ერთი რელიგიის შეურაცხყოფა არ მიმაჩნია სწორად. ღმერთი ყველასთვის წმინდანია. თუმცა რელიგიურ საკითხთან დაკავშირებით სკანდალიც ყოფილა. მაგალითად შარშან გაზაფხულზე ერთ-ერთი აქცია, როცა ერთმა სტუდენტმა, რელიგიურად მიუღებელი შინაარსის გამო, მეორე სტუდენტის ნახატი ჩამოხია, რასაც დიდი კონფლიქტი და დაპირისპირება მოჰყვა. ნახატზე გამოსახული იყო ადამიანი, რომელიც ეკლესიის ფონზე მასტურბირებს. მხატვრული კუთხით ეს შეიძლება ვინმესთვის საინტერესო იყო, მაგრამ ადმინისტრაცია და თვითმმართველობა მაინც აღშფოთებულები ვიყავით. იმიტომ, რომ აკადემია მაინც კლასიკური სკოლაა და მის დარბაზში არ უნდა მომხდარიყო ამ სახის ნამუშევრის გამოფენა.

სტუდენტებში აზრი ყოველთვის გაიყოფა და ეს ჩვეულებრივი რამაა. ამიტომ არ ვაძლევთ თავს უფლებას, რომელიმე მიტინგზე ან რაღაც აქციაში სრულიად აკადემიის სახელით გამოვიდეთ ხოლმე. თუმცა, სტუდენტები მიტინგებზე საკუთარი ინიციატივით დადიან, არავის ეკითხებიან და არც არავის აქვს ამის დაშლის უფლება. მე თვითონ ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური წევრი და უბნის თავმჯდომარე ვიყავი ჩუღურეთის რაიონში, მაგრამ ჩემი პოლიტიკური შეხედულებები აკადემიის თვითმმართველობის წევრებისთვის და სტუდენტებისთვის თავზე არ მომიხვევია. შენობაში შესვლისთანავე ვხდებოდი სტუდენტი, რომელიც ვალდებული იყო, დაეცვა ყველას პოლიტიკური თვალსაზრისი. ამიტომ მე პირადად ყოველთვის ნეიტრალური ვიყავი, გაღიზიანება რომ არ გამომეწვია.

ჩემთვის მთელი ქართული საზოგადოება გმირია, იქიდან გამომდინარე, რასაც გადავურჩით და გადავიტანეთ. იყო უშუქობა, უგაზობა, ამდენი ომიანობა და მაინც, ქართული სული ასე მყარად დგას. ჩემთვის ჩემი ძმაც გმირია, რომელიც შარშანდელი ომიდან უვნებლად ჩამოვიდა. მას სამშობლო აქამდე არ ჰქონია, თავისებური იდეოლოგიის და ფსიქიკის გამო, და ამაში ვერც დავადანაშაულებ. მაგრამ იქიდან პატრიოტი ჩამოვიდა. ომში სამშობლო კი არა, სამხედრო თემატიკა იზიდავს და ამიტომ წავიდა. მაგრამ იქ საკუთარი ვალდებულება გააცნობიერა.

ჩემი აზრით, დღეს თუ საქართველო ჭკვიანურ პოლიტიკას მიმართავს, იმდენად ძლიერი გენი გვაქვს, რომ ევროპაში გასვლით ქართველობა არ დაიკარგება. ეს, პირველ რიგში, თითოეულმა ქართველმა უნდა გააცნობიეროს. მგონია, რომ დასავლეთი საინტერესო უფროა, ვიდრე მნიშვნელოვანი, ქართველი მაინც ყოველთვის ქართველი იქნება. ვერც ევროპელები გავხდებით და ვერც აზიელები. შუაში ვართ გამოკიდებულები, ამიტომ ის, რაც გვერგება, უნდა ავიღოთ და მოვარგოთ ჩვენ სახელმწიფოს. უნდა შევინარჩუნოთ ენა, კულტურა – მხატვრობა, თეატრალური დარგი, რომელიც მაღალ დონეზე იყო; კინო ისევ უნდა აღორძინდეს. ფოლკლორს რომ დიდი ყურადღება ექცევა დღეს, ძალიან მიხარია და ასევე მნიშვნელოვანია ძველი ძეგლების შენარჩუნება და რეაბილიტაცია.

განათლების სისტემას რაც შეეხება, არის ხოლმე რაღაც უთანხმოებები, სტუდენტები ყოველთვის უკმაყოფილოები არიან, რომ მეტი არ კეთდება. ხატვის და ფერწერის საათები შეგვიმცირეს, მაგრამ ამ კუთხითაც თვითმმართველობა გვერდით ვუდგავართ სტუდენტს. სტუდენტს თუ უნდა სწავლა, ის ყველგან ისწავლის, რა პირობებიც არ უნდა იყოს. ის ფუძე, რასაც აკადემია გვაძლევს, არის ის ანბანი, რაც ყველა მხატვარმა, დიზაინერმა და არქიტექტორმა უნდა იცოდეს. შემდგომში თვითრეალიზება და თვითგაზრდა უკვე თვითონ სტუდენტმა უნდა მოახდინოს და ამას ვერც ერთი ლექტორი ვერ შეძლებს.



დათო ფოჩხუა
კავკასიის ბიზნეს-სკოლა
სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი

სახელმწიფოში, სადაც მხოლოდ ახლა ყალიბდება სამოქალაქო საზოგადოება, რთულია, სტუდენტებს მოვთხოვოთ, ამ საზოგადოების ჩანასახი იყვნენ. მაგრამ არის შანსი, მათ ეს ფუნქცია მომავალში საკუთარ თავზე აიღონ, მით უფრო, თუ ახალგაზრდებში სამოქალაქო აქტივიზმის პოპულარიზაცია სახელმწიფო ინტერესიც იქნება.

18-42 წლამდე ადამიანს ჩამოყალიბებული აქვს თავისი ხედვა და ამიტომ სტუდენტსაც შეიძლება პოლიტიკური შეხედულება ჰქონდეს, ამას ვერავინ დაუშლის. მაგრამ როდესაც რომელიმე უნივერსიტეტი მასობრივად იღებს მონაწილეობას პოლიტიკურ აქციებში, შეიძლება გაჩნდეს ეჭვი, რომ მათ უკან რომელიმე პოლიტიკური პარტია დგას. ძნელად წარმოსადგენია 3000 სტუდენტი, ორგანიზების გარეშე, შეიკრიბოს და აქციაზე წავიდეს. ჩემი აზრით, ყველაზე დიდი პრობლემა ამ მხრივ სახელმწიფო უნივერსიტეტებს აქვთ, იმიტომ, რომ იქ ყველაზე მეტი სტუდენტი სწავლობს. შესაბამისად, პოლიტიკური პარტიებიდანაც დიდია ინტერესი, ამ ელექტორატზე გავლენა მოიპოვონ. ამისგან თავდაცვის საშუალება ის იქნება, თუ ჩვენ შიდაუნივერსიტეტულ საქმეებზე ვიქნებით ორიენტირებულები და არა საზოგადოებაში პოლიტიკური აზრის ჩამოყალიბებაზე.

ბევრი სტუდენტი არ ფიქრობს იმაზე, რომ შეიძლება ძალიან დიდ ძალას წარმოადგენდეს. ჩემი აზრით, პრობლემაა, როცა ადამიანი ამას ვერ ხვდება.

მეც გავედი პატრიარქის მხარდასაჭერ აქციაზე. იმიტომ, რომ ყველანაირი აგრესია მიუღებელია ჩემთვის. პატრიარქი ძალიან ბევრ ადამიანს უყვარს. მეც მიყვარს, ისევე, როგორც მიყვარს ჩემი ქვეყნის მეთაური. თუ ვინმე ამას სხვანაირად თვლის, მაშინ ძალიან ვთხოვ, არ გამოხატოს, ან გამოხატოს ისე, რომ არ შეურაცხმყოს. იმ შეკრებაზე უბრალოდ ჩემი ეს პოზიცია გამოვხატე. იმის გამო, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში ვცხოვრობთ, არავინ უნდა მისცეს თავს უფლება, ზღვარს გადავიდეს. შეურაცხყოფაც ისევე მიუღებელია, როგორც ამის პასუხად გატყავება და დამარილება. ასე ჩვენ სამოქალაქო საზოგადოებას ვერ ავაშენებთ.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც არსებობს კომუნიზმის ნარჩენები საზოგადოებაში და ეს ჩემ თაობაზეც აისახება. ასეთია 90-იანების დროინდელი „ქუჩური მენტალიტეტიც“. ჩვენ ყველანი ერის ნაწილად ვყალიბდებით და ის თვისებები და ღირებულებები, რაც მას ახასიათებს, ჩვენშიც გადმოდის. ამიტომ, როდესაც ახალი ცნებები – დემოკრატია, განვითარებული სამყარო ჩვენში შემოდის გვიჭირს ადაპტაცია. თუმცა, ვფიქრობ, ამ ყველაფრის შეხამება მაინც შეიძლება. როგორც ერს, ალბათ გვაქვს იმხელა გამოცდილება, რომ უკეთესი ავირჩიოთ. ბევრი კარგია ევროპაშიც, ამერიკაშიც, მაგრამ არის ცუდიც. ჩვენც გვაქვს ბევრი რამ, რაც ნერვებს მიშლის და მაღიზიანებს – მოძრაობის წესებს არ ვიცავთ, მეტი მიწისქვეშა გადასასვლელი გვინდა და.შ. ის, რომ ხარ პატარა ქვეყანა და გაქვს ტრადიციები, ღირებულებები, გაქვს ძალიან დიდი ისტორია, ბევრს ნიშნავს და ძალიან კარგი ბექგრაუნდია. ეს არის იმის გარანტია, რომ სხვა ქვეყნების მსგავსად არ აღიგვები. ამას სჭირდება ნაბიჯ-ნაბიჯ მიყოლა, სამოქალაქო ინსტიტუტების დაარსება, შედეგზე უნდა ვიყოთ ორიენტირებულები.

ყველაზე პრობლემური საქართველოსთვის მაინც დამოუკიდებლობა აღმოჩნდა. ამიტომ, საქართველოს პირველი პრეზიდენტი მისაბაძ მაგალითად მიმაჩნია, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი შეცდომაც დაუშვა; ეს ადამიანური მომენტია. ამ ადამიანმა თავის მეგობრებთან ერთად განახორციელა ყველაზე დიდი, ყველაზე მაგარი იდეა, რასაც დამოუკიდებლობის მოპოვება ჰქვია.



გამოიცა:

ვეფხისტყაოსნის პროზაული ვერსიები, ახალგაზრდებისთვის



ვეფხისტყაოსანს მოგითხრობთ ავთანდილ არაბული და მამია მალაზონია

შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანს მოგითხრობთ ლევან გველესიანი და მამუკა ცეცხლაძე

მხატვრის ალბომი ვეფხისტყაოსნის მოტივებზე: „ვეფხისტყაოსანს წარმოგიდგენთ ქეთი მატაბელი“

ვეფხისტყაოსნის გამოცემათა ბიბლიოგრაფიული კატალოგი 1732 წლიდან 2009 წლამდე

მოგითხრობთ ვეფხისტყაოსნის შესახებ

წიგნები შეგიძლიათ შეიძინოთ
ლიტერატურულ არტ კაფე „ქარავანში“
და სტამბა „სეზანში“.

დაგვიკავშირდით:
არტ კაფე „ქარავანი“
მისამართი: ფურცელაძის ქ. 10
ტელეფონი: +995 32 99 66 91
899 67 77 56 ირინა შავერდაშვილი

სტამბა „სეზანი“
მისამართი: წერეთლის გამზ. 140
ტელეფონი: +995 32 35 70 02 ქეთი ბოჭორიშვილი
893 35 14 64 დათო კარაჯაევი

URBAN REACTOR

ჯენტრი

www.urbanreactor.blogspot.com

ახალი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური რეალობის დადგომასთან ერთად ჩვენ გარშემო ბევრ, დღემდე უცხო პროცესს მიეცა ბიძგი, რომელთა უმრავლესობა პროპორციულ კვალს აჩნევს განაშენიანებულ გარემოს. პროცესების შესაბამისად გაჩნდა ბევრი უცხო ტერმინიც, რომელთაც „ექსპერტთა“ ახალგაზრდა თაობა თავმომწონე გამომეტყველებით ამკვიდრებს (უნდა ითქვას, რომ უცხოენოვანი პროფესიული ტერმინების ხშირად უსაფუძვლო გამოყენება მამათა თაობასაც სჩვეოდა). დროთა განმავლობაში, ქართული პრაქტიკიდან გამომდინარე, ბევრმა უცხოენოვანმა ტერმინმა ადგილობრივი ელფერი და მნიშვნელობა შეიძინა. არის ბევრი სხვაც, რომელიც ჩვენ რეალობაში ჯერ არ გამობრძმედილა და, შესაბამისად, საზოგადოებასა და „ექსპერტებშიც“ ჯერ კიდევ ბევრ კითხვას ბადებს.

ერთ-ერთი ასეთი ნაკლებად ცნობილი ტერმინია „ჯენტრიფიკაცია“ (ინგლ. **jentrification**). შესაძლოა, რომელიმე პროფესიონალის ან აქტივისტის ლექსიკონში წააწყდეთ ხან – ნეგატიური, ხან კი – პოზიტიური შეფასებით, უფრო ხშირად კი ძველი ქალაქის პრობლემებზე საუბრისას. ეს ტერმინი ქართული საზოგადოებისათვის ჯერ ისევ ახალია, თუმცა თავად ფენომენი არცთუ უცხოა. ამიტომაც, დარწმუნებული ვარ, „ჯენტრიფიკაცია“ სულ მალე ადგილობრივ სასაუბრო ენაში ისეთივე ადგილს დაიკავებს, როგორსაც, მაგალითად, ესოდენ პოპულარული „დეველოპმენტი“ იკავებს.

ინგლისური ენის რიგითი ლექსიკონის მიხედვით, „ჯენტრი“ (ინგლ. **jentry**), ტრადიციული მნიშვნელობით, არის კეთილშობილთა სოციალური ფენა, ან, სხვანაირად – მცირე არისტოკრატია. „ჯენტრიფიკაცია“ კი, პირდაპირი გაგებით, წარმოადგენს დაბალი სოციალური ფენის „ჯენტრით“ ჩანაცვლებას.

თანამედროვე ურბანულ დისკურსში ჯენტრიფიკაცია ნიშნავს ამა თუ იმ საცხოვრებელი უბნის სოციალურ და ფიზიკურ გაუმჯობესებას. ოღონდ „გაუმჯობესებას“, ამ შემთხვევაში, ფრიად დისკრიმინაციული დატვირთვა აქვს, რამდენადაც იგი უმეტესწილად ადგილობრივი ღარიბი მოსახლეობის გაძევების ხარჯზე ხდება.

ეს ფენომენი 1950-იან წლებში ამერიკისა და დასავლეთ ევროპის დიდი ქალაქების მოძველე-

ბულ ცენტრებში აღმოცენდა. როგორც ტერმინი, ჯენტრიფიკაცია პირველად გამოყენებულ იქნა 1960-იანი წლების დასაწყისში ლონდონში „ჯენტრის“ მიერ ვიქტორიანული და ჯორჯიანული პერიოდების ისტორიული ამორტიზებული განაშენიანების შესყიდვის და რეაბილიტაციის პროცესის აღსაწერად.

დღეს ჯენტრიფიკაცია მხოლოდ ისტორიულ უბნებს არ ეხება, ზოგადად ურბანული ფენომენია, რომელსაც ძირითადად ეკონომიკური და პოლიტიკური ძალები წარმართავს. ჯენტრიფიკაციის პროცესი, მისი სხვადასხვა ფორმით, ფართოდ არის გავრცელებული დასავლური სამყაროს მეტროპოლიებსა თუ შედარებით მცირე ქალაქებში, როგორც თანამედროვე, ასევე ისტორიულ ცენტრებში და ზოგადად ქალაქის რესტრუქტურიზაციის მნიშვნელოვან კომპონენტს შეადგენს. ჯენტრიფიკაციის „კლასიკური“ ფორმის უპირველესი მახასიათებელია კლასთა მკვეთრი ჩანაცვლება – ანუ მდიდარი ურბანული ელიტის მიერ დაბალშემოსავლიანი მუშათა კლასის განდევნა.

1950-60-იან წლებში ჩრდილო ამერიკისა და დასავლეთ ევროპის ქალაქების ჯენტრიფიკაციის პირველი ტალღა შედარებით სპორადულ ხასიათს ატარებდა. აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ მოძველებულ საქალაქო ცენტრებზე ეს პირველი „შეტევა“ მნიშვნელოვანი სახელმწიფო დაფინანსებით და ხელშეწყობით განხორციელდა. სახელმწიფოს დახმარების აუცილებლობა განპირობებული იყო ქალაქის ცენტრალური განაშენიანების ამორტიზაციით, მზარდი სუბურბანიზაციით და, შესაბამისად, ქალაქის ცენტრში ინვესტიციების შედარებით მაღალი რისკით. ცენტრალური უბნების სოციალურ და ფიზიკურ ქსოვილში ჩარევას უმეტესად ურბანული გაჯანსაღების მოტივით ამართლებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მისი შედეგი არაერთგვაროვანი იყო სხვადასხვა სოციალური კლასისათვის. ცხადია, რომ ეს პროცესი უპირველესად პრივილეგირებული სოციალური ფენის ინტერესებს ემსახურებოდა და ხშირად აუარესებდა განდევნილი მუშათა კლასის საცხოვრებელ პირობებს. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ 60-იან წლებში, როცა ამერიკასა და დასავლეთ ევროპაში სოციალური მოძრაობები მძლავრობდა, ასე თუ ისე რეგულირდებოდა ადგილობრივი ხელისუფლების ამბიციები ჯენტრიფიკაციის კუთხით და სახელმწიფო ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობოდა ხელმისაწვდომი საცხოვრებლების (ინგლ. **affordable housing**) მშენებლობას მოსახლეობის დაბალშემოსავლიანი ფენებისათვის. მაგალითად, 60-იანი წლების ბოლოს შეერთებული შტატების საბინაო საქმეთა ფედერალური დეპარტამენტი პრაქტიკულად კრძალავდა კომუნალური საცხოვრებლების ნგრევას და სახელმწიფო დაფინანსებით აშენებდა სოციალურ საცხოვრებლებს. მოგვიანებით, მთავრობის მიერ ამ პროგრამების ბიუჯეტის მიზანმიმართული შემცირების კვალად, დეპარტამენტი ჯენტრიფიკაციის პროექტის სანებართვო პირობად ითხოვდა ეკვივალენტური რაოდენობის სოციალური საცხოვრებლების მშენებლობას „დეველოპერების“ მიერ.

თვალი რომ გავადევნოთ ჯენტრიფიკაციის ისტორიას, დავინახავთ, რომ იგი პირდაპირ კავშირშია გლობალურ ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებთან, როგორიცაა მაგალითად კენეზიანური ეკონომიკური სისტემის უარყოფა 70-იანი წლების ბოლოს და ნეოლიბერალიზმის აღმავლობა რეიგანისა და ტეტჩერის მმართველობის პერიოდში. სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება ჯენტრიფიკაციის მეორე, მასშტაბური ტალღა, როცა უძრავი ქონების განვითარება და ჯენტრიფიკაცია ურბანული ინვესტიციების მოზიდვის მთავარ რესურსად იქცა. 1980-იან წლებში ჯენტრიფიკაცია თან სდევდა ქალაქების კულტურული და ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესს. ინვესტიციების მასშტაბის ზრდის პარალელურად, ჯენტრიფიკაციის მამოძრავებელი ეკონომიკური ძალები გასცდა ლოკალურ საზღვრებს და მცირე ბიზნეს-ინიციატივები კორპორატიულმა კაპიტალმა ჩაანაცვლა.

უძრავი ქონების ინდუსტრიის გლობალიზაციამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა დღემდე ჯენტრიფიკაციის, როგორც ურბანული განვითარების ერთ-ერთი მეთოდის ფართო გამოყენება. მეორე მხრივ, ამის მიზეზია წინააღმდეგობის მოძრაობის დასუსტებაც, რადგანაც მისი მხარდამჭერი ღარიბი ფენა, დიდი ხანია, გასახლებულია ევროპისა თუ ამერიკის ქალაქების ცენტრალური უბნებიდან. უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ გლობალური ნეოლიბერალური პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემა ქმნის უაღრესად ხელსაყრელ პირობებს ჯენტრიფი-

კაციის სხვადასხვა ფორმის განსავითარებლად. მაღალი და საშუალო სოციალური ფენების მოზიდვა მუნიციპალიტეტის მხრიდან კრედიტორთა ფინანსური ნდობის შენარჩუნების და ინვესტორთა დაინტერესების ერთ-ერთი ძირითადი გზაა. ინვესტიციის მოპოვება, მუდმივი შეჯიბრი და პრესტიჟული განვითარება ქალაქების თვითმიზნად იქცა. ამ მარათონში სოციალური პრობლემები მხოლოდ წინასაარჩევნოდ გაიელვებს, ზოგადად კი, ყოფითი საკითხები სიმდიდრის გადანაწილების კაპიტალისტურ კონცეფციაზეა მინდობილი, რომლის მიხედვითაც, ჩადებული ინვესტიციის თუნდაც ნამცეცები აუცილებლად მიაღწევს გაჭირვებულ მოსახლეობამდე (ე.წ. **trickle down economics**).

ქალაქის ცენტრალურ უბნებში სოციალური ფენების ჩანაცვლება არც საბჭოთა სისტემისათვის ყოფილა უცხო (საბჭოთა ქალაქების განვითარების პროცესები ცალკე განხილვის საგანია). მაგრამ, პოსტკომუნისტურ სივრცეში ჯენტრიფიკაციის მეთოდმა, ისევე როგორც კაპიტალისტური ურბანიზაციის სხვა ფორმებმა, განსაკუთრებით ადვილად მოიკიდა ფეხი. ამის მაგალითად აღმოსავლეთ ევროპის ქალაქებიც კმარა, რომელთა რომანტიკულ ისტორიულ უბნებს, ინვესტორთა ინტერესის ზრდის პარალელურად, ტოვებს მკვიდრი დაბალშემოსავლიანი მოსახლეობა.

წელს ზაფხულს გამოცხადებული ძველი თბილისის რეაბილიტაციის პროგრამაც ზედმიწევნით ჩამოჰგავს კლასიკური ჯენტრიფიკაციის პროცესს. პროექტის ოფიციალური მიზანია, ერთდროულად სტიმულირება გაუწიოს კრიზისის შემდეგ შეჩერებულ მშენებლობის პროცესს, წაახალისოს ბანკები, ძველი თბილისის მოსახლეობას გაუუმჯობესოს საცხოვრებელი პირობები და მოახდინოს ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ისტორიული უბნების რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია. პროცედურულ მხარეს რომ აღარ ჩავუღრმავდეთ, რომელიც ბევრი წინააღმდეგობით არის სავსე, პროექტის ლოგიკა შემდეგში მდგომარეობს: ძველი თბილისის მოსახლეობა, რომელსაც თავისი საბინაო ფონდის მოვლის და რეაბილიტაციის ფინანსები არ გააჩნია, გადადის ახლად აშენებულ კორპუსებში, ხოლო მათ ძველ საცხოვრებელ ტერიტორიას, მისი რეაბილიტაციის პროცესში და მის შემდგომ შეძლებული ფენა დაეპატრონება.

ამ ინიციატივაში განსაკუთრებით ნათლად ჩანს ხელისუფლების მხრიდან ქალაქის ზედაპირული აღქმა, მისი შემადგენელი სოციალური ქსოვილის გარეშე. ისტორიული ნაწილის რეაბილიტაცია „ისტორიული სახის“ მხოლოდ ფორმალურად შენარჩუნება-შექმნით შემოიფარგლება, რისი უპირველესი მიზანი ძველი ქალაქის საინვესტიციოდ მომზადება-შეფუთვაა (მაგალითად სიღნაღი, ქუთაისი, ბათუმი). ანუ მეტ-ნაკლებად შენარჩუნდება და ტექნიკურად შეკეთდება ისტორიულ ძეგლად აღნუსხული რიგი შენობები, მათი ნაწილი კანონით სახელდახელოდ დაშვებული „მოცულობის გაზრდის“ მსხვერპლი გახდება, ისტორიული განაშენიანების უმეტესობა კი დაინგრევა და სამშენებლო მოედნად იქცევა. ასეთი დამოკიდებულების

უპირატესი მოტივია ქალაქის ცენტრის კომერციულად სარფიან სამშენებლო ტერიტორიად აღქმა, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა მხოლოდ ინვესტიციების ხელისშემშლელ ფაქტორად გვევლინება.

იდეის ავტორებს სჯერათ ან გვაჯერებენ, რომ სასიკეთო საქმეს აკეთებენ, როდესაც ძველი თბილისის საბინაო ფონდისა და მაცხოვრებლების უმრავლესობის უმძიმესი მდგომარეობით სპეკულირებენ. მოსახლეობა უპირობო არჩევანის წინაშე დგას: ან გადავიდეს შეთავაზებულ ბინებში და მეტ-ნაკლებად გაიუმჯობესოს საცხოვრებელი პირობები, ან დარჩეს გაუსაძლის მდგომარეობაში. არავინ ლაპარაკობს მესამე გზაზე – გადამხდელთა მიერ ბიუჯეტში შეტანილი სახსრებით, რომელსაც, ამ შემთხვევაში, ხელისუფლება ცალკეული სამშენებლო კომპანიების ბიზნესინტერესებს ახმარს, დაფინანსდეს თავად მოსახლეობის ლოკალური სარეაბილიტაციო ინიციატივები (მით უმეტეს თუ, როგორც პროექტის დეტალებიდან ირკვევა, სახელმწიფოს საამისო სახსრები აქვს). ამით მაცხოვრებლების იმ ნაწილს, რომელსაც სურვილი აქვს, დარჩეს ძველ საცხოვრებელ ადგილას და წვლილი შეიტანოს თავისი ქალაქის რეაბილიტაციაში, მიეცემოდა შესაძლებლობა და საშუალება, გამოესწორებინა საკუთარი შენობების ტექნიკური მდგომარეობა. ცნობილია, რომ საბჭოთა პერიოდში საბინაო ფონდის მოვლა და ტექნიკური მომსახურება მუნიციპალიტეტის მოვალეობა იყო, რასაც იგი საკმაოდ ცუდად ასრულებდა, პოსტ-საბჭოთა კრიზისმა კი მოსახლეობას მოუსპო შესაძლებლობა, თავად ეზრუნა მასობრივად პრივატიზებულ საცხოვრებლებზე, რომლებიც იმ დროისათვის უკვე ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო. რატომ არ შეიძლება, რომ ახლა მაინც იმ, თუნდაც მცირე ნაწილს, რომელსაც არ ეთმობა ძველი უბნები და სახლები, მიეცეს შანსი, ძველ თბილისში დარჩნენ და, მრავალ საერთაშორისო კონვენცია-დეკლარაციათა თანახმად, ისტორიული გარემოს გამოყენების და მის შენარჩუნებაში საკუთარი წვლილის შეტანის საყოველთაო უფლებით ისარგებლონ.

ამასთანავე, განა უმჯობესი არ იქნებოდა, თუკი საერთაშორისო კაპიტალით დაფინანსებული ბიზნესის ნაცვლად, უპირატესობა მიენიჭებოდა ლოკალურ მცირე წარმოების თუ სავაჭრო პოტენციალს, რაც ხელს შეუწყობდა მოსახლეობის თვითდასაქმებას და ჩართვას ადგილობრივ ეკონომიკაში და ეკონომიკური აქტივობების მრავალფეროვნებას. ასეთი ინიციატივების შედეგად ძველი თბილისი, ტოტალური ჯენტრიფიკაციის ნაცვლად, შეინარჩუნებდა იმ სოციალურ ბირთვს, რაც მისი ურბანული ღირებულების უმნიშვნელოვანესი განმსაზღვრელია.

თუკი ამერიკისა და ევროპის ქალაქების ჯენტრიფიკაციის ისტორიას გავითვალისწინებთ, აქ მოტანილი პერსპექტივები უტოპიურად ჩანს. მით უმეტეს, რომ დასავლური გამოცდილება, თუნდაც უარყოფითი, ჩვენთვის რატომღაც მაინც მისაბაძად ითვლება. ქალაქის მდგრადი სოციალური და ეკონომიკური განვითარება და ამ პროცესში მრავალფეროვნების და თვითმყოფადობის შენარჩუნება რთული ამოცანაა, სწრაფ მოგებაზე ორიენტირებული კომერციული მანიპულაციები – გაცილებით ადვილი. ამასთან აშკარაა, რომ საქართველოში სახელმწიფო და დიდი კაპიტალი დღეს ერთ ჰეგემონურ მხარედ გვევლინება, თავის თავის იმედად დარჩენილი საზოგადოება კი – მეორედ. თუმცაღა სახელმწიფო უპირველესად ხალხის ინტერესებს უნდა იცავდეს და ამასთან, ყოველი სოციალური ფენისას – თანაბრად.

მიუხედავად ამისა, დარწმუნებული ვარ, ზემოთ ხსენებულ უტოპიურ ალტერნატივას გამოუჩნდებიან მხარდამჭერები და დამცველები – ისინი, ვინც ძველ თბილისში უფრო მეტს ხედავენ და აფასებენ, ვიდრე ისტორიული განაშენიანება თუ კანონით დამტკიცებული ძეგლებია, გრძნობენ უფრო დიდ მნიშვნელობას, ვიდრე ვალუტაზე გადამრავლებული კვადრატული მეტრებია და არ დაუკარგავთ ყველასათვის ხელმისაწვდომი უკეთესი მომავლის იმედი.

და ბოლოს, ალტერნატივა რომ რეალური გახდეს, საჭიროა ურბანული სივრცის ხედვა არა მარტო ეკონომიკურ, არამედ სოციალურ ასპექტებთან ერთად. საჭიროა სივრცის მაფორმირებელი პროცესების შესწავლა და გააზრება, რათა შესაძლებელი გახდეს მათი საზოგადოებისთვის სასიკეთოდ წარმართვა. უპირველესად კი ამას, როგორც საზოგადოების, ასევე ხელისუფლების მხრიდან, სათანადო პოლიტიკური შეგნება და ნება სჭირდება.

18 ნოემბერი, 2009

ანა არგანაშვილი
ბებიაჩემის პატივსაგებად
www.shokoladi.ge

ბებიაჩემი 78 წლისაა და დემენცია აქვს.

გაგიგიათ ალბათ: ჯერ ფრაგმენტები უვარდებათ მეხსიერებიდან, შემდეგ ახლობლებს ვერ ცნობს, მალე ბავშვობის მოგონებებში გადადის და იქ ცხოვრობს. მან ეს ეტაპები გაიარა და ახლა უკვე ჩუმად ზის. მხოლოდ შიგადაშიგ გამოფხიზლდება და ლუღლუღებს.

ბოლოს რომ ვნახე გავიფიქრე – როგორ გაუმართლა. იმიტომ რომ მის არსებობას დემენციის გარეშეც საშლელით წაშლიდნენ. აი, თუ არ გჯერათ...

90-იანებში საბჭოთა კავშირი დაიშალა. ჩვენ კი ისე შეგვრცხვა, ისე შეგვრცხვა, რომ ბოლო 20 წელი მხოლოდ იმას ვამტკიცებთ რომ ის დაიშალა. მარტივი თეზაა, რასაც გამწარებით ამტკიცებ, იმის გულში არც შენ გჯერა და ასეცაა. დაიშალა დე ფაქტო, დე იურე, მაგრამ დარჩა ფსიქიკაში, აზროვნების სტრუქტურაში, ღირებულებებში.

სტოპ. ბოლო ფრაზა რამდენჯერმე წაიკითხეთ, ინტონაცია გაბრაზებიდან, წყენამდე, ვაჭრობამდე, მოწყენილობამდე ჩამოაჩოჩეთ (დიდ ტრავმასთან გამკლავების ფაზები) და ბოლოს სრულიად ემოციისგან დაცლილმა თქვით: „დაიშალა დე ფაქტო, დე იურე, მაგრამ დარჩა ფსიქიკაში, აზროვნების სტრუქტურაში, ღირებულებებში“.

ეს ფაქტია და რაც უფრო მალე მივიღებთ ამას როგორც მოცემულობას, მით უფრო მალე განვაგრძობთ ცხოვრებას და ბებიაჩემსაც აპატიებთ, რომ ახალგაზრდობაში თვალებმილულული მღეროდა სტალინზე.

არ არსებობს „კარგი“ და „ცუდი“ ღირებულებები, იმიტომ რომ მათი მფლობელი აკრიტიკულია მათ მიმართ. ღირებულებები მოცემულობაა: არის ან არ არის და გაცილებით საინტერესოა გაარკვიო რატომ არის ისეთი როგორიც არის, ვიდრე მოითხოვო „ცუდის“ გაუქმება. ღირებულებები ადამიანის აფექტურ კომპონენტზე დგას, ისინი არ წყდება, არამედ, ნაცვლდება იმავე გზით, როგორც ჩამოყალიბდა თავის დროზე – მწვავე რეზისტენტობის ისტორიით.

ბებიაჩემი 90-იანების ბოლოს ზვიადისტი გახდა. რა გასაკვირია, ადამიანს თუ ეტყვი, რომ ყველაფერი, რისიც სჯეროდა და რა რწმენებითაც ცხოვრობდა – ნაგავია, ის ახალი რწმენების ძიებას დაიწყებს. პრეზიდენტად რომ აირჩიეს, აივანზე გავიდა და ტაშს უკრავდა. მერე უთხრეს ზვიადიც მორჩაო. მიტინგებზე იარა, კარგად მიბერტყეს. კიდევ ერთხელ კრახი, დაბნეულობა, ქაოსი...

ბოლო სამი კვირა თეა თუთბერიძის ამბავი და ეს კატეგორიული ტონი: გამოხატვის თავისუფლება, სეკულარიზმი, დაოიზმი...

თქვენ გინდათ მითხრათ, რომ პირობითად 78 წლის ბებიაჩემი დავსვა და ევროსასამართლოს პრეცედენტული სამართალი ვუკითხო გამოხატვის თავისუფლებაზე? მერე ვუთხრა, ბებო კიდევ ერთხელ გეყო რაც აქამდე იყო, ახალი ცხოვრება იწყება–თქო?

უფრო ადვილია ვთქვათ, რომ მათ არაფერი ესმით და ვერც გაიგებენ. ნუ... აი იმიტომ, რომ საბჭოთა ადამიანები

არიან რა. ხომ გეუბნებოდით, დემენცია ისეთი კარგი გამოსავალია.

მსოფლიო ბანკის მკვლევართა ჯგუფის წევრი მაიკლ ვულკოკი და ჯო რიცი თავიანთ კვლევაში წერენ (2000): „მე მახსოვს როგორ დაინგრა ბერლინის კედელი და შედეგად ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა გაითავისუფლეს თავი კომუნიზმისგან. მე მახსოვს დასავლეთ ევროპის მმართველების ბედნიერების განცდა და მოლოდინი, რომ ამ ქვეყნების მიერ მოპოვებული თავისუფლება მალე ეკონომიკურ სიძლიერეში და აღმასვლაში გამოვლინდებოდა. მაგრამ, ვერავინ იწინასწარმეტყველებდა იმას, რომ ამ ქვეყნების შემოსავალი 20%-დან 50%-მდე დაეცემოდა 10 წელიწადში და ყველაზე მწარე რეალობა კი ის არის, რომ 1998 წლის მონაცემით, მხოლოდ სამმა: პოლონეთმა (117), სლოვაკეთმა (100) და სლოვენიამ (104) შეძლეს შეენარჩუნებინათ ცხოვრების სტანდარტი იმ ხარისხით, როგორც ეს 1989 წელს იყო (100). სად მოგვივიდა შეცდომა? რატომ ვერ გავთვალეთ ეს კრიზისი?

იქნებ ყველაზე მნიშვნელოვანი გაკვეთილი სოციალური წესრიგის ცვლილების ვერშეფასებაა. ამგვარი ცვლილება განუხრელად ითხოვს ადამიანის ჯგუფებს შორის ახალი ურთიერთობის ტიპის განსაზღვრას, იმის გათვლას თუ რა ხარისხით მოხდება მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ინკლუზია თუ მარგინალიზაცია. ამ ცვლილებების აუცილებელი პირობაა, არსებულმა საზოგადოებრივმა ინსტიტუციებმა კონფლიქტების მართვის, ადმიანის უფლებების დაცვის, შესაძლებლობების გათანაბრების მენეჯმენტი განახორციელონ. სწორედ ადამიანის ჯგუფებს შორის სოციალური კოჰესიის, სოციალური სოლიდარობის დაბალი ხარისხი შეიძლება იყოს ერთ-ერთი ამხსნელი პრინციპი ეკონომიკური კოლაფსისა პოსტსაბჭოთა ქვეყნების დიდ უმრავლესობაში“.

დღევანდელ სიტუაციაში ადამიანების დიდი ჯგუფის მარგინალიზაცია მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი სხვა ღირებულებებით ცხოვრობენ? ღირებულებები, რომელიც ხშირად მათ ცნობიერად არ აურჩევიათ, და მარტო იმიტომ ჩამოუყალიბდათ, რომ რაღაც უბედური დეტერმინიზმით იმ დროსა და სივრცეში დაიბადნენ, სადაც დაიბადნენ. რომელთაც აქვთ რეზისტენტობა ყოველივე ახალზე, იმიტომ რომ ის ახალია და ჩვენ არატოლერანტულად ვუცხადებთ, რომ რისიც სჯერათ, არის ნაგავი.

რაღაც დეჟა ვუა თითქოს.

გამოუცხადებთ ვინმე ბებიაჩემს სოციალურ სოლიდარობას თუ მარტივად გავაცილოთ კომუნისტური გადმონაშთი?

არადა, მიყვარს მე ეს ბებია და არ მინდა კიდევ ერთხელ უთხრან, რომ უაზრობისთვის იცხოვრა. მე მისი კომუნისტური წარსულის, კომკავშირში ბუქნაობის, ჩაის კულტურის კრეფის და ბევრი სხვა გამოცდილების ასიმილაციას გავაკეთებ ჩემში და ვიქნები „მე“, რომელიც არ უარყოფს და არ რცხვენია, რომ კომუნიზმიდან მოდის. იმიტომ რომ ეს ჩემი არჩევანი არ ყოფილა, იმიტომ რომ მე და ბებიაჩემს არავინ გვკითხა ბრეჟნევს მოვუსმენდი თუ მ.ლ. კინგს. მერე ეს ასიმილირებული „მე“ მხოლოდ იმას შეეცდება, რომ ჩემს გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებლობა ჩემს წარსულს არ დავაკისრო და „აქ და ამჟამად“ გადავწყვიტო იმ პრინციპებით, რაც მისაღებია. მერე ბებიაჩემს ვეტყვი, რომ მას აქვს უფლება სჯეროდეს იმის, რისიც უნდა და არავინ მიაყენებს მის რწმენას და შესაბამისად პიროვნებას შეურაცხყოფას. მერე ავდგები და ჩემ შვილს მოვუყვები ჯერ ბებიაჩემზე, მერე ჩემზე და მასთან ერთად ნაბიჯ-ნაბიჯ ჩემში შევცვლი ღირებულებებს. ღირებულებებს შევცვლი პრაქტიკით და არა მხოლოდ მათი დეკლარირებით. ღირებულებების ცვლილებისას ვიქნები მზად იმისთვის, რომ ისინი ერთ დღეში არ შეიცვლება. რომ ღირს ყველას ჩემ გარშემო ცალ-ცალკე ავუხსნა რატომ უნდა დაიცვან სხვისი უფლება, მანამ სანამ საკუთარს დაიცავენ და როცა ვერ გაიგებენ (იმიტომ რომ ახალი ვერ უნდა გაიგო და თუ გაიგებ, არ უნდა დაიჯერო, სანამ არ განიცდი, ან იქნები ფარისეველი), კიდევ და კიდევ და კიდევ ავუხსნი. ამ ახსნით არ მივაყენებ შეურაცხყოფას და არ ვეტყვი, რომ ის არის გადმონაშთი და მასთან ლაპარაკი არ ღირს. ჩავთვლი, რომ უბრალოდ მე გამიმართლა, რომ სხვა დროში დავიბადე და განათლება დასავლეთში მივიღე. შესაბამისად, ასმაგად მეტი სოლიდარობა მომეთხოვება მე მათ მიმართ, რადგან შესაძლებლობების გათანაბრების პრინციპით ჩვენი სასტარტო პირობები (შესაძლებლობები) არ იყო თანაბარი.

მე წავუკითხავ ბებიაჩემს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს, მაგრამ არ ვეტყვი რომ მას დემენცია აქვს და ვერაფერს გაიგებს.

არჩევანის თავისუფლებაა, მეგობრებო, ვისაც ბებიაჩემის „გაცილება“ უფრო მოგეხერხებათ, განცხადებას პანაშვიდის საათებზე ფეისბუქში გამოვაქვეყნებ. მას დააფასებენ თანამედროვე ღირებულებების მატარებელნი. მანდ მაინც გაიხარე, ბებო.

P.S. მადლობა ჩემს მეგობრებს ა.დ.-ს, გ.კ.-ს და ს.კ.-ს, რომლებიც მარწმუნებენ ხოლმე, რომ ფიქრი გავაგრძელო და ხანდახან – ხმამაღლაც.

4 ნოემბერი, 2009

ზურგით

ფოტო: ლევან კაკაბაძე

ზურგებს ყოველთვის ფართოკუთხიანი ობიექტივით იღებს. არასდროს იცის, ვის იღებს, როგორ გამოიყ-ურება ის ადამიანი. ეს არც აინტერესებს. თვლის, რომ ასე უფრო საინტერესოა, შექმნა ფოტო – გმირის გარეშე. ფოტოზე აღბეჭდილ ადამიანებს ვერსად ამოიცნობ. ისინი დაუსრულებელ პორტრეტულ სახეებს ქმნიან, სა-დაც საბოლოო შტრიხები, შენი შესატანია. მათი სახე ხომ შენი ფანტაზიის ნაყოფია. ეს შეიძლება შენც კი იყო. აი, როდესაც ჩაფიქრებული სადღაც წამით შეჩერდი და შენი განმარტოება ფოტოგრაფის კამერამ გააჩერა. მაშინ, როდესაც ზურგი შეაქციე რეალობას და მარტო დარჩი. ასე გეგონა, რომ მარტო დარჩი.






ONLY GOD CAN JUDGE ME

ბორია

ავტორი: ლევან ბერძენიშვილი
ილუსტრაცია: მარიამ ზალდასტანიშვილი

ყოველთვის, როდესაც მორდოვეთი, ტენგუშევოს რაიონის დასახლება ბარაშევო და პოლიტიკური ბანაკი ЖХ-385/3-5 მახსენდება, ავტომატურად მეცხადება ერთი და იგივე ხატი, როგორც მიქელანჯელო ანტონიონის ან სხვა ძალიან კარგი რეჟისორის მიერ უძრავი კამერით გადაღებული კადრი: ორნი ვდგავართ აკრძალულ ზონასთან, ზოლებიანი საპატიმრო ქურქები გვაცვია, თითქმის ვეხებით მავთულხლართს, პირდაპირ აღმართული კოშკიდან შინაგანი ჯარების ყურადღებიანი ჯარისკაცი და სახელგანთქმული ავტომატის, კალაშნიკოვის ლულა გვიმზერს. ცივა, თოვს, ბნელა და პოეტი, რომელმაც ახლახან დაამთავრა თავისი უკანასკნელი ლექსის დეკლამაცია, აღელვებული ხმით მეკითხება, – აღიქვიო? – Ты воспринял?

აღარაფერი მახსოვს, არც რითმა, არც რიტმი, არც საზომი, არც ლექსი საერთოდ, მაგრამ მახსოვს, რომ აღვიქვი. მახსოვს, როგორ ღელავდა ჩემი соу́зник, თანაზონელი პეტერბურგელი პოეტი და რა მნიშვნელოვანი ვინმე ვიყავი იმ წუთას მე, რადგან ზონაში დაწერილი ლექსის პირველმოსმენის პატივი მარტოს მერგო. მახსოვს, რა დიდი აზრი ჰქონდა პოეტისთვის ჩემს პირველ შეფასებას.

პოეტს ბორია ერქვა, ბორის ისააკის ძე მანილოვიჩი; 1940 წელს იყო დაბადებული, იყო ფსიქოლოგი და, როგორც ყველა ნამდვილი საბჭოთა დისიდენტი და ინტელიგენტი რუსეთში, ფლობდა მეორე, უფრო „სახალხო“ პროფესიასაც: ელექტრომონტიორადაც იყო ნამუშევარი. ლენინგრადში დააპატიმრეს 1982 წლის 11 ნოემბერს და ლენინგრადის საქალაქო სასამართლომ დამნაშავედ ცნო რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის. 4 წელი ჰქონდა მისჯილი სასჯელის მკაცრი რეჟიმის შრომაგასწორების კოლონიაში მოხდით და ამ სასჯელის მოხდის შემდეგ ორი წლის გადასახლებაც ელოდა. გახმაურებული საქმე იყო, მანილოვიჩამდე ამ ჯგუფის სხვა ლიდერები, ჯერ ვიაჩესლავ დოლინინი და შემდეგ როსტისლავ ევდოკიმოვი დააპატიმრეს. ამ ჯგუფის ბედი ჩვენთვისაც ცნობილი იყო, რადგან იატაკქვეშეთის გამოცემაში, სამიზდატის ნამდვილი ბიბლიის, „მიმდინარე მოვლენათა ქრონიკის“ (Хроника текущих событий) ერთ-ერთ ნომერში მოხვდა (სხვათა შორის, ამავე ნომერში ნახსენები იყო ვადიმ იანკოვის დაპატიმრებაც). ვიაჩესლავ დოლინინი ამჟამად სახელგანთქმული რუსი ავტორია და თავის მოგონებებში ხშირად კეთილად მოიხსენიებს თანაზონელ ტარიელ ღვინიაშვილს, ჩვენ ერთ-ერთი ყველაზე მტკიცე, წესიერ, პატიოსან და უხმაურო პოლიტიკურ პატიმარს.

ბორის მანილოვიჩი კალამბურის კაცი იყო. სიტყვათა თამაში იმდენად უყვარდა, რომ საკუთარი ენამახვილობის ტყვეობაში ექცეოდა და ენის უღრანებში შესულს ხანდახან სამშვიდობოზე გამოსვლა უჭირდა. რაკი დაპატიმრებამდე ფსიქიატრად ემუშავა, ზონის მითოსი ამბობდა, რომ თვითონაც „ვერ იყო“.

ბორია მთელი ცხოვრება ანტისემიტიზმის მსხვერპლი იყო და ამ უბედურებას დემოკრატებითა და ლიბერალებით სავსე პოლიტიკურ ზონაშიც ვერ გაექცა. გვყავდა ბებერი პატიმარი პაველსონსი, რომელიც ელაპარაკებოდა მხოლოდ თანამემამულე ლიტველებს, ლატვიელებსა და ქართველებს. დანარჩენებს ლაპარაკის ღირსად არ თვლიდა. პაველსონსი სამხედრო კაცი იყო, ლიტვის არმიის ოფიცერი და ებრძოდა გერმანელებს, როცა ლიტვა ებრძოდა გერმანელებს; შემდეგ გერმანელებთან ერთად ებრძოდა რუსებს, როცა ლიტვა ებრძოდა რუსებს; შემდეგ გერმანელების გარეშე ებრძოდა რუსებს, როცა ლიტვა კვლავ ებრძოდა რუსებს. ოფიცერი პაველსონსი თავისი ქვეყნის ბრძანებებს ასრულებდა და ებრძოდა ყველას, ვისაც მისი სამშობლო ებრძოდა. ეს პატრიოტიზმი არ დაუფასეს საბჭოთა კავშირში, როდესაც ლიტვა დაიპყრეს და პატრიოტები მოღალატეებად გამოაცხადეს. პაველსონსი წუხდა, მთელი ცხოვრება სამშობლო მიყვარდა და სამშობლოს ღალატის მუხლით ვარ გასამართლებულიო. სწორედ ეს სიმპათიური მოხუცი მუდმივად ბრალს სდებდა მანილოვიჩს, – რაღაც მოიპარაო.

პატიმრები ხელთათმანებს ვკერავდით და შემდეგ დღიურ ნორმას, 92 წყვილ ხელთათმანს, ერთად ვკრავდით და გადმომბრუნებლებს ვაბარებდით (ჩვენი შეკერილი პირუკუღმა იყო და მას საბოლოო იერის მისაცემად სპეციალურ დანადგარზე გადმობრუნება სჭირდებოდა). პაველსონსმა თავისი შეკვრა დაკარგა და დაუფიქრებლად მიადგა ბორიას, – ჩემი ხელთათმანები როგორც მოიპარე, ისე დააბრუნეო. მანილოვიჩი ეუბნებოდა, – შენი ხელთათმანები არ მომიპარავს და, საერთოდ, ბავშვობაში მუსია დეიდას ღვეზელი რომ მოვიპარე, მას შემდეგ არაფერი მომიპარავსო, – მაგრამ პაველსონსი წმინდა სამხედრო სიჯიუტით ავითარებდა თავის შეტევას. ჩვენ რომ ჩავეძიეთ, – მანილოვიჩს რას ერჩი, რატომ გგონია, რომ შენს ხელთათმანებს მაინცდამაინც ის მოიპარავდაო, – დაუფარავი გაკვირვებით გვითხრა: он же жид! ერთი სიტყვით, ებრაელი ამ საამქროში ეგ არის და სხვა ვინ მოიპარავდა ჩემს ხელთათმანებსო. პაველსონსის შეკვრა მალე გამოჩნდა – უკრაინელ სტრილცივს წაეღო გადასაბრუნებლად, მაგრამ ლიტვის არმიის ყოფილ ოფიცერს ბოდიშის მოხდა არც უფიქრია. ალბათ დარწმუნებული იყო,

რომ ებრაელმა და უკრაინელმა მის წინააღმდეგ საერთო ენა გამონახეს და შეშინებულებმა მოპარული საქონელი უკან დააბრუნეს.

ბორია მანილოვიჩის იუმორის გრძნობა სრულიად მოულოდნელ შედეგებს გამოიღებდა ხოლმე. ადმინისტრაციის წარმომადგენლებში ერთი ზედამხედველი (надзиратель) გვყავდა, გვარად კისელიოვი. ზედამხედველს ჩვენ ვეძახდით, თორემ თვითონ თავს ძლება პირიქით, გონებამ უკარნახა, რომ ამდენი ესვა. სახე ყოველთვის წითლად უღაჟღაჟებდა. ხანდახან ხელი აუკანკალდებოდა და უეცრად გაქრებოდა. ცოტა ხანში კმაყოფილი დაბრუნდებოდა, ხელი აღარ უკანკალებდა და ლაპარაკის იშტაზეც მოდიოდა.

ერთხელაც, გაზაფხული იდგა, როდესაც კისელიოვი ზომიერად არეული ნაბიჯით მოგვიახლოვდა მე და ბორის მანილოვიჩს და შემოგვჩივლა, – თიბიქიდან მიიღესო.

– მაკვირვებ, კისელიოვ! საქართველოს Грузия და გეორგია იმიტომ ჰქვია, რომ გლეხების ქვეყანაა, მიწის ხალხია, გეო-გრაფია და გეო-ლოგია ხომ გაგიგია, გეო-რგიაც და გრუზიაც საქართველოს გლეხობას უსვამს ხაზს. ამ სასჯელმისჯილ осужденный ბაძაძაშვილს (ასე წარმოთქვამდა ჩემ რთულ გვარს ბარაშევოს ზედამხედველ-კონტროლიორთა მთელი გილდია)

კონტროლიორს უწოდებდნენ. ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, კონტროლიორ-ზედამხედველი კისელიოვი განსაკუთრებული ინტელექტუალური რესურსებით არ გამოირჩეოდა. უბრალო კაცი იყო, ზედამხედველობასა და სოფლის მეურნეობას უთავსებდა ერთმანეთს.

კისელიოვი ბანაკში ზომიერი სისასტიკის ზედამხედველი იყო და სახლში ზომიერი სიზარმაცის გლეხი, ყველაფერი ზომიერი იცოდა, ერთის გარდა: სვამდა უზომოდ. იმდენად უზომოდ სვამდა, რომ წლების განმავლობაში ფხიზელი ან სიფხიზლესთან მიახლოებული არავის უნახავს. შეიძლება ამანაც იმოქმედა მის გონებაზე და შეივის დრო დადგა და სათიბს ვერ ავუდივარ, დამხმარეს კი ვერავის ვპოულობ, ცელი არავინ იცის და ვინც იცის, თავის სათიბს ვერ აუდისო. ახლა ცვლას რომ მოვრჩები, ცელი უნდა დავჭედო (რუსული ცელი არ ილესება, იჭედება ხოლმე) და მთელი ღამე უნდა ვთიბო და მარტომ, აბა, რა შედეგი უნდა ვაჩვენოო.

მანილოვიჩმა ეშმაკურად მოწკურა თვალები და დაიწყო:

– იცი თუ არა შენ, კისელიოვ, საიდან მოდის საქართველოს სახელწოდება Грузия?

– მაგას რა დიდი ცოდნა უნდა, რუსეთის ტვირთი (груз) იყო და სახელიც რომ უყურებ, პირწავარდნილი გლეხია, ცელით ხელშია დაბადებული და მთელი თავისი ცხოვრება თიბვაში აქვს გატარებული. რაც შემეხება მე, მთელი ჩემი საგვარეულო ქიბუცში ანუ სასოფლო-სამეურნეო კომუნაში იყო დასაქმებული და ორმეტრიან ცელს ვხმარობ სათამაშოსავით. წაგვიყვანე მე და ლევანი შენ ნაკვეთში და ერთ ღამეში იმდენს მოვთიბავთ, რომ სამსამ ზვინს დაგიდგამთ.

– ეს ძალიან კარგი, ექვსი ზვინი სახუმარო საქმე არ არის, – მის ხმაში ენთუზიაზმი შეიმჩნეოდა, – მაგრამ აქედან როგორ გაგიყვანოთ? – აშკარად საქმიანი დაინტერესება გამოხატა



კისელიოვმა.

– მაგაზე იოლი რა არის, შარშან ხომ გაგვიყვანა ტრიმაზკინმა (ყველამ იცოდა, რომ ტრიმაზკინი და კისელიოვი დაუძინებელი მტრები იყვნენ და ერთმანეთს არ ელაპარაკებოდნენ), მიდი და ჰკითხე, კოლეგები არა ხართ?

– ტამბოველი მგელია მაგის კოლეგა! – გაბრაზდა კისელიოვი, – რამე უფრო ჭკვიანური უნდა მოვიფიქროთ.

– ეგ რთულია, – შეწუხდა მანილოვიჩი.

– მეც არაფერი მომდის თავში, – გავიზიარე საერთო წუხილი მეც.

– მოვიფიქრე! – გაუხარდა ბორიას, – მოვიფიქრე! ზონის უფროსთან, შალინთან უნდა მიხვიდე, უნდა მიხვიდე და უთხრა, – თიბვაზე ხალხი მჭირდება, მანილოვიჩი და ბერძენიშვილი მომეცი, თიბვა იციან, ორი დამატებითი ცელი მაქვს და ხვალ დილას ორივეს თვლით ჩაგაბარებ-თქო. რაც მთავარია, უთხარი, – არაყს არ დავალევინებ-თქო, – თორემ, ხომ იცი, პატიმარი და არაყი რთული თემაა.

– რა თქმა უნდა, ასე ვეტყვი, მაგრამ არაყს მაინც დაგალევინებთ, თქვენ ოღონდ ექვსი ზვინი დამიდგით, ხუთი მაინც! – გვითხრა კეთილმა კისელიოვმა და ადმინისტრაციული კორპუსისკენ აიღო გეზი.

ბორია ბარაკში შევარდა და სეირის საყურებლად ნახევარი ზონა გამოიყვანა. არ გასულა ხუთი წუთი და საუფროსოდან კისელიოვი გამოვარდა და ტრაგიკული ხმით შესძახა: საძაგელო ებრაელო, რა უბედურებაა, არარეალურ ამბებს რომ ლაპარაკობო (თავისუფალი თარგმანია, ორიგინალის ენაზე ეს ყველაფერი ასე ჟღერდა: Жид моржовый, на кой хуй нереальные вещи говорить!)

– რა დროს არ არის ცოცხალი ესქილე! – დაენანა ესქილეს გარდაცვალებიდან ოცდახუთი საუკუნის შემდეგ ბორიას, – ნუთუ მრისხანე კისელიოვი აგამემნონს არ ჰგავს, როდესაც მან კლიტემნესტრასა და ეგისთეს მზაკვრობით დაღუპულმა შესძახა «О горе, мне нанесен смертельный удар!» (ჯერჯერობით ერთადერთ ქართულ თარგმანში მეტი პათოსია: „ვაგლახ, ლახვარი სასიკვდილო გულს დამეძგერა!“)

იმ დღეს კისელიოვმა ჩვეულებრივზე მეტი დალია და ერთი-ორი კვირა მე და მანილოვიჩს სასაუბროდ აღარ მოგვკარებია. ორი კვირის შემდეგ კი ან წყენამ გადაუარა, ან თიბვა დამთავრდა და კისელიოვმა თავის მწვალებელ ბორიასთან ინტელექტუალური საუბრები განაახლა.

კისელიოვის შემთხვევა ერთადერთი არ იყო. ბორია მანილოვიჩი, საერთოდ, ჩვენი ხიდი და გასასვლელი იყო ადმინისტრაციაზე. პატიმართა უმეტესობა ადმინისტრაციასთან კონტაქტს ერიდებოდა, რადგან ეს თავისი ღირსებისთვის შეუფერებლად მიაჩნდა. ბორია, როგორც გამოცდილი პატიმარი, ასე არ თვლიდა. მას რაღაცნაირი იმუნიტეტი ჰქონდა გამომუშავებული და ადმინისტრაციასთან ურთიერთობაში მის ავტორიტეტს არაფერი აკლდებოდა. ამიტომ, როდესაც აუცილებელი იყო ზონის ხელმძღვანელობასთან კონტაქტი, ბორია მზად იყო, გრძელი

რა დროს არ არის ცოცხალი ესქილე! – დაენანა ესქილეს გარდაცვალებიდან ოცდახუთი საუკუნის შემდეგ ბორიას, – ნუთუ მრისხანე კისელიოვი აგამემნონს არ ჰგავს, როდესაც მან კლიტემნესტრასა და ეგისთეს მზაკვრობით დაღუპულმა შესძახა «О ГОРЕ, МНЕ НАНЕСЕН СМЕРТЕЛЬНЫЙ УДАР!»

სიტყვა წარმოეთქვა, რომლის პირველი სიტყვები იქნებოდა „მოქალაქე უფროსო“ (гражданин начальник, ეს იყო ოფიციალური მიმართვა პოლიტიკურ ბანაკში; ამ ფორმას ანტისაბჭოთა აგიტაციისა და პროპაგანდისათვის გასამართლებულთაგან არავინ ხმარობდა მანილოვიჩის გარდა). ერთხელ, როდესაც წიგნის „სულიერი გენოციდი ლიტვაში“ ავტორს, ვიტაუტას სკუოდისს სიმწრით დაზოგილი ვირტუალური „ფულით“ ნაყიდი ზეთის ბოთლი ხელიდან გაუვარდა, გაუტყდა, ზეთიც დაეღვარა და მთავარი სიმდიდრე, მთელი შეკვრა შავი ჩაიც დაუზიანა, ბორია ზონის უფროსთან შევიდა, „მოქალაქე უფროსოთი“ მიმართა და სახელგანთქმული ლიტველი ინტელექტუალისთვის თითქოსდა საკანცელარიო ნივთების შესაძენად დამატებითი ორი მანეთი გამოსტყუა (მანამდე ამ პატივით მარტო ჯაშუშები და სამხედრო დამნაშავეები სარგებლობდნენ).

ბორიას ჭადრაკი უყვარდა. ჭადრაკის სიყვარული მისთვის ნაციონალური სიამაყის საგანი იყო. იმდროინდელი მსოფლიოს ბევრი ქვეყნის გუნდი იყო ებრაელი გროსმაისტერებით დაკომპლექტებული და მაშინდელი საბჭოთა ანეკდოტიც ამბობდა: ერთი ებრაელი კომერსანტია, ორი – მსოფლიო ჩემპიონატია ჭადრაკში, ბევრი – სსრკ მეცნიერებათა აკადემიაო. ჭადრაკი უყვარდა და მშვენივრადაც თამაშობდა, მაგრამ ჩვენი პოლიტიკური ბანაკის დემოკრატები რატომღაც მწყრალად იყვნენ ქალღმერთ კაისაზე და მანილოვიჩი პარტნიორებს სამშობლოს მოღალატეებსა და ჯაშუშებში ეძებდა. ეძებდა და იპოვა კიდეც საჭადრაკო თვალსაზრისით ღირსეული მეტოქე, აშშ-ს სასარგებლოდ მოჯაშუშე ახპერ მეხტის ძე რაჯაბოვის სახით, რომელმაც, გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ, საშუალო სიშორის სახელგანთქმული რაკეტის სს-20-ის ნახაზები გადასცა ამერიკელებს იუგოსლავიაში.

თამაშობდნენ და თამაშობდნენ ბორია და რაჯაბოვი ჭადრაკს, მაგრამ ამ ხშირმა თამაშმა კი არ დააახლოვა ერთმანეთს, არამედ მათ შორის იდეოლოგიური, ნაციონალური და რელიგიური განსხვავებები კიდევ უფრო გამოკვეთა. როგორც კარგა ხნით ადრე სამართლიანად აღნიშნა შორსმჭვრეტელმა მიხაილ პოლიაკოვმა, კონფლიქტი მწიფდებოდა. ვითარებას ისიც ამწვავებდა, რომ ბოლოს მოთამაშეთა შორის ბალანსი დაირღვა და საჭადრაკო ფორტუნა ბორიასკენ გადაიხარა. რაჯაბოვს სულ უფრო არ მოსწონდა გამარჯვებული მანილოვიჩის ხუმრობები და ერთხელაც იფეთქა. ჩხუბს და გინებას მოულოდნელი განვითარება მოჰყვა, რაჯაბოვმა ტუალეტიდან ფეკალიებით მოსვრილი ჯოხი გამოათრია და ბორიას სახეში დრუზა.

გამწარებული ბორია ჩვენთან მოვიდა და განაცხადა, – ამ შეურაცხყოფას პასუხს არ გავცემ, რადგან ეს აშკარად ადმინისტრაციის პროვოკაციაა, – და ჩვენაც აგვიკრძალა საპასუხო მოქმედება. არ მახსოვს, როგორ მოხერხდა ჩემი და დათოს დაკავება, ჩვენ აშკარად გვეგონა, რომ ზოგიერთ პროვოკაციას უნდა წამოეგო კიდეც, თუკი ღირსების დაცვა სხვაგვარად შეუძლებელია. კონფლიქტის შემდგომ რეკონსილაციას პიტერელები მეთაურობდნენ და კარგა ხნის შემდეგ მოხერხდა მხარეების შერიგება, თუმცა ჩვენი პოზიცია არც მაშინ შეცვლილა და ამდენი წლის შემდეგაც იგივეა, რაჯაბოვს ადეკვატური პასუხი არ გაეცა და ბორიას ღირსება შეიბღალა.

ბოლოს და ბოლოს ჩემთვის გასაგები გახდა, რომ ღმერთს ბორიასთვის ჩვენზე გაცილებით მეტი მოთმინების უნარი მიუნიჭებია. პოგრომებმა და ჰოლოკოსტმა წარუშლელი კვალი დატოვა ბორიაზე: ამიტომ მასთან ანტისემიტური „ხუმრობებიც“ იოლად გადიოდა. როცა ჩვენი ზონის კინომექანიკოსი ლისმანისი გოგოლის უკვდავი „მკვდარი სულების“ „სიყვარულით“ მანილოვიჩს სობაკევიჩს ეძახდა (რაკი მემამულეები მანილოვი და სობაკევიჩი ერთ-ერთი მთავარი „მკვდრები“ არიან გოგოლის ამ შედევრში), ბორიას არ წყინდა ან წყენას არ იმჩნევდა.

ბორია მანილოვიჩი, როგორც ჭეშმარიტი პეტერბურგელი და „სემიტური წარმომავლობის დამპალი ინტელიგენტი“ – «гнилой интеллигент семитского происхождения» (მისი საყვარელი განსაზღვრება იყო, რომელსაც ხშირად მიმართავდა), შესანიშნავად იცნობდა რუსულ ლიტერატურას და, განსაკუთრებით, მისივე ტერმინი რომ ვიხმაროთ, რუსული ლიტერატურის „სემიტურ-ქამიტურ მიმართულებას“ (ტერმინი „ქამიტური“ ამ შემთხვევაში კლასიკური ენათმეცნიერებისადმი გაღებული ხარკი უფრო იყო, ბორია, რა თქმა უნდა, თავისი თანამემამულეების წვლილზე საუბრობდა რუსულ ლიტერატურასა და კულტურაში).

ერთხელ მე რომ შენიშვნის სახით ვუთხარი, – ამ ტერმინს, „სემიტურ-ქამიტურს“ აღარ ხმარობენ, სამოცდაათიანი წლებიდან მის ადგილს ამერიკელი მეცნიერის გრინბერგის მიერ შემოღებული „აფროაზიური“ იკავებს, ახლა სულ უფრო ხშირად ამბობენ „აფროაზიურ ენათა ოჯახი“-მეთქი, ბორია აღელდა.

– მაგ გრინბერგს რა ჰქვია, იოსკა ხომ არა? ნიუ-იორკელია?

– კი ნამდვილად, ჯოზეფ გრინბერგი, დაბადებული ბრუკლინში 1915 წელს, მოღვაწეობს ენათმეცნიერების

ორ სფეროში – ლინგვისტურ ტიპოლოგიასა და ენათა გენეალოგიაში, აღმოაჩინა ენობრივი უნივერსალიები.

– იოსკა ჩემი ნათესავია! ჩვენც თქვენსავით, ქართველებივით სულ ერთმანეთის ნათესავები ვართ, ოღონდ ისეთი, შენ რომ თქვი, ворона тётя сороки?

– კი ბატონო, тётя ოღონდ მამის ხაზით: ყვავი ჩხიკვის მამიდა.

– სიტყვა-სიტყვით იგივე იდიომა გვაქვს იდიშში.

რუსი მეგობრების გასაგონად უყვარდა ჩამოთვლა (როგორც წესი, ანბანურ რიგზე). რუსული მწერლობის ვარსკვლავები: ბაბელი, ისააკ ემანუელის ძე (დაბადებისას ბობელი); ბაგრიცკი (ძიუბინი) ედუარდ გიორგის ძე; ილფი (აკრონიმია: იეხიელ-ლეიბ ფაინზილბერგი) ილია არნოლდის ძე; მანდელშტამი ოსიპ (იოსიფ) ემილის ძე; პასტერნაკი ბორის ლეონიდეს ძე (1920 წლამდე ბორის ისააკის ძე); სვეტლოვი (შეინკმანი) მიხაილ არკადის ძე; ჩუკოვსკი კორნეი ივანეს ძე (ემანუილ სოლომონის ძე ლევენსონის უკანონო შვილი).

როდესაც ბორია მხატვრებს, ექიმებს, მოჭადრაკეებს, კოსმონავტებს (მათ თემატურად, მისი განმარტებით, „სახეობრივი გამდიდრების“ მიზნით, რატომღაც ამერიკელ ასტრონავტებსაც მიაყოლებდა) და მეცნიერებს ამატებდა (ანბანზე გაწყობილი ცალცალკე ნუსხებით), ეს სია უსასრულო ხდებოდა.

და ამ უზარმაზარი სიიდან, რუსული საბჭოთა კულტურის „მეექვსე კოლონიდან“ (ესეც ბორიას შექმნილი ტერმინი იყო; მისი განმარტებით, ეს იგივე მეხუთე კოლონაა, ოღონდ ისეთი კოლონა, რომელსაც ქვეყანა უყვარს როგორც პირველ ოთხს, მაგრამ თვითონ ქვეყანა მას უცხოდ, მტრად და მეხუთედ აღიქვამს) ბორია მანილოვიჩს ჰყავდა თავისი რჩეული, მას გაცხადებული ჰქონდა თავისი ლიტერატურული სიყვარული, მანილოვიჩის ფავორიტი იყო „ოდესური მოთხრობებისა“ და Конармия – „ცხენოსანთა არმიის“ ავტორი, 1940 წლის იანვარში სტალინის პირადი ხელმოწერის საფუძველზე დახვრეტილი შესანიშნავი მწერალი და ბრწყინვალე სტილისტი, ისააკ ბაბელი.

„ოდესურ მოთხრობებში“ ბაბელმა რომანტიკულად აღწერა XX საუკუნის დასაწყისის ოდესა, ებრაელი კრიმინალებისა და უბრალო ხალხის ცხოვრება, ძეგლი დაუდგა ქურდების, მძარცველების, ოსტატებისა და წვრილი მოვაჭრეების ეგზოტიკურ და ძლიერ ხასიათებს. ამ მოთხრობების ყველაზე უფრო დამამახსოვრებელი გმირი იყო ცნობილი მძარცველი ბენია (ბენციონ) კრიკი, რომლის პროტოტიპი იყო ოდესის რისხვა, ლეგენდარული მიშკა იაპონჩიკი (1919 წელს გარდაცვლილი მოსე ვოლფის ძე ვინიცკი, უაღრესად კოლორიტული კეთილშობილი ყაჩაღი, რომელიც მკვლელობას ერიდებოდა, არტისტებს და, საერთოდ, ხელოვნების ხალხს მფარველობდა და რომელსაც „იაპონჩიკი“ დაერქვა თვალების დამახასიათებელი ჭრილის გამო; ახლახან

სწორედ იმ წლებში, როდესაც ჩვენ პოლიტიკურ ბანაკში ვისხედით, ალექსანდრ როზენბაუმი ქურდულ, ე.წ. „ბლატნოი“ სიმღერებს წერდა და მღეროდა, რომლებშიც მოქმედ გმირთა სამოღვაწეო ასპარეზად რევოლუციამდელი ოდესა და მთავარ მოქმედ გმირად სწორედ ბაბელისეული ბენია კრიკი გვევლინებოდა.

გარდაცვლილ კანონიერ ქურდ იაპონჩიკს – ვიაჩესლავ კირილეს ძე ივანკოვს მოსე ვოლფის ძესთან, კრიმინალური საქმიანობის გარდა, მხოლოდ თვალების მსგავსი ფორმა და სცენის სიყვარული აკავშირებდა) – ამბობენ, რომ ბენია კრიკის სახეში ბაბელმა განახორციელა თავისი ოდინდელი ოცნება ებრაელზე, რომელსაც თავის დაცვის უნარი აქვს (ოდესაში ებრაელთა 1905 წლის საშინელ დარბევას ანუ პოგრომს მოლდოვანკაზე დაბადებული და გაზრდილი ცხრა წლის ისააკი ძლივს გადაურჩა – ქრისტიანულმა ოჯახმა შეიფარა, თუმცა იმ სამას ებრაელს შორის, რომელიც მაშინ დაიღუპა, ბაბუამისი შოილ ბობელიც აღმოჩნდა).

სწორედ იმ წლებში, როდესაც ჩვენ პოლიტიკურ ბანაკში ვისხედით, ალექსანდრ როზენბაუმი ქურდულ, ე.წ. „ბლატნოი“ სიმღერებს წერდა და მღეროდა, რომლებშიც მოქმედ გმირთა სამოღვაწეო ასპარეზად რევოლუციამდელი ოდესა და მთავარ მოქმედ გმირად სწორედ ბაბელისეული ბენია კრიკი გვევლინებოდა.

ბორიას აღფრთოვანებას ყველა ერთნაირად არ იზიარებდა. განსაკუთრებული და არალიტერატურული არგუმენტებით იბრძოდა ჟორა ხომიზური: 1917 წლის დეკემბერში ბაბელი ჩეკაში მუშაობდა, ხოლო პირველ ცხენოსანთა არმიაში კირილ ვასილის ძე ლიუტოვის სახელით კორესპონდენტად კი გაიგზავნა, მაგრამ იქ პოლიტმუშაკამდე „ამაღლდაო“. ამგვარ თავდასხმას ბორია შესაშური მოთმინებით პასუხობდა: „კონარმიას“ ყველაზე მეტად ბუდიონი დაესხა თავს, ეს მოთხრობები პირველ ცხენოსანთა არმიაზე ცილისწამებაა; ხოლო კლიმენტ ვოროშილოვი 1024 წელს ცეკას წევრს და შემდგომში კომინტერნის ხელმძღვანელს, დიმიტრი მანუილსკის შესჩიოდა, – ცხენოსანთა არმიაზე დაწერილი ამ წიგნის სტილი „დაუშვებელიაო“; რაც შეეხება ამხანაგ სტალინს, ხალხების მამა და ბელადი თვლიდა, – ბაბელი „ისეთ რამეებზე წერს, რაც სრულიად არ ესმისო“.

– გინდა ახლა, ჟორა, ამ შესანიშნავ და წითელ კომპანიაში დარჩენა, ამხანაგებთან, ბუდიონისთან, ვოროშილოვთან და სტალინთან ერთად? – იკითხავდა ცბიერი მანილოვიჩი და თვალებს მიშკა იაპონჩიკივით მოჭუტავდა.

– და რა უნდოდა ძერჟინსკის, მენჟინსკის და მედვედის კომპანიაში, თუ კარგი კაცი იყო, თან რა მწერალია, ეგეც დოსტოევსკი არ მყავდესო, – არ ცხრებოდა ხომიზური.

– რა შუაშია აქ დოსტოევსკი და პუშკინი? თუ შეიძლება ჩემ თანაქალაქელებს თავი დაანებეთ! ისე, ჩეკისტად არა და წითელ კომისრად მარკ ზახაროვიჩ შაგალსაც უმუშავია, მართალია, ხელოვნების ხაზით, მაგრამ მაინც კომისრად ვიტებსკის ოლქში, – ჩაერეოდა მიშა პოლიაკოვი.

პოლიაკოვი, როგორც ყოველთვის, ზუსტი იყო. ჟორა შაგალს აღმერთებდა დაახლოებით ისე, როგორც ბაბელს ბორია, შეიძლება, უფრო მეტადაც კი და ამ საქმეში ბევრი მეგობარი ჰყავდა, რომელთა რიგებში მეც ვიყავი (გაივლის მრავალი წელი და ჩემ ცხოვრებაში ერთ-ერთ ყველაზე უფრო თავბრუდამხვევ და დაუვიწყარ შთაბეჭდილებას მოახდენს პარიზის გრან პალეში მოწყობილი მარკ შაგალის შემოქმედების თითქმის სრული, გრანდიოზული გამოფენა, რომელზეც მე და ჩემ მეუღლეს ჩვენი საუკეთესო მეგობარი მიგვიწვევს). ამ ეპიზოდის შემდეგ ხომიზურს ბაბელის ძვირი არ უთქვამს და ბორია შეუფერხებლად და წარმატებით ეწეოდა მისი მწერლობის პროპაგანდას.

ბაბელი მანამდეც მომწონდა, თუმცა მხოლოდ რევაზ ჯაფარიძის თარგმნილ „ცხენოსანთა არმიას“ ვიცნობდი. ბორიასთან შეხვედრის შემდეგ მოწონება სიყვარულში გადაიზარდა, ხოლო მანილოვიჩის გაუთავებელი ლექციების შემდეგ სიყვარული გამიასკეცდა. ბორია ხშირად მიმართავდა თავის საყვარელი მწერლის პირდაპირ თუ ფარულ ციტირებას. ჩემი დაკვირვებით, გარკვეული წესიც კი ჩამოყალიბდა: თუკი მანილოვიჩი ციტირებისას ავტორს არ დაასახელებდა, ეს აუცილებლად ბაბელი იქნებოდა. ხანდახან ციტატის „გრძნობა“ შეუძლებელი იყო, თუკი ბაბელის შემოქმედებას, განსაკუთრებით, „ოდესურ მოთხრობებს“, კარგად არ იცნობდი. მაგალითად, როცა რომელიმე მეცნიერული თეორიის, ვთქვათ, ფსიქოანალიზის რაიმე რთულ დებულებას წარმოადგენდა, ბორია მოულოდნელად იკითხავდა Мугинштейн, ты меня понял? უნდა გცოდნოდა, რომ იგულისხმებოდა ეპიზოდი „ოდესური მოთხრობებიდან“, კერძოდ, მოთხრობიდან „როგორ ხდებოდა ეს ოდესაში“ – Как это делалось в Одессе, სადაც სამ სხვა ბანდიტთან ერთად საძარცვად მივარდნილი დანაშაულის სამყაროს „მეფედ“ წოდებული Король ბენია კრიკი მილიონერი ტარტაკოვსკის პრიკაზჩიკს, საცოდავ მუგინშტეინს ამ უკანასკნელის ტრაგიკული აღსასრულიდან რამდენიმე წუთის წინ მათი „შეხვედრის“ შინაარსს ფილოსოფიურად უხსნიდა: Свинья со свиньей не встречается, а человек с человеком встречается. Мугинштейн, ты меня понял?

ბაბელზე საუბარს ბორისი ვალენტინ კატაევის მიერ შემონახული უსახელო ეპიგრამით ასრულებდა ხოლმე:

«Под пушек гром, под звоны сабель
от Зощенко родился Бабель.»

>>> გაგრძელება გვ. 123

ძალაუფლება და ცინიზმი

სლავოი ჟიჟეკი

(ვენა. ზიგმუნდ ფროიდის მუზეუმი. 1995 წლის 10 მარტი)

ინგლისურიდან თარგმნა კახა თოლორდავამ

უფლება მომეცით, მადლობა გადავუხადო ზიგმუნდ ფროიდის საზოგადოებას, განსაკუთრებით კი ფრაუ ინგრიდ შოლც-შტრასერს, მოპატიჟებისათვის. უკანასკნელად ჩემი აქ გამოსვლისას ყველაფერი წესრიგში იყო; იმედი მაქვს, რომ დღესაც არ გაგიცრუებთ იმედს. არ მინდა დიდხანს შეგაყოვნოთ და ამიტომაც შევეცდები, ნახევარიოდე საათში ჩავეტიო. თუ საწინააღმდეგო არაფერი გაქვთ, დავიწყებ.

როგორც ყველა ნორმალური სლოვენიელი ნაციონალისტი, მეც, რა თქმა უნდა, ფროიდის ერთი წერილით დავიწყებ, სადაც ის სლოვენიას ახსენებს. წერილში ის ჰყვება, თუ როგორ მოინახულა სამხრეთ სლოვენიაში, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე მდებარე შკოტის გამოქვაბულები. თქვენ, რა თქმა უნდა, გეცოდინებათ ის, რომ ფროიდისათვის გამოქვაბულში შესვლა არაცნობიერის ქვესკნელში შესვლის მეტაფორა გახლდათ. რა შეემთხვა იქ მას? მიწისქვეშეთში გასეირნებისას ფროიდს საკმაოდ უსიამოვნო სიურპრიზი ელოდა. იქ, სიბნელეში, მის წინ იდგა... ალბათ უკვე ხვდებით ვინც... დოქტორი კარლ ლუგერი (კარლ ლუგერი, Karl Leuger – ქალაქ ვენის გუბერნატორი იმ დროს, როდესაც ფროიდი „სიზმრების ინტერპრეტაციას“ წერდა. ადოლფ ჰიტლერი ლუგერს „ყველა დროის საუკეთესო გუბერნატორად“ მიიჩნევდა. 1895 წელს, როდესაც ფრანც იოზეფმა ხელი არ მოაწერა ლუგერის პოსტზე დარჩენის ბრძანებას, ფროიდმა კარგი სიგარით აღნიშნა ეს ღირსშესანიშნავი დღე). ფროიდი შეძრა ამ შეხვედრამ. ვფიქრობ, რომ ის საკუთარი თეორიის ხირცშესხმულ ფორმას შეეჯახა, კერძოდ კი ამ თეორიის ორ ძირითად მომენტს. თქვენ იცით, ვინ იყო კარლ ლუგერი – პირველი ქრისტიანი დემაგოგი, ცუდი რეპუტაციის მქონე პოპულისტი და ანტისემიტი, მოკლედ, – ბ ა ტ ო ნ-პ ა ტ რ ო ნ ი. ეს მოულოდნელი შეხვედრა გამოქვაბულში სიტყვა-თამაშის ფონზე შედგა, Leuger, Die Liege (ფსიქოანალიტიკოსის ტახტი), luegen (ტყუილი). აქ ორი რამაა საყურადღებო. ფროიდი ყოველთვის წინააღმდეგი იყო ისეთი მოდური სისულელეებისა, როგორიცაა, ვთქვათ „საკმარისია ჩაიხედო საკუთარი სულის სანუკვარ სიღრმეებში, რათა იქ ჭეშმარიტებას გადააწყდე“. არა, საკუთარ თავში ღრმად ჩახედვისას შენ Leuger, Liege, luegen-ს შეეჩეხები. იქ შენ ვერაფერ სიღრმისეულს ვერ დაძებნი, სამაგიეროდ კი გადაეყრები პატრონს, მატყუარა და თვითმარქვია ბატონ-პატრონს. აი, ვის გადაეყრები შენ იქ! მოგვიანებით ლაკანი ამ შეხვედრას

სიტყვების თამაშით დაახასიათებს: perversion - version du pere (პერვერსია – მამის ვერსია). აქ საქმე მარტო ის კი არაა, რომ არსებობს რაღაც საზოგადოებრივი ძალა, რომელიც ჩვენ სიღრმეებში ღრმად ჩამალულ ინსტინქტებს ახშობს, არამედ არაცნობიერი ბ ა ტ ო ნ-პ ა ტ რ ო ნ ი ა და ის ამაზრზენია. რისი თქმა მინდა ამით?

კარგი, მოდი ახლა ყველაზე საინტერესოზე გადავიდეთ...

ჯერ სხვა მაგალითს მოვიყვან; ამჯერად ნამდვილად რომ ამაზრზენ შემთხვევას ჩემი ცხოვრებიდან, რაც იმ აზრს გაგიმტკიცებთ, თუ როგორი ამაზრზენია ძალაუფლება. სამოცდაათიანების შუაში იუგოსლავიის სახალხო არმიაში გამიწვიეს. გარეგნულად ჩემი არმიული ცხოვრება ასე გამოიყურებოდა: პატარა ბარაკები, სადაც ჯარისკაცებთან ერთად მედ-ძმასაც ეძინა. კვირაში ერთხელ ნაწილის სიახლოვეს მდებარე სამხედრო ჰოსპიტალიდან ექიმი მოდიოდა და რამდენიმე საათის განმავლობაში კონსულტაციებს უწევდა ავადმყოფ ჯარისკაცებს. იმავე შენობაში, პირსაბანის გვერდზე დიდი სარკე ეკიდა, რომლის ჩარჩოშიც ჯარისკაცები ნახევრად შიშველი ქალების ჟურნალებიდან ამოჭრილ ფოტოების ამაგრებდნენ. მოკლედ, იქაურობა პორნოგრაფიამდელი პერიოდის ტიპური სამასტურბაციო სივრცე გახლდათ. ექიმი რომ მოდიოდა, ჩვენ პირსაბანის მოპირდაპირე კედლის გასწვრივ ჩამწკრივებულ სკამებზე ჩამოვსხდებოდით ხოლმე და ის სათითაოდ იძახებდა ჯარისკაცებს. სანამ ერთს სინჯავდა, დანარჩენები ვისხედით და ვუყურებდით. ერთხელ, როდესაც ჩემ რიგს ველოდებოდი, ექიმის წინ ნახევრად შიშველი ჯარისკაცი იდგა, რომელიც ასოს არეში ტკივილს უჩიოდა. ეს უკვე, რა თქმა უნდა, საკმარისი იყო, რომ ყოველ ჩვენგანში, ექიმის ჩათვლით, უწმაწური ხითხითი გამოეწვია. ის ჯარისკაცი კონკრეტულად იმას უჩიოდა, რომ კანი ასოს თავზე ძალიან უჭერდა და, როდესაც ასოს თავს იშიშვლებდა, კანის თავდაპირველ მდგომარეობაში დაბრუნება უჭირდა. ექიმმა უბრძანა, შარვალი გაეხადა და ეს პრობლემა ეჩვენებინა (რა თქმა უნდა საჯაროდ). ჯარისკაცი დაემორჩილა. მან ასო გაიშიშვლა და კანი უმტკივნეულოდ ჩააცურა დაბლა. ექიმმა ხუმრობით ჰკითხა, – აბა, რაღას უჩიოდა? ჯარისკაცმა უპასუხა, რომ პრობლემა მხოლოდ ერექციის დროს იჩენდა ხოლმე თავს... ჩვენ ყურადღებით ვუგდებდით ყურს მათ საუბარს. ექიმმა გააგრძელა: „კარგი, მოდი ახლა დაანძრიე, ჩვენ კი შევეცდებით, გავიგოთ, თუ რა გჭირს“. ჯარისკაცი შეცბა, აილეწა, მაგრამ მაინც დაემორჩილა ბრძანებას და ჩვენ თვალწინ შეუდგა საქმეს, თუმცა, რა თქმა უნდა, ასეთ სიტუაციაში ერექციის მოგვრა არც ისეთი ადვილი საქმეა. მერე კი ყველაზე ამაზრზენი რამ დაიწყო. ექიმი წამოდგა, სარკესთან მივიდა, ჩარჩოდან შიშველი ქალის ფოტო გამოაძრო, ჯარისკაცს სურათი თვალწინ აუფარა და ყვირილი დაუწყო: „მიდი, დაიწყე, ნახე, რა ტრაკია, რა ძუძუები, მიდი დაიწყე, კაცი ხარ თუ ჩვარი?“ ჩვენ, ექიმის ჩათვლით, ბინძური ხითხითით ვამკობდით ამ სცენას. ჯარისკაციც ჩვენთან ერთად იცინოდა და თავის საქმეს აგრძელებდა. ეს სცენა ჩემთვის ლამის გამოცხადებასავითაა. ის ძალაუფლების გამოვლინების და ძალადობის აპარატის დემონსტრირების შემთხვევაა. ესაა თავსმოხვეული ტკბობის და ძალაუფლების დამამცირებელად გამოყენების ნაზავი. ძალოვანი ინსტანციის აგენტი მკაცრ ბრძანებებს იძლევა, მაგრამ ამავე დროს ყველასთან ერთად იცინის და ეს სიცილი მის თანამოაზრეებად გვხდის ჩვენ და მჭიდრო კავშირს ამყარებს ჩვენ შორის. ის, რაც მე აქ მაინტერესებს, ერთგვარი მოკლე ჩართვაა, რომლის დროსაც ძალოვანი ინსტანციის ერთადერთი აგენტი მოულოდნელად თვალს გიპაჭუნებს იაფფასიანი სოლიდარობის ნიშნად და ამით გაგრძნობინებს, რომ საჭირო არაა მომხდარის სერიოზულად აღქმა და სწორედ ამის მეშვეობით აძლიერებს ის თავის ძალაუფლებას.

მიმაჩნია, რომ იდეოლოგიის კრიტიკა დღეს სწორედ ძალაუფლების ასეთი ამაზრზენი გამოვლინების იზოლირების მცდელობით უნდა იყოს დაკავებული, ვინაიდან ეს სიბინძურე ძალოვან სტრუქტურებშია ჩაწნული და მათ ეყრდნობა. გავაგრძელოთ...

როგორ გამოიყურება ქმედებაში დღეს ეს ყველაფერი? თავის ერთ-ერთ წერილში ფროიდი იხსენებს ძველ ანეკდოტს, სადაც ვიღაც ცნობილ ადამიანს მეგობარი ეკითხება, თუ როგორ გამოიყურება მისი ცოლი. მოკლედ, უსვამს ჩვეულებრივი მამაკაცური შოვინიზმით გაჟღენთილ კითხვას იმას, ვინც ეს-ესაა ცოლი მოიყვანა. როგორ გამოიყურება შენი ცოლი? ლამაზია? მომხიბვლელი? ახლად დაქორწინებული პასუხობს: „პირადად მე ის არ მომწონს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ეს ხომ გემოვნების ამბავია“. რაში მდგომარეობს ამ პასუხის პარადოქსი? საქმე ისაა, რომ ის ვერ ახერხებს საკუთარი პასუხის რედაქტირებას. ის არ ამბობს, რომ მას ცოლი არ მოსწონს, და რომ მან ის ფულის გამო მოიყვანა. ჩემი აზრით, ამ კაცის პოზიცია აბსოლუტურად კანტიანურია. მთავარი აქ ისაა, რომ ასეთი პასუხისას სუბიექტს სურს, დაიჭიროს რაღაც უნივერსალური პოზიცია, საიდანაც მომხიბვლელობა შეიძლება დანახული იქნას როგორც იდიოსინკრეზია, როგორც პირობითი პათოლოგიური თვისება, თუმცა რომლის ასეთი სახით მხედველობაში მიღება საჭირო არაა. ქორწინება სიმბოლური აქტია, შესაბამისად, ჩვენ გამოვრიცხავთ სილამაზეს და ისეთი სახის პათოლოგიურ ელემენტებს, როგორიცაა „მომწონს მე თუ არა ჩემი ახალგაზრდა ცოლი“. სრულიად არაა საჭირო ამის სერიოზულად აღქმა.

რა თქმა უნდა, ასეთი გამოთქმის მეშვეობით რაიმე პოზიციის დაკავება წარმოუდგენელია. ეს მეტა-ენის ყალბი გამოვლინებაა. მხედველობაში მაქვს ის, რომ ადამიანი ასეთ „შეუძლებლობებს“ აწყდება იქ, სადაც თანამედროვე პოსტმოდერნული სამყაროს ზედმეტობის გამოვლინება იჩენს თავს. გამიჭირდება ამ თემაზე მაგალითის მოყვანა ავსტრიული ყოველდღიურობიდან, მაგრამ სამაგიეროდ, მსგავსი მოვლენის გერმანული და განსაკუთრებით ინგლისური ვარიანტები შემიძლია შემოგთავაზოთ; ეს მოვლენა უკვე შეერთებულ შტატებსაც გადა-

წვდა. მაგალითისთვის, რა პასუხებს ისმენენ ჟურნალისტები „სქინჰედების“ ან ნეონაცისტებისგან, ადამიანებს რომ სცემენ ქუჩებში? სრულიად მოულოდნელად ეს მოძალადეები სოციალური სფეროს მუშაკებივით, სოციოლოგებივით ან სოციოლოგი ფსიქოლოგებივით იწყებენ ლაპარაკს. ამას წინათ ერთ ინგლისურ გაზეთში ვიღაც „სქინჰედთან“ ინტერვიუ წავიკითხე; მან ერთ უცხოელს სცემა. როდესაც მოძალადე დაიჭირეს და შეეკითხნენ, თუ რატომ გააკეთა მან ეს, აი, რა პასუხი მიიღეს მისგან: „იცით, საქმე ისაა, რომ ჩვენ საზოგადოებაში სოციალური შესაძლებლობების დაღმასვლა შეიმჩნევა, მცირდება სოციალური გარანტიები, ცხოვრება უსაფრთხო აღარაა, მდგომარეობა ოჯახებში უარესდება, აღარ არსებობს ნამდვილი ხელისუფლება“ და ასე შემდეგ. მან ზუსტად ჩამოთვალა პოპ-სოციალურ და პოპ-ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა ყველა კლიშე.

სწორედ მსგავს პასუხებს შევეჯახე ჟირინოვსკისთან ინტერვიუს დროს. ჟირინოვსკის შემთხვევაში, მოქმედებს ორი კლიშე: პირველი ისაა, რომ ასეთი პოპულისტი დემაგოგი შეიძლება გაჩნდეს მხოლოდ ღრმა ეკონომიკური კრიზისის ან სოციალური გარანტიების დეფიციტის დროს; მეორე კი ის, რომ ასეთი ადამიანები იბადებიან მხოლოდ პათოლოგიურ ოჯახურ კონსტელაციებში. მოდი, მოვუსმინოთ, თუ რას ამბობს ჟირინოვსკი საკუთარ თავზე: „რუსეთში რომ ჯანსაღი ეკონომიკა და ადამიანებისთვის აუცილებელი სოციალური გარანტიები ყოფილიყო, მე ყველა იმ ხმას დავკარგავდი, რაც მივიღე. როგორც ჩანს, ეს ჩემი ბედია – მე არ განმიცდია ნამდვილი სიყვარული, არც ნამდვილი მეგობრები მყოლია“. ეს საკუთარი თავის ობიექტური შეფასებაა. სწორედ ასე მოქმედებს ც ი ნ ი ზ მ ი თანამედროვე სამყაროში.

წინასწარ ვტკბები იმით, რაც ამის შემდეგ უნდა ვთქვა და ვიმედოვნებ, რომ თქვენც უკვე ხვდებით, თუ რა არის ეს: იდეოლოგიის კლასიკურ კრიტიკაში არსებობს დაშვება, რომ იდეა შენშია ჩადებული. შენ შეგიძლია რაიმეს კეთება იმ შემთხვევაში, თუ არ იცი, რას აკეთებ, ხოლო როდესაც ქმედების მექანიზმი გასაგები ხდება, შენ ამის გაკეთებას უკვე ვეღარ ახერხებ. დღევანდელი პარადოქსი კი ისაა, რომ ადამიანებმა ბრწყინვალედ იციან, რასაც აკეთებენ და მაინც აგრძელებენ ამის კეთებას.

ამგვარი ლოგიკის ამაზრზენ გამოვლინებას მე ერთი ამერიკული უნივერსიტეტის „კამპუსში“ გადავეყარე, სადაც ვიღაც რასისტი, რომელიც მხეცივით დაესხა თავს შავკანიან ქალს, სასამართლოზე ნიცშეანური და დერიდანული დეკონსტრუქციული ლოგიკის მეშვეობით იცავდა თავს: „თქვენ უფლება არ გაქვთ ბრალი დამდოთ რასიზმში, ვინაიდან ამ შემთხვევაში თქვენ მე განმსჯით საკუთარ ქმედებებზე პასუხისმგებელი სუბიექტის მიამიტურ მეტაფიზიკურ ლოგიკაზე დაყრდნობით; ჯერ კიდევ ნიცშეს აქვს ნათქვამი, რომ ქმედების მიღმა სუბსტანციონალური შემოქმედი არ დგას. ნუთუ თქვენ გჯერათ მეტაფიზიკური ანტითეზის? მე საკუთარი ქმედებების ავტორი არ გახლავართ. ამას ვიღაც „მძლავრი სხვა“ აკეთებს. ის ჩემი მეშვეობით მოქმედებს, შესაბამისად, რა უფლებით მასამართლებთ თქვენ მე?“ მოკლედ, ეს ადამიანები კარგად ფლობენ მანიპულირების ტექნიკას.

გადავდივარ შემდეგ მაგალითზე. ჩემი აზრით, არსებობს ფილმები, რომლებიც კარგად გადმოცემენ ასეთი ტიპის ცინიკურ მიდგომებს წმინდა სახით... განსაკუთრებით იმ გაგებით, თუ როგორ ფუნქციონირებს იდეოლოგია. აი, დღევანდელი უკიდურესი ცინიზმის მაგალითია რობერთ ზემეკისის ფილმი „ფორესთ გემფი“. ფილმი იმითაა საინტერესო, რომ იდენტიფიცირების, იდეალური „მე“-ს მაგალითად ვიღაც დებილს გვთავაზობს, რაც პირდაპირ მიგვანიშნებს სიბრიყვეზე, როგორც იდეოლოგიის ძირითად კატეგორიაზე. თუ ეს ფილმი ნანახი გაქვთ, მაშინ თქვენთვის გასაგები უნდა იყოს ის, რომ ძირითადი იდეოლოგიური მიდგომა „ფორესთ გემფში“ ურთიერთდაპირისპირების მოდელზეა აგებული: მთავარი გმირი (მას თომ ჰენქსი თამაშობს) და მისი შეყვარებული ქალი (ამ როლს რობინ რაითი ასრულებს). გემფი ერთი უბრალო, გულკეთილი დებილია, რომელიც უთქმელად ასრულებს უფროსობის ბრძანებებს. მას არ აწუხებს იდეოლოგიური სკანდალები და ყველაფერს ფანატიკური მორჩილების გარეშე აკეთებს. ის სიმბოლური მანქანის ტყვეა, რომლის მიმართაც არანაირი ი რ ო ნ ი უ ლ ი დისტანცია არ უკავია. ის პასიური თვითმხილველია, მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენების მონაწილე, რომელთა მნიშვნელობის გაგებას არც კი ცდილობს. ის არასდროს ეკითხება საკუთარ თავს, თუ რისთვის უნდა იბრძოლოს ვიეტნამის ომში, რატომ აგზავნიან მას უეცრად ჩინეთში პინგ-პონგის სათამაშოდ და ა.შ. მისი შეყვარებული ქალი კი მთლიანადაა გადართული უკანასკნელი ათწლეულების იდეოლოგიურ ორთაბრძოლაზე, ანტივიეტნამურ პროტესტზე, და ასე შემდეგ. მოკლედ, ის ისტორიაში მონაწილეობს და აქტიურად ცდილობს, გაიგოს, რა ხდება მის გარშემო. პირველი, რაც უნდა გვახსოვდეს, ისაა, რომ ფორესთ გემფი ესაა წმინდა სახის იდეოლოგია, ვინაიდან მისი და მისი შეყვარებულის დაპირისპირება იმგვარი დაპირისპირებაა, როდესაც ვლინდება კონფლიქტი წმინდა

იდეოლოგიას, უაზრო იდეოლოგიურ მანქანასა და იდეოლოგიის იმ ანტაგონისტურ შეუთავსებლობებს შორის, რისი მეშვეობითაც ბ ა ტ ო ნ- პ ა ტ რ ო ნ ე ბ ი უხილავნი ხდებიან. გემფი ბრძანებების შემსრულებელი აუჩქარებელი მექანიზმია, რომელიც არც კი ცდილობს, გაიგოს თუ რა ხდება მის გარშემო და ასე გადასცემს საკუთარ სხეულს არნახულად დასუფთავებულ იდეოლოგიის სუბიექტს, სუბიექტის იდეალს, რომელშიც იდეოლოგია შეუფერხებლად ფუნქციონირებს. ფილმის დემისტიფიცირებისას ვხვდებით, რომ ის წმინდა იდეოლოგიას წარმოგვიდგენს როგორც არაიდეოლოგიას, როგორც სოციალურ ცხოვრებაში მონაწილე გულღია ზეიდეოლოგიურობას. საბოლოო ჯამში ფილმის გაკვეთილი ასეთია: ნუ შეეცდები ნურაფრის გაგებას, დაემორჩილე, და შენს ცხოვრებაში ყველაფერი კარგად იქნება. გემფის შეყვარებული, რომელიც მოცემული სოციალური სიტუაციების გაგებას ცდილობს, თავისი „უგუნურობის“ გამო ისჯება – ფილმის ბოლოს ის შიდსით იღუპება.

„ფორესთ გემფი“ იდეოლოგიის საიდუმლოს გვიხსნის: საქმე ისაა, რომ წარმატებული ფუნქციონირება სრულიად ღიად წარმოადგენს სუბიექტის სიბრიყვეს, სიბრიყვეს, რომელიც სხვა ისტორიულ ვითარებაში დამღუპველი იქნებოდა. დღეს, მაგალითად, ცინიზმის ეპოქაში იდეოლოგიას შეუძლია თავს უფლება მისცეს და გამოააშკარაოს თავისი ფუნქციონირების საიდუმლოებანი და ამის შემდეგაც კი გააგრძელოს სრულფასოვანი ფუნქციონირება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იდეოლოგიის საიდუმლო მექანიზმისათვის ფარდის ახდა არავითარ შემთხვევაში აღარ ახდენს გავლენას მის ეფექტურობაზე...

ჩვენ შეგვიძლია მსგავს სიყალბეს იმ ფსიქოანალიტიკოსის პოზიციაში შევეჩეხოთ, ვინც ამჯობინებს, რომ პაციენტი გულუბრყვილო და ფსიქოანალიზის თეორიაში გაურკვეველი ადამიანი იყოს. საქმე ისაა, რომ თუ ადამიანისათვის უცნობია ფსიქოანალიზის თეორიები, ამ შემთხვევაში ის მოახერხებს სუფთა სიმპტომების გამოვლენას, სადაც არაცნობიერი წაბილწური არაა რაციონალური ცოდნით. აი, მაგალითი, რა მომიყვა ერთმა ხანში შესულმა ამერიკელმა ფსიქოანალიტიკოსმა, სხვათა შორის ძირძველმა ვენელმა, ქალაქ ენ არბორში ჩემი ყოფნისას. მან მითხრა: ნუთუ დიდებული არ იყო ის, რომ, ვთქვათ, ორმოცი ან ორმოცდაათი წლის წინ, როდესაც შენთან პაციენტი მოდიოდა, ის გეუბნებოდა: „გუშინ სიზმარი ვნახე, სადაც დრაკონი მოვკალი, შემდეგ კი უღრან ტყეში მოვხვდი, სადაც სასახლეს გადავაწყდი, ხოლო იმ სასახლეში“... შენ კი ამაზე პასუხობდი: „აჰა! ელემენტარულია! შენ მამაშენი მოკალი, სასახლეში კი დედაშენს შეხვდი და ასე შემდეგ“... მან ასევე მითხრა, რომ დღეს პრობლემა ისაა (არ ვიცი, შეიძლება თქვენ, აქაურ ვენელ დეკადენტებს სხვანაირად გეჩვენებათ), რომ პაციენტი პირდაპირ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ს პრობლემას. ის მოდის და გეუბნება: „მე აკვიატებული ნევროზი მაქვს“. სიმპტომი პირდაპირ მოჰყვება მის პირად ინტერპრეტაციას. მიამიტობა დაიკარგა. აი, ამიტომაცაა, რომ ვეთანხმები ფანატიკოს ლაკანიანელებს, ვინც ამტკიცებს (თუმცა ეს ძალიან გიჟურად ჟღერს), რომ დღეს ჩვენ გვაქვს არა სიმპტომები, რომელთა ინტერპრეტაციასაც იუნგიანურად, ფროიდისტულად, ლაკანისტურად, ანა-ფროიდისტულად და ასე შემდეგ ვცდილობთ, არამედ ჩვენ უკვე ვაწყდებით იუნგიანურ, ლაკანურ და ასე შემდეგ სიმპტომებს. სიმპტომები უკვე აღარაა მიამიტური. თუ ვიღებთ იმას, და ლაკანიანელები სწორედ ასეც ფიქრობენ, რომ სიმპტომი ყოველთვის გზავნილია ანალიტიკოსის სხეულში ჩაბუდებულ ს ხ ვ ი ს მიმართ, მაშინ სიმპტომი ამავე დროს საკუთარი ინტერპრეტაციის მატარებელიცაა. სიმპტომი აღარაა მიამიტური. არსებობს გარკვეული სახის ცოდნა, რომელიც სიმპტომში წინასწარაა მოყვანილი ქმედებაში. სხვანაირად რომ ვთქვათ: ჩვენ წინ ყოველთვის სიმპტომია, რომელიც, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, უკვე შეიცავს მინიშნებას გარკვეულ თეორიულ მიმართულებაზე, რომლის მეშვეობითაც უნდა განხორციელდეს ინტერპრეტაცია.

ბუნებრივია, ისმის კითხვა, თუ რა უნდა მოვიმოქმედოთ დღეს. რა ვქნათ, თუ ის, რაზეც მე ვსაუბრობ, უკვე ადგილზეა ანუ ეს რეფლექსიური დისტანცია უკვე თამაშშია ჩართული და ჩვენ თავით-ფეხებამდე ვართ ჩაფლულნი ამ ცინიკურ თამაშში? ამ დროს მე ვ ი ც ი, რასაც ვაკეთებ და, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ვ ა გ რ ძ ე ლ ე ბ ამის კეთებას. კარგი პაციენტი აბსოლუტურად ზუსტად აღწერს, თუ რატომ აქვს მას აკვიატებული ნევროზი და ამასთან ერთად აგრძელებს აკვიატებული ნევროზით შეპყრობილ პაციენტად ყოფნას. მე იმაშიც კი მეპარება ეჭვი, აწუხებს თუ არა მას საერთოდ ეს ცოდნა და ახერხებს თუ არა ეს ცოდნა მეტ-ნაკლებად მაინც მისი აკვიატებული ნევროზის შეჩერებას. პირიქით, ეს ცოდნა ამ ნევროზისათვის კარგ პირობებს ქმნის. მას აკვიატებული ნევროზი სწორედ იმიტომ აქვს, რომ მან იცის, აი, რა: თეორიაა ის, რაც ეგრეთ წოდებული ფსიქიკური რეალობის კონსტატირებას ახდენს.

რა მოვუხერხოთ ამას? რა თქმა უნდა, დიდია ცდუნება, რომ დავუბრუნდეთ არასიმბოლური ჩარევის

მოდი, მოვუსმინოთ, თუ რას ამბობს ჟირინოვსკი საკუთარ თავზე: „რუსეთში რომ ჯანსაღი ეკონომიკა და ადამიანებისთვის აუცილებელი სოციალური გარანტიები ყოფილიყო, მე ყველა იმ ხმას დავკარგავდი, რაც მივიღე. მე არ განმიცდია ნამდვილი სიყვარული, არც ნამდვილი მეგობრები მყოლია“. ეს საკუთარი თავის ობიექტური შეფასებაა. სწორედ ასე მოქმედებს ც ი ნ ი ზ მ ი თანამედროვე სამყაროში.

პერიოდს. შეიძლება ისევ შევიჭრათ სხეულში ერთგვარი რაიხული თერაპიის მეშვეობით, რომელიც უშვებდა, რომ სიტყვებით მუშაობა საკმარისი არაა, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ცინიზმის ეპოქაში, და რომ დღეს რაზეც მოგესურვება, იმაზე შეიძლება საუბარი და ამიტომაც მოდით, მივხედოთ სხეულს, მივმართოთ ერთგვარ არადისკურსიულ ინტელექტუალურ ინტუიციას, თავისებურ მისტიკურ გასხივოსნებას. ღირს ამ ნაბიჯის გადადგმა თუ არა? რა თქმა უნდა, ვფიქრობ, რომ – არა. ფსიქოანალიზი ეყრდნობა იმას, რომ არსებობს ცოდნა, ინტერპრეტაცია, რომელიც ახორციელებს შეტევებს რეალობაზე და შესაძლებელს ხდის არა მარტო ისეთი მექანიზმების შექმნას, რომელიც მუშაობს, არამედ აიძულებს მათ მუშაობას ამ მექანიზმების დაშლის მცდელობის პროცესშიც.

დღეს მნიშვნელოვანი ბრძოლა მიმდინარეობს ფილოსოფიურ ველზე, ეგრეთ წოდებულ თანამედროვე სუბიექტივიზმის სფეროში, ვინაიდან აი, ასეთი ფრაზების უკან: „ცოდნა აღარ მოქმედებს“ ან „ჩვენ უნდა ვილტვოდეთ სხეულში პირდაპირი შეჭრისკენ“, დგას კარტეზიანული სუბიექტურობის ახალი ინიციაცია. საჭიროა თუ არა ამ მდგომარეობიდან გამოსვლა? მე ვაცხადებ, რომ არა.

ყოველ ჩვენგანში დევს ის, რასაც მე იოზეფ გებელსის პოზიციას ვუწოდებ. მხედველობაში მაქვს მისი ცნობილი ფრაზა: „როდესაც მესმის სიტყვა კულტურა, ხელი პისტოლეტისკენ მიმაქვს“ (თქვენ შეგიძლიათ გაიხსენოთ ამ გამონათქვამის ვარიაციები, მაგალითად, სიტყვები გოდარის ფილმიდან „ზიზღი“, სადაც ერთი პროდიუსერი ამბობს: „როდესაც მესმის სიტყვა კულტურა, ხელი საბანკო წიგნაკისკენ მიმაქვს“; ან შეგიძლიათ თვითონვე მოიფიქროთ თქვენივე ვერსია, მაგალითად, „როდესაც მესმის სიტყვა პისტოლეტი, საკუთარი კულტურის ძებნას ვიწყებ“, და ასე შემდეგ). ჩემი აზრით, გებელსის პოზიცია დღეს იმ განცხადებებში ვლინდება, რომ დღეისთვის კარტეზიანული სუბიექტურობა თავის დასასრულს უახლოვდება, რომ ჩვენ ჰოლისტიკური მიდგომის ახალ ზღურბლზე ვდგავართ და რომ მექანიკური სამეცნიერო პარადიგმა უკვე აღარ მოქმედებს... ლაპარაკი იმაზე, რომ სუბიექტი გაფანტულია, და რომ შეკრული კარტეზიანული სუბიექტი აღარ არსებობს, გამუდმებით ისმის ვირტუალური თანამეგობრობის წრეებიდან, ვირტუალური რეალობებიდან, და კომპიუტერის მიერ გენერირებული უნივერსუმიდან. ჩემი აზრით, სიმართლე სწორედ საპირისპიროშია. ინტერაქტიული მედიის ფანატიკოსებთან საუბრისას შევამჩნიე, რომ მათ შეუძლიათ დაკავებულნი იყვნენ CD ROM-ის თამაშით, ან თუნდაც სხვა რამით, მაგრამ ნამდვილი ფსიქიკური ინვესტირება ხდება არა აქ, არამედ ეგრეთ წოდებულ ვირტუალური თანამეგობრობის წრეებში. ათასწლეულების განმავლობაში არსებობდა რეალური ადამიანური თანამეგობრობები და დღეს ნათელია, რომ არნახულად მძლავრია ლტოლვა ვირტუალური თანამეგობრობის შესაქმნელად. საინტერესოა, ის, რომ კომპიუტერის მონიტორებით დაკავშირებულ ამ ვირტუალურ თანამეგობრობაში საკუთარი იდენტობის არჩევისა და შექმნის საშუალება გეძლევათ. მაგალითისთვის, თქვენ შეგიძლიათ იყოთ აფრო-ამერიკული წარმოშობის ჰომოსექსუალი, თუმცა ვირტუალურ კომუნაში, ამ კროს-სექსუალურ სივრცეში, თქვენ შესაძლებლობა გაქვთ, გამოჩნდეთ, როგორც ჰეტეროსექსუალი ესპანელი ქალი.

რისი თქმა მინდა ამით? იმის, რომ ჩვენი ყველა ფიზიკური თვისება შეცვლას ექვემდებარება, მაგრამ შეუცვლელი სუბიექტში სწორედ cogito ergo sum ანუ კარტეზიანული სუბიექტი რჩება. მიმაჩნია, რომ მხოლოდ იმ ვირტუალურ კომუნაში ვახერხებთ კარტეზიანული სუბიექტურობის დონეზე ასვლას. ჩვენ არა თუ არ გავცილებულვართ მის საზღვრებს, არამედ მხოლოდ ახლა ვუახლოვდებით მას. რაც შეეხება ეთიკურ პრობლემებს, აქ ვხედავთ, თუ როგორ გაუსწრო ლაკანის თეორიამ დროს. ეთიკური პრობლემები ძალიან პოპულარულია მათ შორის, ვინც ვირტუალურ თანამეგობრობის წევრია. ვთქვათ, თქვენ ხართ ჰომოსექსუალი, რომელიც ვირტუალურ სამყაროში ჰეტეროსექსუალი ქალის როლს თამაშობს. დავუშვათ, რომ ვიღაცა ამ თანამეგობრობიდან უხეშად გექცევათ და ძალას ხმარობს თქვენზე. ითვლება ეს დანაშაულად, გაუპატიურებად თუ არა? ჯერ ერთი, უგულებელყოფილი უნდა იყოს ორი, ერთმანეთის გამომრიცხავი რამ. შეიძლება ითქვას, რომ ეს არა რეალური გაუპატიურებაა, არამედ ვირტუალური და, როგორც ქეთრინ მაქქინანი ამბობს ხოლმე, სიტყვებს ძალუძთ ძალადობის განხორციელება. მგონია, რომ ჩვენ იმის მტკიცებას უნდა შევეცადოთ, რომ ვირტუალურ რეალობაში ჩადენილი საქციელი დიდად არ განსხვავდება ყოველდღიურ რეალობაში ჩადენილი საქციელისგან. მიმაჩნია, რომ ვირტუალური რეალობა გვეხმარება იმის აღმოჩენაში, რომ ჩვენს რეალურ რეალობაში ჩვენი იდენტურობა, გარკვეული თვალსაზრისით, ა გ რ ე თ ვ ე

ვირტუალურია. თუ თქვენ ხართ ქალი, შეურაცხყოფილი, დამცირებული და გაუპატიურებული, მაშინ, რა თქმა უნდა, ეს ფიზიკური ტრავმაა, მაგრამ მაინც შეურაცხყოფა, დამცირება და გაუპატიურება გულისხმობს იმას, რომ ტრავმა მიაყენეს თქვენ იდენტობას, თქვენ ვირტუალურ იდენტობას და არა იმ იდენტობას, რომელიც პირდაპირაა დამოკიდებული თქვენ ბიოლოგიურ სხეულზე. კიდევ ერთხელ: რატომ ეშინიათ ასე ადამიანებს ვირტუალური რეალობის? ჩემი ძველი თეზისი ასეთია: არა იმიტომ, რომ ახალ სამყაროში შევდივართ, სადაც ყველაფერი სხვანაირადაა მოწყობილი და ასე შემდეგ. არა! იმიტომ, რომ ის სტრუქტურები, რაც მუდამ არსებობდა ჩვენში, დღეს ხილული ხდება.

დავუბრუნდეთ ცინიზმთან დაკავშირებულ საკითხს. როგორ ვებრძოლოთ მას? ვფიქრობ, რომ საჭიროა ცინიზმისა და ირონიის ურთიერთდაპირისპირება. როგორ უნდა დავუპირისპიროთ ისინი ერთმანეთს თუ მიამიტურად წარმოვიდგენთ, რომ ცინიზმი ცუდი ტიპია, ხოლო ირონია კარგი? ცინიზმის ფუნდამენტური ჟესტი, ჩემი აზრით, იმ ნამდვილი ძალაუფლების გამოაშკარავებაშია, რომლის ერთადერთი ეფექტურობა, როგორც მე მეჩვენება, ისაა, რომ ვიღაც უცხოს დაცვის საბაბით გვაიძულოს მორჩილება. აი, ტიპური ცინიკური მიდგომის მაგალითი: კაცი ეუბნება ქალს, – „მე სულ შენთან ვიქნები, მზად ვარ, თავი გავწირო შენთვის“. ცინიკური იქნება ქალის ასეთი აზრი: „ჰა-ჰა, მას სურს, რომ ჩემი სექსუალობა გამოიყენოს, მას მხოლოდ ჩემი ფული უნდა“; და ასე შემდეგ, ანუ როდესაც თქვენი მაღალფარდოვანი იდეოლოგიური ფრაზებიდან ის მხოლოდ მდაბალ, უხეშ, პრაგმატულ მოტივებს აღიარებს. ასეთია ცინიკური რედუქცია.

ირონიის განსაზღვრისათვის ყველაზე კარგი იქნებოდა უბრალოდ გვეთქვა, რომ ის მოყვანილი ცინიზმის მაგალითების საპირისპირო რამაა. ირონიას, ცინიზმისაგან განსხვავებით, შეუძლია მ ს ა ხ უ რ ე ბ ა. მაგალითისთვის, ირონიას შეუძლია დაგვანახოს ის, რომ ნაძირალა, რომელიც ჩვენ სექსუალურ პარტნიორს ამცირებს და შეურაცხყოფას აყენებს, აშიშვლებს ჩვენს უუნარობას, ავიღოთ პასუხისმგებლობა ჩვენი შეყვარებულის მიმართ. ფროიდმა, ჩემი აზრით, ძალიან კარგად ჩამოაყალიბა ეს თავის „მე და სხვა“-ში, სადაც ის ამბობს, რომ ადამიანი „არა მარტო იმაზე ამორალურია, ვიდრე მას მიაჩნია, არამედ ამავე დროს უფრო მორალურიცაა, ვიდრე მას ჰგონია“. ეს ირონიული ჟესტია. ადვილია ცინიკურად იმის თქმა, რომ თითქოსდა შენ იდენტიფიცირებას ახდენ ძალაუფლების მოყვარულ ბინძურ მოტივებთან, და რომ მაღალფარდოვანი ფრაზების უკან ვნება იმალება. პრობლემა, მე მგონი, სხვა რამეშია. ზედაპირული ცინიკური დამოკიდებულების მიღმა ღრმა, ხშირად ფანატიკური მიჯაჭვულობა იმალება.

ვფიქრობ, აქ ისევ და ისევ იჭრება ფსიქოანალიზის ბედის საკითხი. როგორც წესი, მიღებულია ფსიქოანალიზის კვალიფიცირება, კლასიფიცირება, იდენტიფიცირება, როგორც გარკვეული ცინიზმის გამოხატულება. ფსიქოანალიტიკური ინტერპრეტაცია და პრაქტიკა გულისხმობს მდაბალი მოტივების გამოაშკარავებას, სექსუალურ აღვირახსნილობას, უცოდინრობას, ერთი შეხედვით კეთილშობილური ჟესტების მიღმა მიმალულ აგრესიას, სულიერი აღმაფრენით სავსე კეთილშობილურ ჟესტებს მიღმა მსხვერპლშეწირვის მზადყოფნას და ასე შემდეგ. ყველაფერი ეს ფსიქოანალიზს წმინდა წყლის ცინიზმად აქცევს. თქვენ ამბობთ, რომ მზად ხართ, თავი გაწიროთ სამშობლოსათვის იმ დროს, როდესაც ფსიქოანალიტიკოსი ამის საპასუხოდ მიმალულ მოტივებს აღმოაჩენს და ამბობს: „ჰა-ჰა, ეს არაცნობიერი მაზოხიზმი და აგრესიის გამოხატვაა, და ასე შემდეგ. ვფიქრობ, რომ ეს კიდევ არაა უკანასკნელი სიტყვა. ყველაფერი საიდუმლოებით მოცული არაა; ყველაფერი პირიქითაა.

>>> გაგრძელება გვ. 124

ჩადრით დაფარული საფრთხე

<<< დასაწყისი გვ. 36

ნეგინის მსგავსად, შაჰრზადიც დიდი ენთუზიაზმით აჰყვა 1979 წლის პროტესტების ტალღას, მაგრამ მალევე აუცრუვდა გული, რადგან ნათელი გახდა, რომ ისლამური რესპუბლიკა ქალთა დისკრიმინაციის პოლიტიკას განახორციელებდა. ირან-ერაყის ომის დროს ის და მისი ქმარი თეირანში დარჩნენ. მათ ქვეყნიდან წასვლა არც ოთხმოცდაათიან წლებში უფიქრიათ, როცა დაზვერვის სამსახურის დაკვეთით რამდენიმე დისიდენტი მწერალი და ინტელექტუალი დახოცეს. „ჩვენ საზღვარგარეთ მცხოვრები მრავალი ირანელი გვინახავს, – მითხრა შაჰრზადმა, – ისინი ჩვენზე უარესად არიან“.

აჰმადინეჟადის პირველი საპრეზიდენტო ვადის პერიოდში, წიგნები, მუსიკალური ალბომები და კინოსცენარები ჯერ თვეობით იმტვერებოდა კულტურის სამინისტროში და შემდეგ მკაცრ ცენზურას ექვემდებარებოდა, ან სულაც იკრძალებოდა. მრავალი ხელოვანი ქვეყნიდან გაქცევას ცდილობდა. ჩემს ვიზიტამდე ცოტა ხნით ადრე შაჰრზადმა მიიღო რამდენიმეფურცლიანი სარეკომენდაციო წერილი, რომელშიც მეორე პუბლიკაციისთვის გამზადებულ მის ერთ-ერთ თარგმანში შესატანი ცვლილებები იყო მითითებული. ეს თარგმანი ათი წლის წინ ყოველგვარი ცენზურის გარეშე დაიბეჭდა. ამჯერად კი იქიდან რამდენიმე გვერდის ამოღებას ითხოვდნენ. „ნეტავ, ისეთი რა შეიცვალა ამ ათ წელიწადში, რომ მაშინ მისაღები წიგნი ახლა მიუღებელი გახდა?“ – შემომჩივლა შაჰრზადმა.

ირანის ქალთა მოძრაობის სხვა წევრთა მსგავსად, შაჰრზადმა ივნისის არჩევნებში ხმა ქარუბის მისცა, რადგან, მუსავისგან განსხვავებით, მან ცალსახად დაუჭირა მხარი ქალთა უფლებების დამცველ აქტივისტთა მოთხოვნებს (მათ შორის, სქესობრივი დისკრიმინაციის გამომრიცხავი საკონსტიტუციო და საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებას). ქალთა უფლებებისთვის მებრძოლი აქტივისტებისთვის ყველაზე დიდ სირთულეს წარმოადგენდა ბრძოლა ხელისუფლების პროპაგანდასთან, რომელმაც მათი მოძრაობა სექსუალური ანარქიისა და „მორალური ხრწნის“ გამავრცელებლად მონათლა. სამწუხაროდ, ამგვარ წარმოდგენას მრავალი ტრადიციულად მოაზროვნე ირანელი (მათ შორის ქალებიც) იზიარებს. 2006 წელს შაჰრზადი მონაწილეობდა ქალთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ მებრძოლთა დემონსტრაციაში, რომელიც პოლიციამ დაარბია. მას კარგად ახსოვს ახლომახლო მდებარე მაღაზიების მეპატრონეთა ქედმაღლური სიტყვები. „ამ ქალებისთვის უმჯობესი იქნებოდა, ჩემ მაღაზიაში შემოსულიყვნენ და რამე ეყიდათ, – თქვა ერთმა მათგანმა. მეორემ კი დასძინა – ამათ ქმრები სჭირდებათო“.

შესაძლოა, ბოლოდროინდელმა საპროტესტო აქციებმა მკვეთრად წასწიეს წინ ქალთა მოძრაობა. გასულ ზაფხულს ქალები და მამაკაცები ირანის ისტორიაში პირველად დადგნენ გვერდიგვერდ, როგორც საზოგადოების თანასწორუფლებიანი წევრები. როცა პარასკევს, 17 ივლისს თეირანის უნივერსიტეტთან ათასობით კაცმა და ქალმა, ტრადიციონალისტთა გულის გასახეთქად, ერთად ილოცა, ქვეყნის გენდერული სეპარაციის კულტურა საყოველთაო სოლიდარობის კულტურით შეიცვალა.

შაჰრზადმა მიამბო ერთი ქალის ამბავი, რომელმაც დემონსტრანტთა შორის იმით გაითქვა სახელი, რომ არაერთი ახალგაზრდა გამოღლიტა ხელიდან ბასიჯელებს. „ასეთ ვითარებაში ნებისმიერი ნორმალური ადამიანი დემონსტრანტს გადაეფარებოდა ან ჩხუბში ჩაებმებოდა, – მითხრა შაჰრზადმა, – ეს ქალბატონი კი პირიქით, ნაცემ დემონსტრანტს აყრიდა ქოქოლას: „ფერეიდუნ, ხომ გითხარი, შინიდან ფეხი არ მოიცვალო და შარს ერიდე-მეთქი! ახლავე წამოეთრიე სახლში!“ შემდეგ ჩააფრინდებოდა გაოგნებულ ახალგაზრდას და მუჯლუგუნების კვრით არიდებდა მას არანაკლებ გაოგნებულ ბასიჯელებს“.

ამ ისტორიაში თვალნათლივ მოჩანს მთელი ის ირონია, რომელიც ამ გააფთრებულ პოლიტიკურ ბრძოლაში ირანელი ქალების მონაწილეობას ახლავს თან. შაჰრზადს ძალიან მოსწონს ის ფაქტი, რომ ზემოთ ხსენებული ქალბატონი ხალხის გადასარჩენად ასე თავხედურად სარგებლობდა საზოგადოების მიერ მისთვის მიკუთვნებული ერთადერთი როლით – დედის როლით. მისი თქმით, თავისუფლებას მოწყურებულ ჩაგრულთა ეს მოძრაობა საკუთარი სტატუსით მოთამაშე ქალების ნაკლებად თვალშისაცემ მოძრაობასაც მოიცავდა.

შაჰრზადმა მიამბო კიდევ ერთი ისტორია, რომელიც მას ივლისში, არ-

ჩევნებიდან რამდენიმე დღის შემდეგ გადახდა თავს. იგი შემთხვევით აჰმადინეჟადის მხარდამჭერთა მიტინგში მოჰყვა. ეს იყო რამდენიმე მილის მოშორებით მიმდინარე ბევრად უფრო ხალხმრავალი ოპოზიციური აქციის საპასუხო შეკრება, რომელიც ამჟამინდელი პრეზიდენტის მეორე ვადით არჩევას ზეიმობდა. სანამ შაჰრზადი გონს მოეგო, იგი უკვე ხალხის უზარმაზარი მასის შუაგულში იყო უიმედოდ გაჭედილი. მომიტინგეთა უმეტესობას ჩადრიანი ქალები შეადგენდნენ. ირგვლივ თითქმის ყველას აჰმადინეჟადის პოსტერი ეჭირა ხელში.

„უეცრად უკნიდან ვიღაც ქალის ხმა მომესმა, – მიყვებოდა შაჰრზადი, – ოპოზიციას ლანძღავდა – „ეგენი ძაღლებივით უნდა დახოცო! თავისუფლება და შიშვლად სიარული მომინდომეს! სად ჰგონიათ თავი – ევროპაში თუ ამერიკაში?“

ჩვეულებრივ ვითარებაში შაჰრზადი ამ პროვოკაციულ გამოხდომას ყურადღებას არ მიაქცევდა, მაგრამ ახლა ბრაზი მოერია. „ეს ადამიანები ზეიმობდნენ გამარჯვებას, რომელიც, ჩემი აზრით, უპატიოსნო გზით იყო მოპოვებული. თანაც მათს შეძახილებში ისეთი ტრაბახი შეიმჩნეოდა, რომ თავი ველარ შევიკავე, – მითხრა მან, – უეცრად ზურგსუკან მდგომმა ქალბატონმა, რომელმაც, როგორც ჩანს, ჩემში ოპოზიციის მხარდამჭერი ამოიცნო, უეცრად ყურში ჩამყვირა: „მეამბოხე ქალაქელო გოგონა“.

შაჰრზადი პასუხის გასაცემად შეტრიალდა და დაინახა, რომ მისი შემწუხებელი სულაც არ იყო ჩაცმული ისე მკაცრად, როგორც ამ პატივცემულ თავყრილობას შეეფერებოდა. იგი იხსენებს: „ტანზე შემოტმასნილი პალტო ეცვა, რომელიც მისი სხეულის კონტურებს წარმოაჩენდა და სახე ფერუმარილით ისე მოეთხიპნა, რომ საფრთხობელა გეგონებოდა! უმალ წინა რეჟიმი გამახსენდა. მაშინ სამეფო კარის მოხელეებმა ქუჩებში გამოსასვლელად და შაჰის მხარდასაჭერად ხალხი დაიქირავეს, რომელთა მნიშვნელოვან ნაწილსაც მეძავები შეადგენდნენ.

ეს ქალი შეიძლებოდა დაქირავებული პროვოკატორი ყოფილიყო და, რა თქმა უნდა, არ ღირდა მასთან საქმის დაჭერა, მაგრამ მისმა გარეგნულმა იერმა შაჰრზადს მნიშვნელოვანი კოზირი ჩაუგდო ხელში. „რატომ გისვიათ ამდენი თვალის საცხი? – ჰკითხა მან ქალს მენტორული ტონით, – ნუთუ თქვენთვის არავის უთქვამს, რომ ფერუმარილი მხოლოდ ქმრისთვის უნდა წაისვათ?“

ქალს უმალ ნირი წაუხდა და მიუგო, რომ ქმარი არ ჰყავდა, მაგრამ მაშინვე ენაზე იკბინა, რადგან აჰმადინეჟადის ქალებთან ასეთი რამის თქმა დიდი შეცდომა იყო. ამიტომაც სასწრაფოდ წინა პრეზიდენტის, მუჰამედ ხათამის ლანძღვას შეუდგა. „ყველაფერი მისი ბრალია! სწორედ მან ჩაუყარა საფუძველი მორალურ დეგრადაციას და ქალებს მაკიაჟის ტარების უფლება მისცა“, – გაჰკიოდა იგი.

ახლა მდგომარეობით შაჰრზადი ტკბებოდა. ირგვლივ მდგარი კონსერვატულად ჩაცმული ქალები მათ ყურადღებით უსმენდნენ. „მაკიაჟი რომ გისვიათ, ამაში ხათამია დამნაშავე? ხათამი ოთხი წელია, რაც პრეზიდენტი აღარაა და ამდენ ხანს სახის მოსაბანი დრო ვერ გამონახეთ? – შემდეგ შაჰრზადმა თვალი მეტოქის სამოსს შეავლო, – ან ასე შემოტკეცილი ტანსაცმელი რატომ გაცვიათ?“

მალე ირგვლივ ყველა იზიარებდა აზრს, რომ ფერუმარილიან ქალბატონს შეუსაბამოდ ეცვა. „ვინმეს შეიძლება მეძავი ეგონოთ“, – უთხრა მას ერთ-ერთმა მომიტინგემ.

„რას კადრულობთ, – აკივლდა შაჰრზადის მეტოქე, – მე პატიოსანი ქალი ვარ“. მაგრამ მეორე მომიტინგემ გესლიანად შენიშნა, – რომელი მერძევე აღიარებს, რომ მისი ხაჭო ამჟავებულიაო. დიდი ხორხოცი ატყდა. შაჰრზადმა კი გაცლა ამჯობინა და ბრბოში გზას რომ იკვლევდა, კიდევ კარგა ხანს ესმოდა თავისი დამარცხებული მოწინააღმდეგის წყევლა და ლანძღვა.

ჩემმა მასპინძელმა თხრობა დაამთავრა. ორივეს გვეცინებოდა, მაგრამ ქავე, რატომღაც, პირქუშად გვიყურებდა. „მას არ უყვარს ეს ისტორია, – მითხრა შაჰრზადმა, – არ მოსწონს, რომ იმ ქალთან კამათში ისეთი არგუმენტები გამოვიყენე, რომლებისაც თავად არ მჯერა“.

ზაფხულის მიწურულს, როცა აგრილება დაიწყო, ნეგინმა მოსანახულებლად შემომიარა. ლოყა მორჩენოდა, აღარც კოჭლობდა და დასვენებული ჩანდა. მან რამდენიმე დღის წინ ნანახი სიზმარი მიამბო:

„მთაში ვიყავი და ორ უზარმაზარ მწვერვალს გავყურებდი. ირგვლივ საოცარი სიმშვიდე სუფევდა. უეცრად მთებმა ზანზარი დაიწყეს და თოვლი ჩამოიბერტყეს. შემდეგ ზანზარმა იმატა, ორივე მწვერვალი ჩამოიშალა და მათს ადგილზე მტვრის უზარმაზარი ღრუბელიღა დარჩა. მოშორებით, პატარა პლატოზე სხვადასხვა სახის სამხედრო ტექნიკა დავინახე. მათ შორის უხვად იყო სამხედრო ჯიპები, ტანკები და სარაკეტო დანადგარები“.

ნეგინმა მეგობრებს სიზმრის ახსნა სთხოვა და ყველამ უპასუხა, რომ მთების ჩამოქცევა ისლამური რესპუბლიკის ლეგიტიმურობის საბოლოო კოლაფსს, ვაკობზე თავმოყრილი იარაღი კი, საზოგადოების მილიტარიზაციასა და ბასიჯის გამარჯვებას უნდა ნიშნავდეს.

იარების მოშუშების შემდეგ ნეგინი რამდენიმე კვირით მშობლიურ ქალაქს ესტუმრა, სადაც შეიტყო, რომ ბიძამისი, რევოლუციის გუშაგთა კორპუსის ოფიცერი, აქტიურად მონაწილეობდა საპროტესტო მოძრაობის ჩახშობაში. მან და მისმა თანამებრძოლებმა ოპოზიციის მომხრეთა დიდი ჯგუფი დააკავეს და სასტიკად სცემეს. იმ დღეს უქმად არც ნეგინის ბიძაშვილები მსხდარან – ისინიც გულმოდგინედ უხეთქავდნენ თავებს პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს.

„დედაშენზე რას იტყვი, – ვკითხე ჩემ სტუმარს, – ისევ ისე უყვარს ხამენეი?“ ნეგინმა თავი გააქნია და მომიგო: „როცა ტელევიზორში ხედავს, თავისთვის მოთქვამს – კმარა ამდენი სიცრუეო“.

ნეგინის დედაქალაქში დაბრუნება დემონსტრაციების დასასრულს დაემთხვა. აჰმადინეჟადი პარლამენტს თავისი კაბინეტის დამტკიცებას სთხოვდა; თითქოს პოლიტიკური ცხოვრება ნორმალურ რიტმს უბრუნდებოდა. საპროტესტო მოძრაობა მიყუჩებული

იყო და არავინ იცოდა, დაიბრუნებდა თუ არა იგი უწინდელ ძალას. მრავალი ადამიანი შიშობდა, რომ ხალხმა მთელი ეს განსაცდელი სულ ტყუილუბრალოდ გამოიარა.

ადამიანთა წამების შესახებ გავრცელებულმა ხმებმა, რა თქმა უნდა, დიდი როლი ითამაშა საპროტესტო მღელვარების ჩაცხრობაში. მეორე ფაქტორად რამაზანი იქცა – მარხვამ ხალხი გამოფიტა და დაღალა. მაგრამ ამის მიუხედავად, ყველასთვის ცხადი გახდა, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი სამუდამოდ გათავისუფლდა ძველი შიშისგან. ოპოზიციის მრავალმა ათასმა მხარდამჭერმა ისიც კი შეძლო, რომ იერუსალიმის დღე (ისრაელის მიერ ღაზას სექტორსა და ლიბანში განხორციელებული პოლიტიკის საწინააღმდეგო სამთავრობო აქცია, რომელიც რამაზანის დასასრულს ტარდება) ჩაეშალა და ეს ღონისძიება ანტისახელისუფლებო დემონსტრაციად გადაექცია. თუკი უახლოეს დღეებში ახალი საპროტესტო ტალღა აგორდა, იგი ბევრად უფრო ძლიერი იქნება, რადგან ყველამ კარგად იცის, რა მოელის დაპატიმრების შემთხვევაში.

რამდენადაც ქვეყანა განუსაზღვრელობის ახალ ფაზაში შედის და მისი ბირთვული პროგრამის ირგვლივ საერთაშორისო დავა კვლავაც გრძელდება, მრავალი ირანელისთვის უკვე სადავო აღარაა, რომ მისი ქვეყანა სამუდამოდ შეიცვალა. არცთუ ისე დიდი ხნის წინათ თავდაჯერებული და პოლიტიკაში გარკვეული ქალები იზოლირებულ უმცირესობას წარმოადგენდნენ. ეს ასე აღარაა. ნეგინის დედის მსგავსმა, ტრადიციებზე აღზრდილმა ადამიანებმაც კი ხელახლა გადახედეს თავიანთ შეხედულებებს. ქვეყნის საზოგადოების საშუალო ფენის წარმომადგენლები უაღრესად პოლიტიზებულები გახდნენ და სწორედ ისინი შეადგენენ ოპოზიციის ძირითად ბირთვს, რომლის მთავარი მიზანი ტირანიის დამხობაა. საგულისხმოა, რომ ამ მასის ნახევარი ქალია.

იერუსალიმის დღეს ნეგინი და შაჰრზადი დემონსტრანტთა შორის იყვნენ. ისინი სკანდირებდნენ: „ლიბანისა და ღაზას სექტორისთვის კი არა – ჩვენი სამშობლოსთვის გავწირავთ სიცოცხლეს“.

<<< დასაწყისი გვ. 42

„არტისტერიუმი“ რა კონტექსტში ჯდება? ეს არის ის, რისი კეთებაც გსიამოვნებს, თუ ეს სრულიად პრაგმატული პროექტია?

არა, ეს არ არის პრაგმატული პროექტი, პირიქით, ძალიან არაპრაგმატული პროექტია. საერთოდ პატარა გამოფენების გაკეთება მიყვარს, მაქსიმუმ 10-12-კაციანის, როცა გაქვს შენი იდეა, კონცეფცია, თემატიკა და ამის მიხედვით მუშაობ მხატვრებთან, არჩევ ნამუშევრებს და შემდეგ მუშაობ ამ იდეის განხორციელებაზე.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სახელოვნებო ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის თბილისშიც, საქართველოშიც არსებობდეს სხვადასხვა მასშტაბის საგამოფენო პროცესი. სხვათა შორის, ეს იდეა, რომ თბილისში გაგვეკეთებინა დიდი ფორმატის გამოფენა, წამოვიდა კულტურის სამინისტროდან. ჩვენ ერთად ვმუშაობდით სხვადასხვა პროექტზე და მათ იცოდნენ, რისი თავი გვაქვს, რა გვაინტერესებს, როგორ ვმუშაობთ, ამიტომ იყო ნდობა მათი მხრიდან. ჩვენ დავთანხმდით, იმიტომ რომ ყოველთვის გვინდოდა ამის გაკეთება, რადგან მნიშვნელოვნად ვთვლიდით. სახელი ილიკო ზაუტაშვილმა მოიფიქრა. „არტისტერიუმი“ 10-იან წლებში კლუბის სახელი იყო, რომელიც ჟურნალ „არსთან“ იყო. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თანამედროვე ხელოვნება დავაკავშიროთ 10-იან–20-იან წლებთან, თბილისურ მოდერნიზმთან, იმ ჩვენ ფესვებთან, იმისათვის, რომ ვთქვათ, – დღევანდელობა არ შექმნილა ცარიელ ადგილას, თუნდაც 50-იან, 60-იან წლებში ჩვენთან სერიოზული ნონკონფორმისტული მოძრაობა იყო.

„არტისტერიუმი“ არაპრაგმატული რატომაა, გეტყვი. საქართველოში ჯერ კიდევ ბევრი პრობლემაა დიდი მასშტაბის გამოფენების მოსაწყობად. პირველ რიგში, არ არსებობს შესაფერისი საგამოფენო სივრცეები; მეორეც, თანამედროვე ხელოვნებას სჭირდება ძალიან სერიოზული ტექნიკური ბაზა. ადრე მხატვარი თავის იდეას, კონცეფციას გამოხატავდა ფანქრით, ფურცლით, ზეთით და ტილოთი, დღეს მხატვრის იდეა შეიძლება გამოიხატოს ნებისმიერი

ფორმით – გარდა კლასიკური მედიებისა, შეიძლება გამოიყენო ვიდეო, ობიექტი, ინსტალაცია, ტექსტი, ნებისმიერი რამ... ამაში პოპ-არტს მიუძღვის დიდი დამსახურება... ცალკე თემაა, როგორ მივიდა ხელოვნება აქამდე, მაგრამ ეს ასეა. წელს ერთმა მხატვარმა გამოგვიგზავნა ასეთი პროექტი – ჯერ ნახაზებში ძლივს გავერკვიე, შუაში ეკიდა სპეციფიკური ნაჭრის დიდი ეკრანი, აქედან, იქიდან დიდი რაოდენობით ლეპტოპები, პროექტორები, დოლბი საუნდით ... ძალიან სერიოზული ვიდეოინსტალაცია იყო. იმ ადამიანს ვუთხარით, – ამას ჯერ აქ ვერ გავაკეთებთ, არც იმდენი ტექნიკა გვაქვს, არც ეგეთი ეკრანიო. მერე ეს ნამუშევარი გავიდა როგორც ჩვეულებრივი ვიდეო კედელზე. მაგრამ თუნდაც იმის გასაკეთებლად, რაც გავაკეთეთ, უამრავი ტელევიზორი, პროექტორი, განათება თუ აუდიოტექნიკა დაგვჭირდა. ბევრი რაღაც ჩვენ გვაქვს, რაღაცას ვქირაობთ, ამ ყველაფერს კოორდინირება, მოტანა და ამუშავება სჭირდება. მოკლედ, არ არის იოლი პროცესი.

როცა ვუყურებ, როგორ აკეთებენ გამოფენებს ამერიკაში, სეულში, სხვაგან, რა შესაძლებლობები აქვთ, სულ ვფიქრობ, რომ ჩვენ აქ დონ კიხოტები ვართ. მაგრამ, მეორე მხრივ, ეს ნარკოტიკივითაა, ეს არ არის – დამავალეს, გავაკეთე. მე, მაგალითად, ჩემი სიცოცხლე ამის გარეშე, „არტისტერიუმის“ კი არა, ზოგადად ხელოვნების, მხატვრების, ამ პროცესის გარეშე ვერ წარმომიდგენია. ერთადერთი ალტერნატივა შეიძლება იყოს, ვინმე თუ მაჩუქებს მფრინავ თეფშს, და გავფრინდები. სხვა ამის ალტერნატივა მე ჯერჯერობით არა მაქვს.

ბევრი საინტერესო არტი, რაც აქ კეთდება, უმეტესწილად აქ არ იყიდება. აქ ამ მასალის აუდიტორია თითქოს არ არის. პატარა ბაზრის ამბავია, თუ კიდევ სხვა მიზეზი აქვს ამას?

პატარა ბაზრის ამბავიც არის. მსოფლიოში არსებობს ერთი ბაზარი და იმ ბაზარში ან ხარ, ან არ ხარ. ჩვენთან მხატვრები ყიდიან ნამუშევრებს. ზოგიერთი თავისი გაყიდული ნამუშევრებით ცხოვრებასაც კი ახერხებს, მაგრამ მე ვთვლი, რომ ეს ადამიანები გენიალურები არიან, ამას თბილისში რომ ახერხებენ. მაგრამ, ზოგადად, არ მიყვარს დაყოფა კომერციულად და არაკომერციულად, ვთვლი, რომ ყველაფერი, რაც კარგია და საინტერესო, შეიძლება გაიყიდოს. მაგრამ აქ თანამედროვე ხელოვნებაზე არანაირი მოთხოვნილება არ არის. აქ ვიდეოს ვერ გაყიდი, ვერ გაყიდი ინსტალაციას და რაიმე მსგავსს.

დიდი ბაზარი რაღაცნაირად მაინც თავის წესებს ახვევს მხატვარს თავზე. მაგალითად, მოსკოვში ყველაფერი კომერციული გახდა, იქ ფულიც მეტია და, ცუდი გაგებით, კომერციულმა და გლამურულმა ხელოვნებამ წალეკა ყველაფერი. ძალიან მდიდარი ბიზნესმენები უკვე მიხვდნენ, მაგალითად უკრაინაში, რომ თანამედროვე ხელოვნების ნიმუშების ყიდვა ძალიან პრესტიჟულია და, ინვესტიციის თვალსაზრისით, მომგებიანიც. ჩვენთან, ქვეყანაში, სადაც ამდენი პრობლემაა, სადაც ომი გვქონდა და სხვა, არც არის გასაკვირი და ვერ მოსთხოვ ბიზნესმენს, რომ ასე იაზროვნოს. მაგალითად, უკრაინაში არის პინჩუკის არტ ცენტრი. პინჩუკი არის ძალიან მდიდარი ადამიანი და, მგონი, კუჩმას ნათესავი. თვითონ მას აქვს ფანტასტიკური კოლექცია, მსოფლიოში უცნობილესი თანამედროვე მხატვრების და, უკვე ორი წელია, ვენეციის ბიენალეზე უკრაინა ამ ცენტრით გადის. მე პინჩუკის არსებობას ჩემს სიცოცხლეში ვერ გავიგებდი, რომ არა ხელოვნება და რომ არა ეს ცენტრი და დარწმუნებული ვარ, ის არტ „ტუსოვკაც“ ვერ გაიგებდა მის არსებობას, პინჩუკს რომ ამ საქმეში ფული არ ჩაედო.

მაგრამ იმედი მაქვს, რომ თუ ეს ქვეყანა ოდესმე დაწყნარდება, ეს ჩვენთანაც მოხდება. აქ შეიძლება უნდათ კიდეც, მაგრამ ვისაც ესმის, რომ ეს კარგია, იმას შეიძლება ფული არ ჰქონდეს, ის კიდევ, ვისაც ფული აქვს, წავა და იყიდის კრუიზს მთვარეზე. მეორე მხრივ, თბილისში არის გალერეები, რომელთაც შეუძლიათ იარონ, აჩვენონ და გაყიდონ თავიანთი პროდუქცია მსოფლიოს დიდ არტ ბაზრობებზე. მაგრამ ამ საქმიანობის დასაწყებად ისევ ფულია საჭირო და არცთუ ისე ცოტა. დიდ და მნიშვნელოვან ბაზრობებზე ადგილი, „პიარი“, ყველაფერი ფული ღირს. ზოგიერთი ისეთია, ვერც კი მიიღებ მონაწილეობას, თუ მანამდე რამდენიმე სხვა ბაზრობის გამოცდილება არ გაქვს. მაგალითად, ასეთია „არტ-ბაზელი“, „არტ-ბაზელი მაიამიზე“, სადაც, ფული რომც გქონდეს, სახელი და გამოცდილება გჭირდება, რომ მიგიღონ. რთულია ამ სისტემაში ჩაჯდომა, დიდ დროს, ენერგიას და ფულს მოითხოვს, ვიდრე პირველ შედეგებს მიიღებ.

კიდევ ერთი თემა – ხელოვნების და ხელისუფლების ურთიერთობა, რაზეც ბევრი წუწუნი ისმის ყველა მხრიდან. ამ ჩვენ პატარა ბაზარზე რევოლუციის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ყველაზე დიდი შემკვეთი ხელისუფლებაა, რომელიც ძირითადად მასობრივ ღონისძიებებში ხარჯავს ფულს. ანუ, ხშირად ხელისუფლება აფინანსებს პროექტებს, რომელთა ხარისხზეც და მიზნობრიობაზეც შეიძლება ვიკამათოთ.

ერთადერთი ღირებული, რაც ასეთ დიდ ღონისძიებებს აქვთ, ადამიანების მრავალრიცხოვანი დასწრებაა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია და არ ხდება მხოლოდ საქართველოში. უბრალოდ, აქ ყველაფერი უფრო ჩანს, იმიტომ რომ მართლა პატარა სოფელივითაა. მახსოვს, 2005 წელს ვენეციის ბიენალედან უკან რომ მოვფრინავდი, ამერიკელ კურატორთან ერთად მოვხვდი და ვილაპარაკეთ. აღშფოთებული იყო იმით, რომ ამერიკის მთავრობამ ბიენალეზე გასატან თანამედროვე ხელოვნებას ბიუჯეტი შეუმცირა და ოლიმპიურ თამაშებში ფულის დახარჯვა უფრო აინტერესებდა.

ეს მომენტი მეტ-ნაკლებად ყველგან არის. უბრალოდ, იქ რომ ნებისმიერი არტ ცენტრის თუ დიდი და პატარა ფონდების ბიუჯეტები მილიონებია, ამბობენ, – ცოტაა. ჩვენ კი ამაზე ვერც ვიოცნებებთ. შეიძლე-

ბა თანამედროვე ხელოვნების მომხმარებელი არც იყოს იმდენი, რამდენიც მივა Open Air-ზე, მაგალითად, ეს უბრალოდ გამორიცხულია. მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია თვითონ ქვეყნის პრიორიტეტები იყოს სწორად განაწილებული და კულტურული პოლიტიკა, რომელზეც ჩვენ, დიდი ხანია, ვლაპარაკობთ, იყოს რაღაცნაირად დაბალანსებული.

ეს პრობლემაა სწორედ, მარტო რაოდენობაზე კი არ იყოს აქცენტი, არამედ – ხარისხზეც.

სულ ვფიქრობ, ასეთ პატარა ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, არ შეიძლება ვიფიქროთ მარტო იმაზე, ბაზარი რას გადაარჩენს და რას – არა. ამაზე იფიქროს სახელმწიფომაც ჩვენთან ერთად, თორემ ბოლოს დაგვრჩება „სარკე“, ლელა წურწუმია და „ჯეობარი“. მე მესმის, რომ ბიზნესმენისთვის ჩემი დაფინანსება არ არის ხელსაყრელი, თუნდაც საგადასახადო კანონის და ბევრი სხვა რამის გამო, თუ პატარა კონკრეტული სარგებელი არა აქვს ჩემგან. ამიტომ პატარა გამოფენა, 500 და თუნდაც 1500-კაციანი დასწრებით, იმას საერთოდ არ აინტერესებს. იმას აინტერესებს სტადიონი. მაგრამ ეს ყველაფერი ისე უნდა დაბალანსდეს, რომ მე ჩემი საქმე ვაკეთო და ჩემი ფული მქონდეს, შენ – შენი.

ხედავ, სადამდე მივედით? ხელისუფლებისათვის რატომ არის მასობრივი რაღაცების დაფინანსება მომგებიანი – იმიტომ, რომ ამას იყენებს თავის მიზნებისთვის, თუნდაც ელექტორალური მიზნებისათვის; ანუ არის ხელოვნება, როგორც იარაღი და არის ხელოვნება ხარისხიანი. მოთხოვნა-მიწოდების პრინციპი ისედაც მუშაობს. ამიტომ, იქნებ ხელისუფლება ფულს ისეთ რაღაცებში უნდა ხარჯავდეს, რასაც შეიძლება ბაზარი არ ითხოვს, მაგრამ ღირებულია?

გეთანხმები და ეს აბსოლუტურად გაცნობიერებულად უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ. ამის კარგი მაგალითია ამერიკაში, მინეაპოლისში, „Open Book“ ჰქვია, ეს როგორი ადგილია, იცი? იქ ბავშვების კლასებია, რომლებიც აკეთებენ ქაღალდებს, არიან ადამიანები, რომლებიც ქაღალდის კეთებაზე ძველი მეთოდებით მუშაობენ. არის ძველი სტამბა მთელი თავისი აღჭურვილობით; ანუ ეს არის ძალიან დიდი ცენტრი, რომელიც ინახავს ქაღალდის, წიგნის წარმოების და ბეჭდვის ისტორიას. ისინი არაფერს არ ყიდიან, და საერთოდ, ბაზარს არ ეხებიან, მაგრამ სახელმწიფო ზრუნავს მის შენახვაზე. ეს ფინანსდება მარტო იმიტომ, რომ შენარჩუნდეს ბეჭდვის და ქაღალდის კეთების ტრადიცია. რასაკვირველია, საერთო ბიუჯეტის დიდი წილი კერძო წყაროებიდან ივსება, რაც ძალიან დიდი შეღავათია შტატისთვის, მაგრამ ამერიკაში, სადაც ვითომ ველური კაპიტალიზმია, იციან, რომ ეს ტრადიცია არ უნდა გაქრეს. მე უნდა ვიმოქმედო ბაზარზე და არა ბაზარმა ჩემზე.

იგივეა ჩვენი პროექტი... ხელისუფლება დღეს მომართულია იმაზე, რომ აქ განვითარდეს თანამედროვე ხელოვნება. მეორე ამბავია, ეს მათ სჭირდებათ თავიანთი „პიარისთვის“ თუ არა, თუმცა ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა. ეს არის ძალიან კარგი „შეთანხმება“. ისინი მე არანაირად არ მზღუდავენ, არ მქონია არც ერთი შემთხვევა, რომ ეთქვათ, – გვაჩვენე, რის გამოფენას აპირებო. არანაირი ცენზურა არც შარშან, არც წელს არ ყოფილა. ძირითადად ვმუშაობთ კულტურის სამინისტროსთან, როგორც მთავარ დამფინანსებელთან და პარტნიორთან. თუმცა „არტისტერიუმში“ შარშანაც და წელსაც მონაწილეობდნენ საქართველოში მოქმედი კულტურული ორგანიზაციები, დიუმას ფრანგული კულტურის ცენტრი, გოეთეს ინსტიტუტი, ბრიტანული საბჭო და ამერიკის და პოლონეთის საელჩოები. მათთან თანამშრომლობა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. შეიძლება „არტისტერიუმზე“ არ მოვიდა იმდენი ადამიანი, რამდენიც Open Air-ზე იყო, მაგრამ ძალიან კარგი საქმე კეთდება ამით. დღეს მთელ მსოფლიოში დიდი სახელოვნებო ღონისძიებების ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია კომუნიკაცია, ანუ ადამიანების შეხვედრა, კონტაქტების დამყარება, ურთიერთგაცვლა და თანამშრომლობის პერსპექტივები. თუნდაც იმიტომ, რომ ქართველი მხატვრები შეხვდნენ უცხოელ მხატვრებს, უცხოელი კურატორები დაინტერესდნენ აქაური მხატვრებით, საერთოდ მოხდეს თანამედროვე ქართული კულტურის და ხელოვნების პოპულარიზაცია, ასეთი გამოფენები ძალიან მნიშვნელოვანია. ეს ის რაღაცაა, რაც მერე ბაზარსაც შექმნის და ჩვენ ადგილსაც მოგვიპოვებს მსოფლიოში.

სხვა გზას, უბრალოდ, ვერ ვხედავ. ერთი პერიოდი ძალიან დიდი აგრესია მქონდა იგივე ბიზნესმენებისადმი, რომლებიც დააფინანსებდნენ რაღაც სისულელეს და მე არც დამელაპარაკებოდნენ. მერე მივხვდი, რომ შენც უნდა გაიგო იმისი, იმან თუ შენი უნდა გაიგოს. მეორე მხრივ, ხვალ რომ სახელმწიფომ თქვას, – არ გვაინტერესებს თანამედროვე ხელოვნება და არაფერს არ გაძლევთო, – მე მაინც შემიძლია ვიმუშაო ევროპულ ფონდებთან და იმ კულტურულ ორგანიზაციებთან, რომლებიც საქართველოში ფუნქციონირებენ. თუ გაქვს გამოცდილება, თუ გენდობიან, ნამუშევარი ხარ მათთან და ხედავენ, რომ რაღაცას აკეთებ, თუ მოინდომებ, ყოველთვის მოძებნი იმ გზას, რომ შენი რაღაც გააკეთო. შეიძლება 80 მხატვარი ვერ გამოფინო და გამოფინო 30, მაგრამ ხარისხობრივად ისეთი კარგი იყოს, რომ ამას მნიშვნელობა არ ჰქონდეს. ცხადია, ძალიან კომფორტულია, როცა ერთი ან ორი დამფინანსებელი გყავს და არ გჭირდება 1000-1000 ლარის გროვება სხვადასხვა ორგანიზაციებში, ანგარიშვალდებულიც იმასთან ხარ და ამისთვის შენ არანაირი ხარკის გაღება არ გიწევს.

შენ რესურსების გადანაწილებაზე ლაპარაკობ. მაგრამ, თუ არ არის დაცული ბალანსი ხარისხიანსა და უხარისხოს შორის, ადამიანებს უჩნდებათ პროტესტის განცდა. მაშინ როცა ჰოლივუდი იღებს ფილმს რუსეთ-საქარ-

თველოს ომზე, რომლის ერთ-ერთი პროდიუსერიც პარლამენტის წევრია, და არ ვიცით, იხარჯება თუ არა ამ 40-მილიონიან პროექტზე (ეს შესაძლოა, არაზუსტი ციფრი იყოს) ფული სახელმწიფო ბიუჯეტიდან, აქ ჩნდება პრობლემა. ამას ვგულისხმობ დისონანსში.

გეთანხმები, მაგრამ ჩემთვის, მაგალითად, ჰოლივუდის ფილმები შორსაა ხელოვნებისგან. ეს დიდი და მდიდარი ინდუსტრიაა ხელოვნების ელემენტებით. მაგრამ ჰოლივუდის ფილმიც კი პოპულარიზაციის საშუალებაა. ეს ხელოვნებაში არ ავურიოთ, არანაირად, ეს უბრალოდ კიდევ ერთი საინფორმაციო წყაროა. მინახავს ჰოლივუდის ფილმი აფრიკის რაღაც ქვეყანაზე, ისეთი საინტერესო იყო, მერე შევსულვარ „ვიკიპედიაში" და მინახავს ამ ქვეყანაში რა ხდება სინამდვილეში. ანუ იმ ქვეყნით დავინტერესებულვარ, რომლითაც შეიძლება არასოდეს დავინტერესებულიყავი. შეიძლება ძალიან არარომანტიკულ რაღაცას ვამბობ, მაგრამ ასეა. სახელმწიფომ, რა თქმა უნდა, უფრო ძვირი უნდა გადაიხადოს იმაში, რომ მსოფლიოში და თუნდაც აფრიკაში გაიგონ შენ შესახებ, იმიტომ რომ აფრიკამდე შორია. იგივე ლოგიკით, ყოველთვის ვამბობ, რომ ჩვენმა სახელმწიფომ რომ შეუკვეთოს ქანდაკება, ვთქვათ, დემიან ჰირსტს ან ანიშ კაპურს, ეს ქანდაკება მილიონები დაჯდება, მაგრამ მერე ხალხი აქ ჩამოვა მის სანახავად. მე ხომ ამას არ უნდა ვამბობდე, მე უნდა ვამბობდე, – ქართველ მხატვარს უნდა მისცენ ფული-თქო, – მაგრამ ანიშ კაპურის ქანდაკებას აქ ისეთი რაღაცები მოჰყვება, რაც მერე იმ ქართველ მხატვრამდეც მივა. ეს პროცესია. ჩვენ ძალიან უტრირებულად ვლაპარაკობთ, მაგრამ ეს არის პროცესი და თუ ის ნორმალურად წავა, ვფიქრობ, ნელ-ნელა რაღაც სივრცე გაიხსნება.

ერთხელ თქვი, – მე აღარ მჯერა მეამბოხეებისო. შეგიძლია მითხრა, რას გულისხმობდი?

თუ ილაშქრებ, შენ გალაშქრებას რაღაც მიზანი უნდა ჰქონდეს. გიჟი ხომ არა ხარ, მეამბოხე იყო მეამბოხეობისთვის. თანაც არ შეიძლება მთელი ცხოვრება მეამბოხე იყო, რადგან თუ მიაღწიე იმას, რისთვისაც იბრძოდი, შემდეგ დიდი ძალისხმევა გჭირდება, რომ საკუთარი გამარჯვების მსხვერპლად არ იქცე. მეორე მხრივ, ყველაფერი იცვლება და, როგორც ამბობენ, ყოფილი ჰიპები, შემდეგ ოფისებში სხდებიან...

ანუ ამბობ, რომ ამბოხი არის საშუალება და არა მიზანი.

რომ ვთქვი, – მეამბოხეების არ მჯერა-მეთქი, – დროის დიდი მონაკვეთი ვიგულისხმე. 60-იანი წლების მეამბოხეებს მიზნები ცხადია. საფრანგეთის 68 წლის რევოლუციის დროს რა უნდოდათ, ესეც ვიცით. ახლა თითქოს ყველა რაღაცას ველოდებით, გარკვეული კი არაფერია. 21-ე საუკუნეს ჯერჯერობით ყველაზე ძლიერი რაც აქვს, 11 სექტემბერია. თუნდაც ის ახალი ტექნოლოგიები, რომელიც დღეს არის, ჯერ კიდევ მე-20 საუკუნეშია შექმნილი, ჩვენ ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის პროდუქტები ვართ. 90-იანმა წლებმა ჯანმრთელი ცხოვრების სტილი მოიტანა. თვითგანადგურების ინსტინქტები, რომლებიც ჩემშიც ბევრი იყო და სხვებშიც, ვხვდები, რომ სისულელეა. ჩვენში ისედაც ბევრი დევს ეს თვითგანადგურების ინსტინქტი, მაგრამ ამაში ვეღარ ვხედავ ვერანაირ დადებით ენერგიას. მინდა, ვიყო ჯანმრთელი, მინდა ვიყო ლამაზი, მინდა ვიყო ჭკვიანი, მინდა ვიყო გარემოსთან ჰარმონიაში – ეს მოდა კი არ არის, ასეთი დღის წესრიგია.

ესე იგი, ახლა ლაპარაკია არა დესტრუქციაზე, არამედ ჰარმონიზებაზე?

ჰო, რაღაც ასეთი დრო არის. თვითგანადგურების ინსტინქტი არსებობს, მაგრამ უფრო დიდი სწრაფვა მაქვს, რომ საკუთარ თავს არ ვანადგურებდე. სამყაროში დღეს ისედაც დიდი დოზითაა დესტრუქცია და ძალიან მნიშვნელოვანია, არ მოხვდე ამ აურაში.

შენ ასევე ამბობ, რომ აღარ გჯერა არააქტუალური არტის. არტს განიხილავ არა როგორც ესთეტიკურ კატეგორიას, არამედ როგორც სოციუმზე ზეგავლენის მოხდენის საშუალებას.

კი, დღევანდელ ხელოვნებას აქვს ასეთი დატვირთვა. ვთქვათ, არის ხელოვნება, რომელიც იყიდება აუქციონებზე და მაღალი კლასის გალერეებში, ის ხელოვნება, რომელიც მართლა შედარებით თავისუფალია სოციუმისგან. მას ჰყავს თავისი მნახველი, მყიდველი და წრე. მე და ნანა ყიფიანი ვლაპარაკობდით ამას წინათ, ბევრი ვიცინეთ ამაზე... დიუ-

შამპის პისუარი ფონდის დასაფინანსებელი რომ ყოფილიყო, არავითარ შემთხვევაში ფონდი პისუარს არ დაფინანსებდა. შანსი არ არის. ამიტომ ყოველთვის უნდა მოახერხო ნამუშევრისათვის რაღაც კონტექსტის მოძებნა.

საქართველოში თანამედროვე ხელოვნება ცოტა მარგინალურია, ამიტომ ჩვენთვის საინტერესოა, რაც შეიძლება მეტი ადამიანი ჩაერთოს, რაც შეიძლება მეტმა გაიგოს, მეტი მოვიდეს, იმიტომ, რომ დღევანდელი ხელოვნების ენა ისეთი გართულებულია, რომ განათლების გარეშე, კონტექსტის ცოდნის გარეშე, ძალიან ძნელია მისი გაგება, ზოგჯერ დიპლომირებული ხელოვნებათმცოდნეებისთვისაც კი, რომლებსაც არ უნდათ ჩვეულ მიდგომებთან და კლასიკური ხელოვნების დაცულ პოზიციებთან განშორება. რასაკვირველია, ეს ყველას არ ეხება. ეს პრობლემაა არტისთვის და თუ რაღაც მოხდება 21-ე საუკუნეში, შეიძლება ეს ენა გამარტივდეს და გახდეს უფრო მისაღები ყველასთვის.

სტამბოლში არის ადგილი, „თუთუნდეპოზუ“ ჰქვია, ეს იყო თუთუნის ქარხანა, ახლა ხელოვნების ცენტრია, სახელი დაუტოვეს. მის გარშემო ცხოვრობს ჩვეულებრივი თურქი ხალხი, არც მდიდარი, არც ღარიბი, მაგრამ იქ როცა მხატვრები მუშაობენ, ეზოს ბავშვები მოდიან, უყურებენ, შედიან მათთან კონტაქტში. ჩემი აზრით, ეს ძალიან მაგარი რაღაცაა. ის ბავშვი თუ ამ ხელოვნებას არ შეეხო, შეიძლება სულ სხვა ტიპი გახდეს. და თუნდაც ერთხელ რომ ნახავს, ის მხატვარი როგორც აკეთებს ინსტალაციას, შეიძლება იმის ტვინში რაღაც ისე შეიცვალოს, რომ სულ სხვა იმპულსი მიიღოს. ამ მხრივ ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი სივრცის არსებობა.

ეს არ არის ხელოვნების პირველი და პირდაპირი დანიშნულება, რასაკვირველია, მაგრამ ის სოციალური ასპექტი, რომელიც თანამედროვე ხელოვნებას აქვს, მე მაგალითად ძალიან მომწონს.

მგონი, 2007 წლის ვენეციის ბიენალეს კატალოგის შესავალში წერია, – არტი ცოტა გაუგებარი უნდა იყოსო. ერთი პერიოდი მოდაც იყო, რომ არტ კრიტიკოსის ტექსტი რაც უფრო გაუგებარი იქნებოდა, მით უფრო მაგარი იყო. ეს მომენტიც არის, თამაშის მომენტი, ეს ყველაფერი ერთობლიობაში ძალიან საინტერესო სივრცეა. აქ არის ადგილი იგივე სოციუმისთვისაც, აქ არის ადგილი „ხელოვნება ხელოვნებისთვისაც“, აქ არის ადგილი ყველასთვის და ყველაფრისთვის.

ჩვენთან არსებობს სოციალური არტი? ხელოვნება, რომელიც სოციუმზე ახდენს გავლენას?

ჩვენთან არიან მხატვრები, რომლებიც ეხმაურებიან სოციალურ პრობლემებს, მაგრამ მათი რიცხვი შედარებით ნაკლებია. ჩვენთან მხატვარი მაინც თავის ინსპირაციაშია, თავის სივრცეშია, კლასიკური მხატვარია.

ერთი ძალიან მნიშვნელოვანი კონფერენცია იყო სტამბოლში, იქ ერთ-ერთ გამომსვლელთან დისკუსია მქონდა, ვუთხარი, ხელოვნება ყოველთვის იყო ავანგარდში, ახლა პირიქით, ბევრ შემთხვევაში სოციუმის დაკვეთას ასრულებს და თითქოს მის უკან მიჩანჩალებს-მეთქი. ბოისმა როცა თქვა, – ხელოვნება სოციალური სკულპტურაა, – ამან დიდი გარდატეხა გამოიწვია და აქედანაც წამოვიდა სოციალური გავლენები და ურთიერთქმედება. მაგრამ მერე ამ კაცმა საპასუხოდ რა მითხრა, იცი? შენ საბჭოთა კავშირში ცხოვრობდიო, იმ მხატვრებს, ვინც საბჭოთა რეალობაში ცხოვრობდნენ, არ ჰქონდათ არც მიდგომაში, არც განათლებაში სოციალური პრინციპის წამოწევის ჩვევაო. ეს ალბათ კიდევ მოქმედებს, შეიძლება ახალგაზრდა მხატვარზე ნაკლებად, მაგრამ იმ კაცმა რაც მითხრა, ამაზე მერე ვფიქრობდი. მეორე მხრივ, ძალიან ცუდია ხელოვნების მხოლოდ სოციალურ პრობლემებთან დაკავშირება, რაც ბოლო წლების მანძილზე მთელ მსოფლიოში ძალიან აქტიურად ხდებოდა, მაგრამ ეს ტენდენცია დღეს ნელ-ნელა უკან იწევს, რაც ძალიან მიხარია. მეორე მხრივ, აქტუალური აუცილებლად უნდა იყოს, დღევანდელ დღეს და აქ უნდა იყოს. დამიჯერე, ნაკლებად აინტერესებს ვიღაცას შენი ინსპირაცია, თუ ის არ არის გენიალური. თუ პროფესიონალი ხარ, კარგად ფლობ ხელოვნების ენას, ყოველთვის მოახერხებ თანხვედრაში მოაქციო შენი ინსპირაცია და დღევანდელობის მოთხოვნილება, და ეს ისეთ პროფესიონალურ ენაზე გააკეთო, რომ ყველასთვის საინტერესო იყოს.

შეგიძლია ვინმეზე მითხრა, რომ საინტერესო და აქტუალურ ხელოვნებას აკეთებს?

იცი, რა არის აქ პრობლემა? ახალგაზრდა მხატვრებში უფრო შევეჯახე ამას – ეჭიდებიან ძალიან სერიოზულ პრობლემებს, სოციალურს, ფილოსოფიურს. ზოგჯერ ისეთი კონცეფცია წამიკითხავს, იმის განხორციელებას ნამუშევარში შეიძლება 10 წელი დასჭირდეს და შეიძლება საერთოდ ვერასდროს ვერ განახორციელო. ანუ, რისი თქმაც გინდა, ის თვითონ მაყურებელმა უნდა თქვას. ფაქტობრივად, ნამუშევარს მაყურებელი ამთავრებს. ჩემთვის ცოტა მისტიკაა, როცა არის გამოფენა, ჯერ არავინ არ მოსულა, ყველაფერი კიდია, ყველაფერი გაკეთებულია, როცა შემოდის მაყურებელი, საერთოდ იცვლება ყველაფერი. ჩემთვისაც კი სულ სხვანაირი ხდება, სულ სხვა თვალით აღვიქვამ.

ახლა ხომ სოციალურ-პოლიტიკური მეცნიერებები მოდაშია, არტის ენა ძალიან ფილოსოფიურია და თანამედროვე მე-20 საუკუნის ფილოსოფიასთან პირდაპირ კავშირშია. აქ ცოტა ირევიან ხოლმე ახალგაზრდა მხატვრები და განუხორციელებელ მიზნებს ისახავენ, ენასაც ჯერ ისე დაუფლებულები არ არიან, საშუალებებიც არ არის.

დღეს პოპულარულ პროექტებზე და ფონდებზე ამბობდი...

პროექტები და ფონდები მართლაც საინტერესო და დროისთვის დამახასიათებელი ფენომენია. მაგალითად, არსებობს სიტყვების ერთობლიობა, რომელიც აუცილებალდ უნდა იხმა-

www.shokoladi.com

რო პროექტის წერისას, ეს თითქოს რაღაც „პაროლია“. მაგალითად, sustainable development, capacity building... ეს capacity building ვკითხე ერთ ინგლისელ მწერალს, – ერთი გადმომითარგმნე, რას ნიშნავს-მეთქი, – და ვერაფრით ვერ გადმომითარგმნა. ეს უკვე არის რაღაც თამაში, რომლის წესებზეც ყველა ვთანხმდებით, ურთიერთსასარგებლო თამაშია. რომ გითხრა, მე ეს მაწუხებს, რა საშინელი სამყაროა, იმიტომ რომ უნდა დავწერო ეს სიტყვა, ასე აღარ ვარ. დავწერ, შენ თუ ეს გინდა. მთავარია, მე ის გავაკეთო, რაც მინდა. ძალიან კონფორმისტულად ჟღერს? იცი რა, ეგეთი რეალობაა. მეც ვბრაზდები და ვგიჟდები რაღაცებზე, ეგეთი ჰარმონიულიც კი არ ვარ, უბრალოდ რეალობა ეგეთია.

შენ ასეთ რამეს ამბობ, – არჩევანის წინაშე რომ დადგე, ომი თუ ადაპტაცია, ადაპტაციას აირჩევდი.

რაღაცასთან ადაპტაცია შესაძლებელია, რაღაცასთან არავითარ შემთხვევაში. გააჩნია, რას მთავაზობენ. მე ვიომებ ბოლომდე იმის წინააღმდეგ, რაც აბსოლუტურ წინააღმდეგობაშია ჩემ საარსებო გარემოსთან, თუნდაც ეს რაღაც პირადად მე არ მეხებოდეს. არის რაღაცები, რაშიც თავისუფალი არ ვარ და ძალიან მიხარია, რომ არა ვარ და ამის დასაცავად ვიომებ.

რის წინააღმდეგ იომებდი თუნდაც საკუთარი დესტრუქციის ხარჯზე?

უსამართლობას ვერ ვიტან. შეიძლება რაღაცებს ფილოსოფიურად შევხედო და გავანეიტრალო ემოციურად, მაგრამ აშკარა უსამართლობები ძალიან ნერვებს მიშლის.

გუშინ ვიღაცამ დადო „ფეისბუქზე“ გადაცემა „კედელი“, შემოვიდა ჩემი შვილი, 18 წლის, ჩემთან ერთად უყურებდა და იცინოდა, ბოლოს რა მითხრა, იცი? – ხანდახან ისეთი ბედნიერი ვარ, რომ შენ ოჯახში დავიბადეო. ისეთ რამეებს ლაპარაკობდნენ ის ბავშვები, ამან რომ მოისმინა, მიხვდა, ის თავისუფლება, რაც აქვს, ვიღაცისთვის მისაღწევია და, რაც მთავარია, დააფასა.

მოკლედ, პირად თავისუფლებას თუ შემიზღუდავ, მაშინ შეგაკვდები.

როგორი ურთიერთობა გაქვს შვილთან?

ვმეგობრობთ. ახლა რა პერიოდი აქვს, იცი? თინეიჯერული, გაუცხოებულია, თავის დამკვიდრების მომენტშია. დღეები გადის, როცა არ ვურთიერთობთ, თუმცა რაღაც მომენტში შეიძლება ძალიან ბევრი ურთიერთგაცვლა გვქონდეს, მაგრამ ახლა თავის სივრცეს ნახულობს და ორიენტირდება. მე ამას როგორც შემიძლია ვაკონტროლებ, მაგრამ თავისუფლებას რატომ ვაძლევ, იცი? ადამიანს უნდა ჰქონდეს საკუთარი გამოცდილება, ჩემი გამოცდილებით ის ვერ იცხოვრებს. კი, რასაკვირველია, თუ ვნახე, რომ სადღაც იჩეხება, დავიჭერ და შეიძლება სახლშიც ჩავკეტო, მაგრამ რა მინდა, იცი? მითქვამს კიდეც, მინდა, რომ ტანჯვაც გამოსცადოს, ისეთი რამეები მინდა გამოსცადოს, რაც ადამიანს აყალიბებს. რაც უფრო მეტი რამის გადატანა, გაძლება, გადაბიჯება შეგიძლია, რაღაცებისგან განთავისუფლება შეგიძლია, მით უფრო ძლიერი ხდები და საინტერესო. არ მინდა, რომ სტერილური ტიპი იყოს, რომელსაც არანაირი პრობლემა არ აქვს. ასე ვერ იცხოვრებს და ეს მერე დიდი პრობლემა იქნება.

სწავლობს სადმე?

აკადემიაშია. ხატავს, იაპონურს სწავლობს, ანიმე უყვარს, მანგა, ერთი პერიოდი ვამპირები აინტერესებდა, ჯადოქრობები, პერიოდი ჰქონდა ეგეთი. ჩემგან არასოდეს მოუსმენია, – შვილო, მიდი ჯადოქარი იყავი-მეთქი. დედაჩემს ეკლესიაშიც დაჰყავდა, დღესასწაულებზე... მაგრამ ახლა აბსოლუტურად დაბალანსებული ადამიანია. იმედი მაქვს, აუცილებლად მიხვდება, თვითონ რა უნდა, როგორ უნდა ცხოვრება. ყველაზე მნიშვნელოვანი რაც არის, მინდა იყოს დამოუკიდებელი და აცნობიერებდეს იმას, რომ მხოლოდ თავის თავზეა დამოკიდებული. ამერიკაში ეს ძალიან მომწონდა, რომ საზოგადოებაში ასეთი აურაა. როცა აცნობიერებ, რომ ყველაფერი შენზეა დამოკიდებული. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. შენზე და არა, მაგალითად, პრეზიდენტზე, იმაზე ან ამაზე. სადღაც ჯურღმულშიც რომ ჩაგაგდონ, იქაც კი შეგიძლია შენ თავზე იყო დამოკიდებული, იქაც გაქვს არჩევანი, მოტყდე ან არ მოტყდე, იბრძოლო ან არ იბრძოლო.

ჰო, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ძალიან მალე დარჩე პირისპირ სამყაროსთან. მხოლოდ ასე იღებ მნიშვნელოვან გამოცდილებას.

როცა შენ ქვეყანაში ცხოვრობ, სადაც დაიბადე, სადაც არიან შენი მშობლები, ნათესავები, მეგობრები, რაღაცნაირად დაცულად გრძნობ თავს. მაგალითად, მე ვთვლი, რომ მართლმადიდებელი ვარ დაბადებით. როცა გავიზარდე, მიხვდი, რომ ისეთივე წარმატებით შეიძლებოდა ვყოფილიყავი ბუდისტი, იუდეველი, მუსლიმი. სხვათა შორის, ასევე დაბადებისთანავე მოვნათლე ჩემი შვილი, არ მიკითხავს, – შვილო, გინდა, არ გინდა... ჩემთვის ეს კულტურის და ტრადიციის ნაწილია. საქართველოში ეს ყველაფერი გიფარავს, ეს დაცვაა, გარსია. როცა წავედი და დავიწყე იქ ცხოვრება და მუშაობა, ეს გარსები რომ აღარ იყო, მივხვდი, რომ ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული. ეს თავიდან შემაშფოთებელი, მაგრამ ფასდაუდებელი შეგრძნებაა. ის ღმერთი, რომელიც არ ვიცი, არსებობს თუ არა, მხოლოდ სამყაროს კანონებს ქმნის, სადაც ვარსებობთ. ის აბსოლუტურად უემოციოა. შენი პრობლემაა, იქნები მერე ამ კანონებთან ჰარმონიაში თუ არა. დანარჩენი, რელიგიური წესები და კანონები, ადამიანის მოგონილია და მხოლოდ „აღზრდის მეთოდად“ თუ გამოდგება. ვიღაცისთვის ალბათ სასარგებლოა, ვიღაცისთვის პირიქით, ამიტომ ვფიქრობ, რომ საბოლოო ჯამში ყველაფერი შენზეა დამოკიდებული.

სიზმრების მბრძანებელი

<<< დასაწყისი გვ. 48

თავიდან, როცა ევროპაში ვდგამდი სპექტაკლებს, წარმოდგენაც არ მქონდა აღმოსავლეთზე. მოგვიანებით, როცა იაპონიაში ჩავედი, მივხვდი, რაც მაკლდა და რაც მინდოდა. ეს იყო სრულიად განსხვავებული მიდგომა ცხოვრებისადმი – უბრალოება, დახვეწილობა და მინიმალიზმი, რომელიც, მაგალითად, იაპონიაში არა მხოლოდ კულტურის ფორმაა, არამედ ცხოვრების წესია, მისი აუცილებელი ნაწილი".

შეგვიძლია, ვრცლად აღვწეროთ უილსონის ბოლოდროინდელი სპეტაკლებიც, თუმცა მათში რაიმე განსაკუთრებული და ახალი არაფერია. მისი სპექტაკლების მაგია ყველასათვის ცნობილია, მაგრამ განჯადოება დროთა განმავლობაში მაინც ვერ ხერხდება. უილსონი ისევ ინარჩუნებს გამომსახველობით ხარისხს და სათქმელის სუბიექტურ სიცხადეს, არ სდევს ჟამთა ცვლას და მშვიდად უყურებს მსოფლიოში მიმოფანტულ ეპიგონებს. მაგრამ ყველზე მნიშვნელოვანი, რაც მისი შემოქმედების ბოლო პერიოდს უკავშირდება, უდავოდ არის 2007 წელს გადაღებული მაღალტექნოლოგიური ვიდეო-ციკლი „Voom პორტრეტები", რომლის შექმნასაც თავისი მცირე ისტორია აქვს.

ჯერ კიდევ 70-იან წლებში რობერტ უილსონმა პირველად სცადა დაახლოებით 20-წამიანი ვიდეოპორტრეტების შექმნა. მაშინ ვიდეო სიახლეს წარმოდგენდა, თუმცა არასრულყოფილი ვიდეო-ეპიზოდები უილსონმა მაინც განახორციელა. შექმნა ელენე რუბინშტეინის პორტრეტი, პარფიუმერული ფირმის წარმომადგენელიც გადაიღო და ლუი არაგონიც. ეს ვიდეო-რგოლები ტელევიზიისთვის იყო განკუთვნილი, მაგრამ პროექტი არ განხორციელდა. „ამგვარი ნამუშევრები ყველგან შეიძლება იყოს, სადაც ხალხია. რიგებში, ავტობუსების მოსაცდელებთან, ბანკებში, აეროპორტებში. „ლუფტჰანზასა" და „იაპონიის ავიახაზებს" შევთავაზე კიდეც, რომ ეს პატარა ვიდეორგოლები ეკრანზე გაეშვათ. მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა ინდივიდუალური ეკრანები თითოეულ სკამთან. გამოსახულება თვალისთვის გამაღიზიანებლი არ უნდა ყოფილიყო, ხოლო მუსიკა – ხმაურიანი; ანუ ადამიანს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე არტ-ტექნოლოგიები გაამხნევებდა და არ მოიწყენდა".

Voom – ვიდეოტექნოლოგია უილსონის სრულიად ახალი მარკეტინგული სვლა იყო, თუმცა კარგად დავიწყებული ძველის გათვალისწინებით. სიახლეს ისიც წარმოადგენდა, რომ უილსონმა ვიდეორგოლებში ჰოლივუდის ვარსკვლავები და ცნობილი ევროპელი მსახიობები გადაიღო. მან გარკვეული უპირატესობა მიანიჭა არა ჰორიზონტალურ-პლაზმურ ეკრანს, არამედ ვერტიკალურს და ახალი დროის ვარსკვლავებისთვის ძველი, „ვარსკვლავური როლები" გამოიგონა.

უაინონა რაიდერი მაგალითად, ბეკეტის აბსურდის ჟანრის პიესის – „ბედნიერი დღეების" პერსონაჟად იქცა, რომელიც ამავე დროს ჰგავს მსახიობ ნატაშა პარის, რომელიც მართლა თამაშობდა ამ როლს; იზაბელ იუპერი იმეორებს გრეტა გარბოს ცნობილ ფოტოპორტრეტს, რომელიც თავის დროზე სესილ ბიტონმა გადაიღო; პრინცესა კაროლინა თამაშობს საკუთარი დედის, გრეის კელის „როლს" და ამავე დროს ჰიჩკოკის ფილმის ციტირებას ახდენს... ბრეტ პიტი თეთრი ტრუსების ამარა დგას წვიმაში და მაყურებელს პისტოლეტს უმიზნებს; იზაბელა როსელინი თოჯინას განასახიერებს; შიშველი მიხაილ ბარიშნიკოვი – ისრებგაყრილ წმინდა სებასტიანს; ჟანა მორო კი მარიამ სტიუარტის კოსტუმითა და გრიმით გენიალურ ვიდეო-პორტრეტს ქმნის.

„Voom პორტრეტების" ჩვენება ნიუ-იორკში 2007 წლის გაზაფხულზე გაიმართა და პრესისა და კრიტიკოსების აღფრთოვანება გამოიწვია. „ნიუ-იორკ ტაიმსი" წერდა, რომ „ეს არის ყველაზე საუკეთესო გამოფენა ბოლო წლების განმავლობაში. უილსონის ვიდეოპორტრეტები გვაიძულებს, გადავაფასოთ ან ხელახლა შევაფასოთ პორტრეტის ხელოვნება". ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ, როგორც კი ამ ვიდეოპორტრეტებს ნახავთ, მაშინვე მოგინდებათ მათი ნახვაც, ვისაც დღევანდელი ვარსკვლავები განასახიერებენ. გამოფენას იმდენად დიდი რეზონანსი მოჰყვა, რომ ორგანიზატორებმა ამ პროექტის მსოფლიო ტურნე მოაწყვეს. ბოლო ორი წლის განმავლობაში გამოფენა ხუთივე კონტინენტზე ლამის ნახევარმა მილიარდმა მაყურებელმა ნახა – ესეც კამერული ვიდეოარტის ბრწყინვალება!

რობერტ უილსონი: „ყოველი გადაღება პატარა თეატრალურ პრემიერას ჰგავს გმირისთვისაც და ჩემთვისაც. ყველას აქვს უფლება, თავად შეიქმნას ამგვარი არტისტული ბიოგრაფია, ჰოლივუდის ვარსკვლავსაც და უოლ-სტრიტზე მომუშავე მილიარდერსაც. მე, უბრალოდ, მათ შესაბამის როლებს ვთავაზობ. თავის დროზე სწორედ ასე ქმნიდნენ ფერწერულ პორტრეტებს ტიციანი, რემბრანდტი და ვან დეიკი. ცხადია, პოპულარულ ადამიანებთან მუშაობას ბევრი სირთულე ახლავს, მაგრამ შედეგი უფრო საინტერესოა. ადამიანებს მაინც უყვართ პოპულარობა და დიდება, უბრალოდ, ამას არ აღიარებენ".

და თქვენ, აღიარებთ, ბატონო უილსონ? თქვენი თეატრალური სიზმრები ხომ ასეთი ხანგრძლივია, ასეთი მაგიური, მაგრამ სწრაფწარმავალი.

წერილი ამერიკელ მეგობარს

<<< დასაწყისი გვ. 54

საკუთარი განუმეორებელი საუნდის მეშვეობით მას შეუძლია ასეთი რამეების კეთება. ინტერვიუს დროს მითხრა, – ამ საუნდს ბავშვობიდან თავში ვატარებდი, მაგრამ წლები დამჭირდა, სანამ დავეუფლებოდიო. წელს ის უკვე სხვა პროგრამით ჩამოვიდა, პროგრამით, რომელიც, როგორც კომპოზიტორს, მთლიანად მას ეკუთვნის, მაგრამ ეს მუსიკა მაილზ დევისის წყალობით გახდა ცნობილი. პირდაპირ ვიტყვი, რომ მილერ-დევისის Tutu-თი ტურნეში წასვლის მთავარი მიზეზი მაინც მისი სარფიანობა მგონია (საოცარია, რომ მაილზ დევისის სახელს დღესაც, მისი გარდაცვალებიდან თითქმის ოცი წლის შემდეგ შეუძლია ფული მოუტანოს მუსიკოსებს). თუმცა სასწრაფოდ, და სრულიად გულწრფელად დავუმატებ იმასაც, რომ მილერი და მისი ბენდი აბსოლუტურად იმსახურებენ ყოველ ცენტს, რასაც ისინი ამ ტურნეში გააკეთებენ. შენ იცი, რომ როდესაც მაილზმა Tutu ჩაწერა, მილერს ბრალი წაუყენეს, – დევისის კარიერა საბოლოოდ დაასამარეო. არც მილერი და არც დევისი ასე არ ფიქრობდნენ. არც მე. Tutu-მ (ალბომს ვგულისხმობ) თბილისში რომ ჩამოაღწია, დაახლოებით ოცდაშვიდის ვიქნებოდი. სრულიად მომნუსხა ამ მუსიკამ. მახსოვს, ჩემი ერთი მეგობარი მეუბნებოდა, – ისეთი დისკია, თითქოს მაილზი სიკვდილის წინათგრძნობითაა შეპყრობილიო. ასე რომ, მეც და ბევრმა დარბაზში მსხდომმა ვიცოდით, რაც უნდა მოგვესმინა. მილერთან ჩემი შარშანდელი საუბრის შემდეგ ვხვდებოდი, რომ ის მაქსიმალურად შეეცდებოდა, არ დაერღვია კომპოზიციების მელოდიური ქსოვილი, მისი მთავარი ღირსება, დანარჩენი კი, როგორც იტყვიან, ტექნიკის საქმეა. მაგრამ მიუხედავად გარკვეული, ლამის წინასწარ განსაზღვრული მოლოდინისა, მილერი არაა ის მუსიკოსი, ყველაფერი შენი მოლოდინის ფარგლებში მოგართვას (ბოლოს და ბოლოს ის ბასისტია, რომელიც ლამის გავიწყებს ბას-გიტარას, როდესაც ბას-კლარნეტს იღებს ხელში). სწორედ ამიტომაცაა, ყველა ჩემ ნაცნობ-მეგობარს რომ ვუჩიჩინებ, – თუ საშუალება გაქვთ, ჯაზ-კონცერტები არ გამოტოვოთ-მეთქი. მხოლოდ ჯაზმენებს შეუძლიათ გამაოგნებლად მოულოდნელი სიურპრიზების შემოთავაზება მუსიკის ცოცხლად შესრულების დროს. მილერის შემთხვევაში, მოსალოდნელი მოხდა – მან ზედმიწევნით აკურატულად დაიცვა კომპოზიციების მელოდიური ქარგები, მაგრამ მათ მიღმა მან, მაილზის „როლის“ შემსრულებელმა, ოცდაექვსი წლის ქრისთიან სქოთმა, ოცდაერთი (!)... წლის საქსოფონისტმა ალექს ჰანმა, დრამერმა რონალდ ბრუნერმა და ფედერიკო გონზალეს პენიამ ...კლავიშებზე მოახერხეს ის, რის გამოც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მსმენელი კონცერტის შემდეგ ფეხზე ამდგარი აცილებს მათ სცენიდან. ეს იყო სპონტანურობის და გათვლის ადვილად გასაგები, მაგრამ საოცრად მძლავრი, ლამის დაუვიწყარი ნაზავი (კონცერტიდან ერთი კვირის შემდეგაც თავიდან ვერ ვიგდებდი Tutu-ს ცნობილ, სამსვლიან ფიგურას). მილერი ყველაფერთან ერთად ძალიან ჭკვიანი მუსიკოსია. სქოთის და ჰანის თავის ბენდში მიწვევით მან მისი მუსიკისათვის აუცილებელი ენერგეტიკული ბალანსის თითქმის უშეცდომო მოდელი შექმნა. მიუხედავად იმისა, რომ მილერის მუსიკალური კონცეფცია (და თვით Tutu-ს სპეციფიკა) დასახულის ფარგლებს გარეთ გასვლის საშუალებას არ აძლევდა არც სქოთს და არც ჰანს, ის ისეთი მოქნილია, რომ თითქმის ამოუწურავი კრეატიულობის შესაძლებლობას აძლევდა მათ დასახულის ფარგლებს შიგნით მასალის გასავრცობად. უნდა გენახა, როგორ აკეთებდნენ ამას ის პატარა ბიჭები, განსაკუთრებით კი სქოთი! ისედაც საინტერესო და მრავალფეროვან მასალას ამოფარებულნი, საყვირით და საქსოფონით. ისინი სულ ახალ-ახალი ფერებით, როგორც ბავშვები აფერადებენ ხოლმე ალბომს, ამდიდრებდნენ მუსიკას. სწორედ ეს იყო მათი მთავარი ფუნქცია. ორივემ კარგად იცოდა, რომ მილერის და ბრუნერის სახით, ლამის არმიის სიმძლავრის რიტმ-სექცია უჭერდათ მხარს, რომ არაფერი ვთქვათ თვითონ Tutu-ს კომპოზიციების ზედმიწევნით ადვილად აღსაქმელ მელოდიურ მონახაზებზე, და ამით (და მაყურებლის მხარდაჭერითაც) წახალისებულნი ცდილობდნენ უფრო ინტერესიური პიგმენტის შერჩევას. უნდა გითხრა, რომ მათ ეს ძალიან კარგად გამოსდიოდათ, ისევე, როგორც, რა თქმა უნდა, მილერსაც. დღეს მსოფლიოში სულ რამდენიმე ბასისტია, ვისაც ყოველ კომპოზიციაში სოლოს დაკვრას „ვაპატიებ“ და მილერი ნამდვილად ერთ-ერთი მათგანია. მისი ბასის საუნდი ოდნავ ერთფეროვანი მგონია, თუმცა ისეთი მძლავრი, რომლის მსგავსიც ალბათ ცოტა მოიძებნება ჯაზში. სწორედ ამიტომაც ვფიქრობ, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ელემენტების გათვალისწინებით, მილერის იმდღევანდელი მუსიკა ერთდროულად ადვილი გასაგებიც იყო და ზომიერი „თავგადასავლებითაც“ სავსე. ასეთ კომბინაციას ადვილად შეუძლია კონცერტის ბოლოს მსმენელის ფეხზე წამოყრა. როგორც ზემოთ ვთქვი, მილერი და მისი მუსიკოსები ამას ნამდვილად იმსახურებენ.

ბევრისთვის Medeski, Martin and Wood ალბათ ყველაზე ძნელად მოსასმენი ბენდი აღმოჩნდა ამ ფესტივალზე. გარკვეული თვალსაზრისით, ეს მოსალოდნელიც იყო. შენ კარგად

იცი, რომ ეს სამი, საოცრად თამამი მუსიკოსი „ლაივების“ დროს არავის ინდობს, საკუთარი თავის ჩათვლით. წინასწარ შეთანხმებულ და წამდაუწუმ ცვალებად თემატურ კონტურებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, ცოცხლად შესრულებული მუსიკის ლამის სამოცი პროცენტი იმპროვიზირებულია. ამ დროს, როგორც ჯონ მედესქიმ ინტერვიუს დროს ამიხსნა, მათთვის ყველაზე მნიშვნელოვან ველში მოსახვედრად, რომელიც მთლიანად განმეორებად „გრუვზეა“ დაფუძნებული, ისინი ისეთ უცნაურ ლაბირინთებში ხვდებიან, რომ ხშირად თვითონაც დიდი ხნით იკარგებიან იქ და სწორედ ამ დროს იწყებს ასეთ მუსიკას ყურმიუჩვეველი მსმენელი დარბაზიდან გასვლას, და მე რომ მკითხო – ნაადრევად, იმიტომ რომ იმ ლაბირინთებიდან გამოსვლისთანავე (და Medeski, Martin and Wood-ის ძირითადი ხიბლი სწორედ ისაა, რომ თვალყური ადევნო, როგორ ახერხებენ ისინი ამ დახლართული აკუსტიკური ლაბირინთებიდან გამოსვლას) მუსიკა ზედმიწევნით მძლავრი და საინტერესო ხდება. ამ დროს ისეთი შეგრძნება გრჩება, თითქოს „შერეკილი პროფესორების“ ლაბორატორიაში ხვდები. მათი ე.წ. „ტანის ენა“ სრულიად სხვაა, ვიდრე ფესტივალის დანარჩენი მონაწილეების. ჯეიმზ ქართერი, კურტ ელინგი და მარკუს მილერი (Kool and the Gang-ზე აღარაფერს ვამბობ), როგორც ეს ნამდვილ ბენდ-ლიდერებს შეშვენით, ოდნავ დაგვიანებით შემოდიოდნენ სცენაზე. ისინი საოცრად დახვეწილ მუსიკას უკრავდნენ, მაგრამ ყოველი მათგანი სცენაზე ქცევის გარკვეულ დრამატურგიას მიჰყვებოდა. ისინი კ ო ნ ც ე რ ტ ს უკრავდნენ და აშკარად იგრძნობოდა, და ამაში ცუდი არაფერია, რომ ისინი, როგორც ნამდვილი „ენთერთეინერები“, დარბაზზე მუშაობდნენ. აქ იმის ხსენებაც ღირს ალბათ, რომ თითოეულ მათგანს სცენისთვის შესაფერი, კარგად შერჩეული ტანსაცმელი ეცვა. MMW-ის შემთხვევაში, ყველაფერი ოდნავ სხვანაირადაა (მედესქის იგივე გარღვეული მაისური ეცვა, რაც ინტერვიუს დროს). მათ ინსტრუმენტებიც კი განსხვავებულად აქვთ განლაგებული სცენაზე, საკმაოდ ახლოს ერთმანეთთან და ისე, რომ დაკვრისას ერთმანეთს უყურონ. მათ სცენაზე, ინსტრუმენტების და მუსიკის გარდა, არაფერი ესაჭიროებათ; ის კი წამდაუწუმ გაურბის და ხელახლა უბრუნდება მათ და ამ ყველაფრის ყურის გდება ძალიან დიდ ყურადღებას მოითხოვს მსმენელისაგან. ზოგმა ამას გაუძლო, ზოგმა კი ვერ გაუძლო. ეს ნორმალურია, რადგანაც ამავე დროს, ვინაიდან საკმაოდ ახლოს ვიჯექი სცენასთან, იმის მომსწრეც გავხდი, თუ როგორ „მონუსხა“ მათმა მუსიკამ ახალგაზრდების გარკვეული ნაწილი. წლევანდელ ფესტივალზე MMW ერთადერთი ბენდი იყო, რომელსაც უნარი შესწევდა, ახალგაზრდები ინსტრუმენტის ხელში აღებაზე წაეხალისებინა. გახსოვს, ფოლ ბაულზის Tea in Sahara-ში ფორთს, წიგნის მთავარ გმირს რომ ეკითხებიან, – რა განსხვავებაა ტურისტსა და მოგზაურს შორისო? ის პასუხობს, – ტურისტმა ყოველთვის იცის, რომ უკან დაბრუნდება, მოგზაურს კი ამის იმედი არ აქვსო. ჰოდა, MMW-ის მუსიკა არაა ზურგჩანთა-მოგდებული, გათელილ ბილიკებს აკიდებული ტურისტის სახე. ის უფრო პოლკოვნიკ კურცის საძებნელად გაუვალ ჯუნგლებში შეხირებულ მარლოს ჰგავს. არის ისეთი ტიპის კ ა რ გ ი მუსიკა, რომელიც უკან დასაბრუნებელ ყველა გზას გიჭრის და ეს სწორედ ისაა, რასაც MMW აკეთებს... „ამაზე უკეთესადაც გამოგდით ხოლმე?“ — შევეკითხე ბილი მარტინს კონცერტის შემდეგ. „ღმერთმა უწყის, – მომიგო მან, – ეს ცხოვრებისავითაა. ზოგჯერ რაღაცები გამოგდის, ზოგჯერ კია არა“. მართლა ძალიან მაინტერესებს მათი კიდევ ერთხელ მოსმენა ცოცხლად. იმასაც ვისურვებდი, მედესქიმ ერთ მშვენიერ დღეს ფორტეპიანოზე სოლო დისკის ჩაწერა რომ გადაწყვიტოს. როდესაც ის ელექტრონული „ქიბორდებიდან“ ფორტეპიანოზე ინაცვლებდა, ნამდვილი მონსტრი ხდებოდა.

ეჭვი მაქვს, რომ ჩვენმა მაყურებელმა წინასაფესტივალო „საშინაო დავალება“ არც ისე კარგად შეასრულა, რადგანაც ჩემთვის სრულიად წარმოუდგენელია, ვინმეს თუნდაც ერთი გვერდი წაეკითხა კურტ ელინგის შესახებ ინტერნეტში, ან რაც უფრო მნიშვნელოვანია, თუნდაც ერთი-ორი სიმღერა მოესმინა, და კონცერტზე მოსვლა არ მოსდომებოდა (რა თქმა უნდა, საამისო სახსრები თუ ჰქონდა). პრინციპში, შემიძლია ვთქვა, რომ კურტ ელინგმა ლამის გადაშენების პირას მდგარი ვოკალური ჯაზი გადაარჩინა (ეს ჩემი აზრი არაა) და ძალიან მაინტერესებდა, იმ საღამოს რა მოხდებოდა. მოხდენით კი ის მოხდა, რომ დარბაზის ნახევარიც კი არ შევსებულა იმ არტისტის კონცერტზე, რომელმაც რამდენიმე ხნის წინათ იგივე პროგრამით ქარნეგი ჰოლი ორი საღამოს განმავლობაში გაავსო. რა თქმა უნდა, ელინგისნაირი არტისტისგან იმის შიში არ უნდა მქონოდა, რომ ამის გამო ის თავის წარმოდგენას (შესაბამისად ჩვენც), რაიმეს დააკლებდა, მაგრამ კონცერტის დაწყებამდე მაინც მოუსვენრად ვიყავი. კარგი, ამას შევეშვათ... მე საფუძვლიანად მყავს ელინგი მოსმენილი და, შესაბამისად, სხვა დანარჩენი მუსიკოსების მსგავსად, ვიცოდი, მათგან რისი მოლოდინიც უნდა მქონოდა, მაგრამ ის, რაც იმ საღამოს ელინგმა და მისმა ბენდმა გააკეთეს, მოლოდინს მიღმა იყო. ვიდრე კონცერტის შესახებ მოგიყვებოდე, ერთს გეტყვი: ქართველ მსმენელს ნამდვილად აქვს კარგი და ღრმა მუსიკის დაფასების უნარი; ამაში კიდევ ერთხელ იმ დღეს დავრწმუნდი. ნიუიორკისგან განსხვავებით, დარბაზში ელინგის მრავალრიცხოვანი ფანები არ ისხდნენ; აქ ძირითადად ასეთი მუსიკისათვის თითქმის მოუმზადებელი პუბლიკა იყო – უფრო ახალგაზრდები; უფრო მეტიც, ეჭვი მაქვს, რომ ჯაზ-ვოკალი, მით უმეტეს მისი საკმაოდ ახალგაზრდა განშტოება – ვოკალიზი, ახალგაზრდების საყვარელი მუსიკა არ უნდა იყოს. ისიც არ ვიცი, მათგან ვინმე უსმენს თუ არა ასეთ მუსიკას. ალბათ ერთეულები. ვერც გამტყუნებ. ვოკალური ჯაზი ნამდვილად არაა ჯაზის ის ნაწილი, რომლითაც ახალგაზრდებს ჯაზში შეიტყუებ. ხშირად ის სრულიად მოსალოდნელი კლიშეების ფარგლებშია გაჭედილი და მოკლებულია ყოველგვარ კრეატიულ მუხტს. ეს შენც კარგად იცი. ჰოდა, აბა, რატომ უკვირთ, თუკი მათ Radiohead-ის, Nine Inch Nail-ის ან სულაც ელექტრონული მუსიკის მოსმენა უფრო აინტერესებთ? არ დაგიმალავ და გეტყვი, რომ მიუხედავად, როგორც უკვე ვახსენე, საკმაოდ სერიოზული მოლოდინისა, იმაში დარწმუნებული მაინც არ ვიყავი, რომ ელინგი მოულოდნელობებით სავსე მუსიკას შემოგვთავაზებდა. მართალიც აღმოვჩნდი, მაგრამ აქ უკვე ყველაზე მნიშვნელოვანთან მივედი: ჰო, მუსიკა, რაც ელინგმა და მისმა საოცრად დახვეწილმა და შეკრულმა ბენდმა დაუკრეს იმ საღამოს, ჯაზ-ვოკალისთვის სრულიად მოსალოდნელი ინტონაციებით და განწყობით იყო სავსე, მაგრამ მე არასდროს, არსად არ მომისმენია მუსიკოსისთვის, რომელსაც ჯაზური სტანდარტების ასეთი ორიგინალური ინტერპრეტაციის უნარი ჰქონოდეს, ვინც სრულიად გამაოგნებელია, როგორც სიმღერების ტექსტების ავტორი და ვისაც ასე კარგად ესმის მისივე სუსტი და ძლიერი მხარეები. ელინგი არაა ისეთი ქარიზული სცენაზე, როგორც სინატრა ან ენდი ბეი; ან საერთოდ სხვაგან თუ გავუხვევთ, მას ჩეთ ბეიქერის (ხომ გახსოვს, როგორ მღერის ის, როდესაც საყვირს პირიდან იცილებს?) ქარიზმის ნახევარიც

კი არ დასიზმრებია. და მაინც, როდესაც ის სცენაზე დგას, ეს საშუალო სიმაღლის, გამხდარი მამაკაცი, ის „შავი ხვრელივით“ იზიდავს ნებისმიერ ბგერას, ნებისმიერ ჟესტს, ნებისმიერ მზერას. მას მასალაში იმდენად ღრმა ჩასვლის უნარი აქვს, რომ თუ გაბედავ და გაჰყვები (ან ჩაჰყვები – ეს სიტყვა უფრო სწორი უნდა იყოს, არა?) იმავეს დაგანახებს, რისი ჩვენების უნარიც სერენუს ცეიტბლომის მიერ აღწერილ ედრიან ლევერკიუნის მუსიკას ჰქონდა თომას მანის „დოქტორ ფაუსტუსში“. ელინგი წარმოუდგენელი ს ი ღ რ მ ი ს მეშვეობით ახერხებს შენ მონუსხვას. ეს მისი ალბათ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მხარეა და სწორედ ამის მეშვეობითაა ის ისეთივე თანა-მედროვე, როგორებიც არიან თუნდაც თომ იორქი ან მაიქლ სთაიფი. უბრალოდ, მათგან განსხვავებით, ის ჯაზის „კარს“ ხმარობს იქ მოსახვედრად. თუ შემეკითხები, რას ვგულისხმობ სიტყვა „სიღრმე“-ში, გიპასუხებ: როდესაც ვერბალურ (როგორც ეს ელინგის შემთხვევაშია, რადგანაც ის მომღერალია) და ძალიან მძლავრ, უკვე ისტორიის საკუთრებად ქცეულ ფუნდამენტს (როგორც ეს ჯაზის შემთხვევაშია) დაყრდნობილი მუსიკოსი ახერხებს, მოაცილოს მუსიკას მხოლოდ აღქმის ზედაპირული, „მოძრავი სურათებით დასახლებული“ ვიზუალური შესაძლებლობები, და აქციოს ის ისეთ ველად, სადაც თითოეული ნოტი და სიტყვა ახალ, არტისტის მიერ შემოთავაზებულ გამოცდილებად და ლამის ახალ აკუსტიკურ რეალობად აღიქმება. ასეთ შემთხვევებში, საუნდი უკვე მუსიკოსის ცხოვრებისეული გამოცდილების შედეგია. ელინგის შემთხვევაში, ეს არა ტყუილუბრალოდ გატარებული ცხოვრების, და წინა თაობის მუსიკოსების მიერ დატოვებული მემკვიდრეობის ახლებურად გააზრების „საუნდი“ იყო. ელინგმა მოახერხა ჯაზში იმ კარის გაჭრა, საიდანაც ჯაზის ისტორია, ყოველი შემთხვევისათვის ვოკალური ჯაზის ისტორია, თ ა ვ ი დ ა ნ იწყება. კიდევ ერთს დავამატებ: არ ვიცი, მოსმენილი გყავს თუ არა ელინგი ცოცხლად (რამდენადაც ვიცი, ყველა თუ არა მნიშვნელოვანი ჯაზმენების უმრავლესობა მოგისმენია), და თუ გყავს, დამეთანხმები, რომ ლორენს ჰობგუდი (ერნი უოთსმა მაპატიოს. ის, რა თქმა უნდა, დიდებული იყო!), მისი პიანისტი და არანჟირებების ავტორი, ალბათ ერთ-ერთი ყველაზე ბოლომდე არდაფასებული მუსიკოსია მუსიკალურ ინდუსტრიაში. ერთი შეხედვით (ან ერთი მოსმენით, თუ ასე უფრო მოგიხერხდება), ჰობგუდი თითქოს კიდევ ერთი ჯაზ-ვოკალისტის კიდევ ერთი პიანისტია, რომლის მთავარი დანიშნულებაც ისაა, რომ მომღერალს მისთვის საჭირო ტერიტორიებზე მოხვედრისათვის აუცილებელი გზები გაუხსნას. ის, რა თქმა უნდა, ყველაფერ ამას აკეთებს, მაგრამ ელინგის მუსიკა „ლაივების“ დროს ნამდვილად ვერ გასცდებოდა კარგ პროფესიონალურ დონეს, ჰობგუდი მხოლოდ და მხოლოდ ამისთვის რომ იდგეს (იჯდეს) სცენაზე. ელინგმა ძალიან კარგად იცის ჰობგუდის, როგორც პიანისტის და მისი სიმღერების არანჟირების ავტორის ფასი და ამიტომაც სრულიად ენდობა მას. ბოლოს და ბოლოს, რომელი ჯაზ-ვოკალისტი გაბედავს, თითქმის ექვსი წუთის განმავლობაში „თავის ნებაზე“ მიუშვას პიანისტი, არა იმისთვის, რომ ამ უკანასკნელმა სოლო დაუკრას, არამედ ბასისტთან და დრამერთან (საოცრად დახვეწილი ულისიზ ოუენსი) ერთად თითქმის ექვსი წუთის განმავლობაში ორ თუ ოთხ-ნოტიან drone-ზე შეაჩეროს მუსიკა საჭირო განწყობის შესაქმნელად? ყველაზე კარგი კი ისაა, რომ როგორც ყოველთვის, დიდებული მუსიკის მოსმენისას მსმენელი აბსოლუტურად ადეკვატურად აღიქვამდა მუსიკოსების ინტენციებს და შესაბამისად რეაგირებდა. რომ იცოდე, როგორ მწყდება გული, ბევრმა რომ ვერ მოახერხა ელინგის იმდღევანდელი გამოსვლის მოსმენა! ეს ის მუსიკა იყო, ვუდი ალენი თავისი ფილმებისათვის რომ გამოიყენებდა, ნიუ-იორკის ნაცვლად, ჩიკაგოში რომ გადაეღო ისინი...

ეიბ, შენ თუ აქამდე მოახერხე ტექსტის ჩაკითხვა, ნამდვილ მეგობარს გინოდებ! ვიცი, არ გითხოვია ასე დაწვრილებით მომეყოლა შენთვის ფესტივალის შესახებ; ჩათვალე, რომ სტატიის დაწერის მიზნით გავბედე შენი მოთმინების გამოცდა. თუ ცოტასაც გაუძლებ, ორიოდე სიტყვით ქართველებზეც გიამბობ; ცოტას იმიტომ არა, რომ ცოტა მაქვს სათქმელი, უბრალოდ ყველა ზემოთ ნახსენებ მუსიკოსს კარგად იცნობ და მათ კონცერტებზეც ყოფილხარ, ქართველები კი არ მოგისმენია, რაც პრინციპში ჩემი ბრალია. მე უნდა მომსვლოდა თავში, ამდენი ხნის განმავლობაში ერთი ნორმალური კრებულის გამოგზავნა შენთვის. გამოვასწორებ, გპირდები (ძალიან კარგი იქნება ჯესიქა უილიამზსაც თუ მოასმენინებ, რა თქმა უნდა, თუ ეს შესაძლებელია). მინდა, გითხრა, რომ მიუხედავად წერილის დასაწყისში გამოხატული ჩემი სიხარულისა, ქართველი მუსიკოსების ფესტივალში მონაწილეობის გამო, მაინც მიკვირს, თუ რატომ ვერ ახერხებს მუსიკოსების გარკვეული ნაწილი ერთი წლის განმავლობაში ისეთი პროგრამის მომზადებას, ფესტივალზე რომ გამოვიდნენ. არადა, ქართველების მონაწილეობას მართლაც დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ფესტივალისთვისაც. ამას წინათ უინთონ მარსალისის წიგნში ერთ ასეთ რამეს გადავაწყდი: წიგნის დასაწყისში თავის ბავშვობაზე, მამამისზე და მის მეგობარ ჯაზმენებზე ჰყვება. იხსენებს, რომ მამა და მისი მეგობრები მხოლოდ სამი შეკითხვით არკვევდნენ, ღირდა თუ არა ამა თუ იმ მუსიკოსთან საქმის დაჭერა. შეკითხვები კი ასეთი იყო: „იცის თუ არა მან დაკვრა?“ „აქვს თუ არა მას კარგი იდეები და გამოკვეთილი ბგერა?“ და „შეუძლია თუ არა კარგი სუინგის „დაჭერა“? ქართველი მუსიკოსების შემთხვევაში, პირველ შეკითხვაზე პასუხი სრულიად ნათელია, – რა თქმა უნდა! მესამე შეკითხვაზე ასე ვიტყოდი: მარსალისის მამის თაობა ოდნავ სხვა კრიტერიუმებით აფასებდა ჯაზს, მას შემდეგ მუსიკა ძალიან შეიცვალა და ბევრისთვის სუინგის მეშვეობით „გახურება“ თვითმიზანი არაა, თუმცა ამ შემთხვევაშიც ვიტყოდი, რომ ქართველებს ესეც შეუძლიათ. მოკლედ, იმ დღეს, როდესაც ქართველები უკრავდნენ, ჯაზის ყველა აუცილებელი ელემენტი ადგილზე იყო (ისინი საკმაოდ გამოცდილი მუსიკოსები არიან, არაერთ მნიშვნელოვან მუსიკოსთან ერთად დაუკრავთ კარიერის განმავლობაში და, რაც მთავარია, საქართველოში ჯაზის შემდგომი ბედი გარკვეულწილად მათ ხელშია), მაგრამ ჩემთვის ყველაზე საინტერესო მაინც ისაა, თუ როგორ მოვახერხებ მეორე შეკითხვაზე პასუხის გაცემას. ამას ალბათ შემდეგ წერილში გავაკეთებ, უკვე იმის შემდეგ, დისკს რომ გამოგიგზავნი; შენთვისაც ასე აჯობებს, უკვე მოსმენილი გექნება მათი მუსიკა და ტყუილუბრალოდ არ მოგიწევს ჩემი ლაყაფის კითხვა.

მორჩა, ჩემო მეგობარო. ესაა და ეს. დიდი მადლობა ყურადღებისთვის და ყველაფრისთვის, რასაც ჩემთვის აკეთებ ამდენი ხნის განმავლობაში. იმედი მაქვს, მალე შევხვდებით, მნიშვნელობა არ აქვს, შტატებში იქნება ეს თუ საქართველოში. პირადად მე ვისურვებდი, რომ შემდეგი წლის ჯაზ-ფესტივალი ერთად მოგვესმინა. ჩათვალე, რომ წერილის ბოლოს აი, ამ სახით მიიღე ჩემგან ოფიციალური მოპატიჟება.

გეხვევი მეგობრულად
კახა

ინტერვიუ კურტ ელინგთან

<<< დასაწყისი გვ. 58

მაგრამ თუ ჩვენ უკვე ინტერნეტში შევხვდით ერთმანეთს და facebook-ის მეგობრები ვართ, მაშინ ეს ნამდვილი გამონვევაა ჩემი კრეატიულობისთვის. თუმცა, რა უცნაურადაც უნდა ჟღერდეს ჩემი სიტყვები, ეს ამავე დროს ახალი შესაძლებლობაცაა. რატომ? იმიტომ, რომ როდესაც ადამიანების ოთხმოცი პროცენტი ერთ მხარეს იხედება, შენ კი სხვა მიმართულებით გაიხედავ, შესაძლოა, ახალ სამუშაო სივრცეში მოხვდე. ერთადერთი მინუსი, რაც ამას შეიძლება ჰქონდეს, ისაა, რომ შეიძლება არავის მოუნდეს შენთვის ამაში ფულის გადახდა.

რამდენად რჩება დღეს ჯაზი ამერიკის კულტურული იდენტურობის ბარომეტრად?

ჯაზს რთული და ამავე დროს შესაძლებლობებით სავსე დრო უდგას. რთული – იმიტომ, რომ ამ მუსიკის მხარდაჭერისთვის აუცილებელი ორგანიზაციები, ხმის ჩამწერ კომპანიებს ვგულისხმობ, გადაშენების გზას ადგას. იშლება მსმენელისთვის ჯაზის მიწოდების ტრადიციული საბაზრო გზები. გამიმართლა, რომ ინფრასტრუქტურის დეზინტეგრაციის პროცესის დაწყებამდე ლამის ერთ-ერთი უკანასკნელი აღმოვჩნდი Blue Note-ისთვის საინტერესო მუსიკოსთა სიაში. Blue Note-ის მეშვეობით ტურნეებში სიარული დავიწყე და დღეს უკვე მყავს მსოფლიოში მსმენელის გარკვეული რაოდენობა, ვისაც მოსმენილი აქვს ჩემი ცოცხალი გამოსვლები. შესაბამისად, მე უკვე მაქვს იმის საშუალება, რომ სწორედ მათთვის გავაგრძელო მუსიკის წერა. მეორე მხრივ, შესაძლებლობებით სავსე დრო ჯაზს იმიტომ უდგას, რომ ჯაზმენები იმპროვიზატორები ვართ და გამუდმებით ქ ა ო ს შ ი გვიწევს ყოფნა. თუ ჩვენ ძალას არ დავიშურებთ მუსიკის მსმენელამდე მიღწევის ახალი გზების საძებნელად, ალბათ სხვაზე უკეთეს მდგომარეობაში აღმოვჩნდებით, რადგან ქაოსთან ურთიერთობა ჩვენ უკვე რუტინად გვექცა; აბსტრაქტულ ფორმებთან ურთიერთობის უნარი ჩვენში ბუნებრივადაა ჩადებული, ბაზარი კი სხვა არაფერია, თუ არა აბსტრაქტული ფორმა.

თქვენი კონცერტები, საჯარო გამოსვლები და ინტერვიუები სავსეა მეისტერ ეკჰარტის, ჯალალედინ რუმის, სოლ ბელოუს, ფრიდრიჰ ჰოლდერლინის თუ რილკეს ციტატებით. ეს ერთგვარი ფარული მცდელობაა, რომ ადამიანებს ფრთხილად მიაწოდოთ ეს ავტორები და მათი ტექსტები თუ ეს ისაა, რაც თქვენი მუსიკალური მუხტის დამატებით პროვოცირებას ახდენს?

ეს მთლიანი სურათის დეტალია. ყველა ეს და სხვა დანარჩენი ავტორების ტექსტები რომ არ წამეკითხა, სრულიად განსხვავებული წარმოდგენა მექნებოდა იმის შესახებ, თუ რა მიმართულებით უნდა მემოძრავა როგორც სიმღერების ტექსტების ავტორს. როგორც კი აღმოვაჩინე, თუ როგორ აკეთებდნენ ამას ჯონ ჰენდრიქსი და სხვა დიდი მომღერლები, მაშინვე მივხვდი, რომ მეც მეძლევა საკუთარი ინდივიდუალობის გამოხატვის შანსი და რომ არსებობს გზები, რომელთა მეშვეობითაც შემიძლია ჯაზში ჩემთვის საინტერესო იდეების შემოტანა; თან მთელი ეს პროცესი საშუალებას მომცემს, გავერკვე, თუ ვინ ვარ მე როგორც მუსიკოსი და როგორც პიროვნება. აქაც გამიმართლა, რადგანაც ვოკალიზი, როგორც ვოკალური სტილი ჯაზში (*ვოკალიზი – სტილი ვოკალურ ჯაზში, როდესაც მომღერალი ორიგინალურ ტექსტს წერს სხვა მუსიკოსის მიერ შექმნილ ინსტრუმენტულ მასალაზე. კ.თ*) ძალიან ახალგაზრდა ხელოვნებაა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ჟანრში საკმაო რაოდენობის დიდი მუსიკოსი მუშაობდა, დღეს ახლის შემოსატანად მაინც საკმარისი სივრცეა დარჩენილი. როდესაც პოეზიის ისტორიაზე ფიქრობ, ხვდები, რომ არ არსებობს თუნდაც ერთი უმნიშვნელო, მცირედი თემაც კი, რასაც პოეტის სიტყვა არ შეხებია. სამაგიეროდ, თითქმის ყამირი მიწაა ის ტერიტორია, სადაც მე ვმუშაობ. წინათ სიმღერის ტექსტების თემატიკა ძირითადად ამგვარი იყო: „ჰეი, საყვარელო, წამომყევი სახლში“... ან სხვა რაიმე მსგავსი. ამან საკმაოდ დიდი შანსი დამიტოვა ჟანრის შემდგომი განვითარებისათვის. თანაც, მე ხომ აკუსტიკური შედევრების თითქმის ამოუწურავ მარაგს ვიყენებ სამუშაოდ, უეინ შორთერით დაწყებული და ჰერბი ჰენქოქით დასრულებული?!

იმ აკუსტიკური შედევრების ძალიან დიდი ნაწილი, რომლებზეც ახლა ვსაუ-

ბრობთ, იმ მიზნით ნამდვილად არ იწერებოდა, რომ შემდგომში მათთვის ვინმეს სიტყვები მოერგო. როგორც მუსიკის რიგითმა მსმენელმა, რა გზა უნდა გაიაროთ იმ მომენტამდე, რომ ზავინულის, შორთერის ან ჯარეთის ინსტრუმენტულ კომპოზიციებზე სიტყვების შექმნის გადაწყვეტილება მიიღოთ?

როგორც ყველა ჯაზის ფანი, მეც ასჯერ და ათასჯერ ვუსმენ ხოლმე იმას, რაც მომწონს, შემდეგ კი რაღაც უნდა მოხდეს ჩემში ისეთი, რაც მაგრძნობინებს, რომ ამა თუ იმ ინსტრუმენტულ მასალას თუ გამოვიყენებ, ის აუცილებლად გასაგები იქნება ადამიანებისთვის. იდეები ყოველთვის უფრო მნიშვნელოვანია ჩემთვის, ვიდრე ის, თუ როგორ მივაწოდებ მათ მსმენელს. ამით იმის თქმა მინდა, რომ ეს უკანასკნელი უკვე ჩემი, როგორც პროფესიონალის აქტივობის ის ნაწილია, რაც მე კარგად ვიცი, როგორ ვაკეთო. თელონიუს მონქს ისეთი საშემსრულებლო ტექნიკა არ ჰქონდა, როგორიც დანარჩენ პიანისტებს, მაგრამ ისეთი მძლავრი იდეების მატარებელი იყო, რომ ყველა მასზე სწორდებოდა. მინდა, რომ ის მისტერიები, რასაც მე ვქმნი, სწორედ იდეების მეშვეობით აღწევდეს მსმენელამდე და თან რაც შეიძლება გასაგები ფორმით. ვოკალიზი ისედაც რთული ჟანრია და მე არ ვილტვი ზედმეტი სირთულისკენ. შესაბამისად, ვირჩევ ისეთ მასალას, რომელშიც უკვე დევს ეს შესაძლებლობები.

ალბათ სწორედ ამიტომ მიგაჩნიათ, რომ კონცერტების დროს აღსაქმელად რთული მუსიკის შესრულებისას აუცილებელია სიტყვით ან თუნდაც ჟესტიკულაციით დაეხმაროთ მსმენელს. რატომ გგონიათ, რომ მსმენელს არტისტის დახმარება ესაჭიროება?

ჯაზს რაც შეეხება, არ მინდა მსმენელის თვალში, როგორც ჩვენ ვამბობთ ხოლმე, „ყოვლისმცოდნე სემივით“ გამოვიყურებოდე და წამდაუწუმ ვუჩიჩინო, თუ როგორ უნდა უსმინონ ჩემს მუსიკას. მინდა, ჩემი მსმენელი, რამდენადაც შესაძლებელია, მრავალრიცხოვანი გავხადო, მაგრამ ეს მარტო ჩემი წარმატებისთვის კი არა, ჯაზის შემდგომი პოპულარიზაციისათვის მჭირდება. თუ კონცერტზე კარგად ვიმუშავებ და ამ დროს ადამიანებს ხელს შევუწყობ, რომ ჯაზის სმენისას ღრმა ემოციები განიცადონ, მაშინ ისინი ისევ მოვლენ ჩემ მოსასმენად, მაგრამ ამჯერად მათ უკვე ეცოდინებათ, თუ ვინაა უეინ შორთერი ან ლესთერ იანგი, რადგანაც პირველ კონცერტზე უკვე ვახსენე მათი სახელები და მოვახერხე ამ მუსიკოსებით მსმენელის მოხიბვლა. მე შევქმენი ველი, სადაც ადამიანებს გაუჩნდათ კითხვა: „ვინაა უეინ შორთერი? ვინაა ლესთერ იანგი?“ ეს კი უკვე პატარა ნაბიჯია ჯაზის სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად. მომღერლები ყოველთვის ჯაზის ერთგვარი ელჩები იყვნენ, რადგანაც, მელოდიის გარდა, ისინი სიტყვებითაც ოპერირებენ. ყველას შეუძლია ცოტ-ცოტა სიმღერა და, სიმღერა თუ არა – ლაპარაკი მაინც. ამიტომაც უმრავლესობისათვის კარგად გასაგებია მომღერლების მიერ შექმნილი ვიბრაციები და ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის. არ ვარ დარწმუნებული, რომ მსგავსი მიდგომა ყველა მუსიკოსისათვის მისაღებია. მაილზ დევისი კონცერტების დროს, როგორც წესი, მსმენელისკენ ზურგშექცევით იდგა და ისე უკრავდა. ეს მას გასდიოდა იმიტომ, რომ მსოფლიოში ერთადერთი მაილზ დევისია, არა? მაილზი მაღლა დაფრინავდა, კურტ ელინგი კი დაბლა, ბევრად უფრო დაბლა დაფრინავს. სწორედ ამიტომ მე უფრო მეგობრულად უნდა ვიყო განწყობილი მსმენელისადმი.

ტურნეების დროს თქვენ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ხვდებით და ალბათ ხშირია, როდესაც მსმენელს არ ესმის, თუ რაზე მღერით, იმ უბრალო მიზეზით, რომ ინგლისური არ იციან. არადა თქვენი შემოქმედებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ესმოდეთ, რაზე მღერით. როგორ იქცევით ასეთ შემთხვევებში?

მე საკმაოდ რთული მუსიკალური ფორმებით ვმუშაობ და შეჩვეული ვარ, რომ თვით ინგლისურენოვან მსმენელსაც არ ესმის ყველაფერი პირველივე მოსმენით, არაფერს ვამბობ არაინგლისურენოვან მსმენელზე. ასეთ შემთხვევაში უბრალოდ ჯაზის ძირითად ელემენტებს ვეყრდნობი – საწყის რიტმს, მელოდიას, სუინგს. ეს ასეა და სხვას ვერაფერს იზამ. კონცერტის დროს ყველა ყველაფერს ბოლომდე ვერ აღიქვამს. სცენაზე დგახარ და შენ ცხოვრებისეულ გამოცდილებას უზიარებ მათ, მაგრამ ადამიანები შენ მოსასმენად საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილებით დატვირთულები მოდიან. მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ როგორ ხასიათზე არიან ისინი ამ დროს – ეძინებათ თუ არა, მშივრები ხომ არ არიან, რამდენად საზრიანები არიან, რამდენად სწრაფად მიედინება მუსიკა და ასე შემდეგ. ამიტომაც, კონცერტების დროს ვცდილობ, ცოტა დრო მათთან სასაუბროდ დავიტოვო, ვუჩვენო, რომ ძალისხმევას არ ვიშურებ, და ამ დროს ადამიანები ხვდებიან ძირითადს, ემოციურ დონეზე მაინც. ხოლო თუ ისინი კიდევ ერთხელ დაესწრებიან ჩემ კონცერტს, უკვე უფრო ღრმად „შევტოპავთ“. ეს ისაა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჯაზ-ინსტრუმენტალისტებისთვისაც, ვინაიდან ისინი სიტყვებს კი არა, მუსიკის ძალას ეყრდნობიან. როდესაც ისეთი მუსიკოსები, როგორებიც არიან თერენს ბლანჩარდი ან ჯონ სქოფილდი, სცენაზე დგანან, მათ მუსიკის ენის გარდა არც ერთ ენაზე საუბარი არ ესაჭიროებათ და ეს უბრალო გართობა არ გეგონოთ, რადგანაც ინსტრუმენტულ მუსიკას შეუძლია იმის გაკეთება, რასაც ვოკალური ჟანრი ვერ მიაღწევს. ინსტრუმენტულ მუსიკას ძალუძს დარბაზში მსხდომ თითოეულ ადამიანს თავის საკუთარ, ინტიმურ ენაზე ესაუბროს, რადგანაც მუსიკა ენის მიღმა დგას და ამ დროს ვიღაცას ეღიმება იმიტომ, რომ რაღაც ახსენდება, ვიღაცას – იმიტომ, რომ ესა თუ ის მუსიკალური ფრაზა სასაცილო ისტორიას ახსენებს, ვიღაცას იმიტომ, რომ ის ღმერთზე ფიქრობს, ვიღაცას კი იმიტომ, რომ საყვარელ ადამიანზე ფიქრობს. ზოგჯერ, როდესაც ასეთ მძლავრ მუსიკაზე სიტყვების დადებას ვიწყებ, ეჭვი მღრღნის, რამდენად სწორად ვიქცევი, ზიანს ხომ არ ვაყენებ, როდესაც ასეთი სიმძლავრის აუდიო მოვლენას სიტყვების მარწუხებში ვაქცევ? მე ხომ ამ დროს, ვთქვათ, როდესაც უეინ შორთერის მუსიკას მოვიხმარ მასალად, მხოლოდ ერთ, სიტყვებით მონიშნულ არხს ვუტოვებ მსმენელს? შესაბამისად, ის შემდგომშიც მხოლოდ ამ

გზით აღქმულ მუსიკას გაიხსენებს. არადა, როდესაც უეინ შორთერი, რომელიც ნამდვილი ბოდჰისატვაა, უკრავს, დარბაზში მყოფ თითოეულ ადამიანს მუსიკის მეშვეობით იმ მომენტში შეძენილი საკუთარი გამოცდილება მიაქვს თან და ამ ყველაფერს არავითარი საერთო არ აქვს სიტყვასთან.

ჩარლზ მინგუსი ხშირად იმეორებდა, რომ ყველას შეუძლია მარტივის გართულება, მაგრამ ძალიან ცოტას – რთულის გამარტივება. მისი რწმენით, კრეატიულობის არსი სწორედ რთულის გამარტივებაშია. თქვენ ჩიკაგოს Divinity School-ის ყოფილი სტუდენტი ბრძანდებით, სადაც რელიგიის ფილოსოფიას სწავლობდით. ფილოსოფიის არსი კი, როგორც ერთი ძალიან ცნობილი და პოლიტიკურად კონტროვერსიალური გერმანელი ფილოსოფოსი ამბობდა, ისაა, რომ „შენ გარშემო ყველაფერი გაართულო". როგორც ფილოსოფიის ფაკულტეტის ყოფილ სტუდენტს, ახალ მასალაზე მუშაობის პროცესში თქვენც ხომ არ მიგიწევთ გული რაღაც-რაღაცების ჯერ გართულებისკენ, ვიდრე საბოლოო, გამარტივებულ ფორმას შესთავაზებთ მსმენელს?

ახალგაზრდობაში ალბათ კი. ახალგაზრდობაში ბევრი რამაა ისეთი, რასაც არასწორად იგებ. გეჩვენება, რომ თუ რაღაც-რაღაცებს გაართულებ, უფრო ღრმად ჩაწვდები ამას ან უბრალოდ შესაძლებელია, ჯერ არ გაგაჩნია შენში დაგროვილის ნათლად წარმო-ჩენის უნარი. სწორედ ამისთვის გვეძლევა ის წლები, რაც ჩვენივე გასავლელია. ეს ის შანსია, რაც შემდგომი დახვეწის და განვრცობის საშუალებას გაძლევს. არავინ იბადება თავისი საქმის ოსტატად. ოსტატი ხდები იმ შემთხვევაში, თუ დაუღალავად მუშაობ და კიდევ იმიტომ, რომ დროთა განმავლობაში აუცილებელ სიბრძნეს იძენ. ყველა ჩვენგანი სწორედ აქეთკენ მიილტვის. ახალგაზრდობაში უამრავი სულელური იდეა გაწუხებს, ამ დროს ბევრი ისეთი რამ გთავაზობს თავს, რაც შენ არ გეკუთვნის და რაც დროის განმავლობაში უნდა მოიშორო; შეიძლება პირიქითაც მოხდეს და რაღაც ძალიან მძლავრი და ლამაზი შემოიჭრას შენში, ის, რაც შენივე ინდივიდუალობის განუყოფელი ნაწილია და არა უბრალო პოზა. ამ შემთხვევაშიც ბევრი მუშაობა დაგჭირდება იმისთვის, რომ ეს მძლავრი მუხტი შეინარჩუნო. სწორედ ამიტომ არიან ხანში შესული ადამიანები საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი. მათ მთელი ეს სამუშაო შესრულებული აქვთ, და მაინც, მიუხედავად ამისა, ისინი შეიძლება იყვნენ ან შეიძლება არა საკუთარი ცხოვრების მფლობელნი. არსებობენ ბრიყვი ხანდაზმულები და ბრძენი ხანდაზმულები. ეს უკანასკნელნი საკუთარი ცხოვრების და ხელოვნების ბატონ-პატრონები არიან, იმ დროს, როდესაც დანარჩენები უბრალოდ ხელმოცარულები რჩებიან.

ზემოთ თქვენ ახსენეთ, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს მუსიკოსისთვის იმ გარემოს, სადაც ის გაიზარდა. თქვენ ჩიკაგოში დაიბადეთ და იზრდებოდით; მუსიკალური თვალსაზრისით, ეს მართლაც რომ გამორჩეული ადგილია – სრულიად განსხვავებული ამერიკის სხვა მუსიკალური კერებისგან. მინდა გვიამბოთ, თუ როგორ შემოვიდა ჩიკაგოს „აკუსტიკური ვერსია" თქვენში და აქვე გთხოვთ, განმიმარტოთ, თუ რას ნიშნავს თქვენი ეს სიტყვები: „ჩიკაგო ყოველთვის თავზე ბანდანაწაკრულ პოლონელ ქალს მაგონებს; მან ეს-ესაა მორეცხა იატაკი და ახლა, მუხლებზე დამდგარი ემზადება მის გასახეხად".

ჯერ მეორე შეკითხვაზე გიპასუხებთ. პოეტური ფორმის მიუხედავად, ყველაფერი ზედმიწევნით პროზაულია. ვარშავის შემდეგ ჩიკაგოში ყველაზე მეტი პოლონელი ცხოვრობს; აგრეთვე, ჩიკაგო მშრომელთა ქალაქია. მას მშრომელი კაცის „სუნი" ასდის. დღეს, რა თქმა უნდა, ის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი და ულამაზესი ქალაქიცაა თავისი გასაოცარი არქიტექტურით. მუსიკალური თვალსაზრისით კი, ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ ეს ბლუზის ქალაქია. ჩიკაგო ბლუზით სუნთქავს და ყველა იქაური მუსიკოსი, რა სტილშიც უნდა უკრავდეს, პირველად ბლუზის სახით იღებს მუსიკალურ ჩიკაგოს. გამონაკლისი არც მე ვარ. ჩიკაგოს „ქარის ქალაქს" ეძახიან და, საუნდის თვალსაზრისით, და გეოგრაფიულადაც, ის გახსნილი ქალაქია. პრერია ემიჯნება; ჩიკაგოს გარშემო ტერიტორიები გახსნილი და ქარიანია. მისგან განსხვავებით, ნიუ-იორკი ტყეებით დაფარული ტერიტორიებითაა გარშემორტყმული და მდინარე ჰადსონის ნაპირი ძირითადად მთიანია. ნიუ-იორკი კოსმოპოლისია; ის საპორტო ქალაქია, ჩიკაგო კი, ამ თვალსაზრისით, ბევრად უფრო ამერიკულია. იქ ჯერ კიდევ დადის ტრამვაი და იქაურები ჯერ ისევ ნადირობენ. და კიდევ ერთი რამ – მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩიკაგო სამხრეთელთა ადგილსამყოფელი გახდა. დღეს ჩიკაგოში მილიონზე მეტი მექსიკელი ცხოვრობს არალეგალურად. ამ ყველაფერმა უდავოდ დიდი ზემოქმედება იქონია ადგილობრივ მუსიკაზე. მუსიკალური თვალსაზრისით, ჩიკაგო გახსნილი და დაკუნთულია.

და ჩემი ბოლო შეკითხვა: ეს თქვენი პირველი კონცერტი იქნება მსოფლიოს ამ კუთხეში. რას ელით დღევანდელი საღამოსაგან?

საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით გეტყვით, რომ არ აქვს მნიშვნელობა, რამდენად შორს მოგზაურობ – იქნება ეს ჩინეთი, სინგაპური თუ მოსკოვი. ყველგან, სადაც ჩადიხარ, აღმოაჩენ, რომ ადამიანები გელოდნენ და საშინაო დავალებაც კი შეასრულეს შენი ჩამოსვლისათვის; ვგულისხმობ იმას, რომ მათ მოუსმინეს შენ ალბომებს და მეტ-ნაკლები წარმოდგენა აქვთ, თუ ვინ და რა ხარ. ზუსტად ასევე ვიქცევი მე, როდესაც ჩიკაგოში ან ნიუ-იორკში ყოფნისას შევიტყობ ხოლმე, რომ ვიღაც მნიშვნელოვანი მუსიკოსი ჩამოდის, ვთქვათ, აზერბაიჯანიდან ან სხვა რომელიმე ქვეყნიდან, და ის ვიღაც ამა თუ იმ ინსტრუმენტის ჭეშმარიტი ოსტატია; ან ისეთ რამეს მთავაზობს, რაც დამახასიათებელი არაა იმ რეგიონისთვის, სადაც მე ვცხოვრობ. ჩემთვის ეს საოცრად საინტერესოა, სრულიად ახალი გამოცდილების მიღების შანსია. ამ დროს, როგორც უბრალო მსმენელი, მე ეგზალტირებული ვარ და სურვილი მაქვს ყველაფერი შევიტყო იმ მუსიკის შესახებ, რაც იმ ადამიანმა უნდა მომასმენინოს ცოცხლად. იმედი მაქვს, რომ ქართველი მსმენელიც ჩემსავით დაინტერესებულია. ვეჭვობ, რომ დღეს ძალიან, ძალიან კარგ ურთიერთობას დავამყარებ თქვენ მსმენელთან.

ინტერვიუ ჯონ მედესქისთან

<<< დასაწყისი გვ. 62

ამიტომაც Dropper-ზე მუშაობისას კიდევ ერთხელ მოვიკრიბეთ ძალები და ვთქვით: „კარგი, მოდი შევეცადოთ და ჩვენსავე სიღრმეებში დავძებნოთ ღირებული მუსიკა! მოდი, ნუ დავუკრავთ იმას, რაც უკვე ვიცით! მოდი გულის სიღრმიდან წამოსული მუსიკა დავუკრათ! ბოლოს და ბოლოს ეს ხომ ისაა, რასაც ჩვენ მთელი ამ ხნის განმავლობაში ვაკეთებდით?“ ეს პერიოდი ერთგვარი შემობრუნების წერტილად იქცა ჩვენთვის. გვქონდა შანსი, გავმხდარიყავით კომერციულად უფრო წარმატებულები, მაგრამ უარი ვთქვით ამაზე და დღეს ბედნიერები ვართ მუსიკალური თვალსაზრისით, იმიტომ რომ იმას ვუკრავთ, რაც პიროვნულად ვართ. როგორც ბენდს, მხოლოდ ამ გზით შეგვიძლია შემდგომი ზრდა და მომდევნო წლების განმავლობაში ერთად დარჩენა. ნებით თუ უნებლიეთ სულ იმას ვცდილობდით, მათთვის დაგვეკრა, ვინც ინტელექტუალური ან სულიერი სტიმულირების ძიებაში იყო; ვცდილობდით დაგვეკვრა ისეთი მუსიკა, რომელსაც მსმენელის სამოგზაუროდ წაყვანა შეეძლო. ამის გამო, ჩვენ ვკარგავდით მსმენელს; დღესაც ვკარგავთ. რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა, ყველას რომ ვყვარებოდით, მაგრამ ეს ასე არაა და ვერც იქნება. როგორც სანრა ამბობდა: „მე ჩიტივით ვარ. ჩიტები მღერიან. ზოგი უსმენს მათ სიმღერას, ზოგი კი – არა.“ აი, დაახლოებით ასე ვცხოვრობთ ჩვენც. ნუ იფიქრებთ, რომ ამის გამო ყველაფერი დინებაზე გვაქვს მიშვებული; პირიქით, ძალიან ბევრს ვმუშაობთ, და მხოლოდ ის გვინდა, რომ ჩვენი მუსიკა ნაღდი იყოს; ისიც გვაინტერესებს, თუ როგორ აღწევს ის მსმენელამდე. ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

თქვენ ერთხელ თქვით, რომ მუსიკაში მთავარია, მოახერხო „ჯადოქრული სულის“ შენარჩუნება. შეგიძლიათ უფრო ვრცლად განმარტოთ, რას გულისხმობდით და გვითხრათ, როგორ ხდება ამ „ჯადოქრული სულის“ შენარჩუნება?

ძალიან გამიჭირდება. ალბათ უფრო არა. ეს ენერგიაა. ყველაფერი ეს მხოლოდ შეგრძნების დონეზეა. „ჯადოქრობა“ მუსიკაში წმინდა ადამიანურ გამოცდილებას ემყარება – იქნება ეს ემოციური თუ ინტელექტუალური გამოცდილება. მუსიკის დანიშნულებაა ადამიანებისთვის ცხოვრების გაუმჯობესება, გაუმჯობესება კი ყოველთვის ბედნიერებას არ ნიშნავს. პროგრესისკენ მიმავალი გზა ზოგჯერ ძალიან რთული შეიძლება აღმოჩნდეს. განკურნების პროცესი ხშირად მტკივნეულია. ვიდრე მუსიკა გართობად და კომერციად იქცეოდა, ის უბრალოდ მუსიკა იყო, ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი ადამიანური აქტივობა, ისეთივე, როგორც საკვების მიღება, მუსიკა ადამიანის არსებობისთვის აუცილებელი, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია.

რამდენადაც ვხვდები, ერთად შეყრამდე სამივე თქვენგანს განსხვავებული მუსიკალური წარსული გქონდათ. შესაბამისად, სამივეს განსხვავებული ელემენტი შეგაქვთ ბენდის საუნდის მიღებაში. რა მსგავსება და განსხვავება არსებობს თქვენ სამეულში, რაც კრეატიული ბალანსის შენარჩუნების საშუალებას გაძლევთ?

დღეს ჩვენ უკვე ერთი ოჯახივით ვართ და, რა თქმა უნდა, ამას თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს. დღესაც საკმაოდ ბევრს ვსწავლობთ ერთმანეთისგან. პირველ რიგში ალბათ იმიტომ, რომ თითოეული ჩვენგანი, Medeski, Martin and Wood-ის გარდა, კიდევ სხვა უამრავ პროექტში მონაწილეობს და ხშირად ეს მხოლოდ მუსიკალური პროექტები არცაა ხოლმე. ეს შეიძლება პოეზიის საღამო იყოს ან სულაც ბალეტი ან ფილმებისათვის მუსიკის წერა. ასეთ შემთხვევებში ისეთ პროექტებს ვირჩევთ, რომლებიც განვითარების საშუალებას გვაძლევს როგორც ადამიანურად, ისე მუსიკალურადაც. შემდეგ კი იმ პროექტებიდან მიღებული გამოცდილება ავტომატურად თავს იჩენს ჩვენ მუსიკაში. საკუთარ პროექტებზე მუშაობისას ბევრს არ ვლაპარაკობთ მუსიკაზე. სხვათა შორის, იმ დოკუმენტურ ფილმზე მუშაობისას, რომელიც ბილიმ Radiolarians-ზე მუშაობის პროცესში გადაიღო, და რომელიც ალბომის სამდისკიანი აუდიო ნაწილის ვიზუალური დამატება იქნება (ეს ფილმი ნოემბერში იქნება მზად), ერთი ჩვენი საერთო მეგობარი, ვინც ბილის გადაღების და მონტაჟის პერიოდში ეხმარებოდა, განცვიფრებული დარჩა იმით, თუ რა ცოტას ველაპარაკებოდით ერთმანეთს ტურნეში ყოფნის და ალბომზე მუშაობის დროს. ჩვენ იმდენად მჭიდრო მუსიკალური კავშირი გვაქვს ერთმანეთთან, რომ ხშირად საუბარი უბრალოდ ზედმეტია. ერთმანეთს რაღაც გაურკვეველ ბგერებით ან ნახევრად დაუსრულებელი წინადადებებითაც კარგად ვაგებინებთ ყველაფერს. როდესაც ეს მუსიკად

იქცევა, ირკვევა, რომ სწორედ მუსიკაა ის ენა, რომელზე საუბარიც ყველაზე მეტად გვიადვილდება. ჩვენ მუსიკით უკეთ შევიგრძნობთ ერთმანეთს, ვიდრე სიტყვებით. სწორედ ეს ვისწავლე ნიუ-ორლეანში ყოფნისას ადგილობრივი მუსიკოსებისგან. მახსოვს, როდესაც Dirty Dozen Brass Band-ის დისკზე ვმუშაობდი პროდიუსერად, ისინი საუბრობდნენ, როდესაც იმის გადამოწმება სურდათ, სწორ გზაზე იდგნენ თუ არა, გრძნობდნენ თუ არა მუსიკას. ეს ყველაზე მნიშვნელოვანი რამაა. ჩვენ შეგვიძლია ტექნიკურ დეტალებზე ან სხვა რაიმე მსგავს თემაზე საუბარი, ასევე იმის ინტელექტუალურ მიზეზებზე, თუ რა იმუშავებს და რა არა, მაგრამ ყველაფრის თავი და თავი მაინც ისაა, თუ როგორ ვგრძნობთ მუსიკას.

ყოფილა თუ არა თქვენი მუსიკალური კარიერის განმავლობაში ისეთი შემთხვევა, როდესაც თავიდან არ მიგიღიათ ვინმესგან კრიტიკა, მაგრამ დროთა განმავლობაში მიმხვდარხართ, რომ ის ვიღაც მართალი იყო და აზრი შეგიცვლიათ?

როდესაც ერთად შევიყარეთ, იმ დროისათვის თითოეულ ჩვენგანს უკვე მეტ-ნაკლებად გადალახული გვქონდა კრიტიკასთან მიმართებაში ჩვენ-ჩვენი სისუსტეები. ეს იმიტომ, რომ ბენდის შექმნამდე ბევრი სხვა რამ გვიკეთებია. ასე რომ, ერთად როცა შევიკრიბეთ, უკვე მზად ვიყავით კრიტიკის მისაღებად. იმ დროისთვის თითოეული ჩვენგანისთვის უკვე ნაცნობი იყო კრიტიკის ბუნება. ეს რაც შეეხება ბენდს. ინდივიდუალურად კი თითოეული ჩვენგანი განსხვავებულად იღებს კრიტიკას. პირადად მე უფრო მაწუხებს ის, თუ როგორ აღიქვამენ ჩვენ მუსიკას ადამიანები. ბილის და ქრისს ეს ყველაფერი ნაკლებად ანაღვლებთ. ყოველთვის მესმის მართებული კრიტიკული შენიშვნის სისწორე და ვაფასებ იმას, რასაც სხვები ფიქრობენ. „ჰო, ალბათ სწორია, რასაც ის ამბობს“, – ვამბობ ხოლმე ჩემთვის. მნიშვნელოვანია, საკუთარ თავს სხვისი თვალით შეხედო თუნდაც იმისთვის, რომ განსაზღვრო, რაა შენთვის ნაღდი და მართალი. ამავე დროს ძალიან ფრთხილად უნდა იყო, მსმენელის მხრიდან არაპროპორციულმა მოლოდინმა რომ არ წაგლეკოს. ერთხელ ერთ ჩვენ ალბომზე მუშაობისას კინაღამ ჭკუიდან გადავდექი იმაზე ფიქრით, მოეწონებოდათ ეს მუსიკა ადამიანებს თუ არა. ქრისი და ბილი აუღელვებლად მუშაობდნენ, მე კი ხარისხიანი ალბომის კეთების აუცილებლობამ კინაღამ მწყობრიდან გამომიყვანა. ეს ყველაფერი ასე ღრმად იმიტომ შემეხო, რომ საჭიროზე მეტს ვნერვიულობდი – რას მოელოდა ჩვენგან ხმის ჩამწერი კომპანია? რას მოელოდა ჩვენგან მსმენელი? ამ დროს სრულიად დავკარგე იმის შეგრძნება, თუ რა გვჭირდებოდა პირადად ჩვენ. ძალიან ძნელი იყო ჩემთვის ასეთ პირობებში მუშაობა...

სხვათა შორის, Radiolarians-ზე მუშაობისას თქვენ, Medeski, Martin and Wood-ს ვგულისხმობ, თავად იქეცით ხმის ჩამწერ კომპანიად. რაიმე ახალი შეიტყვეთ ამ დროს?

ყველაფერი ახალია და ყველაფერი სიურპრიზებითაა სავსე! ასეთია მუსიკის კეთების და ჩაწერის ბუნება. Radiolarians-ის შემთხვევაში, წინასწარ გვქონდა განსაზღვრული ფორმულა, და ამიტომაც სამდისკიანი ალბომის ჩაწერის პროცესი საკმაოდ იოლი აღმოჩნდა. ამ დროს ჩვენ ტურნეში ვიყავით და მთელი ჩასაწერი მასალა ტურნეშივე ყოფნისას დავაგროვეთ. შემდეგ კი თითქმის უკვე სრულად გათავისებული კომპოზიციები, რომლებსაც ცოცხლად ვასრულებდით რამდენიმე თვის განმავლობაში, სტუდიაში ჩავწერეთ და ალბომად ვაქციეთ. ეს უფრო იოლი იყო ჩვენთვის, ვიდრე ის, სტუდიაში რომ შედიხარ და არაფრისგან რაღაც უნდა შექმნა. ჩემთვის ეს ყველაფერი მუდამ სერიოზული ემოციური მოგზაურობა იყო. ეს მხოლოდ ჩემი პრობლემა იყო, ჩემი პირადი დამოკიდებულება კრიტიკასთან. საბოლოო ჯამში მთელი სურათი ასე გამოიყურება – თავს ვიკატუნებ, რომ მე ეს არ მეხება, არადა ძალიანაც მეხება. სადღაც სიღრმეში შეიძლება ნამდვილად არ მანაღვლებდეს ეს ყველაფერი, მაგრამ არის ჩემში რაღაც ისეთი, რაც მუდამ მანერვიულებს, მოეწონება თუ არა ჩვენი მუსიკა მსმენელს. როგორც უკვე გითხარით, უამრავ სხვადასხვა მუსიკოსთან დამიკრავს სხვადასხვა სტილის მუსიკა და ვიცი, რომ შემიძლია ყველასთვის გასაგები მუსიკით ადამიანების გაბედნიერება. ადვილად შემეძლო ამ გზას დავდგომოდი, მაგრამ საბედნიეროდ, ქრისმა და ბილიმ დამარწმუნეს, რომ უკეთესი იქნებოდა, თუ შემოქმედებად დავრჩებოდით და მხოლოდ და მხოლოდ სხვების გამრთობ მუსიკოსებად არ გადავიქცეოდით.

რადგანაც თქვენი მუსიკა თითქმის ასი პროცენტით იმპროვიზაციულია, ცოცხლად შესრულების დროს ხშირად თუ ხდება, რომ საწყის ძაფს კარგავთ, სამაგიეროდ კი ისეთ მძლავრ ენერგეტიკულ ველში ექცევით, რომ იძულებული ხართ, მას მიჰყვეთ, იმის მიუხედავად, რომ წარმოდგენაც არ გაქვთ, საბოლოოდ სად მიხვალთ?

ყოველ საღამოს, ყველა კონცერტის დროს! ეს იმის ნაწილია, თუ ვინ ვართ ჩვენ და როგორც ვაკეთებთ იმას, რასაც ვაკეთებთ. ყოველ კონცერტზე ვცდილობთ ისეთი მუსიკის დაკვრას, რომელსაც სწორედ ის ელემენტი ახლავს, რაც უცნობი ტერიტორიის მოსინჯვის საშუალებას გაძლევს. ყოველ საღამოს ამისთვის ცოტა დროს მაინც ვიტოვებთ ხოლმე, რადგანაც ძალიან მოგვწონს ამის კეთება. ეს უნდა გაბედო და შეეცადო, იმ აზრს შეეგუო, რომ ამ დროს შიშველი დგახარ ადამიანების წინაშე. ასეთ მომენტებში მართლაც რომ შიშვლდები და ბევრს არც მოსწონს, როდესაც ამას ვაკეთებთ. ეს გასაგებიცაა, რადგანაც ძალიან ხშირად ეს ყველაფერი კარგად არ ჟ ღ ე რ ს ხოლმე. მე ძალიან მიყვარს კლასიკური მუსიკა, პოპ მუსიკა და მსგავსი რაღაცები მაგრამ აუცილებელია მ ე რ ყ ე ო ბ ი ს ველში შებიჯებაც და იმის მიღება, რასაც ამ დროს საჩუქრად იღებ. იმპროვიზაციისას ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს საკუთარ თავის ძიებაში ხარ და როდესაც პოულობ, გიხარია. ეს ქვეყნად ყველაზე უფრო კარგი რამაა! ეს არის ერთ-ერთი ყველაზე უფრო კათარზისული განცდა! ყველაფერი, რაც იმპროვიზაციის დროს ჩნდება, დიდებული შეიძლება არ იყოს, მაგრამ კარგია, როდესაც ამის

გაბედვას ახერხებ როგორც მუსიკოსი და როგორც ბენდი. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ რაც შეიძლება ხშირად მოვიქცეთ ასე.

თვრამეტი წლის თავზე თქვენი მუსიკალური ლექსიკონი ბევრად უფრო მდიდარია. ისიც აღსანიშნავია, რომ თქვენი მუსიკის აკუსტიკური ლექსიკონი თავადვე შექმენით. გააფართოვეთ გამოხატვის საშუალებებიც. დღეს იმპროვიზაციისთვის აუცილებელი პალიტრაც ბევრად უფრო მრავალფეროვანი გაქვთ. ასეთი არსენალის მიუხედავად, მაინც ხომ არ გიწევთ კომფორტულ ზონაში „შეცურვის“ და იქ დარჩენის საფრთხესთან ბრძოლა?

კი. ეს სწორედ ისაა, რაც მუდამ ცვალებადია, კომფორტულ ზონას ვგულისხმობ. გარკვეული თვალსაზრისით, კომფორტული ზონა მუსიკოსის ს ტ ი ლ ი ს ტ უ რ ი ჩვევებია. ამ ჩვევების მოცილებით მუსიკოსი ახერხებს კომფორტული ზონიდან გამოსვლას. მაგრამ თუ შენ ნამდვილად თავისუფალ მუსიკას უკრავ, ამ შემთხვევაში ყველაფერი უფრო რთულადაა. როგორც ჩემი ერთი კარგი მეგობარი ამბობს ხოლმე: „თავისუფალი მუსიკა ნიშნავს იმას, რომ შენ თავის-უფალი ხარ, დაუკრა ის, რაც მოგეპრიანება. თავისუფლად დაკვრა არ ნიშნავს მხოლოდ რომელიმე კონკრეტული სტილის მიღმა გასვლას“. ანუ, შენ შეგიძლია სტილისტური მარწუხების ფარგლებს გარეთ გასვლა, მაგრამ ნამდვილი თავისუფალი მუსიკა ნიშნავს იმას, რომ შეგიძლია დაუკრა რეგი, ბოსანოვა, ან ნებისმიერი სხვა მუსიკა. ამავე დროს, მიმაჩნია, რომ კომფორტული ზონა მხოლოდ სტილი ან შენი აქტუალური მუსიკალური ლექსიკონი კი არაა, არამედ ენერგიული ველიც, და ის შენი უნარი, თუ როგორ ახერხებ იმ ვიბრაციაში მოხვედრას, სადაც მუსიკა ნამდვილად მძლავრი ხდება. დაკვრისას ჩვენ სწორედ ისეთი ვიბრაციის შექმნას ვცდილობთ, რომელსაც რაღაც მნიშვნელოვანის წარმოჩენა შეუძლია და ჩვენი მუსიკა სწორედ ამ გზაზე შემდგარი მუსიკაა. დიდი ბლუზმენები ერთსა და იმავე ნოტებს უკრავდნენ, მაგრამ ყოველთვის ახერხებდნენ ამ მძლავრ ვიბრაციაში მოხვედრას. ყველა მუსიკოსს თავისი გზა აქვს გასავლელი იქ მოსახვედრად. იგივე ეხებათ კლასიკური მუსიკის შემსრულებლებსაც. ვიღაცას შოპენის ისე შესრულება შეუძლია, რომ ყოველ ჯერზე სადღაც სხვაგან გადაჰყავს მსმენელი! მუსიკისგან სწორედ ასეთი ვიბრაციის გამოწვევას ვცდილობთ და, როგორც უკვე გითხარით, იქ მოსახვედრი გზა ყველა მუსიკოსისათვის ინდივიდუალურია.

ეს ის შეკითხვაა, რომელსაც ხშირად ვუსვამ ხოლმე მუსიკოსებს, განსაკუთრებით – ჯაზმენებს: ამბობენ, რომ კარგი მუსიკა აუცილებლად ასახავს იმ დროს, რომელშიც ის იქმნებოდა. რამდენად მისაღებია ეს მოსაზრება თქვენთვის?

დაწყებული Kind of Blue-თი, In a silent Way-ის გავლით და Bitches Brew-მდე მაილზ დევისმა ეს მოახერხა. ვფიქრობ, რომ ამის მიღწევა სრულიად შესაძლებელია. იმის ერთ-ერთი მიზეზი, თუ რატომ ვუკრავთ ჩვენ სამნი და რატომ დავრჩით ამდენი ხნის განმავლობაში ერთად, ისაა, რომ ნიუ-იორკში რომ ჩავედი, ის კი ჯაზის ქალაქია, და ჯემსეშენზე დასაკრავად წავედი, მივხვდი, რომ იმ მუსიკას, რასაც იქ უკრავდნენ, უბრალოდ ვერ ვგრძნობდი. რატომ? იმიტომ, რომ თანამედროვედ არ ჟღერდა. ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ მუზეუმში მოვხვდი! მახსოვს, პიანისტი დასწავლილ ფრაზებს უკრავდა, და არც კი უსმენდა, ბენდის დანარჩენი წევრები რას უკრავდნენ. სწორედ მაშინ გავიფიქრე, – „ჰო, ეს ნამდვილად არაა ის, რაც მე ქოლთრეინის მუსიკის სმენის დროს მესმის ხოლმე; როცა ყველა საოცრად დაძაბულად უსმენს ერთმანეთს და სწორედ ასეთი ინტენსიური სმენის შედეგად გაჩენილი პასუხისას იბადება ის საოცარი, მძლავრი ენერგია“. სწორედ იმ პიანისტის სმენისას გადავწყვიტე, რომ არავითარი სურვილი არ მქონდა ისეთი მუსიკა დამეკრა, როგორსაც ის უკრავდა. მე რადიოში მოსმენილ მუსიკაზე გავიზარდე. ყოველთვის მომწონდა პოპულარული მუსიკა და სულ მინდოდა მისი იმ მუსიკაში ინტეგრირება, რასაც მე ვაკეთებდი. მიყვარს სთივი უონდერი და რეი ჩარლზი, ჰიფ-ჰოფი და ნიუ-ორლეანური მუსიკა, მე ვაღმერთებ ჯეიმზ ბრაუნს, ჯიმი ჰენდრიქსს, და ვილი ნელსონს. რა კავშირი აქვს მათ მუსიკას ჯაზთან? ამიტომაც, მე გულახდილი უნდა დავრჩენილიყავი ჩემსავე მუსიკასთან მიმართებაში და ჩემი მუსიკალური ინტერესებისთვის საშუალება უნდა მიმეცა, თვითონ გაეგნოთ გზა დროის ჯუნგლებში. მიმაჩნია, რომ თუ ბოლომდე გულახდილი ხარ, შენ მუსიკაში აუცილებლად აისახება ის დრო, რომელშიც ცხოვრობ.

დღეს ხელოვნების მრავალი ნიმუში არსებობს, რომლებსაც ხელოვნების ნაწარმოებად ქცევისთვის აუცილებელი არც ენერგია აქვთ და არც გაბედულება. თქვენ უამრავ სხვადასხვა სტილში და ბევრ დიდებულ მუსიკოსთან დაგიკრავთ, და თქვენზე კარგად ვინ უნდა იცოდეს, თუ რა განსხვავებაა მუსიკაში მოჩვენებით, ზედაპირულ ნოვატორობასა და მნიშვნელობით დატვირთულ სიახლეს შორის...

ეს ძალიან, ძალიან რთული შეკითხვაა და არ მგონია, ამაზე პასუხის გაცემა შევძლო. ვერ გეტყვით, თუ ზოგადად რომელი მუსიკაა მნიშვნელოვანი სიახლით დატვირთული და რომელი არა, მაგრამ მაინც შევეცდები, ავხსნა, მე როგორ მესმის ეს: ამ ორს თითქმის შეუმჩნეველი ზღვარი ჰყოფს, რისი სიტყვებით გადმოცემაც რთულია და სწორედ ამიტომაც ვქმნით ხელოვნების ნაწარმოებებს. სიტყვაში ვერ ვაქცევთ და ამიტომაც გამოსახატად სხვა გზებს ვირჩევთ. ეს მათემატიკასავითაა. ჩემი აზრით, და ამ ბოლო დროს სულ უფრო ღრმად ვრწმუნდები ამაში, ჭეშმარიტი სიახლით და მნიშვნელობით დატვირთულ მუსიკას ყოველთვის საკუთარ თავთან პირისპირ დგომის დროს ქმნი. ზოგი ასეთ მუსიკას „სულიერს“ უწოდებს, მე კი არც ვიცი, რა სახელი გამოვუძებნო. აი, ბლუზმენები რომ ვახსენე, მილიონჯერ შეიძლება მოუსმინო მათ მუსიკას, მაგრამ მაინც ვერ ამოწურო ვერც ენერგეტიკულად და ვერც მელოდიურად. ყველაფერი ეს საკუთარ თავთან გულ-ახდილი „საუბრის“ შედეგია. ზოგჯერ ბავშვები უფრო ღრმა ხელოვნების ნიმუშებს ქმნიან! ან კიდევ, ასე ვიტყოდი: ეს უნივერსალურობის შეგრძნებით სავსე გულახდილი თვითგამოხატვის მცდელობაა. ამაზე უკეთესად ვერ აგიხსნით...

ბორია

<<< დასაწყისი გვ. 92

ბორის მანილოვიჩი ფსიქოანალიტიკოსი იყო და შესანიშნავად ფლობდა მთელ სამეცნიერო ლიტერატურას ფროიდიდან დაწყებული იუნგ-ადლერ-ფრომით გაგრძელებული და ლაკან-მელმან-ლე გოფეთი დამთავრებული. იშვიათად მინახავს ადამიანი, რომელიც ასე დიდ პატივს სცემდა განსხვავებებს სამეცნიერო ნააზრევს შორის: ბორიას საათობით შეეძლო ესაუბრა ფროიდის ფსიქოანალიზსა და იუნგის ანალიტიკურ ფსიქოლოგიას შორის არსებულ ნიუანსურ თუ ფუნდამენტურ განსხვავებებზე. როდესაც რთული სამეცნიერო ტერმინოლოგიით საუბარი მეტისმეტად დამძიმდებოდა, სიტუაციის გასამუხტავად ბორია просторечие-ს მიმართავდა და ხალხურ მეტყველებაზე, მდაბიურ ენაზე გადადიოდა:

– ფროიდი, – ამბობდა ბორია, – შემიძლია შევადარო ჩვენ ჟორა ხომიზურს, ანუ, სიყვარულით რომ ვთქვა, ზიგმუნდ პავლოვიჩ ხომიზურს, ერთი სიტყვით, ხომიზიგმუნდს; ისიც მკაცრად და უკომპრომისოდ ფიქრობდა ყველას მაგივრად, სტალინივით მისთვისაც დამახასიათებელი იყო არა каждому своё, არამედ каждому МОЁ. მისთვის ყველა ადამიანი ერთნაირი ოიდიპოსი იყო, იგი ფიქრობდა, რომ ყოველ ექიმზე (გურულ „დოხტურზე“), თუნდაც ფილოსოფიის დოქტორზე, მოდის მიწის არაუმეტეს სამი არშინისაო – на всякого доктора, будь он даже доктором философии, приходится не более трех аршин земли (რა თქმა უნდა, ბაბელის ციტატაა). იუნგი უფრო გრიშა ფელდმანს ჰგავს („გრიგორიი ჲუნგ“ – ხომ ჟღერს!). გრიშა იუნგი რელიგიურია და სხვებზე მეტად საკუთარი სულის ხსნაზე ზრუნავს; სული კი მას, როგორც ცნობილია, – კეთილი ქირქილით იტყოდა ბორია, – სხეულის ყველაზე საკრალურ ნაწილში, კუჭში აქვს მოთავსებულიო.

– ადლერი? – ვკითხავდი მე.

– ადლერი შენ გგავს, მოსწავლის სიყვარულით გაჟღენთილი ინდივიდუალისტი და უნივერსალური მასწავლებელია: ლევან ადლერ, ესეც ჟღერს. სამყაროში რომ ნამდვილი წესრიგი ყოფილიყო, ზიგმუნდ ფროიდი ავსტრიელ ებრაელად კი არა, გერმანელ არისტოკრატად დაიბადებოდა; ცვინგლიანელი კარლ გუსტავ იუნგი გერმანულენოვანი შვეიცარიელი კი არა – ფრანგი კალვინისტი შარლ გიუსტავ ჟენგლი იქნებოდა, ავსტრიელი ალფრედ ადლერი კი აუცილებლად ქართველ ფრიდონ ადლერაშვილად მოგვევლინებოდაო.

ამ დიალოგის შემდეგ ბორისი, განსაკუთრებით თუკი რაიმეს თხოვნას აპირებდა, „ლევან ადლერიანოვიჩად“ („ვალერიანოვიჩის ამბავში“) მომიხსენიებდა.

ბორია ანეკდოტების ნამდვილი სკივრი იყო. ანეკდოტების უმრავლესობა ან ებრაელებზე იყო, ან პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა, ან კიდევ ებრაელებზეც იყო და პოლიტიკურ ხასიათსაც ატარებდა. მე ყველაზე მეტად ერთი ანეკდოტი დამამახსოვრდა, რადგან მას მანილოვიჩი კი არ ჰყვებოდა, არამედ ერთი მსახიობის თეატრივით ასრულებდა.

– მორდუხაის და სარას სამი გასათხოვარი ქალიშვილი ჰყავდათ, ანა, დებორა და ლია. მოვიდა მოშე და მოიყვანა ცოლად ანა. გადის დრო, მოდის მორდუხაისთან და სარასთან მოშე და ეუბნება, – ცუდი ამბავი შეგვემთხვა, ანა გარდაიცვალაო. იტირეს მშობლებმა ანა და მისი და, დებორა გააყოლეს მოშეს. გადის ხანი და მოსე ისევ მოდის, – არ დაიჯერებთ და, დებორაც გარდაიცვალაო. იტირეს მშობლებმა დებორა და ლია გააყოლეს ცოლად. გადის დიდი დრო და მოსე ისევ მოდის მორდუხაისთან და სარასთან და ეუბნება, – თქვენ ახლა სიცილით მოკვდებით, მაგრამ ლიაც გარდაიცვალაო.

ბორია იცინოდა, – ორი ცოლი მყავდა, ორივე ცოცხალია, ორივე ებრაელია და ორივე ინტელექტუალი, ხან ერთი მაკითხავს ზონაში და ხან მეორე; ორივე მიყვარდა და ახლაც მიყვარს, მაგრამ ისრაელში წასვლაზე ვერც ერთმა ვერ დამიყოლიაო. სხვათა შორის, ჩემი მეორე, მაღალინტელექტუალური მეუღლე განსაკუთრებული სისასტიკით მაწამებდა, მაგალითად, სექსის დროს წიგნს კითხულობდაო. ახლა რუს ქალზე მაქვს თვალი დადგმული და მეშინია, მან არ მაიძულოს ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებაო. ხომ იცით, თანამედროვე რუსული ფოლკლორის ჰიტია:

От Рязани до Казани острый ножик точится,
Сделай милый обрезание, мне в Израиль хочется.

ბორიამ გამოიცნო: რუსმა მეუღლემ მართლა ისრაელში წააყვანინა თავი. და დაიკარგა ჩვენთვის ბორის მანილოვიჩი. სად არ ვეძებდით ცალკე მე, ცალკე პოლიაკოვი და ცალკე ხომიზური. ისიც კი არ ვიცოდით, ცოცხალი იყო თუ არა, სანამ შარშან ინტერნეტში არ წავაწყდი საუბარს ისრაელის ჯანდაცვის სამინისტროს ფსიქოლოგიური სამსახურის უფროსთან, ბორის მანილოვიჩთან, სადაც ჭარმაგი პროფესორი, რომელიც მოხსენიებულია როგორც „დამოკიდებულების ფსიქოლოგიის“ ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი, ლაპარაკობს ალკოჰოლისა და ნარკოტიკების ტყვეობაზე და (მიაქციეთ ყურადღება, რა თანმიმდევრულია, რა მუდმივია ეს პიროვნება!) განსაკუთრებით ხაზს უსვამს განსხვავებას ალკოჰოლიკსა და ნარკომანს შორის. მთელი ინტერვიუ აგებულია ამ განსხვავებაზე, იმაზე, რომ ალკოჰოლიკი ანოზოგნოზიითაა შეპყრობილი – საკუთარ დაავადებას უარყოფს, საკუთარი დეფექტის კრიტიკული შეფასება არ შეუძლია, ხოლო ნარკომანი ძალიან მალე ხვდება, რომ ავადაა.

ვერც ამ მასალის მოპოვების შემდეგ მივწვდი ბორიას ელექტრონულად, მაგრამ მაინც გამიხარდა, რომ ცოცხალია და თავისი თავის ერთგულია.

ბორია ამბობდა, დაპატიმრებამდე სოლჟენიცინს ვკითხულობდი და დიდი მწერალი წერდა, – ბედის მადლიერი ვარ, პატიმრობა რომ მარგუნაო. ამას წერდა დოსტოევსკიც და ამას წერდა მაჰათმა განდიც. მე მათი არ მჯეროდაო, – ამბობდა მანილოვიჩი. სიმართლე რომ ვთქვა, არც მე არ მჯეროდა, სანამ არ დამაპატიმრეს და არ მივხვდი, რომ ამ დიდი ადამიანების პოზიციას სერიოზული საფუძველი ჰქონია. რა თქმა უნდა, ბედის მადლიერი ვარ, რომ გულაგში პატიმრობა მერგო და ამ პატიმრობამ სხვებთან ერთად ბორის მანილოვიჩთან მეგობრობა მაჩუქა.

ძალაუფლება და ციინიზმი

<<< დასაწყისი გვ. 98

ფსიქოანალიზი, როდესაც ის ქმედითი და ძლიერია ამბობს, რომ იმ ადამიანის მიღმა, რომელიც თავს გვაჩვენებს ნორმალურად, ციინიკურად, პრაქტიკულად და ასე შემდეგ, არსებობს სიმბოლური მკვდარი ზონა და არაღიარებული პასუხისმგებლობები. სწორედ ესაა, ჩემი აზრით, ფსიქოანალიზის უფრო რადიკალური პარადოქსი. ბატონ-პატრონის ჯინაზე, რომელიც რედაქტირებას უწევს პასუხისმგებლობას არაცნობიერში, ადამიანები უფრო მორალურები აღმოჩნდებიან, ვიდრე ისინი ამას გვიმტკიცებენ.

ეს მომენტი აგრეთვე ხსნის ნაციონალიზმის ლოგიკას. აი, რა მაკვირვებს: ჩემი ბევრი ყოფილი მეგობარი, განსაკუთრებით ზაგრებიდან და ბელგრადიდან, რომლებიც წლების განმავლობაში ზედმიწევნით ციინიკური კოსმოპოლიტები იყვნენ, უეცრად ფანატიკოს ნაციონალისტებად იქცნენ. ყოველივე ეს წარმატებით აშიშვლებს ირონიის ლოგიკას. ადვილი სათქმელია ის, რომ ამ ნაციონალიზმის უკან ძალაუფლებისაკენ სწრაფვა იმალება და ასე შემდეგ. ყველაფერი ზუსტად რომ ამის საპირისპიროდაა და ეს ისაა, რაც მე ისევ და ისევ განმაცვიფრებს ხოლმე. ის, ვინც აბსოლუტურ ციინიკოსად, რაციონალურად და გახსნილ ადამიანად მიგაჩნდათ, უეცრად ფანატიკოსი ფუნდამენტალისტი ხდება, რომელიც საკუთარ ერთან თანხმობას აწერს ხელს და ყოველთვის მზადაა, აღიაროს ეს.

ლაკანი გვასწავლის, თუ როგორ შეიძლება სხვანაირად მივუდგეთ კანტის ეთიკას. ჩვეულებრივი მიდგომა ასეთია: კატეგორიული იმპერატივი თითქოს ტესტირებისთვის განკუთვნილი მანქანაა, თუმცა თვითონ კანტს ამის შესახებ არაფერი უთქვამს; ანუ, ამ იმპერატივის მეშვეობით რეალობის ტესტირებას ვახდენთ, რადგანაც ჩვენი ქცევა სხვების მიმართ უნივერსალურ ხასიათს ატარებს. მე ვიცი, თუ რაა ჩემი ვალი და ასე შემდეგ. ვფიქრობ, ეს არ იყო კანტის მიზანი, ვინაიდან ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა მაინც სხვას ეკისრება. ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში კანტი უფრო რადიკალურია. ჰეგელის ყოვლად მიღებული საყვედური კანტის მიმართ ის არის, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ ფორმალიზმია, და რომ კანტის ეთიკა მხოლოდ ტავტოლოგიური „აღასრულე შენი ვალია“. ვფიქრობ, კანტს უფრო ღრმა გზავნილი ჰქონდა ჩვენთვის. მოკლედ რომ ვთქვათ – ეთიკურის და ვალის მოხდის სტრუქტურა ის სტრუქტურაა, რასაც კანტი ესთეტურ განსჯას უწოდებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ეთიკური ქმედებით თქვენ არა მხოლოდ მიმართავთ ყოველ მოცემულ სიტუაციაში უნივერსალურ წესებს, არამედ ყოველი მოცემული სიტუაციისათვის თქვენივე საკუთარი უნივერსალურობა უნდა გამოიგონოთ, შექმნათ წესები ყოველი მოცემული სიტუაციისათვის. აი, რატომაა უნივერსალური ეთიკური რეცეპტი მხოლოდ და მხოლოდ ტავტოლოგია.

მაშ, რა არის ჩვენი ვალი? ვალი ისაა, რომ ვალი მოიხადო. მაგრამ რაა ჩემი ვალი? ჰა, ეს უკვე თვითონვე გადაწყვიტეთ! ამაზე პასუხისმგებლობა მთლიანად თქვენ გეკისრებათ. ასე რომ, როგორც მგონია, კანტთანაც საქმე სულ სხვანაირადაა... თქვენ არ შეგიძლიათ თქვათ: „ვიცი, ეს ჩემი ვალია, მაგრამ უკაცრავად, ჩემი ბუნება უფრო მდიდარია ამისთვის და ამიტომაც ამის გაკეთება არ შემიძლია“. როგორც კანტი ამბობს, თქვენი პათოლოგიური სისუსტე გასამართლებლად არ გამოდგება; პირიქით. ჩემთვის კი ეს ყველაზე უფრო საინტერესოა. ყველამ კარგად ვიცით, რომ ზოგჯერ ისეთ სიტუაციაში ხვდები, სადაც ვალდებული ხდები, ვალი მოიხადო, მაგრამ ამავე დროს ამით მეგობრებს აყენებ ტკივილს. თქვენ არ შეგიძლიათ უთხრათ მეგობარს: „მაპატიე, მაგრამ ასე უნდა მოვიქცე, ეს ჩემი ვალია“. არა. თვით ვალის მოხდასაც არ შეუძლია ვალის მოხდის გამართლება. პასუხისმგებლობას მთლიანად თქვენ იღებთ თქვენსავე ვალზე. მაგრამ რა შუაშია აქ ლაკანი? – იკითხავთ თქვენ. ლაკანი ამბობს: l'analyste ne sautorize que de luimeme, ანუ ფსიქოანალიტიკოსი საკუთარ თავს თავად ანიჭებს ძალაუფლებას და ამ შემთხვევაში არავითარი გარეშე გარანტი არ არსებობს. იგივე ეხება ეთიკას: შენი ვალი ისაა, რომ გამოიგონო შენივე ვალი, რომლის აღსრულების მთელი პასუხისმგებლობა შენ გეკისრება.

MARJANOFF EXPRESS
იტალიური რესტორანი
MARJANOFF DIXIE
21.35
36 95 16
95 03 23
MARJANOFF DIXIE
Georgia Tbilisi Marjanishvili Str. #8
Italian Restaurant MARJANOFF EXPRESS

დეგაპრინტი
DEGAPRINT
ციფრული ოფსეტური ბეჭდვა
ტელ.: +995 32 995007 / 998843
ფაქსი: +995 32 995681
degaprint@caucasus.net

რადიო „ნაცნობი“ გეპატიჟებათ კლუბში „ნაცნობი“

- ტრადიციული ქართული სამზარეულო
- ცოცხალი მუსიკა

მისამართი: აბანოს ქ. N 3


MON group
VONG
asian fusion
Restaurant - Cocktail Lounge
1:00 pm - 2:00 am
29 I.Abashidze st.
Tel: 29 25 70
UPgrade Your Life
with new menu in Vong



WWW.LIBERALI.GE